ალექსანდრე ჯანელიძე

# მოგონებები

თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა
თბილისი 1988

55(09)
ჯ 221

ცნობილი ქართველი მეცნიერის, ქართული გეოლოგიური სკოლის მამამთავრის — ალექსანდრე ჯანელიძის, „მოგონებები“ ორი ნაწილისაგან შედგება. პირველი ნაწილი მეორედ გამოდის. მეორე ნაწილი კი პირველად ქვეყნდება.

ავტორისეულ ანოტაციაში ნათქვამია: „კარგა ხანია მას აქეთ, უნივერსიტეტმა წინადადება მოგვცა, რომ სტუდენტებისათვის ჩვენი წარსული გვეამბნა. სწორედ ეს შეიქნა ამ სტრიქონების დაწერის საბაბი და მათი შინაარსიც ამით განისაზღვრა.

მოგონებებში აღწერილია ჩემი მოსწავლეობის წლები, აღწერილია ისე, როგორც მაგონდება და არა ისეთად, როგორიც უნდა ყოფილიყო ან როგორიც მსურდა ყოფილიყო. ჩვენს საუკუნეში ცხოვრების წინსვლის ტემპები ისეთია, რომ ეს თხრობა უკვე შორეულ წარსულს მიეკუთვნება და ადამიანური ისტორიის ერთგვარ დოკუმენტად შეიძლება მივიჩნიოთ“.

რედაქტორები ა. ცაგარელი
ვ. ბააკაშვილი

АЛЕКСАНДР ИЛЛАРИОНОВИЧ ДЖАНЕЛИДЗЕ
ВОСПОМИНАНИЯ
(на грузинском языке)
Издательство Тбилисского университета
Тбилиси — 1988

© თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 1988

Д $\frac{1305010000}{М\ 608(06)88}$

ISBN 5 — 511 — 00271 — 2

## რედაქტორისაგან

აკად. ალ. ჯანელიძის მოგონებების პირველი ნაწილი 1971 წელს გამოსცა „საბჭოთა საქართველომ“. უმალ გამოქვეყნდა არაერთი უაღრესად თბილი რეცენზია. ავტორმა მადლიერების დამადასტურებელი მრავალი ბარათი მიიღო. ახლო მეგობრებიც და სრულიად უცნობი პირებიც დაჟინებით სთხოვდნენ, არ დაეყოვნებინა მოგონებების ბოლომდე მიყვანა. ესოდენ ერთსულოვანმა და, რაც მთავარია, ჯულწრფელმა მოწონებამ გარკვეული კმაყოფილებაც მოჰგვარა ოთხმოც წელს გადაცილებულ ღვაწლმოსილ მეცნიერს, იმ ადამიანს, რომელიც პრინციპულად ვერ ეგუებოდა ხოტბას და ქათინაურებს. — დღემდე გეოლოგად ვთვლიდი თავს. ყალბი ყოფილა ეს წარმოდგენა. არცერთ ჩემს გეოლოგიურ ნაშრომს მსგავსი გამოხმაურება არ მოჰყოლია, — ჩვეული იუმორით შენიშნა ერთხელ.

ძალზე საინტერესოდ მობაასეს არ უყვარდა საკუთარ თავზე საუბარი. ამან ერთგვარად მოგონებებშიც იჩინა თავი. დაკვირვებული მკითხველი ადვილად შენიშნავს, რომ აქ ყურადღება ძირითადად გადატანილია ისტორიულ, საზოგადოებრივ თუ მეცნიერულ პრობლემებსა და ეპოქის მახასიათებელ იმ მოვლენებზე, რომელთა უშუალო მონაწილეც თავად იყო და გარკვეული წვლილიც ჰქონდა შეტანილი. ბუნებრივია, ამ პრინციპით აგებულ მოგონებებში ყურადღების მიღმა დარჩებოდა ავტორის ცხოვრების არაერთი საყურადღებო ეპიზოდი, რაც კიდევ უფრო ნათლად წარმოაჩენდა ალ. ჯანელიძის პიროვნებასა და მოღვაწეობას (მკითხველისათვისაც საინტერესო იქნებოდა უთუოდ). ეს განსაკუთრებით მოგონებების მეორე ნაწილის შესახებ ითქმის. ალბათ, საკმარისი იქნება იმის გახსენებაც, რომ აქ აღწერილი პერიოდის სხვადასხვა დროს ალ. ჯანელიძე იყო უნივერსიტეტის რექტორი, აკადემიის პირველი ვიცე-პრეზიდენტი, უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წევრი... მოგონებებში კი ამის შესახებ არაფერია ნათქვამი. იქნებ იმიტომ, რომ საგულისხმო და ყურადსა-

ღებიც არაფერი იყო? ამგვარი ვარაუდი, ცხადია, გულუბრყვილობა იქნებოდა. სათქმელი ძალზე ბევრიც იყო და მნიშვნელოვანიც. მაგრამ იმ პერიოდში, რომელსაც მოგონებების მეორე ნაწილი ეხება, ალ. ჯანელიძის უმთავრესი მიზანი საქართველოში გეოლოგიის განვითარება იყო და თხრობაც უპირატესად აქეთკენაა მიმართული.

ზემოთ აღვნიშნე, რომ მკითხველები მოგონებების ბოლომდე მიყვანას სთხოვდნენ ალ. ჯანელიძეს. ავტორს კი იმხანად უკვე დამთავრებული ჰქონდა თავისი წიგნი. მეორე ნაწილი სამნახევარ საავტორო თაბახს არ აღემატებოდა. ამიტომ მისი ცალკე გამოქვეყნება ალ. ჯანელიძეს მიზანშეუწონლად მიაჩნდა. ხოლო თუ კვლავ დადგებოდა მოგონებების გამოცემის საკითხი, ორივე ნაწილი ერთ წიგნად უნდა დაბეჭდილიყო. აქ კი გაუთვალისწინებელი რამ მოხდა: საცხოვრებელი შენობის ავარიამ მეორე ნაწილის ერთადერთი ხელნაწერი ეგზემპლარიც შეიწირა. უკვე დაწერილი ხელახლა უნდა დაწერილიყო... — ძნელი ყოფილა შენს მიერვე შექმნილი ტექსტის აღდგენა. ყოველ შემთხვევაში, ხალისი და გატაცება უკვალოდ გაქრა, — თქვა ერთხელ ალ. ჯანელიძემ.

მე კარგად ვიცნობდი ორივე ვარიანტს განსხვავება მოცულობის თვალსაზრისით მართლაც შეინიშნებოდა. ახალი ტექსტი ორ თაბახსაც ვერ აღწევდა. ავტორს გამორჩენოდა ორიოდე ეპიზოდი, რომელთაგან ერთს შეძლებისდაგვარად აქვე გავაცნობ მკითხველს.

50-იანი წლების დასასრულს, — წერდა ალ. ჯანელიძე, — რუსეთიდან ახალი გეოლოგიური ნაშრომი მივიღე. შინაარსიც და სტილიც ძალზე ნაცნობი მეჩვენა. მალე დავრწმუნდი, რომ ხელთ მქონდა ორმოციოდე წლის წინ ყაზანში დაწერილი ჩემი ნაშრომი, რომელიც იქ მომხდარი არეულობის დროს უკვალოდ დაიკარგა. საავტორო უფლებათა დაცვის კომიტეტის მეშვეობით ადვილად შემეძლო აღმედგინა ჭეშმარიტება. თავდაპირველად ასეც დავაპირე, მაგრამ უმალ გადავიფიქრე. ჩემი მიზანი ხომ იმ წიგნის გამოცემა იყო. ამასთან, მე დიდიხნის შეგუებული ვიყავ ნაშრომის დაკარგვას. და ახლა მოულოდნელად საკმაოდ მოზრდილი ტირაჟით დაბეჭდილი წიგნის სახით მომივიდა ისე, რომ მე ხელის განძრევაც არ დამჭირვებია. ჩემს შრომას უქმად არ ჩაუვლია. მართალია, ავტორად სხვა, ჩემთვის უცნობი პირი იყო დასახელებული, მაგრამ ამისათვის დიდი მნიშვნელობა აღარ მიმინიჭებია. ერთგვარად მადლიერიც ვიყავ: დედნის ტექსტი საკმაოდ ზუსტად იყო დაცული.

ვფიქრობ, საგულისხმო ეპიზოდია ალ. ჯანელიძის პიროვნების გასათვალისწინებლად.

მიმდინარე წლის ნოემბერში სრულდება ალ. ჯანელიძის დაბადების 100 წლისთავი. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობამ იტვირთა მოგონებების გამოქვეყნება ამ თარიღისათვის. თავს უფლებას მივცემ (როგორც აკად. ალ. ჯანელიძის დისწული) გულწრფელი მადლობა მოვახსენო გამომცემლობის კოლექტივს და განსაკუთრებით დირექტორის მოადგილეს ბ-ნ ნიკო ბერძენიშვილს, რომელმაც დიდი ამაგი დასდო ამ წიგნის გამოქვეყნების საქმეს.

დღეს ხელთ გვაქვს ალ. ჯანელიძის მოგონებების სრული ტექსტი. მკითხველი თავად განსჯის მის ავსა და კარგს, გარკვეულ წარმოდგენას შეიქმნის ავტორის პიროვნებასა და მოღვაწეობაზე. ამჯერად კი ყურადღებას სხვა მხრივ მივაპყრობ. ეს გახლავთ ალ. ჯანელიძის დამოკიდებულება ახალაგზრდობისადმი, რაც განსაკუთრებით ნათლად გამოიკვეთა მეცნიერის 70 წლისთავისადმი მიძღვნილ სხდომაზე წარმოთქმულ სიტყვაში. ალ. ჯანელიძემ გულითადი მადლობა გადაუხადა შეკრებილთ და საუბარი ასე გააგრძელა:

„ალბათ, არ გაგიკვირდებათ, თუ ვიტყვი, რომ დღეს ჩემს შესახებ ბევრი გადაჭარბებულიც მოვისმინე, მაგრამ ეს გადაჭარბება მე ისე მესმის, როგორც საზომი იმ მინიმუმისა, რომელიც უნდა შემესრულებია, რათა დღეს აქ დამსახურებულად ვმდგარიყავ. იმავე დროს სწორედ ეს გადაჭარბება განსაკუთრებით ძვირფასი არის ჩემთვის, როგორც თქვენი კეთილი განწყობილების საზომიც.

მეორეს მხრით, ვფიქრობ, შემიძლია დარწმუნებული ვიყო, რომ დღეს აქ ისეთი არავინ იქნება, იფიქროს, თითქოს ეს საზეიმო შეკრება ჩემდამი მიძღვნილად მიმაჩნდეს. ამ შემთხვევაშიც, ისევე როგორც სხვა ანალოგიურ შემთხვევებში, საგანი სხვა არის, უფრო დიდი, შეუდარებლად უფრო მნიშვნელოვანი, და ამ თვალსაზრისით თითქოს მეც უფლება მაქვს ჩემი თავი დღეის მონაწილედ ჩავსთვალო და არა საბაბად მხოლოდ.

სწორედ როგორც მონაწილეს ნება მიბოძეთ ორი სიტყვა მოგახსენოთ.

მეცნიერებით და გეოლოგიით თავს არ მოგაწყენთ. მაგრამ 70 წელიწადი გრძელი გზა არის. ეს გზა მეც, ისევე როგორც ყველას, ნელა, მაგრამ აღმართ-აღმართ მივლია და დღეს, სერზე შემდგარს,

თუ უკან მოვიხედავ, საშუალება მაქვს საკმაოდ შორეულ სივრცეს გადავავლო თვალი. ასეთი მზერისას უცნობი სირღმეებიდან ცნობიერების ზედაპირზე წამოიშლება ურიცხვი სურათები, — schwankende Gestalten, როგორც იტყოდა ფაუსტის ავტორი, — თითქოს დიდი ხნის დავიწყებული ამბები და დაუვიწყარი, ძვირფასი სახეები. ყველა ერთიმეორეში ირევა ფეერიასებრ, ყველა ყურადღებას მოითხოვს და გულიც ვერც ერთს მოსწყვეტია.

მაინც იმისათვის, რომ გონებამ რამე გაარკვიოს, საჭიროა არჩევანი და მეც მინდა ამჯერად თვალი შევაჩერო იმ ნათელ სახეებზე, რომელთაც ნახევარი საუკუნის გადაღმა ვხედავ. ეს ახალგაზრდა უწვერული სახეები ჯერ კიდევ თითქმის ბავშვებს ეკუთვნის, თუმცა უკვე დავაჟკაცების გზაზე შემდგარ ბავშვებს. ყველა მომავლისკენ იყურება. მათი თვალები სიცოცხლის ხალისით და თითქოს უსაზღვრო ნდობით ბრწყინავენ.

მათ შორის არც ერთი არის, რომ ნივთიერად უზრუნველყოფილი ეთქმოდეს, მაგრამ მოხვეჭაზე არავინ ფიქრობს. არც ეგრეთწოდებულ მოწყობაზე. ეს სიტყვა და ცნება მათთვის უცნობია.

ყველა მოსწავლე არის და ყოველი ახალი ცოდნა მათთვის აღმოჩენაა, თვითოეულში კაცობრიობა თითქო ახლად იბადება და იზრდება. მეცნიერება მათთვის სიცოცხლის შემოქმედებაა. მაგრამ რაც შეეხება საკუთრივ მეცნიერებას, პროფესიულ მეცნიერებას, ეს მათი მისაწვდომის იქეთ მდებარეობს და ასეც რომ არ იყოს, არც ერთი მათგანი მეცნიერებისათვის თავისთავად ერთ დღესაც არ გასწირავს. ამისათვის მათ გულში ადგილი აღარ დარჩენილა.

ის გული პირამდე სავსე არის დიდი სიყვარულით, დიდი ერთგულებით და თავდადების ახალგაზრდული წყურვილით.

მათთვის ქართული წერაკითხვის იქეთ არ უსწავლებიათ, მაგრამ ყველა ქართული მწერლობის და კულტურის თაყვანისმცემელი არის; საქართველოს ისტორია უკეთეს შემთხვევაში „ბუნების კარიდან“ თუ იციან, ისიც ზოგმა, მაგრამ საქართველო მთელი მათი არსება არის, ყოველი მათი სულისთქმა სამშობლოს ეკუთვნის.

მოგეხსენებათ ყველას, არის გადმოცემა, რომ ყოფილა ძველად ვინმე ბერი იოანე, რომელსაც გატაცებით უყვარდა თურმე სამშობლო, უყვარდა ასკეტის მგზნებარე სიყვარულით. მაგრამ, გარემოს რომ აკვირდებოდა, იქ ასეთი სიყვარულის ღირსს ბევრს ვერაფერს ხედავდა და ეჭვი დაებადა, — ღმერთი ასეთ მაღალსა და მშვენიერ გრძ-

ნობას გულში როგორ ჩამინერგავდა, რომ საიმისო საგანი არ ყოფილიყოო. და რაკი სმენოდა, რომ შორს დასავლეთში, ოკეანის პირას, არის ქვეყანა იბერიად წოდებული, გადასწყვიტა, ნამდვილი საქართველო ალბათ ის იქნებაო. გადაიკიდა საგზაო ჩანთა, აიღო ხელში კვერთხი და გაუდგა გზას უკეთესი სამშობლოს საძებრად.

ეს ახალგაზრდებიც, რა თქმა უნდა, იმ დროს დაბეჩავებულ ქვეეყანას როდი ისახავდნენ იდეალად, მაგრამ არც სამშობლოს საძებრად უცხოეთში წასვლას ეპირებოდნენ. მათ სწამდათ, რომ ახალი საქართველო აქ უნდა აშენებულიყო, ძველის მადლიან საძირკველზე, და თავისი თავიც ამ დიდი მისიის მონაწილედ წარმოედგინათ!

დიდი გამბედაობაა, მაგრამ ამითაც არ კმაყოფილდებოდნენ. მათ სმენოდათ, თუ რა ხდებოდა იმ დროს კაცობრიობის მოწინავე წარმომადგენლებში და ისინი თავის საზრუნავად იხდიდნენ უფრო ფართო საკითხებსაც. ბევრ მათგანს ქუთაისის იქეთ ხონი ან ზესტაფონი თუ ენახა, მაგრამ მთელი საბჭოთა კავშირის ბედზე ფიქრობდნენ — საბჭოთა კავშირისა, რომელსაც მაშინ რუსეთის იმპერია ერქვა.

Chacun de nous futur grand homme — თვითეული ჩვენთაგანი მომავალ დიდ ადამიანად გრძნობდა თავსაო, — ამბობს გასული საუკუნის ფრანგი პოეტი ნოდიე თავისი თაობის შესახებ, და ასე იყვნენ ეს ახალგაზრდებიც. თვითეული მათგანი მომავალ დიდ ადამიანად გრძნობდა თავს.

აქ ალბათ ვინმე მეტყვის, თავხედები და მეტიჩრები ყოფილანო. არავითარ შემთხვევაში! ბევრი მათგანი უკიდურესად მოკრძალებულიც კი იყო, მაგრამ დიდ საგანს ემსახურებოდნენ და ასეთი არის ცხოვრების კანონი: ვინც ნესტანს ეტრფის, კიდეც უნდა ტარიელობდეს! მეორე მხრივ, არც ის უნდა დავივიწყოთ, რომ ეს არის ცხრაას ხუთის თაობა!

გადიოდა წლები. კრიზისისათვის მომწიფებულ მსოფლიოს რევოლუციების გრიგალმა გადაუარა. დიდი ოქტომბრის ხანძარმა მშრომელთა გულშიც ცეცხლი ააგზნო. გაიმართა ტიტანური ბრძოლა. დაუნდობლად იმსხვრეოდა ყველაფერი ძველი, დროგადასული და შენდებოდა ახალი. მწვავე ტკივილებში იშვა ახალი ქვეყანა და ამ ქვეყანაში საქართველომაც თავისი ადგილი იპოვა. იმ ყმაწვილების გულუბრყვილობა სიბრძნე გამოდგა, მათი ოცნება სინამდვილეს ეზიარა. თვითონაც ამ ამბების გარეშე არ დარჩენილან. წვლილი

შეიტანეს თავისი, არა ისეთი დიდი როგორიც სურდათ, მაგრამ არც იმაზე ნაკლები, რისაც ძალა შესწევდათ.

გავიდა ნახევარი საუკუნე და დღეს, გარშემო რომ ვიყურები, იმ სახეებს ვეღარ ვხედავ: ზოგი საერთოდ აღარ არის, სხვები ჭაღარით შემოსილან, დამჭკნარა ახალგაზრდობის ყვავილი! მართალია ყვავილის ჭკნობას თითქმის ყოველთვის ნაყოფის მწიფება მოჰყოლია, მაგრამ რადგანაც მე ამჟამად ახალგაზრდობაზე ვლაპარაკობ, ახლა თვალს ვადავიტან მეორე ახალგაზრდობაზე, ჩვენს დღევანდელ ახალგაზრდობაზე, ჩვენს კარგ ახალგაზრდობაზე.

კარგი მეთქი, რომ ვამბობ, ერთი მხრივ, ეს ასახვაა სინამდვილისა, მაგრამ მეორე მხრივ კი, დიდი სურვილი. ახალგაზრდობა ჩვენი საუკეთესო იმედების დასაყრდენია, ახალგაზრდობა ჩვენი მომავალია და, ის რომ კარგი არ იყოს, რაღა ფასი ექნებოდა ცხოვრებას ან თვითონ სიცოცხლეს!

ჩვენი ახალგაზრდობა ბედნიერია, მას სამშობლოს ძებნა აღარ სჭირდება, მაგრამ ეს არ ნიშნავს იმას, რომ მის წინაშე უზარმაზარი, რთული და ძნელი ამოცანები არ იდგას. ჩემთვის ისიც კი ძნელია, წარმოვიდგინო და ფიქრით გავზომო ასეთი ამოცანების სიძნელე, მაგრამ მაინც დარწმუნებული ვარ, რომ ახალგაზრდობა ამ სიძნელეს დასძლევს, რადგან სწორედ სიძნელე ახალგაზრდული ენთუზიაზმისათვის საუკეთესო სტიმული არის.

მე ღრმად მწამს, რომ ჩვენი ახალგაზრდობა ღირსეულ მემკვიდრეობას გადასცემს შემდეგ თაობას და ის თაობა კიდევ შემდეგს, ასეთი არის წესი — ახალგაზრდები მიდიან, მაგრამ ახალგაზრდობა რჩება. ახალგაზრდობა უკვდავია და ეგებ დადგეს ისეთი დროც, როდესაც მოხუცებიც ახალგაზრდა იქნებიან!

და დღეს სამოცდაათი წლისას მე მხოლოდ ერთი ნატვრა მაქვს — გაუმარჯოს ჩვენს ახალგაზრდობას!“

**ვახტანგ ბაკაშვილი**

# პირველი ნაწილი

## მამა-პაპა

1887 წლის ოქტომბრის 23—24-ის ღამეს სოფელ ნიკორწმინდის ჩრდილო კიდეზე მოულოდნელი შილინგი[1] ატყდა. ისროდნენ თოფს, ისროდნენ დამბაჩას. კაცი იტყოდა, მშვიდობიან ხალხს მტერი თუ შეესიაო, მაგრამ მოსახლეობა ამ ამბავს სრულიად დამშვიდებული შეხვდა: ყველამ იცოდა, რომ გრიგოლ ჯანელიძის ოჯახს ახალი წევრი შეეძინა, სახელდობრ, პირველი შვილიშვილი, და ბავშვი ვაჟი იყო. მართლაც, ქალის დაბადების შემთხვევაში თოფს არავინ გაისროდა!

ოჯახის ეს ახალი წევრი მე გახლდით, ხოლო რაც შეეხება თვით ოჯახს, მას ნიკორწმინდაში რამდენადმე თავისებური ადგილი ეჭირა. ცნობილია, რომ ეს მთის სოფელი უდიდესია რაჭაში და ერთი ულამაზესთაგანიც. სახელი მისთვის XI საუკუნეში აგებულს, თავისი ჩუქურთმებით განთქმულ ტაძარს მიუცია: ნიკოლოზწმინდა → ნიკოლწმინდა → ნიკორწმინდა. სოფლის ასეთი სახელდება რაჭაში არცთუ იშვიათი იყო: მაგალითია მიქარწმინდა, კვირიკეწმინდა და სხვა. ნიკორწმინდის ტაძარი ძველად ხან სამიტროპოლიტო, ხან საარქიეპისკოპოზო კათედრას წარმოადგენდა და სოფელიც მას ეკუთვნოდა. მოსახლეობა მთლიანად საეკლესიო ყმებისაგან შედგებოდა, და ერთგვარ გამონაკლისს წარმოადგენდნენ მხოლოდ კანდელაკები, როგორც სამღვდელო წოდებისანი. აზნაური იქ არავინ იყო.

ჯანელიძე დასავლეთ[2] საქართველოში (იმერეთი, სამეგრელო, გურია) ძლიერ გავრცელებული გვარია, მაგრამ რაჭისთვის იგი უცხოა. ნიკორწმინდაში პირველ ჯანელიძეს მხოლოდ XVIII—XIX საუკუნეების მიჯნაზე ვხვდებით. ეს არის სიმონ ჯანელიძე, რომლისგანაც

---

[1] შილინგი გახშირებულ თოფის სროლას ნიშნავს.

[2] ავტორი მიზანშეწონილად მიიჩნევს, იწერებოდეს — დასავლური, აღმოსავლური და ა. შ.

მომდინარეობენ ყველა აქაური ჯანელიძეები. შეიძლება გვეფიქრა, სიმონი საიდგანღაც ჩამოსახლებულაო, მაგრამ დაბეჯითებით ითქმის, რომ ის ნიკორწმინდის ყმათაგანი ყოფილა. უჩვეულო უნარი და ენერგია გამოუჩენია და დაწინაურებულა. — სრულიად საარქიეპისკოპოზოს მოურავი გამხდარა. არ ვიცი, რა შესძინა მან ეკლესიას, მაგრამ, უეჭველია, თავისი თავიც არ დავიწყებია: რაჭის პირობაზე უდავოდ დიდი მამულის პატრონი გამხდარა ნიკორწმინდასა და ბუგეულში. შეუძენია სავაჭრო შენობები ქუთაისის ცენტრშიც. მის შეძლებას მოწმობდა ის გარემოებაც, რომ ნიკორწმინდის ტაძარში ინახებოდა მთლიანად ვერცხლით მოჭედილი და ძვირფასი ქვებით შემკული ხატი, სიმონის მიერ შეწირული, როგორც წარწერა მოწმობდა.

ასეთ პირობებში გასაგებია, რომ სიმონს თავისუფლება მოუპოვებია, ყმებიც შეუძენია და მის ფეოდალურ სუზერენს, ეკლესიის წარმომადგენელ არქიეპისკოპოზს, მისთვის აზნაურობის სიგელიც მიუცია. გვარიც ამასთან დაკავშირებით გამოუცვლია.

სიმონს შვიდი ვაჟი და ორი ქალი ჰყოლია. ერთი ქალი ქუთაისს გაუთხოვებია, ხოლო მეორე — გორს. პირველის შთამომავალნი მნიშვნელოვან როლს თამაშობდნენ ქუთაისში ჩემს დროს, მეორის ბედი კი ჩემთვის უცნობია. მხოლოდ ეს გამიგონია, რომ შეძლებული ოჯახის პატრონი ყოფილა. ყოველ შემთხვევაში საყურადღებოა, რომ სიმონს იმ დროს ასეთი ფართო კავშირები ჰქონია არა მარტო იმერეთში, არამედ ქართლშიაც.

ვაჟები, ყველა, სკოლაში გამოუზრდია. ერთი, ათანასე, ვექილი გამოსულა და დიდი მამული შეუძენია ქვემო იმერეთში. ადრე გარდაცვლილა. მისი ქვრივი ქუთაისის მაზრის თავადაზნაურობის წინამძღოლს შეურთავს და მამულიც სწრაფად გაუფლანგავს.

მეორე ვაჟი არქიმანდრიტი ჰყოლია, მესამე და მეოთხე ოფიცრები და ასე შემდეგ. არქიმანდრიტ მიხეილს არაერთხელ იხსენიებენ თავიანთ მოგონებებში აკაკი წერეთელი და ნიკო ნიკოლაძე: არქიდიაკონად ყოფილა ქუთაისის მთავარანგელოზის ტაძარში და არაჩვეულებრივი ხმა ჰქონია. „ვცდილობდით როგორმე თავი გაგვეთავისუფლებია და მთავარანგელოზში წავსულიყავით, რომ იქ ჯანელიძის გალობა მოგვესმინაო“. შემდეგ დაქვრივებულა და ბერად აღკვეცილა. ბუნდოვნად მახსოვს იგი ბავშვობიდან, როგორც ჭელიშის[1]

[1] ეს ცნობილი მონასტერი ნიკორწმინდიდან სამიოდე კილომეტრის მანძილზე მდებარეობდა. ნიკორწმინდელები მას „უდაბნოს“ უწოდებდნენ.

მონასტრის არქიმანდრიტი. მარიობა იყო, ე. ი. ჭელიშის ტაძრის დღესასწაული (აგვისტოს 15, ძველი სტილით). ამ დღეს იქ იკრიბებოდნენ დიდძალი მლოცველები არა მარტო რაჭიდან, არამედ ზემო იმერეთიდან (საწერეთლოდან), ლეჩხუმიდან და ოკრიბიდანაც. ჩამიყვანეს მეც, ბავშვი, ნიკორწმინდიდან. დიდი შთაბეჭდილება მოახდინეს ჩემზე უთვალავმა, როგორც მაშინ მეჩვენებოდა, შეკაზმულმა ცხენებმა და მრავალრიცხოვანმა უცხო სტუმრებმა, ქალებმა და ვაჟებმა, არქიმანდრიტის ეზოში. ჩემთვის დიდი ხნით, რა თქმა უნდა, არავის ეცალა და ერთ ბერს ჩამაბარეს. მან დამატარა მონასტერი და მაჩვენა აუზიც, შარაულიდან პატარა რუ შემოდიოდა და მეორე რუს აუზიდან წყალი ისევ შარაულაში გაჰყავდა. წყლის შემოსავალი და გასავალიც ლითონის ბადით იყო გადაღობილი, თვით აუზში კი უამრავი კალმახი დაცურავდა. ამ სანახაობამ ყველაფერი დამავიწყა...

მესამე ვაჟი, როსტომი, გურიის ეპარქიის მდივანი იყო, ერთიც ოფიცერი და ა. შ. მხოლოდ უმცროსი ვაჟი, გრიგოლი, არ მიეცა სიმონს სკოლაში: ეგ, როგორც უმცროსი, ოჯახში უნდა დარჩეს და მამულს მოუაროსო. ამგვარად, ყმაწვილი 19 თუ 20 წლის გამხდარიყო და წერა-კითხვაც კი არ იცოდა. ეს გარემოება მას გულს უკლავდა, მაგრამ მამისათვის თქმა ვერაფრის გაებედა: სიმონი თუ რასმე გადაწყვეტდა, გათავებული საქმე იყო და მისი სიტყვა ოჯახში — კანონი.

ბოლოს გრიგოლმა თავისი გულისტკივილი და განზრახვა გადიას გაანდო. უკანასკნელმა გაუმზადა საგზალი. მანაც გადაიკიდა სავსე ხურჯინი მხარზე, ჩაიდო ჯიბეში დედის ნაჩუქარი ოქროს თუმნიანი და გაიპარა სახლიდან. გადავლო ფეხით ნაქერალა, გაიარა ოკრიბა, შემდეგ ქუთაისი და ჩავიდა ხონს, გაგონილი ჰქონოდა, რომ იქ იყო ვინმე დეკანოზი ბახტაძე, რომელიც სამრევლო სკოლასაც განაგებდა. მივიდა მასთან და განუცხადა: მოჯამაგირედ დაგიდგები, ოღონდ შენგან სხვა ჯამაგირი არა მინდა რა, წერა-კითხვა მასწავლეო. დეკანოზს ეს წინადადება ჭკუაში დასჯდომია და დათანხმებულა.

გასულა ერთი წელიწადი და მოჯამაგირეს მართლაც უსწავლია წერა-კითხვა. ჩანს, დეკანოზიც კმაყოფილი დარჩენილა მისი სამსახურით და სწავლის წყურვილით. ყოველ შემთხვევაში მას ამის შემდეგ გრიგოლი ჯრუჭის მონასტრის სკოლაში მოუთავსებია. ეს მონასტერი საჩხერიდან ონს მიმავალ გზაზე მდებარეობდა, მთაში. დღეს იქ დასასვენებელი სახლია.

სკოლაში სამღვთო წერილს და მღვდელმსახურებას ასწავლიდნენ მხოლოდ. სწავლის დამთავრების შემდეგ გრიგოლი დიაკვნად უკურთხებიათ. უფრო გვიან დამდგარა მღვდლად კურთხევის საკითხიც, მაგრამ ამისათვის საჭირო იყო ცოლი შეერთო, რადგან მღვდელი უცოლო არ იქნებოდა. ეს კი მშობლების გარეშე ვეღარ გაუბედავს და წლების განმავლობაში დაკარგული შვილი დაბრუნებულა ოჯახში. სიმონი ამ დროს ცოცხალი აღარ ყოფილა, მაგრამ დედას და ძმებს სიხარულით მიუღიათ. შეურჩევიათ მისთვის საცოლეც, პატარა ონელი აზნაურის ქალი, მხოლოდ სარძლო მცირეწლოვანი ყოფილა და ერთი წლის ცდა დასჭირებია, რომ ის 14 წლის გამხდარიყო. ეს იქნებოდა დაახლოებით გასული საუკუნის შუა წლები.

დაქორწინებისა და კურთხევის შემდეგ გრიგოლი მღვდლად იყო ჯერ ნიკორწმინდის მახლობელ სოფელში და მერმე თვით ნიკორწმინდაში. მას მღვდლისა თითქმის არაფერი არ ჰქონია. მისი განათლება ხომ ძლიერ შეზღუდული იყო — წირვა-ლოცვის იქით არ მიდიოდა, — და საყოფაცხოვრებო ჩვეულების მიხედვითაც ტიპიური წვრილი აზნაური დარჩა. არასოდეს არ მახსოვს, რომ ჩვენსა ე. წ. საკურთხი და რამე მისთანა შემოსულიყო: ასეთი რამ დამამცირებლად მიაჩნდა და დიაკვნისთვის მიეკუთვნებია. საერთოდ, მღვდლობა მისთვის უფრო პატივის საქმე იყო, ვიდრე შემოსავლის წყარო. თუ ვინმე გლეხი მოკვდებოდა, სამღვდელო წესებს გულმოდგინედ შეასრულებდა, მაგრამ ქელეხში კი არაფრით არ წავიდოდა: ისედაც უბედურება ეწვიათ და საწყალთ რაღა ხარჯი ეჭირვებათო.

მამა მას, როგორც დავინახეთ, მამულის მომვლელად ჰგულისხმობდა, მაგრამ სოფლის მეურნეობისა და მომჭირნეობის არაფერი ესმოდა ან თითქმის არაფერი. ოჯახისათვის მისი ზრუნვა იმაში გამოიხატებოდა, რომ ხან ერთ ყანას ან ვენახს დააგირავებდა, ან გაჰყიდდა და ხან მეორეს. მფლანგველი არ იყო და არც თავის პატივი უყვარდა, მაგრამ ყოველთვის მზად იყო მეტი დაეხარჯა, ვიდრე შესაძლებლობა ჰქონდა,— თუ არა, რას იტყვიან რომ გაიგონო!

დიდედაჩემი სულ სხვა ადამიანი იყო. სკოლაში არსად უტარებიათ, მაგრამ წერა-კითხვა კი იცოდა. როგორც უცხოელი მოგზაურებიც აღნიშნავენ ხაზგასმით, ქართველ თავადაზნაურობაში ქალებმა ყოველთვის იცოდნენ წერა-კითხვა — შინ სწავლობდნენ. მაგრამ დიდედამ მარტო წერა-კითხვა როდი იცოდა. მისთვის ცნობილი

იყო ყველაფერი, რაც შეიძლება ოჯახის დიასახლისს დასჭირვებოდა, და ბევრი რამ ისეთიც, რაც დიასახლისობის ჩვეულ სფეროს სცილდებოდა კიდეც. როდესაც უკვე გიმნაზიელმა, ერთი წიგნის წაკითხვის შემდეგ, მცენარეების კოლექციის (ჰერბარიუმის) შედგენა და მათი სახელების გარკვევა განვიზრახე, მახსოვს, რა ბალახი თუ ყვავილი არ უნდა მიმეტანა დიდედისათვის, ის თითქმის ყოველთვის მეტყოდა მის სახელს და თან იმასაც, თუ რა თვისებები აქვს და რისთვის იხმარება. მისგან გავიგე პირველად, რომ არის მამალი და დედალი მცენარეები. მართალია, ამ გამოთქმათა აზრი ჩემთვის, და უეჭველია მისთვისაც, სრულიად ბნელი იყო, მაგრამ რაღაც შესატყვისი წარმოდგენები ხალხში, ცხადია, უნდა ყოფილიყო.

მუდამ მოსაქმე, მუდამ რაზედმე მზრუნავი დიდედა განსახიერებული სიყვარული იყო. მას სხვა სურვილი არ ჰქონდა გარდა იმისა, რომ ჩვენ ყველანი, ოჯახის წევრები, დიდი და პატარა, კარგად ვყოფილიყავით, ყველაფრით უზრუნველყოფილი. მისი სიხარული ის იყო, თუ ჩვენსას კარგს რასმე დაინახავდა ან გაიგებდა.

გრიგოლს და ედუკიას ოთხი შვილი ჰყავდათ. უფროსი მამაჩემი — ილარიონი იყო. ზემოთქმულის შემდეგ, ცხადია, მას და მის ძმებს სკოლის გარეთ არ დასტოვებდნენ. თავდაპირველად მამაჩემი ქუთაისის სასულიერო სასწავლებელში შეუყვანიათ. ცხოვრობდა ისევე, როგორც რამდენიმე სხვა მოსწავლე, ცნობილ გაბრიელ ეპისკოპოზთან. საზრდო მას და სხვებსაც სოფლიდან მოსდიოდათ: დროგამოშვებით დატვირთული ცხენი ჩამოვიდოდა. ცოტაოდენ ფულსაც მოუტანდა.

მოგეხსენებათ, სიზუსტე ქართველთა ნაკლი არ არის. მოხდებოდა ხოლმე, რომ საგზალი დაიგვიანებდა და ეს, ბუნებრივად, შესაფერ კრიზისს იწვევდა. ერთი ასეთი რამ მომხდარა შობა-დღესასწაულის წინ.

უკვე კორკოტობაა (შობის წინადღე) და ცხენკიდებული არა ჩანს. არ იციან, რით შეხვდნენ შობას. წასულა ორი თუ სამი ამხანაგი ჭომას (სოფელი იყო ქუთაისთან, დღეს ქალაქის გარეუბანს წარმოადგენს), იქ ერთი კარგი გოჭი დაუმარტოხელებიათ. დინგშეკრული, რომ არ ეჭყვირა, ჩაუგდიათ ტომარაში და მოუყვანიათ შინ.

ნახევარი საქმე ამგვარად გაკეთებული იყო, მაგრამ მეორე ნახევარი, ე. ი. ღვინო, უიმედო რამედ ჩანდა. მაგრამ არა, მოუხერხე-

ბიათ და ეპისკოპოზის მორჩილისათვის მარნის გასაღები აუცლიათ, შესულან მარანში და ერთი ჩაფი საუკეთესო ღვინო გამოუტანიათ. მხოლოდ სიძნელეები არც ამით გათავებულა: საჭირო იყო გოჭის შეწვა. მიუმართავად ეპისკოპოზის მსახურისათვის, რომელიც ნასალდათარი რუსი ყოფილა და სიამოვნებით დათანხმებულა. გოჭის სადაურობისა მან, რაღა თქმა უნდა, არაფერი იცოდა.

მოვიდა შობა საღამოც. გაშალეს სუფრა. ჯერ საუზმეს და ღვინოს შეექცნენ, მერე კი შემოიტანეს გოჭი. მის დანახვას არაფერი სჯობდა, ისე იყო შებრაწული. თამადამ დაიდგა წინ ხონჩა და დაჰკრა გოჭს დანა, მაგრამ თქვენს მტერს, რომ ამას მოჰყვა: ისეთი სუნი წამოვიდა, რომ კაცი იქ ვერ დადგებოდა: იმ საბედისწერო მზარეულს გოჭი გამოუშიგნავი შეეწვა!

წარბებს შეჭმუხნით ალბათ და, საძაგელი ქურდობა ჩაუდენიათო, იტყვით, მაგრამ იმათ ეს უბრალო ანგლობად მიაჩნდათ. ილარიონისათვის ვინმეს რომ ქურდობა დაეწამებია, ან იმას მოჰკლავდა, ან თვითონ მოიკლავდა თავს. ამ მხრივ საგულისხმოა პარალელი დასავლეთ ევროპის საშუალო საუკუნეების და უფრო გვიანი ხანის სტუდენტებთან. თვით ამაყი ესპანელი იდალგოები, რომელთაც „ღვთის წყალობა ღვთის რისხვად ესმოდათ“ და დუელისათვის ყოველ წუთში მზად იყვნენ, სტუდენტობისას მოგზაურობის დროს არათუ მსგავს რასმე ჩაიდენდნენ, ნამდვილ მათხოვრობასაც კი არ უკადრისობდნენ.

არ ვიცი, სწავლას რამდენ დროს ანდომებდა მამა, მაგრამ ეს კი ნათელია, რომ მეტი სიყვარულით უეჭველად ბურთის თამაშს (ლელოს) ეკიდებოდა. ის და მისი მეგობარი სეით სურგულაძე, აგრეთვე რაჭველი, ამ საქმის ოსტატები ყოფილან. ბურთს თამაშობდნენ ქალაქგარეთ, ჭომაში, შაბათ-კვირას და დღესასწაულებზე, ქალაქი ორ მეტოქე ნახევრად იყო გაყოფილი: არქიელის გორა და საერთოდ ქალაქის ჩრდილო ნაწილი, ბაღამდე ჩათვლით, ერთი მხრით, და დანარჩენი ქალაქი, მეორე მხრით. თამაში ხშირად ხელჩართული ბრძოლით თავდებოდა, ასე რომ, ამ მოსალოდნელობას წინასწარ ითვალისწინებდნენ: „გათენებისას სასაკლაოზე წავიდოდით, იქ ახალდაკლული ხარების კუდებს ვყიდულობდით და ზურგში ტანსაცმელს ქვეშ ვმალავდითო“. საჭირო დროს ეს იყო მათი „ტარიელის მათრახი“.

ალბათ სწავლის საქმე ქუთაისში ბრწყინვალედ არ მიდიოდა. ასე თუ ისე, ბაბუაჩემს ვაჟიშვილი გორის სამასწავლებლო სემინარიაში გადაუყვანია. მასთან ერთად სწავლობდნენ იქ შემდეგში „მაფალუს“ დამაარსებელი სტეფანე გაგუა, შალვა ნუცუბიძის მამა ისაკი, ქუთაისელი თეოფილე ხუსკივაძე. საგულისხმოა, რომ მათი ვაჟები: დათიკო, შალვა, კოლია ჩემი კლასის ამხანაგები იყვნენ ქუთაისის გიმნაზიაში. ასე რომ, მამების ბედი შვილებსაც გვხვდა. ალბათობის თეორიის სპეციალისტი ადვილად გამოიანგარიშებს, რამდენად მცირე უნდა ყოფილიყო იმ დროს სასწავლებლების და მოსწავლეების რიცხვი საქართველოში, რათა ასეთი დამთხვევა შესაძლებელი გამხდარიყო.

არ ვიცი, რამდენი ხანი დაჰყო მამამ გორის სემინარიაში, მაგრამ ბოლოს კი მიუტოვებია და ჯარში შესულა მოხალისედ (вольноопределяющийся). ასეთი მოხალისე მსახურობდა გარკვეულ ხანს, ეცნობოდა სამხედრო საქმეს და, თუ გამოცდას ჩააბარებდა, ოფიცრის პირველ ჩინს მიიღებდა. თითქო კარგად დაუწყია საქმე, მაგრამ ერთხელ, სათანადო დასტურით ყაზარმიდან წასულა, ამხანაგებში ქეიფს შეჰყოლია და, როდესაც ყაზარმაში დაბრუნება მოჰგონებია, დრო უკვე დიდი ხნის გადასული ყოფილა. „ხომ მაინც დამსჯიანო“, უფიქრია, და სულ მიუტოვებია სამსახური.

ახლა მამასთან ვეღარ მივიდოდა და მუშაობა დაუწყია. დაჰყვებოდა ფოსტას ყაგიზმანიდან (დღეს თურქეთშია) კავკავამდე (დღეს ორჯონიკიძე). შემდეგ ქუთაისს გადასულა მწერლად ოლქის სასამართლოში. ეს არის გარდატეხის მომენტი მის ცხოვრებაში. აქ გაუცვნია და შეურთავს დედაჩემი, ჯიხაიშელი შალამბერიძის ქალი. ამის შემდეგ მის ცხოვრებას მოწესრიგებული ხასიათი აქვს.

საინტერესო ადამიანი იყო დედაჩემის მამა ლუკა შალამბერიძე, იმ დროის შვილი, როდესაც ფეოდალურ საქართველოში ბურჟუაზიული წყობილება იწყებდა შემოჭრას. მის უფროს ძმას და მას ვაჭრობა დაეწყოთ და კარგი წარმატებითაც. ქუთაისში რიგიანი მანუფაქტურის მაღაზია შეუქმნიათ. მაგრამ სათანადო ტრადიციების არმქონენი გატაცებული ყოფილან, როგორც ჩანს, სწრაფი გამდიდრების სურვილით. სათანადოდ დაზღვეულ მაღაზიას ცეცხლი გასჩენია და ერთიანად დამწვარა. სასამართლოს ბრალი პატრონისათვის დაუდევს და დამზღვევ საზოგადოებას ზარალი არ აუნაზღაურებია — ლუკა სოფელს დაბრუნებია. მაღალი, სქელი, მხოლოდ ძვალი და

კუნთი, ძლიერ ენერგიული ადამიანი იყო, თანაც გაუტეხელი ოპტიმისტი. დაღვრემილი ის არ მახსოვს. მისი პრაქტიკული გონება და ენამახვილობა იმ თავისებურ იერს ატარებდა, რომელიც ისე დამახასიათებელი იყო და ეგებ დღესაც არის ხონის (წულუკიძის) რაიონის ხალხისთვის. გატაცებით ვუგდებდი ხოლმე ყურს, მაგრამ სამწუხაროდ იშვიათად ვხედავდი: დედაჩემის დედა ადრე გარდაცვლილიყო, ლუკას მეორე ცოლი შეერთო და ამის შემდეგ დედაჩემს, როგორც ეს ზოგჯერ სჩვევიათ დედის ხსოვნის თაყვანისმცემელ შვილებს, იმ ოჯახში მისვლა უმძიმდა, მაგრამ ლუკა წყენას არ იმჩნევდა და გულღია მოდიოდა ჩვენსა.

დედაჩემი, თუმცა ერთ დროს შეძლებული ოჯახის შვილი, სკოლაში არ მიუციათ. წერა-კითხვა შინ უსწავლებიათ. ამ ცოდნას მიწერ-მოწერისათვის იყენებდა მხოლოდ და გაზეთების კითხვა მოხუცებულობაშიღა დაიწყო. საამისო დრო მანამდე არც ჰქონდა. უფროსი ნიჭის პატრონი კი იყო. სამართლიანად წამეხუმრებოდა ხოლმე, — შენსავით და შენოდენი რომ სკოლაში ვისმე ვეტარებინე, შენზედ უკეთესი პროფესორი გამოვიდოდიო. ჩვენი ოჯახის ნაცნობები მას სახელმწიფო ქალს უწოდებდნენ, ოჯახის ბურჯად სთვლიდნენ. მამაჩემიც ღრმა პატივს სცემდა, თუმცა ყველაფრის გამგედ და გადამწყვეტად თავისი თავი მიაჩნდა, რაც მამაკაცებისთვის ჩვეული ილუზია იყო მარტოოდენ.

მამას ხუმრობა უყვარდა და განსაკუთრებით კალამბური. დედა ლამაზი სიტყვის ეფექტს არასოდეს ეძებდა, მაგრამ ზოგი რამ მისი თქმული სამუდამოდ შემრჩა მეხსიერებაში. ერთხელ, უკვე ხანში შესულს, მისაყვედურებდა: „შვილო, არც ეგრე ვარგა, სულ სხვებზე ფიქრობდეო. ხანდახან შენი თავიც უნდა მოიგონო, თორემ მოვა დრო, დაგჭირდება და კაცი არ მოგხედავსო“. მეც სიტყვა მოვუჭერი: თქვენ ხომ მორწმუნე ხართ და როგორ ივიწყებთ ქრისტეს ცნებას, ორი პერანგი თუ გქონდეს, ერთი მოყვასს მიეცეო? — „ეჰ, შვილო, ალბათ იმ დროს პერანგს არ იცვლიდნენო“, მიპასუხა.

როდესაც მოხუცდა და მამაჩემის გარდაცვალების შემდეგ უეცრად მოტყდა, როგორღაც მითხრა: „იმ დალოცვილ ღმერთს სიკვდილი გაუჩენია, — რა გაეწყობა, — მაგრამ სიკვდილამდე მაინც ცოცხალი ყოფილიყო ადამიანიო!“.

ნიკორწმინდა მთის სოფელია და 1200 მეტრის სიმაღლეზე მდებარეობს. ეს არის რაჭის პირველი სოფელი ნაქერალას გადაღმა, ოკრიბიდან. როგორც უკვე ვთქვი, ჩვენი ეზო სოფლის ჩრდილო კიდეზე იყო. ოდის აივნიდან სამხრეთ-დასავლეთისკენ მოჩანდა ნაქერალას უნაგირა და მიმდებარე მაღლობები, იმ დროს უღრანი ტყით დაფარული. აღმოსავლეთისკენ ამ უბანს განაგრძობდა რაჭის და ზემო იმერეთის გამყოფი ქედის გრანდიოზული პანორამა. ქგდის სხვადასხვა ნაკვეთს სხვადასხვა სახელი აქვს, კერძოდ საწალიკე[1], კვეშლევი, ხიხათა. მისი თხემი ალპური მცენარეულობით არის დაფარული, ფერდები კი ტყით იყო შემოსილი, მაგრამ ჩემს ბავშვობაში, როგორც ფიქრობდნენ, მოსახლეობამ, რომელსაც მთავრობა ტყით სარგებლობის ნებას არ აძლევდა (მთის საკუთრებას მოსახლეობას სახელმწიფო ედავებოდა და საქმე სასამართლოში იყო), მას ცეცხლი წაუკიდა. ხანძარი, რომელიც დიდებული სანახავი იყო, დიდხანს გრძელდებოდა და ქედის დიდი ნაწილი გააშიშვლა.

აღმოსავლეთისკენ ქედზე მოჩანდა მრავალძალის ცნობილი ტაძარი და სოფელი ბრავალძა (დღეს მთის კალთა). კიდევ უფრო შორს, აღმოსავლეთისკენ, ხიხათის მიღმა, ქედის ბოლო იკარგებოდა და ცისკიდურზე ამართული იყო ოსეთის კავკასიონის მარად თოვლითმოსილი მთები. დილას აქეთკენ მზის ამოსვლის მზერას არაფერი სჯობდა.

ჩრდილოეთისკენ ჰორიზონტს ზღუდავდნენ ციცაბას, კოლოტას, ლემანეურის და ხოტევის მთის მწვერვალები, რომელნიც გეოლოგისთვის ერთს, ხოტევის, ანტიკლინს წარმოადგენენ და ნიკორწმინდისაგან საკუთრივ რიონის ხეობას ჰყოფენ.

დასავლეთი ჯანელიძეების ტყით იფარებოდა.

სამხრეთისკენვე, მაგრამ ბევრად უფრო ახლოს, ვიდრე ზემოთხსენებული რაჭა-იმერეთის ქედი, მაყურებლის თვალწინ გადაიშლებოდა თვით სოფელი, რომელსაც აღმოსავლეთისკენ სრულიად უხარეზოდ განაგრძობდნენ მეზობელი სოფლები: უყეში, ჭელიაღელე, კაჩეეთი და შემდეგ ხოტევი. ნიკორწმინდის სამხრეთ კიდეებზე მოჩანდა შედარებით დაბალი სერი — სამგლია. სწორედ მისი ჩრდი-

[1] წალიკი იგივეა, რაც თომი და ქუჩი.

ლო კალთიდან იწყებოდა მოსახლეობა, მჭიდრო, როგორც ეს წესია მთის სოფლებში და რაჭაში საერთოდ. სამგლიიდან მცირე დაშორებით ამართული იყო ტაძარი, რომელმაც სახელი მისცა სოფელს და შეიძლება მისი გაშენების თუ არა, ზრდის მიზეზიც გახდა. ტაძრის გრანდიოზული თეთრი კორპუსი მკვეთრად გამოირჩეოდა საერთოდ მუქ ფონზე. გარშემო იყო სოფლის მთავარი და, ალბათ, უძველესი ნაწილი, მაგრამ შემდეგ მოსახლეობა შორს გაშლილიყო და ჩვენი ეზოდან ტაძრამდე კილომეტრზე მეტი იქნებოდა.

ნიკორწმინდა ცნობილია ბუნების ღირსშესანიშნავი მოვლენებითაც, რომელნიც ბავშვის წარმოდგენაზე არანაკლებ ღრმა შთაბეჭდილებას ახდენდნენ. სამხრეთ-დასავლეთიდან სოფელს უახლოვდებოდა, მდინარე დიდ ჭალასთან შერთვის შემდეგ, მდინარე შაორი. სოფლის ძირში ეს მდინარე მრავალრიცხოვან სასულეებში იკარგებოდა. სასულეები ბევრი იყო, მაგრამ გაზაფხულზე, თოვლის დნობის დროს, ისინი მთელ წყალს მაინც ვეღარ ატარებდნენ, მდინარე გუბდებოდა და მთელი შაორის ჭალა ერთ ტბად იქცეოდა. იყო ისეთი სასულეებიც, სადაც, პირიქით, წყალი მიწისქვეშიდან ამოდიოდა. ასეთები იყო ნაქერალისკენ პაწია ტბები — ხარისთვალა და ძროხისთვალა.

სოფლის დასავლეთით, თითქმის სოფელშივე, ცნობილი იყო გრანდიოზული გამოქვაბული „საყინულე“, რომელშიც ყინული მთელ ზაფხულს ინახავდა თავს, სანამ ირგვლივ ტყე არ გააჩანაგეს.

ორი კილომეტრის მანძილზე სოფლიდან ღრმა და ვიწრო კანიონში, კლდიდან გამოდიოდა მდინარე შარაულა[1]. ყველამ იცოდა, რომ ეს იგივე ზემოთ დაკარგული შაორი იყო.

ცოტა უფრო ქვემოთ, ამავე კანიონში იყო მოთავსებული ცნობილი ჭელიშის მონასტერი, რომელსაც ნიკორწმინდელები უდაბნოს უწოდებდნენ. „უდაბნო“, ისევე როგორც რუსული пустынь, საერო ცხოვრებისგან გარიდებულ მონასტერს ნიშნავდა.

ჩვენ ეზოს ჩრდილო-აღმოსავლეთით მოჩანდა ხოტევის მთის კოჟე, სადაც ფიტვას და ღვარებს გლაუკონიტიან ქვიშაქვებში უცნაური სვეტები და კედლები გამოეკვეთა, თითქო ციხე არისო.

სამხრეთ-აღმოსავლეთით გადავყურებდით მეწყრულ ჭელიაღე-

---

[1] სახელი შარაულა (შავრაულა) წარმოდგება სოფელ შავრის სახელიდან. უნდა შერქმეოდა მდინარეს შავრას ქვემოთ, ვთქვათ, ღვარდიაში.

ლის ტბას, რომელშიაც ჯილეები[1] ხან ნაპირს ეკვროდნენ, ხან შუა-წყალში გამოცურავდნენ. ამის მიხედვით ამინდის პროგნოზი შეიძ-ლებოდა.

ხალხის წარმოდგენით, ეს ტბა უფსკერო იყო და შიგ გველეშაპი ცხოვრობდა. ამიტომ წყალში არავინ შედიოდა. ტბის წარმოშობა კი გადმოცემით ასე მომხდარიყო: აქ ერთ კვირა-უქმე დღეს გლეხს ხა-რები გაება და მიწას ხნავდა. იქექა მრისხანედ, გავარდა მეხი და კაციც და კავიც უფსკრულში შთაინთქა, ხოლო იმ ადგილას ტბა გაჩნდა.

ტბასთან სხვა გადმოცემაც იყო დაკავშირებული. უკვე ტბის გა-ჩენის შემდეგ, მის ახლოს ცხოვრობდა ერთი ღვთისმოსავი ქვრივი. ერთი ძროხის მეტი არაფერი გააჩნდა, ის იყო მისი მარჩენალი. ერთ-დღეს საბალახოდ გამოდენილმა ძროხამ ტბაში შეცურა. შეცურა და, რა თქმა უნდა, იმ წამს გველეშაპმა შთანთქა. თავზარი დაეცა საწყალ ქვრივს. თვალცრემლიანი შესჩიოდა ღვთისმშობელს, — რა-ღა მეშველება, რით დავარჩინო ობლებიო, და სთხოვდა დახმარებას. ღვთისმშობელმაც უსმინა: მეორე დღეს ტბამ ძროხა უკანვე გამოი-ტანა ცოცხალი, მხოლოდ ორივე რქა ახლა ოქროსი ჰქონდა. ის რქე-ბი დღესაც ინახება ჩვენს ტაძარშიო, ამბობდნენ.

მაგრამ შეუდარებლად უფრო მიმზიდველი იყო სხვა მოვლენა. ზაფხულის მზიანსა და ცხელ დღეებში ოკრიბის ნესტიანი ჰაერი, გახურებული და ამის გამო მსუბუქი, ამოჰყვებოდა ზევით ნაქერა-ლას ფერდს, გადმოივლიდა უნაგირას, როგორც ღარს, და გაჰყვე-ბოდა საწალიკის ფერდს. ამ სიმაღლეზე ამოსული ჰაერი, რა თქმა უნდა, ცივდებოდა, შიგ წყლის პაწია წვეთები გამოიყოფოდა და ჩნდებოდა ბური, რომელიც მატარებელივით მიჰყვებოდა ფერდს აღმოსავლეთისკენ, ჰაერის დინების შესაბამისად. წარმტაცი სანახა-ობა იყო. როგორღაც პოლკოვნიკი ფილიმონ წერეთელი, ცნობილი ფილოლოგის გრიგოლის მამა, ყოფილა ჩვენსა (ნათლია იყო მამა-ჩემის) და, აივანზე რომ გამოსულა, თვალწინ სწორედ ეს სურათი გადაშლია. სტუმრის აღტაცებას საზღვარი არ ჰქონია: გრიგოლ, გრი-გოლ! ეს ქვე რა არის, ამას ქვე რას ხედავს ჩემი თვალებიო! — გაი-ძახოდა თურმე.

თვითონ ეზო ჩვენი გამოირჩეოდა რაჭისთვის უჩვეულო სიდი-

---

[1] ბუჩქები და ხეები, რომელნიც წყალზე დაცურავენ და თავისი მასაზრდოე-ბელი მიწა თან დააქვთ ფესვებით შეკრული.

დით. საერთოდ კი ნიკორწმინდაში, როგორც მთის სოფელში ეზოები ძლიერ პატარაა, ურემი ძლივს მობრუნდება შიგ. პატარა, მაგრამ სუფთა და აუცილებლად ხიმით გარშემოვლებული. ხიმე ფიცრული ზღუდეა, კაცის სიმაღლე, რომ ზედ გადახედვა არ შეიძლებოდეს. ფიცრის სიგრძეზე ბოძებია მიწაში ჩასმული. ბოძების ფიცრის სისქის ოდენა ნაჭრევში ფიცრის თავებია ვერტიკალურად ჩაგდებული და ასე ფიცარი ფიცარს მოჰყვება ბოძის თავამდე. ზევიდან ბოძსაც და ფიცარსაც მორისკიდური ფიცარი (горбыль) ჰხურავს წვიმისგან დასაცავად. ჩვენი ეზო იგივე სიმონ ჯანელიძის ეზო იყო, რომელიც უმცროს ვაჟებს, როსტომს და გრიგოლს დარჩენოდათ. როსტომი და გრიგოლი ტყუპის ცალები იყვნენ, თუმცა უკანასკნელი — უმცროსი.

ეთნოგრაფიული თვალსაზრისით, ეზოს აღწერა ინტერესს მოკლებული არ უნდა იყოს. ორიენტაციისთვის დავიწყებ წყალსადენით,

ნიკორწმინდა ცნობილია კარგი წყაროებით. ჩვენი წყარო გამოყვანილი იყო ორმოცდაათიოდე მეტრით ეზოს გადაღმიდან, ჩრდილოეთით. წყალსადენი ჩინებულად იყო გაკეთებული. ალბათ ბერძენი ოსტატები გამოიყენა სიმონმა, თორემ რაჭველები კალატოზები არ იყვნენ. კარგ კაპტაჟს მოჰყვებოდა მიწაში ჩაკირული, ერთიმეორეში ჩასმული თიხის მილები. ჩემ დროს ასეთ მილებს საირმეში (ლეჩხუმში) აკეთებდნენ. თვით ეზოში კარგად იყო გამოყენებული რელიეფი, ზოგან კი ხელოვნურად მორგებული. შუა ეზოში ანკარა ცივი წყალი უხვად გადმოდიოდა სპილენძის მილიდან დაახლოებით 0,7 მეტრის სიმაღლეზე. აქ იყო პატარა აუზი, გლაუკონიტიანი ქვიშაქვის მონოლითში ამოკვეთილი. აუზში წინათ ცოცხალი კალმახები ჰყოლოდათ, ჩემსობას კი მას მხოლოდ ღვინის ჩასაცივებლად იყენებდნენ.

ხუთიოდე მეტრის სიგრძე ხის ღარით აუზიდან წყალი გადადიოდა როფში. როფი რაჭაში საწნახელსა ჰგავს. მხოლოდ ნაკლებად მაღალი და განიერია. ეს არის ის, რასაც ქართლში ნავს უწოდებენ. როფი იხმარებოდა წისქვილში წასაღები სიმინდის თუ ხორბლის გასარეცხავად, სარეცხის დასალბობად და სხვა მისთანათათვის. აქვე სვამდა წყალს საქონელი (ცხენი, ხარ-ფური, ცხვარი) დილას, სანამ უბნის მწყემსი გარეკავდა მას, და საღამოს, საბალახოდან დაბრუნებული. ამიტომ ორივე მხრიდან როფს ხის ბოგირი ჰქონდა მიდგმუ-

ლი, რომ არ ატალახებულიყო. როფიდან გადასული წყალი ბუნებრივ ნარვალს მიჰყვებოდა უახლოეს ღელემდე.

ახლა დავუბრუნდეთ ეზოს. შემოსასვლელში, სამხრეთ-დასავლეთით, იდგა დიდი რაჭული ჭიშკარი, მთლიანად ურთხმელის, ორფერდული სახურავით. სახურავის თითო ფერდის განი ორი ყავრის სიგრძე იყო. მთავარი კარის გაბარიტი ითვალისწინებდა თივით დატვირთული ურმის თავისუფლად გავლას. კაცისათვის კი პატარა კარი იყო გვერდით. ჭიშკრიდან აღმოსავლეთისკენ მოკენჭილი გზა მოდიოდა. გზის მარცხნივ, ჭიშკართანვე, ოდა იდგა, უფრო დაშორებით გზის მარჯვნივ — თავლა. შემდეგ გზა ჩრდილოეთისკენ უხვევდა, გაუვლიდა როფის ბოლოს და თავდებოდა.

როფის გვერდით, ჩრდილოეთისკენ, იდგა დიდი საჯალაბო სახლი, ხოლო მის დასავლეთით, წყალსადენის მეორე მხარეზე, ისევ ოდა და მის უკან (ჩრდილოეთისკენ) ორი დიდბეღელი. ამგვარადვე საჯალაბო სახლს ჩრდილოეთისკენ მოჰყვებოდა საფიცხობელი და ორი სხვა ბეღელი. შემდეგ იდგა დიდი ბოსელი, რომლის სახურავის ერთი ფრთა საღორეებისას და საბატეებისას უერთდებოდა ისე, რომ ამ ორ შრამელს შუა გადახურული, დერეფანივით ადვილი რჩებოდა. იქვე ახლოს იყო საქათმეც, ხოლო დაშორებით, ეზოს ბოლოში, ორი სასიმინდე ანუ, როგორც იმერეთში ამბობენ, ნალია.

ეზოს მეორე ნახევარში, მოკენჭილი გზის აღმოსავლეთით, იყო დიდი კალო, რომლის ერთ კიდეზე იდგა კარაპანი, ხოლო მოპირდაპირედ, კალოს გადაღმა, ორი დიდი საბძელი.

ხეები ცოტა იყო — ჭიშკრიდან დაწყებული. ხიმის გასწვრივ ჩამწკრივებული ხუთი დიდი ნიგვზის ხე და ეზოში გაფანტული ათამდე მსხალი, რომელთა კრონა სიდიდით ნიგვზებისას თითქმის არ ჩამოუვარდებოდა.

ორი ოდა, ორ-ორი ბეღელი და სხვა იმით აიხსნებოდა, რომ აქ ორი ძმა იყო გასაყრელად გამზადებული, მაგრამ როსტომი ჯერ წასული ყოფილა სამსახურის გამო, ხოლო დაბრუნების შემდეგ მალე გარდაცვლილა. ასე რომ ერთი ოჯახიღა დარჩენილა.

პირველ ოდას ქვეშ ქვის პალატი ჰქონდა, რომელიც არასოდეს არ გამოყენებულა. თვით ოდას აღმოსავლეთით და სამხრეთით აივანი ახლდა და სწორედ აქედან გადავყურებდი ხოლმე შორეულ და ახლო გარემოს. დიდ დარბაზს ერთი კარი ჰქონდა და მოპირდაპირე

კედელში მოთავსებული იყო ბუხარი. მარჯვნივ და მარცხნივ ორივე კედელს მთელ სიგრძეზე მიუყვებოდა ფართო ტახტი, ნოხებით გადაფარული. ამ ტახტების წინ გრძელი მაგიდები („სუფრები") იდგა. მაგიდების მეორე მხარეზე ჩამწკრივებული იყო ზურგიანი რბილი სკამები, — ეს უკვე ევროპეიზაციის ნიშანი. ოთახში სხვა არაფერი იყო, გარდა ნავთის ლამპისა, რომელიც ბუხრისთავიდან გადმოიყურებოდა.

გვერდით ეკვროდა ორი მომცრო ოთახი, ერთი მათგანი გასავლელი. თითოეულში იყო ბუხარი, ლოგინი, პატარა მაგიდა, ორი სკამი და ლამპა.

ამ ოთახებში არავინ ცხოვრობდა, მათი დანიშნულება იყო სტუმრების მიღება, რის გამოც სასტუმრო ოდას ვეძახდით.

მეორე ოდაც სამი თვალისგან შედგებოდა. მხოლოდ შემდეგ მიეშენებიათ მეოთხე, პატარა. აივანი სახლს ერთი ჰქონდა, სამხრეთით. დარბაზს აქაც ერთი კარი ჰქონდა, ხოლო ბუხარი გვერდის კედელში. ოთახში იდგა მოკლე ტახტები, მაგიდები და სკამები, მაგიდები შეუღებავი, სკამები — ვენური. ძირითადად ეს იყო სასადილო, მაგრამ საწოლიც.

პატარა ოთახებში ერთ-ერთ კედელზე მთელ სიგრძეზე მიდგმული იყო ფართო ლოგინი, მეორე კედელში ბუხარი, სხვამხრივ პატარა მაგიდა, სკამები, ლამპა, — მეტი არაფერი.

ამგვარად, ოდებში არაფერი კარადის მსგავსი ან საკუჭნაოსი! ვერც კედლებზე ნახავდით რამე საკიდს — არაფერი აქ არ ინახებოდა. ამ დანიშნულებას ასრულებდა დიდბეღელი (ჩვეულებრივი ბეღლისგან გასარჩევად ვამბობ), ეს ბეღელი ოთხი თითის სისქე ფიცრებისგან განსაკუთრებით საგულდაგულოდ აგებული, ბოქლომით იკეტებოდა, მაშინ როდესაც სხვას არაფერს საკეტი არ ჰქონდა, ანუ, უკეთ რომ ვთქვათ, ოთახები სწორედ „იკეტებოდა" ამ სიტყვის უშუალო მნიშვნელობით: კარსუკან ორ ურდულში მკლავის სიმსხო ხის კეტს გაუყრიდნენ.

დიდბეღელში ინახებოდა ტანისამოსი, სათადარიგო ქვეშაგები და თეთრეული, ჭურჭელი მინის, ფაიანსის თუ სპილენძის, ოქრო-ვერცხლი და მისთანანი, იარაღი, ცხენის საკაზმი, კერძოდ რახტები, და სხვა ასეთი. აქვე ინახებოდა ხატები, სხვადასხვა საბუთები და წიგნები.

უფრო საინტერესო იყო საჯალაბო სახლი, ყველაზე ძველი შენობა ეზოში, ბატონყმობის დროინდელი. აქ უნდა აღვნიშნო, რომ სახლი რაჭაში ეწოდებოდა არა ადამიანის საცხოვრებელ ყოველგვარ შენობას, არამედ სპეციალურად უშუალოდ მიწაზე დადგმულ უიატაკო და უჭერო შენობას, შუა ცეცხლით. აქედან არის რუსული საკლია, — რა თქმა უნდა, არა რაჭის გზით. ჭერ-იატაკიანს და ბუხრიან შენობას თურქული ტერმინით — „ოდა“ — აღნიშნავდნენ.

ჩვენი საჯალაბო სახლი უფრო დიდი იყო, ვიდრე ოდები. იატაკის მაგივრობას კარგად მოტკეპნილი მიწა სწევდა. სახლს არც ჭერი ჰქონდა და არც ფანჯრები. სინათლე შიგ ღია კარებიდან თუ შემოვიდოდა. სახურავი პირდაპირ კედლებზე იყო გადამჯდარი. გარედან ჰაერი რომ შემოსულიყო, კედლების თავი უნდა გადაევლო სახურავს ქვეშ, რამდენადმე ქვევიდან ზევით, და ეს სიცივის სახლში შესვლას აძნელებდა. ასევე გაძნელებული იყო თბილი ჰაერის გარეთ გამოსვლა, რადგან ამ შემთხვევაში თბილი ჰაერის ქვევითკენ მოძრაობა იყო საჭირო.

შენობის სიგრძე ბევრად მეტი იყო განზე და გრძელი ღერძი აღმოსავლეთისკენ იყო მიმართული. ეს უკანასკნელი გარემოება, შეიძლება, მთლად შემთხვევითიც არ იყოს. სახლს სამი ცალფა კარი ჰქონდა: ერთი აღმოსავლეთის (წინა). კედლის შუაში და ორიც გვერდის კედლებში, ერთიმეორის პირდაპირ, მაგრამ არა შუაში, არამედ ბევრად უფრო ახლოს წინა კედელთან.

დაახლოებით ორი გვერდის კარის ხაზზე, შიგნით, აგებული იყო კერა: ორი უფრო მაღალი, თლილი, ოთხკუთხი და თავმორგვალებული ქვა იქეთ-აქეთ და მათ შუა მეტრზე უგრძესი ქვის საყრდენი. ამ საყრდენზე იდო მორი ან მორები, საწვავი თავით შიგნითკენ, ე. ი. დასავლეთისკენ. ამრიგად, მორი წინა კარისკენ რჩებოდა და წვის კვალობაზე მას თანდათან წამოსწევდნენ კერისკენ, სადაც წვრილი შეშაც იწვოდა. ცეცხლი ინახებოდა უშტობლად ზამთარ-ზაფხულ. მხოლოდ დაწოლისას ნაკვერჩხალს ღადარში ჩაახვევდნენ და დილას ისევ გააღვივებდნენ ხმელი ფიჩხით. სახურავიდან ცეცხლის პირდაპირ რკინის ჯაჭვი ჩამოდიოდა და საქვაბე კავით თავდებოდა. ამაზე ჰკიდებდნენ დიდ ქვაბებს. უფრო პატარა ჭურჭლისთვის ჰქონდათ სამფეხები ან პირდაპირ ცეცხლსაც მიუდგამდნენ.

კერას ზევით, ცეცხლის გარშემო, კაცის მისაწვდომზე კაჩა ეკიდა.

ეს იყო ყავარივით თხელი სამი ფიცარი, ერთი კერის წინ და ორი იქეთ-აქეთ. ზედ აწყობდნენ კეცებში ჩასასმელ პურებს წინასწარ გასაფუებლად.

საკვამლე მოწყობილობა არაფერი იყო: კვამლი სახურავს ქვეშ გროვდებოდა და გარეთ სახურავსა და კედელს შუა უნდა გასულიყო.

გვერდის კარებიდან წინა კედლამდე მარჯვნივ და მარცხნივ ორი დიდი ბაგა იყო. ერთი ძროხებისთვის, მეორე ცხენისთვის: თუ ზამთარში ძროხა ხბოს ან ცხენი კვიცს მოიგებდა, აქ შემოჰყავდათ, რათა უფრო თბილად და მოსავლელად ხელმისაწვდომად ყოფილიყო. სახლის ამ ნაწილს ძელური იატაკი ჰქონდა სისუფთავის დასაცავად. ორივე ბაგას თავზე ქორეთი ახლდა, სადაც თივა და ჩალა ინახებოდა, უეჭველად ცეცხლის მოსარიდებლად შიგნითკენ, ე. ი. კერისკენ, ქორეთს თხელი ტიხარი მიუყვებოდა.

მარჯვენა კარიდან გვერდის კედელზე და უკან კედელზედაც მიშენებული იყო ფართო საწოლი, რომელზედაც კაცი განივ გაიმართებოდა. ამგვარად, აქ ოციოდე კაცი მაინც მოთავსდებოდა. საწოლს თავზე მიჰყვებოდა მაზედ მორგებული ქორეთი, რომელზედაც მისადგმელი კიბით აისვლებოდა. იქ ინახებოდა ცარიელი კოლოტები, ტიკები, შემოდგომიდან კი კვახები და სხვა ასეთი. მარცხენა კედელზე, საწოლთან, მიშენებული იყო კარადისებური საკუჭნაო. შიგ ინახებოდა კვეთი, საფუარი, ძმარი, მარილი, მწნილები, ყველი, ერბო და მისთანანი. ამ კარადა-საკუჭნაოს სალაროს უწოდებდნენ.

სალაროდან მარცხენა კარამდე კედელს დაახლოებით ნახევარი მეტრის მანძილზე პარალელურად მიუყვებოდა ორმოციოდე სანტიმეტრის სიმაღლე ფიცრული. ფიცარსა და კედელს შუა დარჩენილი ადგილი დატიხრული იყო კვადრატულ უჯრედებად. შიგ ჩაფენილი იყო თივა და ბუმბული: თუ ზამთარში ინდოურს, ბატს ან ქათამს კვერცხზე დააჯენდნენ, აქ შემოჰყავდათ.

დასასრულ, სახლის შუა ნაწილში, საკმაოდ მაღალზე, აღარ მახსოვს, თოკით თუ ღვლეჭით, დაკიდებული იყო თორმეტამდე ხის კავი. დეკემბრის ბოლოს ამ კავებზე ჩამოკიდებდნენ ღორების დამარილებულ ფელიკებს. მუდმივი კვამლის მეოხებით გაზაფხულზე განთქმული რაჭული ლორი მზად იყო. იქვე რამდენიმე პატარა კავიც ეკიდა ინდოურის და ბატის შაშხისათვის.

ამ სახლში ადრე კარგაძალი მოჯალაბეები უნდა ყოფილიყვნენ,

ჩემ დროს კი იქ ერთადერთი მოჯამაგირე იძინებდა. საჯალაბოს სამ-ზარეულოს („სამზადი სახლის“) როლიღა შერჩენოდა.

ჩვეულებრივი სახლისაგან ჩვენი იმითაც განსხვავდებოდა, რომ დასავლეთისკენ მას მიშენებული ჰქონდა კიდევ ერთი თვალი, არაუმეტეს 50 კვადრატული მეტრისა. აქ იდგა თონე და სადურგლო დაზგა, რომელიც იმ დროიდან დარჩენილიყო, სასტუმრო ოდა რომ აეშენებინათ.

საჯალაბო სახლსა და მცირე ბეღლებს შუა (მათში, ჩვეულებრივ, ხორბალი, სიმინდი, ლობიო, ცერცვი და სხვა ასეთი ინახებოდა) იდგა ს ა ფ ი ც ხ ო ბ ე ლ ი. ეს იყო ცხრა ბოძზე გაშლილი ფიცრული იატაკი, ორმოციოდე კვადრატული მეტრი. ფიცრები კარგად შეკრული იყო და, ზედ რომ წყალი არ დამდგარიყო, საფიცხობელს ერთ მხარეზე ოდნავი დაქანება ჰქონდა. გარშემო ერთფიცრული კარადა უვლიდა, ხოლო ზედ მისადგმელი კიბით შეისვლებოდა. საფიცხობელზე აშრობდნენ წისქვილში წასაღებად გარეცხილ ხორბალს თუ სიმინდს. აქვე ახმობდნენ, თუ საჭირო აღმოჩნდებოდა, ახლად მოწეულ მოსავალს შემოდგომაზე.

დანარჩენი შრამელი (ასე უწოდებენ რაჭაში სამოსახლოს ყველა შენობას, გარდა საცხოვრებელი სახლისა თუ ოდისა) — ბეღლები, ბოსელი, სასიმინდეები, საბძლები — განსაკუთრებულს არაფერს წარმოადგენდნენ. ორი სიტყვა მხოლოდ კარაპანის შესახებ. იგი კალოს პირას იდგა და ორსართულიანი იყო. მხოლოდ სამი კედელი ჰქონდა და კალოსკენ ღიად იყო დატოვებული. ქვედა, ქვიტკირის სართულის დანიშნულება ის იყო, რომ შიგ კალოზე გაშლილი პური შეეხვეტათ, თუ ლეწვის დროს უეცრად წვიმა წამოვიდოდა. სხვა დროს აქ ინახებოდა კევრები, არნადები, ფიწლები, ორთითები, ნიჩბები და სხვა საკალოე იარაღი. ზედა, ხის სართულში კალოზე ჩასაშლელი ძნა გადმოჰქონდათ საბძლებიდან თანდათანობით.

ლურსმნით გადაჭედილი სახურავი მხოლოდ ოდებს ჰქონდა. სახლისა და შრამელების ყავარზე კირქვის ლოდები ეწყო ქარისგან დასაცავად. ისლით დახურული ნიკორწმინდაში არაფერი იყო.

ეს ყველაფერი კარგი, მაგრამ სადღაა მარანიო? იკითხავთ, მარნები, ჩვეულებრივი გაგებით, ნიკორწმინდაში არ ჰქონდათ. ჭურები გარეთ იყო ჩაფლული, ეზოში. ჩვენი ჭურები მწკრივად იყო მოთავსებული ნიგვზებქვეშ თითქმის ჭიშკრიდანვე, ჯერ სამოცკასრია-

ნი[1] ჭურები, მერე ორმოციანი და ასე შემდეგ. მწკრივი თავდებოდა ორ და სამკასრიანი ქვევრებით, რომლებშიაც არაყი ან სხვადასხვა მწნილი ინახებოდა.

ორი ოთხმოცკასრიანი ჭური საცხოვრებელი ოდის წინაც იყო, მსხლებქვეშ. სწორედ ამ ჭურებს გვარიანად შეეშინებინა დედაჩემი, პირველად რომ ჩამოსულიყო ნიკორწმინდაში. ოთახში ყოფილიყო, რომ ეზოდან სიმღერა მოესმა. აივანზე გამოვიდა — სიმღერა უკეთ ისმის, თითქოს სულ ახლოდან, მაგრამ მომღერალი არავინ ჩანს. ათვალიერებს მთელ ეზოს, სინჯავს თვალით ხეებსაც კი, მაგრამ არსად არავინ. შიშმა შეიპყრო, ეს რა მოჩვენებაოო. ამ დროს ბიძაჩემი დაინახა, მივარდა, ეს რა ამბავიაო? — ეჰ, შე იმერელო, შენაო! — ჩაიყვანა ეზოში, ჭურის თავთან მიუძღვა და ჩაახედა: შიგ კაცი ჩასულიყო, ხელში სარცხი ეჭირა და ჭურს რეცხავდა, თანაც მღეროდა.

ჭურები მიწაში ღრმად არის ჩაფლული: ჭურს რომ სარქველს დაახურავენ და ზედ 10—15 სანტიმეტრის სისქე აყალოს გადააგნესავენ, დონე ოდნავ ზედაპირზე დაბალი რჩება, ახლა ჭურის თავს ფხვიერსა და სველ მიწას დააყრიან და ყავრით გადახურავენ. ყავარი დაფერდებული უნდა იყოს და ამისათვის მას ცალ მხარეზე ხის საყრდენი რამე აქვს. ამგვარად სინესტეც უზრუნველყოფილია და არც წყლის საფრთხე არის. ჭურის მოხდა-დახურვა ძლიერ პასუხსაგებ საქმედ ითვლებოდა და, როდესაც ეს ბაბუაჩემმა პირველად მანდო, ჩემს სიამაყეს საზღვარი არ ჰქონდა.

ნიკორწმინდაში ყურძენი არ მწიფდება და იქაურებს, ისევე როგორც სხვა მთის სოფლელებს, ვენახები რიონის ხეობაში ჰქონდათ, უფრო დაბლა. ნიკორწმინდის ვენახები ბუგეულში იყო. იქ ჰქონდათ მარნებიც საწნახელით, წბერით და სხვა ინვენტარით. მხოლოდ, ღვინოს იქ არ აჩერებდნენ: ყურძენს როცა დაწურავდნენ, ტკბილი კოლოტებით შინ მოჰქონდათ. მგზავრობისას კოლოტს ყელში მასრას დაატანდნენ და, თუ ვინმე შეხვდებოდათ, ურემს გააჩერებდნენ და სთხოვდნენ, მოსწიე, შენი ჭირიმე, გასინჯეო!

---

1 კასრი სითხის საწყაოა რაჭაში, ორ ჩაფს ანუ დაახლოებით ორ ფუთს უდს.

# სანდომისა

ჩვენი კარმიდამოსი და ოჯახის აღწერა სრული არ იქნებოდა, რომ გადია სანდომისა არ მოვიხსენიო. ვინ იყო სანდომისა? ღმერთმა იცის! ბავშვობისას ფიქრად არ მომსვლია, რომ ვისთვისმე გამომეკითხა, და ახლა აბა ვინ რას მეტყვის! გამიგონია, გურული იყოო, არ ვიცი, ნამზითევი, არ ვიცი, ნაყიდი. მას შემდეგ ჩვენსა ცხოვრობდა. ბატონყმობა რომ გადავარდა, წასვლა არ უსურვებია, ალბათ არცვინ ჰყავდა თავისიანი.

სანდომისას მდგომარეობა ოჯახში განსაკუთრებული იყო. როგორც ბაბუის გამდელს, ბუნებრივია, პატივი უნდა ჰქონოდა ერთგვარი, მაგრამ აქ მეტი იყო. მისთვის ოდაზე ოთახი მიეშენებინათ — ეს იყო „სანდომისას ოთახი“. ყველაფერი, რაც საოჯახო მეურნეობას ეხებოდა, მას თავის საქმედ მიაჩნდა და ამაში არავის მოერიდებოდა. თუ იცოდა, რომ მისი აზრი ოჯახის ინტერესებს ეთანხმებოდა, უკან ვერავინ დაახევინებდა. დიდედას მისი დიდი ხათრი და მორიდებაც კი ჰქონდა.

თვით სანდომისას მარტო გრიგოლის რიდი ჰქონდა და ისიც, ალბათ, უმთავრესად ანაფორის გამო. მაგრამ როგორ ვუყვარდით ყველა! ერთ წუთს არ დაფიქრდებოდა, რომ თითოეული ჩვენგანისათვის თავი გაეწირა, მაგრამ არასოდეს მისაგნ ტკბილი სიტყვა არ გამიგონია. დიდი სიყვარულის დაუკმაყოფილებელი გრძნობა მასში ერთგულების სახით გაკაჟებულიყო. ასეთი ადამიანი სხვების მხრივაც ნაზ გრძნობებს ვერ გამოიწვევდა. სანდომისა ერთადერთი ადამიანი იყო, რომლისაც მე თითქოს მეშინოდა.

მე რომ მახსოვს, ის უკვე ღრმად მოხუცებული, წელში მოხრილი ქალი იყო. მიუხედავად ამისა, ეზოში რომ გაივლიდა, მის ქორისებურ თვალებს არაფერი გამოეპარებოდა. ამიტომ მეზობელი ქალები ჩურჩულებდნენ, კუდიანიაო. თუ რამე საქმე ჰქონდათ, ცდილობდნენ, მისთვის გვერდი აევლოთ და პირდაპირ დიდედისთვის მიემართათ. მიუხედავად იმისა, რომ მართებულ შემთხვევაში სანდომისა ყველას დაეხმარებოდა.

მალე სანდომისას ცხოვრების დასასრულიც მოვიდა. ზამთარში გარდაიცვალა, როდესაც ჩვენ ნიკორწმინდაში არ ვიყავით. დიდედა თავგამოდებით უვლიდა. მრავალი ცრემლი დააღვარა მის კუბოს და შესაფერი პატივით გააცილეს სასაფლაოზე.

წავიდა სანდომისა და რა დარჩა მისგან? მხოლოდ ეს მოგონება!

ეჰ, საბრალო სანდომისავ! შენ რომ უკეთეს პირობებში დაბადებულიყავ, როგორი სამაგალითო დედა იქნებოდი, როგორი საიმედო ცოლი და ოჯახის თავი! და ეგებ ბედნიერებაც უცხო არ იქნებოდა შენთვის!

## დაბადება

ჩემი დაბადების შესახებ თითქოს უკვე ვთქვი, რაც საჭირო იყო, მაგრამ განა კი ვიცით, როდის ვიბადებით? ადამიანი ხომ სიცოცხლეს და ცხოვრებას გაცილებით უფრო ადრე იწყებს, ვიდრე დედის სხეულს მოსწყდებოდეს. ფსიქოლოგები ხომ საშვილესშიგა ფსიქოლოგიაზეც ლაპარაკობენ!

ის, რასაც ჩვეულებრივ დაბადებას ვუწოდებთ, უეჭველად უაღრესად მნიშვნელოვანი მომენტია ინდივიდის ცხოვრებაში, მაგრამ სხვა მხრივ არც ის წამია მნიშვნელობას მოკლებული, საიდანაც ჩვენი თავი თვითონ გვახსოვს. ესეც დაბადებაა ერთი გაგებით, თუმცა მეხსიერების ბინდში მისი მკაფიოდ გარჩევა ძნელი საქმე არის.

ჩემი უშორეულესი მოგონება საჩხერესთანაა დაკავშირებული... საღამო იყო. დღეს უკვე ღამის მყუდროება სცვლიდა. მოახლოებული იყო ბავშვების დაძინების დრო. და ეს იყო სტუმრობის დროც. მოვიდნენ სტუმრებიც. მათ გამასპინძლება უნდოდა. ქანდარიდან ჩამოიყვანეს უკვე დაძინებული დედალი და დაკლეს. ამას თითქო დღეს ვხედავ.

მწვავე ტკივილმა მოიცვა გული. როგორ, საწყალი მძინარე ქოჩორა და დანა? კარგად მესმოდა, ეს ჩვეულებრივი და აუცილებელი რამეა, რომ პროტესტი უაზრობა იქნებოდა, მაგრამ გული ამას ვერ შერიგებოდა. მძინარე ქათამი, საყვარელი ქათამი, ჩამოიყვანეს და დაკლეს! გავმარტოვდი ბნელ ოთახში, ჩავეფლე ბალიშებში და ვტიროდი მწარე ცრემლით, მაგრამ უხმოდ. ასე ჩამძინებოდა.

მეორე მოგონება იმავე დროს ეკუთვნის ან ცოტა უფრო გვიანია და ეგებ ადრინდელიც. ახლა უკვე ჩიხაში ვიყავით, სადაც მაშავარიანზე გათხოვილი იყო მამაჩემის ბიძაშვილი. შემოდგომა იყო, რთველი. ყურძენს ჰკრეფდნენ და ყველა გახიზნულიყო სახლიდან. მხოლოდ მე დავრჩენილიყავ მძინარი. გამომეღვიძა და აივანზე გა-

მოველ. საღამოს ბინდი. სიჩუმე. არსაიდან არავითარი ხმა და არც სადმე ვინ ჩანს. სრული მარტოობა. მოებრუნდი კიბისკენ, რომელიც აივნის მეორე ბოლოში იყო, და რას ვხედავ! ამოსულა კიბეზე ეშმაკი, დაყუნცულა იქვე, აცმაცუნებს ყურებს და მაჭყეტს თვალს მე. შიშის ზარი დამეცა, მაგრამ რა ვქნა? აივანი მაღალია და კიბეც ერთადერთი: გაქცევა შეუძლებელია. შევბრუნდე ოთახში? მაგრამ ამისთვის ეშმაკს ზურგი უნდა ვაჩვენო და ვინ იცის, რას იზამს. ახლა ვხედავ მაინც! ვიყვირო? მაგრამ სირცხვილია და თან ვინ გაიგონებს. ყველაფერი ეს ალბათ რამდენიმე წამს გრძელდებოდა, მაგრამ დაუსრულებელ რამდენიმე წამს, და გადავწყვიტე: თვითონ წაველ მისკენ, მოხდეს, რაც იქნება-მეთქი! მოძრაობამ ეგებ გაბედულობაც შემმატა. მივუახლოვდი და გამოირკვა, რომ ეს იყო ფქვილით სავსე ხალთა, რომელიც მოჯამაგირეს წისქვილიდან მოეტანა, აქ მიეტოვებია და თვითონ ვენახში გაქცეულიყო.

ორი უმნიშვნელო მოგონება! არაფერს არ გვეუბნება, მაგრამ ამბობენ, ადამიანის პიროვნება უკვე ჩვილ ბავშვობაში გამოიცნობაო. მეც ამ მოგონებებს რომ ვაკვირდები, შიგ ვხედავ მთელ ჩემ ცხოვრებას ანუ, უკეთ, ვხედავ, თუ როგორი ვიყავ მთელ ცხოვრებაში.

## „მე პატარა ძართველი ვარ“

პირველ ხანად ძლიერ სუსტი ვყოფილვარ, როგორც დღენაკლული. დიდედა რომ შემომხედავდა, — შვილო, შენ ამ სოფლის სტუმარი არ ხარო, — და ცრემლს იწმენდდა. ორი წლისა მძიმედ გავმხდარვარ ავად ქუთაისში „ხველა-ბატონებით“. ითვლებოდა, რომ ამ სნეულების წამლობა არ შეიძლება, „ბატონები“ იწყენენო. საჭირო იყო „მობოდიშება“. მაინც მიუმართავთ აქიმებისთვის, კერძოდ, ქუთაისის ცნობილი თერაპევტისთვის — სიმონ ხეჩინაშვილისათვის, რომლის ცოლი ბაბუაჩემის დისწული იყო. წამლობა შედეგს არ იძლეოდა. შინაური საშუალებებიც არ დაუვიწყიათ. ვიღაცას ეთქვა, დედამ და მამამ უღელი უნდა დაიდგან და ბატონებიანის საწოლს სამჯერ შემოუარონო. ესეც შეასრულეს და სხვაც ბევრი, მაგრამ უშედეგოდ. აქიმებმაც იმედი გადაწყვიტეს, არ მორჩებაო. სახელდახელოდ მომნათლეს, რომ უმირონო არ მოემკვ-

დარიყავ. ხმაგაკმედილი, თვალცრემლიანი იარებოდა სახლში ყველა, — დასასრულს ელონდენ.

ამ დროს ვიღაცამ კარზე დააკაკუნა, — „მობრძანდითო“. შემოვიდა მეზობელი სომხის ქალი. ზიზილ-პიპილებით მოკაზმულიყო, ხელში ჩონგური ეჭირა. „სად ბრძანდებიან ბატონები, იმათ ვენაცვალეო“. თვალით ჩემი საწოლი აჩვენეს. მომიახლოვდა უგრძნობლად მწოლარეს. „მაპატივეთ, ბატონებო, რომ ასე გვიან გიახელით; ნუ მიწყენთ, თქვენი ჭირიმე, მე — ბრიყვ დედაკაცს; ნუ იუკადრისებთ და მიიღეთ ჩემი, თავხედის, სამსახურიო“. ჩამოჰკრა ჩონგურს, დაამღერა და იწყო ნელ-ნელა ცეკვა. ყველა მოღუშული შეჰყურებდა ამ მოულოდნელ სტუმარს. ამ დროს მე თვალი გავახილე, გადავხედე და გამეღიმა.

თითქო ღრუბლებივით ჩამობნელებულ ცაზე მზემ გამოიხედაო. ერთთავად ყველანი გამოცოცხლდნენ. იმ ქალს ვინღა გაუშვებდა, ლამის კაბის კალთებს უკოცნიდნენ. დღე-დღეზე უკეთ შევიქენ და მალე მოვრჩი კიდეც.

ეს იყო და ეს, შემდეგ ავად აღარ გავმხდარვარ, სანამ სიბერე არ მოვიდა, — ავადობაზე უავადესი.

ქუთაისშიც დიდხანს აღარ დავრჩენილვართ: მამა საჩხერეში გადაიყვანეს სასამართლოს მდივნის თანაშემწედ. ამის შემდეგ ჩემი სამყოფელი საჩხერე და ნიკორწმინდა -ყო; გვიანი შემოდგომიდან ზაფხულამდე საჩხერე, შემდეგ ნიკორწმინდა.

ნიკორწმინდა ჩემთვის ეზოთი არ ისაზღვრებოდა. ხშირად გადავირბენდი ხოლმე მეზობლებში, მაგრამ არა ბავშვებთან სათამაშოდ. ჯერ ერთი იქ იყო ჩემი დედობილი მაკრინე, რომელიც, როგორც ვიცოდი, ერთხანს ძუძუს მაწოვებდა და შვილივით ვუყვარდი, და მეორეც — მე სწორედ დიდები მაინტერესებდნენ. ეს იყვნენ ვაჟკაცები, თითქო ყველა გვარდიისთვის შერჩეული: მაღალი, ახოვანი, ძვალი და კუნთი მხოლოდ. მუშა დღეს წინ გრძელი ტილოს ფეშტემალი ჰქონდათ აფარებული და გვერდზე დიდი დანა ეკიდათ ტყავის ბუდეში; ხოლო კვირა-უქმეზე რომ სუფთა ჩოხა-ახალოხს ჩაიცვამდნენ და გრძელ ხანჯალს დაიკიდებდნენ, მათ მზერას არა შერჩია. მერე როგორი თავის დაჭერა ჰქონდათ! ეს იყო ძვალსა და რბილში გამჯდარი ბუნებრივი ზრდილობა და საკუთარი ღირსების შეგნება. არასოდეს თავის დამცირების მსგავსი რამ.

მე განსაკუთრებით მათი დინჯი საუბარი და დახვეწილი, სუ-

რათოვანი ენა მიზიდავდა, საღამოს რომ ჭიშკრის წინ მოიყრიდნენ თავს და გრძელ სკამზე ჩამოჯდებოდნენ. ამინდის და მოსავლის პროგნოზი, საქონლის მდგომარეობა, დათვის, მგლის და განსაკუთრებით ფოცხვერის ავაზაკობა, უახლოესი სამუშაოები... „როგორ იყო, შემოდგომაზე დათუნა რომ შენს ეზოში შემოსულიყო და ყანიდან მოტანილ სიმინდს შეექცეოდაო?..“ „გახსოვს დიდთოვლიანი ზამთარი, შველი რომ შუასოფელში დავიჭირეთო?..“ ვიდექი იქვე და მორიდებით ვუგდებდი ყურს.

ხვნა-თესვის, თოხნის, თიბვის, მკის, სიმინდის ჭრის მე, რა თქმა უნდა, მხოლოდ მაყურებელი ვიყავი, თუმცა თოხს ეზოსპირა ყანაში მაინც ვაწვალებდი. თიბვა ნიკორწმინდაში საერთოდ საამისოდ ჩამოსული სვანების საქმე იყო. თოხნისა და მკის ალოზე ბაბუა მეშველს (მამითადს) იწვევდა ხოლმე. თან, არ შევრცხვეთო, და, რაც შეეძლო, უკეთეს მასპინძლობას სწევდა. სადილი და სამხარი ხომ ყანაში მიჰქონდათ და საღამოს ნამდვილი ქეიფი იმართებოდა ეზოში ან „სახლში“.

მე მაინც ყველაფერზე მეტად კალოობა და სიმინდის რჩევა მიზიდავდა. კალოს ხომ დილიდან საღამომდე ვერ მომაცილებდნენ და სიმინდის რჩევა კიდევ სხვაგვარად იყო მომხიბვლელი. სიმინდის ტეხვა ჩვენში არ იცოდნენ. დაბალი, „შვიდკვირეული“ სიმინდის ღეროს ტაროიანად სჭრიდნენ ნამგლით და კონებად შეკრული მოჰქონდათ შინ. აქ, მთელი მოსავალი რომ დაგროვდებოდა ეზოში, დაიწყებოდა რჩევა: შიშველი ტარო უნდა მოეტეხათ და ფუჩეჩი ჩალას შერჩებოდა. რჩევა საღამოს იწყებოდა და გვიან ღამე გრძელდებოდა ჭრაქების სინათლეზე. არჩევდა უმთავრესად ახალგაზრდობა, ქალები და ვაჟები. დაიწყებოდა ლექსები, სიმღერა, ზღაპრები, ოხუნჯობა... ამას როგორღა მოეშორდებოდი!

უფრო გვიან შემოდგომაზე დაიწყებოდა კიდევ კოლტიანი ურმების ჭრიალი. ბუგეულიდან წამოსული ჩვეულებრივ ღამე შემოდიოდნენ ეზოში.

საჩხერეში ასეთს ვერაფერს ვნახავდი, ცხადია, რადგან სასამართლოს შენობაში ვცხოვრობდით, მაგრამ იქვე იყო ჩიხა და ამის მეოხებით ზემო იმერეთის აზნაურებისა და გლეხების ცხოვრებას ისევე ვიცნობდი, როგორც რაჭისას. ეს კია, რომ აქ გლეხობა უფრო ღარიბად იყო.

მაინც ჩემი მთავარი გატაცება ამ ხნის მანძილზე და ბევრად უფრო გვიანაც ზღაპრები იყო. თუ ვისმე ზღაპრის თხრობის უნარს და ხალისს შევამჩნევდი, მოსვენებას აღარ ვაძლევდი. განსაკუთრებული როლი შეასრულეს ამ მხრივ ჩიხელმა ქეთო ცუხიშვილმა და უფრო გვიან, უკვე ცაგერში, მამაჩემის მწერალმა თომა აბაშიძემ. უკანასკნელის სამუშაო ისეთი იყო, როგორსაც დღეს მემანქანეები ასრულებენ: გადაწერა. მუშაობა საერთოდ მას ნაკლებად იზიდავდა, მაგრამ ზღაპარს როდესაც ამბობდა, სრულიად გამოიცვლებოდა. მასში პოეტი იღვიძებდა. ეგებ თავისასაც უმატებდა ზოგჯერ.

მე, როგორც ყოველ ბავშვს, ზღაპარში ფაბულა მაინტერესებდა, მაგრამ ამასთან ერთად უნებლიეთ ვითვისებდი გრძნობებს, აზროვნების სტილს და რწმენებს, რომლებიც შიგ ზღაპრების შემქმნელ თუ გარდამქმნელ ხალხს შეეტანა უხსოვარ დროთა მანძილზე.

ვიზრდებოდი ამ გარემოებაში და ვეცნობოდი ქვეყანას ისეთს, როგორიც ის გარშემო იყო ან ხალხის წარმოდგენაში შენახულიყო. „მე პატარა ქართველი ვარ“ — ეს სიტყვები აროდეს მეთქვა, მაგრამ უეჭველად პატარა ქართველი ვიყავი და ამაში არავითარი პატრიოტიზმი არ იყო. ქართველობას არაფერს და არავის არ ვუპირისპირებდი. ქართველობა ჩემთვის არსებობის ერთადერთი სახე იყო. თუმცა, ისიც ვიცოდი, რომ არიან კიდევ თათრები, რომელთაც ჭეშმარიტი ღმერთი არა სწამთ და რომელთა ურდოები მუდამ თავს ესხმოდნენ საქართველოს. მაგრამ ქართველები, თავისი ვაჟკაცობის და თავდადების მეოხებით, ყოველთვის გამარჯვებული რჩებოდნენ. უეჭველია, ამ საქმეში ჭეშმარიტი ღმერთის შემწეობაც გვშველოდა. ვიცოდი, რომ იყვნენ ჩვენი ერთმორწმუნე და დიდი მეგობარი რუსებიც (თავისი ხელმწიფით), მაგრამ რეალური რუსი არ მენახა. იყო ნიკორწმინდაში ერთი სამოკვასოვი, მაგრამ მას რუსისა აღარაფერი შერჩენოდა.

მე ქართველად ისე ვგრძნობდი თავს, როგორც თევზი თევზად ან ჩიტი ჩიტად. მაგრამ კალმახი ყოველთვის კალმახი იყო და არის, ასევეა მერცხალიც, ხოლო ქართველი IV საუკუნეში, ქართველი XII საუკუნეში ან XVIII—XIX-ში და დღეს სულ სხვადასხვა რამ არის. მე XIX საუკუნის მიწურულში ვიზრდებოდი წარსულის მემკვიდრეობაზე და ჩემი ბედი ამის შესატყვისი უნდა ყოფილიყო.

მე რომ იმ დროს ამის უნარი მქონოდა და ჩემს გარშემო ცხოვრებას დავკვირვებოდი, უეჭველად უნდა შემემჩნია, რომ რაღაც რიგზე არ იყო. ჩვენი ეზო აშკარად მოუვლელი ჩანდა; დიდ საჯალაბო სახლში ერთ მოჯამაგირეს ეძინა მხოლოდ; თავლაში ერთიღა ცხენი ება; ბოსელში მხოლოდ ორი უღელი ხარი და ორი ძროხა; ყველაზე დიდი ჭურები ან ცარიელი რჩებოდა, ან წყლით იყო სავსე; თითქმის ყოველ წელიწადს ბაბუაჩემი ან რომელიმე სათიბს ჰყიდდა ან ყანას... ბატონყმობის გაუქმების შემდეგ ფეოდალურ მეურნეობას საფუძველი გამოსცლოდა.

მეორე მხრით თანდათან შემოდიოდა ფულადი მეურნეობა. გაჩნდა ათასგვარი საყოფაცხოვრებო თუ სამეურნეო ნივთი, რომლის შესაძენად ფული იყო საჭირო და ფულის წყარო კი არსად ჩანდა ან ვერ ხედავდნენ მას. ქართული მრეწველობა ან ვაჭრობა, შეიძლება ითქვას, არ არსებობდა: მრეწველობის შესახებ წარმოდგენაც არავის ჰქონდა, ხოლო ვაჭრობა დამამცირებელ საქმედ იყო მიჩნეული. მეტიც თქმა, რომ ჩვენი მამულის შემოსავალი არასოდეს არაფერი გაყიდულა და, ფული თუ იქნებოდა, მხოლოდ როგორც სახელმწიფო სამსახურის ხელფასი. არც მამაჩემი, არც ბიძები მამულზე რაიმე იმედს არ ამყარებდნენ და ნიკორწმინდაში მხოლოდ სტუმრები იყვნენ, როგორც აგარაკზე.

თქმა არ უნდა, კიდევ მეტ გაჭირვებაში იყო რაჭველი გლეხობა. ცოტაოდენი მიწა, რომელიც მას ჰქონდა, არათუ ბაზარზე გასატანს არაფერს იძლეოდა, თავის დასარჩენად არ კმაროდა. სიმინდი ჩრდილო კავკასიიდან გადმოჰქონდათ ოსებს და საჭირო იყო ყიდვა; შემოდგომაზე, დეკემბერში, გურიიდან და იმერეთიდან ღორებს მოდენიდნენ დასაშაშხავს, — საჭირო იყო ფული; ბევრი რამ სხვაც შეიქმნა აუცილებელი, რაც წინათ უცნობი იყო, დღეს კი მისაწვდომი გამხდარიყო, მაგრამ ფულით; ისევ ფული იყო საჭირო სახელმწიფო გადასახადების გასასტუმრებლად...

ასეთ პირობებში ჩამოყალიბდა „მოსაგებში“ წასვლის პრაქტიკა. მოსავალს რომ მოიწევდა და დაბინავებდა რაჭველი გლეხი, საზამთროდ შეშას დაამზადებდა, ოჯახს ასე თუ ისე უზრუნველყოფდა და მიდიოდა სამუშაოდ გარეთ. შინ ზამთარში მხოლოდ მოხუცები, ქალები და ბავშვები რჩებოდნენ. საქართველოს სხვადასხვა კუთხე-

ში, ამიერკავკასიის თუ ჩრდილო კავკასიის ქალაქებში, ოდესაში და უფრო შორს, ყველგან იპოვიდით ასეთს, „მოსაგებში“ გასულ რაჭველებს. იყვნენ ჩულიანი მუშებიც, ბარგის გადამზიდველები — რკინიგზის ყოველ სადგურზე იპოვიდით მათ დიდ ქალაქებში, — მაგრამ, როგორც წესი, რაჭველმა ხელობა იცოდა რამე: ხუროობა, მზარეულობა, მეპურეობა... ბევრი მიდიოდა კახეთში როგორც მევენახე, ამ შემთხვევაში უფრო ხანგრძლივად. ჩვეულებრივ, ერთი სოფლის მცხოვრები ყველა ერთისა და იმავე ხელობის მიმდევარი იყო. ნიკორწმინდელები, მაგალითად, ხუროები იყვნენ. იყო მესტვირეების სოფელიც (ფარახეთი).

გაზაფხულზე, ხვნა-თესვის დრო რომ მოაწევდა, უპირატესად საალდგომოდ, მოსაგებში გასულნი შინ ბრუნდებოდნენ და დიდი გაჭირვებით ნაშოვნი და დაზოგვილი ფული მოჰქონდათ, მაგრამ ბევრი საბოლოოდ გარეთ რჩებოდა და ასე წარმოიშვა რაჭული კოლონიებიც ჩრდილო კავკასიაში.

უფრო ინიციატივიანი ვინც იყო, მიდიოდა შორეულ უცხოეთშიც. ბევრად უფრო გვიან, 1926 წელს, ზაფხულის საღამოზე მთიდან სოფელ ღებში თუ ჭიორაში ვბრუნდებოდი. ხუთიოდე მთიბავს წამოვეწიე: ცელებით მხარზე შინისკენ მიდიოდნენ. ყური მოვკარ, ამერიკას ახსენებდნენ. ცნობისმოყვარეობა აღმეძრა და შევუერთდი მათ ჯგუფს. მალე გამოირკვა, რომ ორი მათგანი ამერიკაში ნამყოფი იყო.

მოსაგებში გასვლის ჩვეულებას უეჭველად დადებითი მხარეებიც ჰქონდა, რაჭველები სხვადასხვა ქვეყნებს და ქალაქებს ეცნობოდნენ, ამა თუ იმ ხელობას სწავლობდნენ, სოფლის კარჩაკეტილობას თავს აღწევდნენ. წერა-კითხვის მხრივაც რაჭას საქართველოში პირველი ადგილი ეჭირა (ოფიციალურ სტატისტიკაში, ლეჩხუმთან ერთად აღებული, მეორე ადგილზე გამოდიოდა). მაგრამ ეკონომიურად ეს წესი გაუმართლებელი ჩანდა. ხშირად მოსაგებში მიმავალს გზის ფული არ ჰქონდა და იძულებული იყო ესესხა წლიური ას ოცი პროცენტის ანგარიშით (ათ თუმანზე თუმანი თვეში). მისი ნაოფლარი ძირითადად ამ ვალის გადახდას უნდებოდა. სამუშაოს შოვნაში ერთიმეორეს შველოდნენ, მაგრამ ზოგჯერ უმუშევარიც რჩებოდნენ, როგორც სეზონური მუშების ბედია. თუ უფრო ილბლიანი ვინმე ცოტა რასმე დააგროვებდა, ის ცდილობდა მიწა ეყიდა, დიდი ხნის

ოცნება შეესრულებინა და თავისი პატარა ყანა „დაერგვალებინა“. ამგვარად დაბანდებული თანხა საცოდავ სარგებელს იძლეოდა: საყანე მიწა რაჭაში უფრო ძვირად ფასობდა, ვიდრე სამოსახლო ქუთაისის გარეუბნებში. დასასრულ, მოსახლეობის ნაწილი გარეთ რჩებოდა, სამუდამოდ სტოვებდა მშობლიურ მხარეს.

მეტად თუ ნაკლებად მსგავსი იყო მდგომარეობა საქართველოს სხვა კუთხეებშიც. ძველი მეურნეობა თავს აღარ ამართლებდა და საჭირო იყო რაღაც გამოსავალი. გამოსავალიც თითქო ეპოვათ: ხელოსნობას ის თუ მოჰკიდებდა ხელს, ვისაც სხვა აღარაფერი დარჩენოდა, ვაჭრობაც უკეთეს პატივში არ იყო და მთავარი შარა ერთი ჩანდა — სწავლა-განათლება. მაგრამ სწავლაც არის და სწავლაც. იქ, სადაც ფეოდალური წყობილება ახალგაზრდა ბურჟუაზიამ გაანადგურა, სწავლა უკანასკნელისათვის იარაღი იყო წარმოების და ვაჭრობის სამსახურში. ჩვენში იგულისხმებოდა სწავლა თავის თავად, განათლება როგორც ერთგვარი პანაცეა. თუ არ ვცდები, დაბა ხონი ერთადერთი იყო, სადაც სახელოსნო სასწავლებელი დაარსდა და თან თვით ხალხის ინიციატივით. „ქართველმა ხმალი კალამში გასცვალაო“, გაიძახოდა ჩვენი პრესა, მაგრამ სინამდვილე უფრო პროზაულ ხასიათს ღებულობდა. ეს იყო მისწრაფება სხვადასხვა ე. წ. თაკისუფალი პროფესიებისკენ: ვექილის, ექიმის და სხვა, ხოლო უმთავრესი კი სხვადასხვა სახელმწიფო სამსახური. მართალია, დიდი ადგილებისკენ ქართველობას გზა დახურული ჰქონდა, მაგრამ პატარა რამეც უკეთ უზრუნველყოფდა ადამიანს, ვიდრე მამული ან თოხი. სწავლა უმეტესობისთვის მოხელეობას (ჩინოვნიკობას) ნიშნავდა.

ჰქონდა ამ მოვლენას მეორე მხარეც, არანაკლებ მნიშვნელოვანი. სწავლა, რომელიც აქ იგულისხმებოდა, უცხო კულტურის შეძენას ნიშნავდა, ქართველი ხალხის წარსულთან მას უშუალო კავშირი არ ჰქონდა. სხვა იყო განცდები, სხვაგვარი იყო გამოცდილება და მეტად განსხვავებული — მისწრაფებები. სამყაროს, რომელშიც ჩემი და ჩემისთანების ცხოვრება დაიწყო, მარტო მატერიალური საფუძველი როდი ეცლებოდა, — იმავე დროს ირღვეოდა ძველი მამაპაპეული იდეოლოგიაც. სწავლის იმ საკმაოდ გრძელ გზაზე, რომელიც მე გავიარე, მხოლოდ ი. გოგებაშვილის „დედა ენა“ ლაპარაკობდა „პატარა ქართველის“ ენას. ნამდვილი სწავლა კი იყო საბერძნეთი, რომი, დასავლური ევროპა, რუსეთი... უცხონი საქმენი, უცხოთა

ქვეყანათანი! თანაც ეს იყო უცილობელი ნიმუშები, ასათვისებელი და მისაბაძი. მხოლოდ გვიან გავიგე, რომ ამ სამყაროშიც უამრავი შინაგანი წინააღმდეგობაა, რომ იქაც ყველაფერი იცვლება და მართებული გზა ისევ საძებარია. და წამოიჭრა კითხვა, — ეს გზა პატარა ქართველისთვის განვითარებას ნიშნავს თუ გადაგვარებას?

რა თქმა უნდა, ყველაფერი ეს მხოლოდ გვიანი რეტროსპექტული მოსაზრებებია და იმ დროს ჩემთვის და ჩემი გარემოსთვისაც სრულ საიდუმლოებას წარმოადგენდა.

## საჩხერის სკოლა

სანამ პატარა ვიყავი, თეთრ ჩოხა-ახალუხში გამოწყობილი, ლეკურითა და სატევრით შეიარაღებული უდარდელად დავსეირნობდი საჩხერის ერთადერთ ქუჩაში. მედუქნეები რომ დამინახავდნენ, ერთმანეთს გადასძახებდნენ, „არიქა, ლეკურიანი კაცი მოდის, დუქანი დაჰკეტეო“, და თან კამფეტს მაწოდებდნენ ამ უპატივცემულო ოხუნჯობის საკომპენსაციოდ. მაგრამ წამოვიზარდე. უკვე საჩხერიდან ნიკორწმინდას ცალკე ცხენით გადავდიოდი, მერვე წელიწადი მისრულდებოდა. იმ დროს ეს დაგვიანებად არ ითვლებოდა, მაგრამ მაინც სკოლაზე ფიქრის დრო დადგა.

არჩევანი ძნელი არ იყო. საჩხერეში და მთელ იმ რაიონში ერთადერთი სკოლა არსებობდა, ეს სკოლა მოთავსებული იყო ერთადერთ ოთახში, ბაზარში, დუქნის თავზე, და განაგებდა მას ერთადერთი მასწავლებელი ყარამან ჩხეიძე.

ყარამანს კარგად ვიცნობდი. ხშირად ვხვდებოდი ან ჩვენსას, ან საერთო ნაცნობებთან. საუცხოო ადამიანი იყო და, რაც მთავარია, ჩინებულ ზღაპრებს მიამბობდა. მაგრამ სულ სხვა იყო ყარამანი სკოლაში. ოთახში მერხები სამ მწკრივად იყო დალაგებული. მწკრივი განყოფილებას წარმოადგენდა. ყარამანი თითო განყოფილებას რიგრიგად ამეცადინებდა და ამ დროს დანარჩენი ორი განყოფილება, უსაქმოდ დარჩენილი, წყნარად უნდა ყოფილიყო. ადვილი წარმოსადგენია, რამდენად მოახერხებდნენ ამას ბავშვები. მასწავლებელი კი ძლიერ ფიცხი იყო და, სახაზავით შეიარაღებული, ხშირად ასამართლებდა ხან ერთ, ხან მეორე წესის დამრღვევს.

ერთ ასეთ ისტორიაში მეც მოვხვდი. ყარამანი ჩვენს მწკრივს

ამეცადინებდა. ხელში მისი განუყრელი სახაზავი ეჭირა. მეორე მწკრივთან რომ გადავიდა, სახაზავი ჩემ მერხზე დარჩა. მე, უსაქმომ, ავიღე და ერთხანს ხელში ვატრიალე. მერე მერხიდან მერხზე გავდე და მივატოვე, დამავიწყდა. ამასობაში ყარამანი, მერხების მწკრივებს შუა მომავალი, ჩემს მერხთან მოსულიყო. სახაზავს წამოებლანდა და ძირს გადააგდო. „ვინ დასდო აქ სახაზავიო?“ — წამოვდექი. „გამოსწიე ხელიო!“ — გავუშვირე ხელისგული. მოიქნია გამეტებით სახაზავი, მაგრამ ბრიყვი არც მე აღმოვჩნდი, უნებლიეთ ხელი უკან გავსწიე, სახაზავი მერხს მოხვდა და გადატყდა. ამან, ჩანს, ყარამანი გამოაფხიზლა: ხმაამოუღებლივ გაბრუნდა და საქმე ამით დათავდა.

მოწაფეების შთასაგონებლადაც მეტად ენერგიული საშუალებები ჰქონდა. ბავშვი რომ ვერაფერს გაიგებდა, ჩაავლებდა თმაში ხელს, მიიყვანდა დაფასთან, სადაც ეწერა, ვთქვათ, 2+3=5, აჯახებინებდა ზედ თავს და თან ჩასძახოდა: „არც ახლა შევიდა რამე მაგ ცარიელ გოგრაშიო?“

ამის მხედველს მაშინ უფრო ის მაფიქრებდა, ისედაც დანჯღრეული უბეირო დაფა სულ არ დანგრეულიყო, მაგრამ ახლა რომ ვიგონებ ამ ამბებს, არ შემიძლია, არ ვიგრძნო, თუ რამდენად დიდია მასწავლებლის პასუხისმგებლობა. ეჭვი არა მაქვს, მე რომ იმ ბავშვების ადგილას მოვხვედრილიყავ, სამუდამოდ შემძულდებოდა სწავლა და ეგებ ჩემი თავის ნდობასაც დავკარგავდი. მასწავლებელი შეიძლება გაუწყრეს მოწაფეს, თუ გნებავთ, შეიძლება სცემოს კიდეც, მაგრამ მასწავლებელი, რომელიც მოწაფეს ეტყვის, შე უნიჭო, შე უტვინო, შენგან რა უნდა გამოვიდესო, სასწავლებელში გასაჩერებელი არ არის. პირიქით, მასწავლებელი მოსწავლეს უნდა ჩასჩიჩინებდეს: ნიჭი, შენ რომ გაქვს, ისეთი უნდა, ბუნებას შენთვის არაფერი დაუკლია და რატომ არ იყენებ ამ სიმდიდრესო! თანაც ეს სიტყვები რეალური სიმპათიით უნდა იყოს ნაკარნახევი.

უეჭველად კარგ ყარამან ჩხეიძეს დღეისათვის წარმოუდგენელ პირობებში უხდებოდა მუშაობა, მაგრამ რამდენი არის, რომ ასეთი გასამართლებელი საბუთი არა აქვს და მაინც მსგავსად იქცევა არა ფიზიკურად, არამედ მორალურად!

# ოცხელის სკოლა

საჩხერის სკოლაში დიდხანს არ მივლია. ოჯახში აქსიომად ითვლებოდა, რომ უნივერსიტეტში უნდა მესწავლა, უნივერსიტეტში შესასვლელად გიმნაზიის დამთავრება იყო საჭირო და გიმნაზია კი ქუთაისში იყო. რა თქმა უნდა, შეიძლებოდა, მშობლებს ქუთაისში ჩავეყვანე და იქ ნათესავთან ან ნაცნობთან ვისთანმე დავეტოვებინე, მაგრამ ჯერ ერთი — საამისოდ პატარად მთვლიდნენ და მეორეც — ეკონომიურად იყო ძნელი. როგორც მრავალი სხვა ოჯახისათვის იმ დროს, ისე ჩვენი ოჯახისთვისაც, რაკი ბავშვები წამოვიზარდეთ და ჩვენი სწავლების დრომ მოაწია, დაისვა ქუთაისში გადასახლების საკითხი. არ ვიცი, როგორ და ვისი დახმარებით, მაგრამ საქმე მოულოდნელად მოგვარდა: მამა ქუთაისს გადაიყვანეს ოლქის სასამართლოში იმავე თანამდებობაზე. 1896 წლის გაზაფხულის დამდეგს საჩხერიდან ქუთაისში გადავბარგდით, ჯერ ჭიათურამდე ეტლით და შემდეგ რკინიგზით.

ქუთაისი, იმ დროს უწყალსადენო და უკანალიზაციო, უფრო დიდ სოფელს ჰგავდა, გარეუბნებში სახლები მეტწილად ეზოს სიღრმეში იყო აშენებული, ქუჩიდან დაშორებით. საპირფარეშოები კი ქუჩის პირას გატანილი, ღორების მისაწვდომად.

ქალაქში შეღამებულზე შევედით, სახლების ფანჯრებიდან ნავთის ლამპები საცოდავად გამობჟუტავდნენ, მაგრამ მე ეს სინათლის ზღვად მეჩვენა. განცვიფრებული ვიყავი.

დავსახლდით ლევაშოვის (მახარაძის) ქუჩაზე. ერთ-ერთი სახლის მეორე სართული დავიქირავეთ. ამ დროს ჩვენ, ბავშვები, უკვე ხუთი ვიყავით და მამას ხელფასი ხუთი თუმანი ჰქონდა. მაინც ხერხდებოდა, რომ ორი მოსამსახურე გვყოლოდა, ქალი და ვაჟი, ოჯახი, ცხადია, ხელვიწროობას გრძნობდა და მამამაც გადაწყვიტა საქმე მოეგვარებია, შემოსავლის წყარო გაეჩინა. ვილაცის რჩევით, შეიძინა ტაჩკა და ჩინებული ცხენი, დაიქირავა მოჯამაგირე და დაავალა, დაკვეთები აეღო და საშენი მასალა ეზიდა, უმთავრესად სილა და როკკი. თვითონ მისი უშუალოდ მონაწილეობა ამ საქმეში იმაში გამოიხატებოდა, რომ კარგი უნაგირი იყიდა, შესაფერად მოკაზმული, და, როგორც კი თავისუფალ დროს იშოვიდა, დასეირნობდა ამ ცხენით ტყეში თუ ბრმაში. დაახლოებით ერთ წელიწადს გაგრძელდა ეს ამბავი და ცხენიც და ტაჩკაც ნისიებმა წაიღო.

თუ ამ კაპიტალისტურ ეპიზოდს არ მივიღებთ მხედველობაში, სხვა მხრივ ყველაფერი ნორმალურად მიმდინარეობდა. მოსაგვარებელი იყო მხოლოდ ჩემი სკოლაში მოთავსების საკითხი.

საქმე ის არის, რომ ქუთაისში და მთელ დასავლეთ საქართველოში მაშინ ერთადერთი გიმნაზია არსებობდა — ქუთაისის კლასიკური გიმნაზია. მხოლოდ ეს სასწავლებელი იძლეოდა უნივერსიტეტში უგამოცდოდ შესვლის უფლებას. მართალია, უკვე გაეხსნათ ქუთაისის „რეალური სასწავლებელიც", მაგრამ იქ სწავლადამთავრებულს, ისევე როგორც სასულიერო სემინარიადამთავრებულს, მხოლოდ ვარშავის და დორპატის (ტარტუ) უნივერსიტეტში ღებულობდნენ. გასაგებია ამიტომ, რომ ქუთაისის გიმნაზიას დიდძალი ხალხი ეტანებოდა.

გიმნაზიები 8 გიმნაზიური კლასისგან შედგებოდნენ, მაგრამ პირველ კლასამდე ბავშვს რამდენიმე წელიწადი მოსამზადებელ განყოფილებებში უნდა ესწავლა. სასულიერო სასწავლებელში, ქალაქის სასწავლებელში, სათავადაზნაურო სასწავლებელში ასეთი განყოფილება ოთხი იყო. მაშასადამე, ოთხი წელიწადი პირველ კლასამდე. პირველ განყოფილებაში წერა-კითხვის უცოდინარს ღებულობდნენ. ქუთაისის გიმნაზიას მარტო ერთი უფროსი მოსამზადებელი განყოფილება ანუ კლასი ჰქონდა. იქ მხოლოდ გამოცდით შეიძლებოდა შესვლა. ცხადია, შესასვლელად უკვე საგრძნობი მომზადება იყო საჭირო და თან რუსულად: სწავლება ხომ რუსულ ენაზე მიმდინარეობდა. რადგან მეორე მხრივ მისაღები ადგილი ცოტა იყო, მსურველი კი ბევრად მეტი, ამას ემატებოდა კონკურსი.

ასეთ პირობებში ბუნებრივად გაჩნდა ხალხი, რომელთაც გიმნაზიაში შესასვლელად ბავშვების მომზადება პროფესიად გაიხადეს. ჯერ ეს ცალკეული მასწავლებლები იყვნენ, მაგრამ მალე საქმემ სხვაგვარი ხასიათი მიიღო. ერთპიროვნულ მასწავლებელს ხშირად შესაფერი ბინა არ ჰქონდა, საჭირო სასწავლო ინვენტარი არ გააჩნდა. გარდა ამისა მას არ შეეძლო მთელი თავისი დრო ამ ორი მოწაფისთვის დაეთმო, მით უმეტეს, თუ მოწაფის მომზადება მისთვის დამატებითი სამუშაო იყო სხვა რისამე გვერდით.

და აი, გაჩნდნენ თაოსანი პირები, რომელთაც გიმნაზიაში თუ რეალურ სასწავლებელში შესასვლელად ბავშვების მოსამზადებლად კერძო სკოლები დააარსეს. ასეთი საქმის წამომწყები სათანადო ნე-

ბართვას აიღებდა, იშოვიდა ბინას, შეიძენდა სასწავლო ინვენტარს, მოიწვევდა მასწავლებლებს, მეტწილად ქალებს, და შეუდგებოდა საქმეს. ბავშვების მშობლებს ის ურიგდებოდა, მათგან ფულს ის იღებდა, ხოლო მასწავლებლებს გარკვეულ ხელფასს აძლევდა. რადგან სასწავლო გადასახადი მაღალი იყო. (ბავშვზე თვეში თუმანი) და მოწაფეთა რიცხვი დიდი, საქმე ფინანსიურად ძლიერ ხელსაყრელი გამოდგა. მეორე მხრით, ბავშვებს საშუალება მიეცათ მთელი დილის საათები რეგულარულად ემუშავათ გამოცდილი მასწავლებლების ხელმძღვანელობით და წარმატებაც შესაფერად გაიზარდა.

ჩვენი ჩასვლისას ქუთაისში დიდი სახელი ჰქონდა იოსებ ოცხელის სკოლას. ოცხელი ქართველი კათოლიკე იყო. განათლება ოდესის უნივერსიტეტში მიეღო როგორც მათემატიკოსს, მაგრამ შემღეგ ნაცვლად იმისა, რომ სადმე სახელმწიფო სამსახურში შესულიყო, ხელი მოეკიდა ბავშვების მომზადებისთვის. დაეარსებია სკოლა.

ეს, შემდეგ ფართოდ ცნობილი, ქართველი პედაგოგი პესტალოცის, ფრებელის, პოტებნიას თაყვანისმცემელი იყო. თვალსაჩინოობა მის სკოლაში ფართოდ იყო გამოყენებული. რუსული ენის სწავლებისას სურათებიან ლოტოს ათამაშებდნენ ბავშვებს, ასე რომ სწავლა გართობას ემსგავსებოდა. როგორც კარგ ორგანიზატორს, მას საუკეთესო ახალგაზრდა მასწავლებელი ქალებისთვის მოეყარა თავი. ცემა და მისთანები აქ წარმოუდგენელი იყო. მიუხედავად იმისა, რომ სკოლის ამოცანა გიმნაზიაში ან რეალურ სასწავლებელში შესასვლელი გამოცდებისთვის მომზადება იყო და ამისათვის ქართულს არავითარი მნიშვნელობა არ ჰქონდა, ოცხელთან ქართულ ენას დიდი ყურადღება ეექცეოდა, — ეს იყო სასწავლო საგანი და ნაწილობრივ სწავლების ენაც.

მე გაზაფხულიდანვე მიმბარეს ამ სკოლაში. მაშინ ივანოვის (დღეს თბილისის) ქუჩაზე იყო ნაქირავებ სახლში მოთავსებული, ჩვენგან ახლოს. სექტემბერში რომ დავბრუნდი, სკოლა უკვე დადიანის ქუჩაზე გადასულიყო, სადაც ოცხელს საკუთარი სახლი და ეზო შეეძინა სკოლისათვის. სახლი უეჭველად შესაფერი იყო და ეზოც დიდი. ეზოს უკანა ნაწილში უკვე გამართული იყო პატარა სამხეცე: შესაფერ გალიებში მოთავსებული იყვნენ: დათვი, მგელი, ტურა, მელია, შველი და ზღვის გოჭები. ფრინველებიდან იყო: არწივი, ძერა,

ბუ. ფარშავანგი და ციცრები თავისუფლად დასეირნობდნენ ეზოში. ეზოშივე იდგა ორძელი და „გიგანტური ნაბიჯის“ მაღალი ბოძი.

რადგანაც პირობის მიხედვით შემდეგ მაისში უკვე გამოცდაზე უნდა წარვმდგარიყავ გიმნაზიაში, სექტემბერში რამდენიმე ჯგუფს გადამახტუნეს და იმათთან დამსვეს, ვინც უკვე გიმნაზიის მოსამზადებელი კლასისთვის ემზადებოდა. მე ამით თავი მომწონდა, ვიჯექ, რომ იტყვიან, გუგულივით და არც მე ვაწუხებდი მასწავლებელს და არც მასწავლებელი მე. ასე გავიდა ორი თუ სამი კვირა. ერთ მშვენიერ დღეს კლასში შემოვიდა ოცხელი. ხელში ჟურნალი ეჭირა. ამოიკითხა რამდენიმე გვარი და მათ შორის ჩემიც. ძლიერ კმაყოფილი დავრჩი, მეც მიცნობენ-მეთქი. „გამოდით წინო“, და გავედით. „თქვენ, — გამოგვიცხადა, — ამ ჯგუფისთვის სუსტები ხართ და ისევ უკან უნდა დაგაბრუნოთო“. ეხლა კი გულს შემომეყარა, წამოვიდა ცრემლები ღაპაღუპით... როგორც ჩანს, მასწავლებელ ქალს შეეცოდე, ამიყვანა ხელში და ოცხელს მიმართა, — იოსებ, ეს დამიტოვეო. „თუ შენ პასუხისმგებლობას კისრულობ, მე საწინააღმდეგო რა მექნებაო“, — უპასუხა და ჩემი ბედი გადაწყდა.

არ ვიცი, რამ გამოიწვია მთელი ეს ამბავი, მაგრამ შემდეგ, რაც მახსოვს, ერთადერთი ნიშანი, რომელსაც მე მიწერდნენ, იყო ხუთი მიმატებით და ბევრად ვუსწრებდი წინ მთელ ჯგუფს. ამგვარი გაუგებრობა, ჩანს, შესაძლებელი არის. კარგ სკოლაშიც და კარგი მასწავლებლების ხელშიც. ყოველ შემთხვევაში ბრალი უდავოდ ჩემიც იყო: ასე მემართებოდა შემდეგშიც, სკოლაშიც და ცხოვრებაშიც.

თვითონ იოსები არაფერს გვასწავლიდა, არც ჩვენ ჯგუფს და არც სხვებს. შემთხვევით თუ ჩაატარებდა ერთ-ორ საათს. მახსოვს ასეთი შემთხვევები და არც როდის დამავიწყდება. ნამდვილი არტისტი იყო, თან ბუნებრივი პედაგოგი.

მოაწია მაისმაც. წაგვიყვანეს გამოცდებზე გიმნაზიაში. შენობაში, სადაც ახლა I ათწლედი არის. უნდა ჩაგვებარებია სამღვთო სჯული, რუსული (წერა და ზეპირი) და არითმეტიკა, ყველაფერი რუსულად. წერაში კარნახს უკრაინელი იურკევსკი ატარებდა. „დრუღოვა, დრუღოვა“, — იმეორებდა ხაზგასმით. ეს რა უბედურებაა, ვფიქრობდი, მე ყოველთვის „დრუგოვო“ გამიგონია და როგორღა დავწერო-მეთქი? — ბოლოს ჩავიქნიე ხელი და დავწერე „დრუგოგო“, როგორც მესწავლა.

ზეპირზე გიმნაზიის ახალი დირექტორი ჩებიშიც გვესწრებოდა. მასწავლებლის ერთი-ორი კითხვის შემდეგ ჩაერია საქმეში: ამოიღო ჯიბიდან საათი და, რა დროაო, მკითხა. საათი მაშინ საკმაოდ იშვიათი იყო, მაგრამ მამაჩემის საათი არაერთხელ მჭეროდა ხელში. მეორე მხრით, რომაული ციფრებიც კარგად ვიცოდი იოსების ერთი გაკვეთილის შემდეგ. ვუთხარი, რა დროც იყო. Ступай-ো! და გამომიშვა.

გათავდა გამოცდები. მეც მიღებულთა რიცხვში აღმოვჩნდი და ეს ამბავი შინ მივიტანე. არც მამას, არც დედას გიმნაზიაში ფეხი არ შეუდგამს. ღელავდნენ ალბათ, მაგრამ სხვაფრივ არ შეწუხებულან. ასე იყვნენ სხვა მშობლებიც, ყოველ შემთხვევაში დიდი უძეტესობა. პროტექციაზე და მისთანებზე არაფერი გამიგონია.

## გიმნაზია

გიმნაზიაში, როგორც ვთქვი, ერთი მოსამზადებელი (უფროსი მოსამზადებელი) და რვა გიმნაზიური კლასი იყო. ამრიგად, თუ გიმნაზიისთვის მზადებასაც მივიღებთ მხედველობაში, საშუალო განათლებას 11—12 წელიწადი სჭირდებოდა.

მოსამზადებელ კლასში სამღვთო სჯულს, რუსულს და არითმეტიკას ასწავლიდნენ. პირველი კლასიდან იწყებოდა სხვა საგნებიც, კერძოდ ლათინური ენა. ამ საგანს ყოველდღე ერთი საათი ეთმობოდა, ბევრად მეტი. ვიდრი რომელიმე სხვა საგანს, გარდა რუსულისა, რომელიც სწავლების ენაც იყო. მესამე თუ მეოთხე კლასიდან ვიწყებდით ბერძნულსაც, — ამიტომ ეწოდებოდა გიმნაზიას კლასიკური.

სხვა საგნები იყო: გეოგრაფია, ისტორია, არითმეტიკა, ალგებრა, გეომეტრია, ტრიგონომეტრია და რუსული ენა და ლიტერატურა ყველა კლასში, ფიზიკა მეექვსე კლასიდან. შემდეგ შემოიღეს სამართლისმცოდნეობაც, უკანასკნელ კლასში. ამას უნდა დავუმატოთ ახალი ენები, ფრანგული და გერმანული. ერთი სავალდებულო იყო, მეორე სურვილისამებრ. ხატვა და გიმნასტიკა მხოლოდ უმცროს კლასებში გვქონდა, მაგრამ ისე, რომ ჯობდა სულ არ ყოფილიყო.

ქიმიის და ბუნებისმეტყველებისა გიმნაზიაში ხსენებაც არ იყო.

რაც შეეხება ქართულ ენას, მას მხოლოდ პირველ ორ კლასში გვასწავლიდნენ. კვირაში ორი გაკვეთილი გვქონდა უკანასკნელ საათებში. მასწავლებელი იყო დეკანოზი გიგაური. სწავლების ამოცანას წერა-კითხვა შეადგენდა და, თუ მოწაფე გაბმულ კითხვას შესძლებდა, ეს იყო მიღწევათა მწვერვალი. მე ოცხელის სკოლიდან ამაზე ბევრად მეტი ვიცოდი და ამიტომ ქართულის გაკვეთილზე სხვა რამ საკითხავით ვიქცევდი თავს. გამოვცოცხლდებოდი, როდესაც მამა გიგაური რაიმე ძველ ამბავს გვიამბობდა. დასწრებით კი გაკვეთილებს აუცილებლად ვესწრებოდი, ისევე როგორც სხვა ამხანაგები, რომელთაც ქართული უკვე გიმნაზიაში შემოსვლამდე ჯეროვანად ესწავლათ: თავისთავადი, უცნობიერი ქართველობის ნაცვლად იწყებოდა უკვე ქართული პატრიოტიზმი.

მთელს გიმნაზიაში, რომლის ყველა კლასს პარალელური ახლდა, ასე რომ მოწაფეთა რიცხვი 700-მდე აღწევდა, ჩემი იქ შესვლისას მხოლოდ სამი მასწავლებელი იყო ქართველი: უკვე ხსენებული გიგაური, მოსამზადებელი კლასის მასწავლებელი ნ. ჯამარჯიძე და გალობის მასწავლებელი წერეთელი.

ამ უკანასკნელმა ცუდი საქმე მიყო: დაგვიბარა მოწაფეები, მათ შორის მეც; დაჰკრა კამერტონი მაგიდას და „ააა"... მეც — ااا „შენ, ყმაწვილო, წადი და ყურები გამოიწმინდეო!" — მითხრა. ეს იყო და ეს: ამის შემდეგ სიმღერას ვერავინ გამაბედვინებდა, თუნდაც ჩარი-რამას!

პატარა რამ მღერას ყველა მოახერხებს და სკოლის ამოცანა ის უნდა იყოს, ეს პატარა იმდენად განავითაროს, რომ ადამიანებს საშუალება მისცეს, თუ ერთად შეიკრიბებიან, დრო მხიარულად გაატარონ. წერეთელს კი, როგორც შემდეგ გავიგე, დავალებული ჰქონდა, გიმნაზიის ეკლესიისათვის ხორო შეედგინა და საამისო ხალხს ეძებდა.

ჯამარჯიძე ახალი მასწავლებელი იყო. სწორედ იმ წელიწადს დანიშნეს გიმნაზიაში, როდესაც მე მიმიღეს. წესისამებრ ყველა საგანს ის გვასწავლიდა. დიდი მონდომებით ეკიდებოდა საქმეს და მოწაფეებსაც უყვარდათ.

ასევე ახლი დანიშნული იყო გიმნაზიის დირექტორი ჩებიში, ტომით ჩეხი. როგორც ჩანს, მან მოისურვა ახალგაზრდა მასწავლებლის მუშაობის შედეგების გაცნობა. ჯამარჯიძემაც შეარჩია ათიოდე

მოწაფე, კარგი, საშუალო და სუსტი რუსულ ენაში, და წაგვიყვანა ცნობილ ოქროს ჩარდახში, სადაც იმ დროს დირექტორი ცხოვრობდა. არ ვიცი, მე რომელ კატეგორიაში ვიყავი, ალბათ საშუალოში ან სუსტში: რუსული ისე არ მემარჯვებოდა, როგორც იმათ, ვისთვისაც ეს სალაპარაკო ენა იყო.

შეგვიყვანეს ჩებიშის კაბინეტში. დაგვსხეს მაგიდის გარშემო. „აბა, რა ისწავლეთო?“, — გვეკითხება ჩებიში, — კრილოვის არაკებიო. — უპასუხეს. „მაგალითად რომელიო?“ Две бочки, — იყო პასუხი. „აბა, ვინ გვეტყვის ზეპირადო? ერთმა დაიწყო, მეორემ განაგრძო: Две бочки ехали... და სხვა. ყველაფერი რიგზეა. რამდენიმე სიტყვის განმარტება იკითხა და უპასუხეს. და უცებ: «Как-же это две бочки ехали?» — გვეკითხება. ასეთ კითხვას, ჩანდა, არავინ მოელოდა. ერთმა ასწია თითი, — კასრებს ფეხები ჰქონდათ და მირბოდნენო. ჩებიშს უკმაყოფილება დაეტყო. მეორე მიეშველა: თავდაღმართი იყო და კასრები მიგორავდნენო (ასეთი რამ მართლა ეხატა ერთ სახელმძღვანელოში). ჩებიშს წარბები შეეკრა, ჯამარჯიძე უიმედოდ გამოიყურებოდა. გავბედე ამ გაჭირვებაში და მეც ავსწიე თითი. «Ну?» — კასრები ბორბლებზე იქნებოდა და შიგ ცხენები გაბმული, როგორც ქალაქში დააქვთ წყალი მეთულუხეებს-მეთქი. ჩებიშს შუბლი გაეხსნა და ჯამარჯიძემაც თავისუფლად ამოისუნთქა. უკან რომ დავბრუნდით, გამოიტანა ჟურნალი და ჩამიწერა შიგ ხუთიანი. ეს იყო ალბათ ყველაზე იოლად მოპოვებული ხუთიანი ჩემს ცხოვრებაში.

წლის ბოლოს ისევ საკონკურსო გამოცდები და... გადაველ პირველ კლასში. ამის შემდეგ გიმნაზიის დამთავრებამდე გამოცდა აღარ მქონია. კლასიდან კლასში ნიშნების მიხედვით გადავყავდით. გამოცდები მხოლოდ სუსტებს ენიშნებოდა.

კლასიდან კლასში გადასვლისას რამდენიმე ბავშვს ქებითს ფურცელს (похвальный лист) გვაძლევდნენ ხოლმე, პირველი ან მეორე ხარისხისას. პირველხანად ფურცელი კარგი გაფორმებული იყო, შემდეგ ნაკლებად და ბოლოს გამოგვიცხადებდნენ კი, ესა და ეს დაჯილდოებულიაო, მაგრამ თვითონ ფურცელს აღარ გვაძლევდნენ. ისევე დასაწყისში ფურცელს საჩუქარიც ახლდა, რამე წიგნი წარწერით. პირველად პუშკინის ერთტომეული მომცეს, მეორედ კრებული სათაურით «Что окружает нас?» ამ წიგნმა კინაღამ ბუნებისმეტყველება შემაყვარა. წამოვიწყე ბოტანიკური ჰერბარიუმი

ნიკორწმინდაში, მაგრამ მალე თავი მივანებე. ასევე დავიწყე ეთნოგრაფიული ცნობების ჩაწერა, მაგრამ ესეც მალე მომწყინდა. ქიმიური ცდები აფეთქებით დამთავრდა და კინალამ მარჯვენა ხელის ცერი შეიწირა. არავინ მყავდა არც ხელმძღვანელი, არც წამქეზებელი. არც ისეთი, რომ ჩემი ინტერესი გაეზიარებინა.

გაკვეთილებს, შეიძლება ითქვას, შინ აროდეს ვამზადებდი, თუ წერითი დავალება არ იყო რამე. ოცხელის სკოლიდან გიმნაზიაში იმდენად წელმომაგრებული მოვედი, რომ სრულიად საკმაო იყო კლასში მუშაობისთვის გულდასმით მედევნებინა თვალყური. დიდი მშობლების დანაშაული, რომელნიც ყოველ ღონეს ხმარობენ, რათა არასაკმაოდ მომზადებული ბავშვი შეიყვანონ სასწავლებელში, — არ ჩამორჩესო. ჩამორჩენის საუკეთესო საშუალება სწორედ ეს არის. შემდეგ ბავშვს სწავლა უძნელდება. ბუნებრივად სწავლის ინტერესიც უსუსტდება და, თუმცა თავზედ ადგანან ბოქაულივით, რეპეტიტორსაც დაუქირავებენ, — არაფერი გამოდის. ავიწყდებათ, რომ უბედურება ის კი არ არის, რომ ბავშვი ზარმაცობს და გაკვეთილებს არ სწავლობს, — მას შესაფერი მომზადება არა აქვს. საშუალო სკოლაში გეგმით გათვალისწინებული მუშაობა კლასში უნდა წარმოებდეს და ძირითადად იქვე თავდებოდეს.

დედაჩემი აუხირდა მამას: „კაცო, ეს ბავშვი ისე მიიღეს გიმნაზიაში, რომ ფეხი არსად გადაგვიდგამს. შემდეგ წლები გადის, ერთი არ მიგიკითხავს ამბის გასაგებად. ღმერთმანი, უპატრონო ეგონებათ. ერთი მაინც, რა არის, შეიარეო“.

მამას ყოველგვარი ოფიციალური ვიზიტები საოცრად ეზარებოდა, თითქმის აშინებდა. ამიტომ უპასუხებდა: „ბავშვი კარგად სწავლობს, ნიშნები ჩინებული მოაქვს, საყვედური არავისგან გაგვიგონია და ჩემი მისვლა რა მოხელე იქნებაო?“ მაგრამ დედა თავისას არ იშლიდა. ბოლოს მამამ ხელი ჩაიქნია, ჩაიცვა მუნდირი და მოვიდა გიმნაზიაში. შეიყვანეს ჩებიშთან, რომელიც ჩემი კლასის დამრიგებელიც იყო. დაჯდა და სათქმელი ვერაფერი უპოვია. ისევ ჩებიში მიეშველა, დაუწყო გამოკითხვა ჩემ შესახებ. „ხომ არ გაწუხებთ შინ, ხომ არ ცელქობსო?“ — არა, ბატონო, საყვედური არ გვეთქმისო: „თუ მუშაობს კარგადო?“ მამამ იფიქრა, საჭიროა კრიტიკაო და ახლა საბაბიც იშოვა:

— მუშაობს, კი, მუშაობს, მაგრამ არასოდეს გაკვეთილებს არ

სწავლობსო. სულ რაღაც სხვა წიგნებს ჩაჰკირკიტებსო. ჩებიშს გაეღიმა: „არაფერია, ხელს ნუ შეუშლით; იკითხოს, რაც მოესურვებაო“.

ჯერ კიდევ მოსამზადებელ კლასში ვიყავი, მამა რომ ლეჩხუმში, ცაგერში გადაიყვანეს სასამართლოს აღმასრულებლად. ხელფასი უორკეცდებოდა და უარი არ ითქმოდა. ოჯახი ცაგერში გადავიდა. მე კი დამტოვეს ერთი ნათესავის ოჯახში. ბინა გიმნაზიის შენობის გვერდით იყო, ასე რომ, ქუჩის გადარბენა მჭირდებოდა მხოლოდ. ერთი წლის შემდეგ მეორე ნათესავთან გადამიყვანეს, ახლა უკვე მესხეთის ქუჩაზე. ეს იყო ქვრივი დედა და სამი შვილი, უკვე დიდები, სწავლადამთავრებულები. მათ ჰქონდათ ინგლისურ სტილზე აგებული დიდი სახლი ინგლისურივე პარკით. მაგრამ იქვე გვერდით იყო დიდი ჩვენებური ეზო, რომელშიაც იდგა სამზარეულო, სამრეცხაო და ფარდული ურმისათვის. საქმე ის არის, რომ ქუთაისის ახლოს, სოფელ ქვიტირში მათ ყანებიც ჰქონდათ და შემოდგომაზე მოსავლით დატვირთული ურმები მოსდიოდათ.

ეზოს გაგრძელებაზე იყო კარგა დიდი ვენახი, ხოლო მის მარჯვნივ მეორე ეზო და შიგ ხის ოდა და ბეღელი. ოდა ცარიელი იყო და მხოლოდ დარბაზს იყენებდნენ მარნის სანაცვლოდ, ეზო კი მეორე ქუჩაში გადიოდა.

ამგვარად, თითქო ქალაქში ვცხოვრობდი და სოფელშიც ერთდროულად. ოჯახი პატრიარქალური იყო, ყველა სათანადო ჩვევით. ჩემთვის კი მთავარი ის იყო, რომ დიდ სასტუმრო დარბაზში იდგა ეტაჟერი, რომლის თაროებზე ჩამწკრივებულიყვნენ აკაკი და ილია და რუსი კლასიკოსები: პუშკინი, ლერმონტოვი, გოგოლი, ტურგენევი, გონჩაროვი... იქვე მაგიდაზე იდო „ვეფხისტყაოსნის“ ქართველი-შვილისეული გამოცემა. მთელი ეს განძი სრულ ჩემ განკარგულებაში იყო და მეც ხარბად დავეწაფე მას. მესამე-მეოთხე კლასში ყოფნისას „ვეფხისტყაოსანი“ რამდენიმეჯერ მქონდა გადაკითხული და ზოგი ადგილი ზეპირადაც ვიცოდი მიუხედავად იმისა, რომ ლექსების გაზეპირება აშკარად მეჯავრებოდა და მასწავლებელთა დავალებას ამ მხრივ იშვიათად ვასრულებდი. როგორც ჩემს ასაკს შეეფეროდა, განსაკუთრებით მომწონდა ავთანდილის ანდერძი.

მალე გავიგე, რომ ქუთაისში არსებობდა ქალაქის საჯარო ბიბლიოთეკა, რომ ბიბლიოთეკაში მრავალი კარგი წიგნია და ამ წიგნებით სარგებლობა შეიძლება თუ აბონემენტს შევიძენ. აბონემენტი

საკმაოდ ძვირი იყო, მაგრამ შინიდან საუზმის ფული მომდიოდა რეგულარულად. აქედან დავისესხე და აბონენტი გავხდი. პირველ ხანად უფრო ბიჩერ სტოუს, მაინ რიდს, ფენიმორ კუპერს და ჟიულ ვერნს ვეძალებოდი. არა მარტო თავგადასავალთა ინტერესით, — ენა მინდოდა უკეთ შემესწავლა, რუსული, რომელზეც ლაპარაკი მარტო გაკვეთილებზე მიხდებოდა. შემდეგ ამას სხვა რამეებიც მოჰყვა. ახლა ერთი აღარ მაკმაყოფილებდა და ორ აბონემენტზე ჩავეწერე. საუზმე მესამედზე დავიყვანე, მაგრამ ეს დიდი უბედურება არ იყო გიმნაზიის გვერდით რაჭული თონე მეგულებოდა. დიდ დასვენებაზე იქ გავირბენდი და ორკაპიკიან ცხელი თონის პურს ვიყიდდი, — ამაზე უკეთესი აბა რა იქნებოდა!

## მასწავლებლები

პირველი კლასიდან სხვადასხვა საგანს სხვადასხვა მასწავლებელი გვასწავლიდა და მასწავლებელთა რიცხვი საკმაოდ დიდი იყო მაგრამ ჩვენთან საერთო მათ არაფერი ჰქონდათ, მხოლოდ გაკვეთილებზე ვხვდებოდით ერთმანეთს. ამიტომ გასაგებია, რომ თითქმის აღარავინ მაგონდება მათგან, გარდა ერთი-ორისა.

ერთი ასეთი იყო მათემატიკის მასწავლებელი სემიონოვი. სემიონოვი ქუთაისელი იყო და ქართული კარგად იცოდა, თუმცა ამას არასოდეს არ ამჟღავნებდა. ძლიერ თავდაჭერილი იყო, არასოდეს არ აღელდებოდა და მოწაფეებში ობიექტური ადამიანის სახელით სარგებლობდა.

ერთხელ, საღამოს, ქალაქის ბიბლიოთეკიდან მოვდიოდი. წიგნი გამოვიტანე და შინ მიმეჩქარებოდა. გზაში სემიონოვი შემხვდა. სალამი მივეც შესაფერად. გამაჩერა, საიდან და საით მიდიხარო. ვუთხარი. „ეგ, ხელში, რა წიგნი გაქვსო?“ ვუჩვენე, — ბიბლიოთეკიდან მომაქვს-მეთქი. შევატყვე, არ იამა, ქართული რომ იყო. გადმომითარგმნე სათაურიო, მითხრა და აშკარად ჩანდა, უნდოდა შეეერცხვინე, რუსული არ იციო. ვუთარგმნე სწორად: «Илъя Чъавчавадзе и его общественная деятельность», ჯერ კი შეჩერდა და მაინც: „ასეთ რამეებს არ გირჩევნია, რომ რუსული იკითხო და ენა ისწავლოო!“ ეს უბრალო სიტყვები ისეთი გესლით მითხრა, რომ მსგავსი არც მანამდე და არც შემდეგ არაფერი მახსოვს, ან ასე

მგონია. გამოვართვი წიგნი, ცივად მოვტრიალდი და დავცილდი ისე, რომ სალამიც არ მიმიცია. ეს როგორღაც ავტომატურად მოხდა.

ეს იყო და ეს. ამის შემდეგ, თუმცა არაფერი უთქვამს, გარკვეულად ამითვალისწუნა. მეც სრულიად გარკვეული აზრი შევიდგინე მის შესახებ. მაინც მან ჩემს მოლოდინს გადააჭარბა, იმდენად წვრილმანი და გულჩახვეული აღმოჩნდა. შემთხვევას უცდიდა, რომ ჩემი ჯავრი ამოეყარა, მაგრამ მათემატიკაში ძლიერი ვიყავი და ამ მხრივ გასაქანი არ ჰქონდა. და აი მოხდა, რომ პირველი გაკვეთილი ალგებრისა იყო და მე ხუთიოდე წუთით დავიგვიანე როგორღაც. შეველ კლასში და კართან გავჩერდი, როგორც წესად გვქონდა ასეთ შემთხვევაში. სემიონოვს უკვე ერთი მოწაფე გამოეძახა და უსმენდა. ჩემს შემოსვლაზე მოწაფე შეჩერდა და სიჩუმე ჩამოვარდა. სემიონოვი მოტრიალდა ჩემკენ და „განაგრძეო". გაკვირვებული კლასი ამოძრავდა. მე მხრები ავიჩეჩე და ვიდექ უჩუმრად. „ა, არ იცი? დაჯექი" და დამიწერა ორიანი.

მოახლოვდა მეოთხედის ბოლო, ვისაც სუსტი ნიშანი ჰქონდა, სემიონოვს სთხოვდა, მკითხეო, და ნიშნის გამოსწორებას ცდილობდა. სემიონოვი ცხადად ელოდა ჩემს თხოვნას და, უეჭველია, მზად იყო გამოეყენებია ეს ჩემს დასამცირებლად. მაგრამ მე თხოვნა ფიქრადაც არ მომსვლია. ახლა ის თვითონ ჩავარდა უხერხულ მდგომარეობაში. იძულებული შეიქნა დაეწერა ზეპირში ორი და წერაში ხუთი, რასაც არ შეიძლებოდა პედაგოგიური საბჭოს და კლასის დამრიგებლის (იმავე დროს დირექტორის) ყურადღება არ მიექცია. კლასისთვისაც რომელმაც მიზეზი არ იცოდა, ეს უცნაური ანეკდოტი იყო. საერთო შედეგი კი ის დარჩა, რომ მათემატიკაზე გული ავიცრუე.

მეორე მასწავლებელი, რომელზედაც მინდა ორი სიტყვა ვთქვა, ჩებიშია — ლათინურის მასწავლებელი, ჩემი კლასის დამრიგებელი პირველი კლასიდან მერვემდე და დირექტორი. მე, თუმცა სიტყვებს არასოდეს არ ვსწავლობდი, მაინც საუკეთესო ლათინისტად ვითვლებოდი: გრამატიკა, სინტაქსისი და ტექსტის ინტერპრეტაცია მემარჯვებოდა და ჩებიშსაც ეს უყვარდა. გაკვეთილს არასოდეს არ მკითხავდა. თუ რამე კითხვა ძნელი აღმოჩნდებოდა, სანამ ყველას არ ჩამოუვლიდა, მე არ მომმართავდა და, თუ ვერც მე ვუპასუხებდი, წამოვარდებოდა, და დაიწყებდა გაჯავრებული ოთახში სიარულს წინ და უკან.

ჩემი მოვალეობა იყო აგრეთვე ახალი ტექსტის წაკითხვა და თარგმნა-განმარტება. მეც ამისთვის მზად ვიყავი. ჩემი ამხანაგი კაშჩენკო არაჩვეულებრივად კარგად ორგანიზებული და შრომისმოყვარე მოსწავლე იყო. მას ყოველთვის წინასწარ ჰქონდა რამდენიმე გაკვეთილის სიტყვები ამოწერილი. მეც გაკვეთილის წინ მის რვეულს გადავხედავდი და ჩებიშის მოთხოვნისამებრ ახალ ტექსტს ვთარგმნიდი. ყველაფერი რიგზე მიდიოდა თითქო, მაგრამ ამ იოლი მუშაობის შედეგი ის იყო, რომ ლათინური არ მისწავლია, როგორც ჩებიშის ხელში შეიძლებოდა გესწავლა. ესეცაა, რომ იმ დროს მოწინავე ინტელიგენცია ძლიერ კრიტიკულად აფასებდა კლასიკურ განათლებას და ახალგაზრდობაშიც ასეთი განწყობილება ძლიერი იყო.

ლათინური ენის გაკვეთილებზე ჩებიში გატაცებით გვიამბობდა ბერძნულ-რომაული მითოლოგიის და ისტორიის ამბებს. ასეთ დროს ხშირად კითხვით მოგვმართავდა, რა ხდებოდა იმ დროს საქართველოში, ვინ იყო მეფე, რა გააკეთა, როგორი იყო პოლიტიკური ან კულტურული ცხოვრების ვითარებაო, და, რადგან ჩვენგან პასუხს ვერ ღებულობდა, აღელვებული დაგვიწყებდა ტუქსვას: რა უხეიროები ხართ, თქვენთვის ათენი და რომი რა საჭიროა, რომ საკუთარ ქვეყანას და მის წარსულს არ იცნობთო, და ა. შ.

როგორც კლასის დამრიგებელს, ჩებიშს თავისუფალ გაკვეთილებზეც უხდებოდა შემოსვლა, კერძოდ მათემატიკის გაკვეთილებზე, როდესაც ავადმყოფობის თუ სხვა მიზეზის გამო სემიონოვი არ იყო. გაკვეთილს არ გვკითხავდა. ახალ თეორემას მოგვცემდა და, აბა, ვინ დაამტკიცებსო! ან კიდევ რამე ამოცანას გეომეტრიულ აგებაზე, რაც სემიონოვისგან არასოდეს გვენახა. ასეთ შემთხვევაში მთლად ავინთებოდი. გაკვეთილი ჩემი და ჩებიშის დიალოგად იქცეოდა თითქმის და თვითონ მიკვირდა, რამდენ მიხვედრილობას ვპოულობდი ჩემში. ამ წუთებში მათემატიკა მიყვარდა. ჩებიშის შესახებ კი შემდეგაც მექნება საუბარი.

როდესაც მასწავლებლებზე ვლაპარაკობ, მე მხედველობაში მყავს გიმნაზიის მასწავლებლები, მაგრამ არ შემიძლია აქვე არ მოვიხსენიო იოსებ ოცხელიც, რომელსაც სწორედ ამ წლებში დავუახლოვდი. გიმნაზიაში შესვლის შემდეგ გავიდა 4 წელიწადზე მეტი და იოსები არ მენახა. უკვე მეოთხე კლასში ვიქნებოდი, რომ ერთხელ ქუჩაში მიმავალს შემხვდა. გამაჩერა და სწავლის ამბავი გამომკი-

თხა. მერე დამავალა, შენ და ბიქტორ ღოღელიანი (მისი მოწაფე და ჩემი კლასის ამხანაგი იყო) ხვალ საღამოს ჩემთან შემოდითო.

მეორე დღეს წავედით. თბილისის ქუჩიდან მოკლე ქუჩა-ბანდს ავყევით და შევედით მის მამულში: ეს იყო შენობები და დიდი ეზო, რომლის ნაწილს წარმოადგენდა მოზრდილი ვენახი და ბაღი. იოსები ჩვენი მისვლისას ბაღში მუშაობდა. გატაცებით გვიამბო, თუ რას აკეთებდა. შემდეგ სკის ბუკები გვიჩვენა და დაწვრილებით გვიხსნიდა, როგორ უნდა მათი მოვლა. ამასობაში შემოღამდა კიდეც და შინ შეგვიყვანა, თავის კაბინეტში. აქ, სანამ ჩაი მოგვიტანეს, სწავლის ამბებზე გვესაუბრა, წამოსვლისას კი პირობა დაგვადებინა, რომ დროგამოშვებით ასევე მივსულიყავით ხოლმე მასთან.

აღტაცებული წამოვედით და მის დავალებას, რასაკვირველია პუნქტუალურად ვასრულებდით. არ იქნებოდა, რომ წელიწადში რამოდენიმეჯერ არ მივსულიყავით. გველაპარაკებოდა სწავლის და თვითგანვითარების საკითხებზე, საქართველოს ცხოვრებაზე, გვიხსნიდა ჩვენთვის უცნობ საკითხებს, გვიამბობდა სხვადასხვა რასმე. არაჩვეულებრივი ხელოვნებით და გატაცებით გვიამბო ჟან ვალჟანის თავგადასავალი ვ. ჰიუგოს Les miserables-დან, რომელიც მაშინ წაკითხული არ გვქონდა.

ერთხელ გვკითხა, თუ იცით, რა არის ფიზიკაო? ვაღიარეთ, წარმოდგენა არა გვაქვს-თქო. გაისად დაიწყებთ მაგის სწავლას, ძლიერ საინტერესო საგანიაო. და განაგრძო: „აი, მაგალითად, სინათლე ხომ იცით, რა არის, და უეჭველად გგონიათ, წამიერად ვრცელდებაო, თუ სადმე გაჩნდა, იმ წამსვე დავინახავთო. მაგრამ არა, ფიზიკოსებმა დაამტკიცეს, რომ ჩვენამდე მოსაღწევად სინათლეს გარკვეული დრო სჭირდება, მით უფრო მეტი, რაც უფრო შორიდან მოდისო". ჩვენ სულთქმა ვერ მოგვებრუნებინა, განცვიფრებული და აღტაცებული შევყურებდით. მისი ახსნილი ყველაფერი გასაგები იყო: სინათლის სიჩქარეც გაზომესო. მაგ., მზიდან ჩვენამდე მოსაღწევად სინათლეს რვა წუთი სჭირდებაო. ასე რომ, მზე რომ ამოვა რვა წუთი გაივლის სანამ მას დავინახავდეთო". შეუძლებელია-მეთქი, მივაძახე აცახცახებულმა. წარბი შეიჭმუხნა: „როგორ შეუძლებელიო?" — მზე რომ ამოიხედავს გორის იქეთიდან, ჩვენ რომ სინათლეს დავინახავთ, ის ხომ უკვე მოსული იყო გორამდე-მეთქი, ვუპასუხე. იმ ღამეს შინ რომ დავბრუნდი, დიდხანს ვერ დავიძინე: ეს საკვირველი ამბები მედგა თვალწინ.

იოსებს ძლიერ ახარებდა ჩემი წარმატება სწავლაში. „უსათუოდ პეტერბურგში უნდა განაგრძო სწავლა აღმოსავლურ ფაკულტეტზე და საქართველოს ისტორიკოსი გამოხვიდეო“, მეტყოდა ხშირად.

## აღზრდა და ოჯახი

ასეთ გარემოცვაში მიხდებოდა სწავლა. რასაკვირველია, წლების მანძილზე იცვლებოდა გარემოცვა და ვიცვლებოდი მეც. ცოდნას ცოტ-ცოტა ემატებოდა, მაგრამ შესაძენი მთავარი სხვა იყო, ყველაფერი ის, რასაც სიტყვით — „აღზრდა“ — გამოვხატავთ. სწავლასაც ხომ უზარმაზარი აღმზრდელობითი ძალა აქვს, სკოლის გარემოსაც, მაგრამ მთავარი ფაქტორები აქ მაინც სხვა არის. ერთი აგეთი არის ოჯახიც.

თუმცა რამდენიმე წლის განმავლობაში მშობლიურ კერას ნაწილობრივ მოწყვეტილი ვიყავ, მაგრამ საშობოდ და სააღდგომოდ ყოველთვის წამიყვანდნენ ცაგერს. ზაფხულსაც ხომ ან ცაგერში, ან ნიკორწმინდაში ვატარებდი, ხოლო როდესაც ჩემი დებიც სასწავლებელში შესაყვანი გახდნენ, დედა იძულებული შეიქნა ქუთაისს გადმოსულიყო.

ამგვარად, ჩემი აღზრდა ძირითადად ოჯახში მიმდინარეობდა. ეს იყო გარემო, საიდანაც ქცევის ჩვევებს და კანონებს ვითვისებდი. კეთილის და ბოროტის საკითხი არ არსებობდა: იგი საუკუნეების მანძილზე მტკიცედ გადაეწყვიტა ჩვენს მამა-პაპას და ახლა ისღა დარჩენილიყო საზრუნავი, რომ კეთილის გზით გვევლო.

მშობლებსაც, არც დედას, არც მამას, აღმზრდელობითი რამე პრეტენზიები არასოდეს არ ჰქონიათ, არ უფიქრიათ, შვილები რა წესებზე და რა ხერხით უნდა აღვზარდოთო. იცოდნენ, რომ კარგი და ბედნიერი ხალხი უნდა გამოვსულიყავით, ეჭვი არ ჰქონდათ, რომ ამის საუკეთესო საშუალება სკოლა არის და არაფერს არ იშურებდნენ, რათა ამ საქმეში ჩვენთვის ხელი შეეწყოთ. არავითარი ქადაგება, არავითარი ჩიჩინი. მათი ძალა, თვითონ მათთვის უცნობი, მათივე ცხოვრების მაგალითი იყო: დაუღალავი შრომა, მუდმივი ზრუნვა ჩვენი და ერთმანეთის სიკეთისათვის. მიუხედავად იმისა, რომ მუდამ ხელმოკლედ იყვნენ, არავითარი სურვილი იოლი გზით

რისამე შეძენისა. ყველაზი პატივისცემა, კერძოდ უფროსებისაც, მაგრამ არასოდეს თუნდაც უმცირესი ნაბიჯი მათი გულის მოსაგებლად გამიზნული. საკუთარ ღირსებაზე ლაპარაკი მათგან არ გამიგონია, მაგრამ არც ის მახსოვს, რომ როდისმე ვისამე წინაშე თავი დაემცირებიოთ.

ჩვენს ოჯახში რამე უსიამოვნება ერთურთში არ მაგონდება.

არ გამიგონია, რომ ჩვენსა ჭორი რამ თქმულიყო, არ მახსოვს, რომ ვისიმე კარგი არ გახარებოდეთ.

თუმცა შვილების სიყვარული, მათ რომ ჰქონდათ, მეტი არც უნდა შეიძლებოდეს, მაგრამ ხვევნა-კოცნას და საერთოდ სიყვარულის ოსტენტაციას ჩვეული არ ვიყავით. ქუთაისიდან რომ ჩავიდოდი შინ, მაშინ გადამკოცნიდნენ და შემდეგ უკან გამობრუნებისას. სამაგიეროდ, არც ჯიჯღინი იცოდნენ და მით უმეტეს ცემა. ერთხელ იყო მხოლოდ, რომ მამამ გამარტყა. მაშინ 4—5 წლის ვიქნებოდი. დილას სასადილო ოთახში რომ შეველ, დავინახე, მამა მაგიდას მისჯდომია და ფოსტას არჩევს. ავედი სკამზე, სკამიდან მაგიდაზე და მივცოცდი ახლოს. ვხედავ, აიღებს კონვერტს, გახსნის, წაიკითხავს და რაღაცას წერს. მოვისურვე დავხმარებოდი. ერთი კონვერტი ავიღე და ისე სუფთად გავხსენი, უკეთესი არ შეიძლებოდა. მივაწოდე, — აი, გაგიხსენი-მეთქი. დახედა, — ეს რა გიქნიაო, და ერთი მტკიცა კისერში: თურმე მისი უფროსის პირადი წერილი გამეხსნა!

აღშფოთებული და გულის სიღრმემდე შეურაცხყოფილი ჩამოვედი მაგიდიდან. ხმა არ ამომიღია, მაგრამ ცრემლები ღაპაღუპით მოდიოდა, განვმარტოვდი მეორე ოთახის კუთხეში, ვტიროდი უჩუმრად, გულამომჯდარი, და თან გეგმებს ვაწყობდი: „ამაღამ სახლიდან გავიპარები, გადავიკარგები ისე, რომ ვეღარავინ მომაგნოს; დამიწყებენ ძებნას, ვერ მიპოვნიან; ი ნ ა ნ ე ბ ე ნ თავის უსამართლო საქციელს, ბევრსაც იტირებენ, მაგრამ ვერას გახდებიან, აგრეც მოუხდებათ, — შემდეგში მადლობის ნაცვლად ცემას არავის დაუწყებენ“...

ბევრი წლის შემდეგ, მამაჩემის გაჯავრება თუ მინდოდა, ამ ამბავს მოვაგონებდი. ისიც აღელვებული მიმტკიცებდა, სულ ტყუილია, არაფერი მაგის მსგავსი არ მომხდარაო.

დედ-მამასთან ურთიერთობა სრულ ნდობაზე იყო აგებული.

თითქმის ბავშვობიდან ყველა საკითხს, რაც მე შემეხებოდა, მე თვითონვე ვწყვეტდი. რაც უნდა მომეთხოვა, შემისრულებდნენ, თუკი შეეძლოთ. სანაცვლოდ, მე ფიქრად არ მომივიდოდა ძნელი რამ მეთხოვა და ისიც, თუ აუცილებლად საჭიროდ არ მიმაჩნდა. პატარას სათამაშოები არ მახსოვს, რომ მქონოდეს, მშვილდ-ისრისა და ერქნის კიდე, მაგრამ 6 წლისას ხარისხიანი უნაგირი გამიკეთეს, რათა დამოუკიდებლად ვმჯდარიყავ ცხენზე, ცოტა უფრო გვიან ფილთა-თოფიც გამიჩნდა ჩიტებზე სანადიროდ.

12 წლისა ვიქნებოდი, როდესაც ქუთაისს ჩამოსულმა მამამ მოულოდნელად მომმართა რაღაც ოჯახურ საქმის გამო: ასეთი და ასეთია მდგომარეობა და შენი აზრი რა იქნებაო? ჩემი აზრი აბა რა უნდა ყოფილიყო, მაგრამ ამის შემდეგ კიდევ მეტ პატივსა ვცემდი. უკვე 50 წლის ვიყავ, როდესაც ერთმა მეგობარმა გაკვირვებით მიაქცია ჩემი ყურადღება, დედას და მამას თქვენობით ელაპარაკებიო. გამიკვიდრა მეც — აროდეს შემემჩნია — მაგრამ რომ ვუკვირდები, ვერც წარმომიდგენია, რომ მშობლებისთვის „შენ“ მეთქვა. მერე საიდან მოდის ეს? შეუძლებელია, რომ თვით დედას ან მამას ასეთი რამ მოეთხოვა და ესწავლებია ჩემთვის. უეჭველად ტრადიცია უნდა ყოფილიყო.

იმავე დროს ვერ წარმომედგინა, შვილი გაზრდილიყო და მშობლების გვერდით, მთელი თავისი ძალ-ღონით მშობლების დამხმარე არ ყოფილიყო. ისეთი გამოთქმები: შვილი მშობლებზე ზრუნავს, მშობლები შვილის კმაყოფაზედ არიანო, აღმაშფოთებელ შეურაცხყოფად მიმაჩნდა ორივე მხარისთვის. მშობლები და შვილები ერთი მჭიდრო კოლექტივი უნდა ყოფილიყო, საერთო საზრუნავითა და პასუხისმგებლობით, და შვილები ისევე თავგადადებული მშობლებისათვის, როგორც ესენი მათთვის.

ესეც ალბათ ძველი სამყაროს და ძველი ოჯახის ტრადიცია არის!

## ღმერთი და ეკლესია

ჩემი აღზრდა ძირითადად ოჯახში და ნათესავ-ნაცნობებში მიმდინარეობდა და, რასაც აქ ვიძენდი, ეს იყო ცხოვრების კოდექსის ელემენტები და ჩვევები მხოლოდ. საჭირო იყო ამათი ერთობლივი სინთეზიც და ამას უკვე რელიგია იძლეოდა, საუკუნეთა მანძილზე ხალხის მიერ ათვისებულ-გადამუშავებული. ღმერთი იყო იმ

ტრადიციული მსოფლმხედველობის საფუძველი, რომლის ატმოსფეროშიც იმ დროის ბავშვები ვიზრდებოდით.

**რელიგიამ ჩემს ბავშვობაში** დიდი როლი ითამაშა, მაგრამ ეს ოჯახის გავლენა არ იყო. ბაბუაჩემი, მართალია, დაუეჭვებლად მორწმუნე ადამიანი იყო, მას აბსოლუტურად სჯეროდა ყველაფერი, რაც სამღვთო წერილში ეწერა, მაგრამ მისი რწმენა მოკლებული იყო ყოველგვარ ფანტაზიას და მით უმეტეს მისტიკას. სამღვდელო მოვალეობებს ზუსტად ასრულებდა, ეს მისთვის თავისთავად ცხადი და გარდუვალი რამეები იყო, მაგრამ ამითვე თავდებოდა ყველაფერი. შემდეგ სამღვთო საქმეებზე აღარ ფიქრობდა, რიტუალის გარეშე რელიგიური ინტერესები რამ მას არ ჰქონდა. არასოდეს სარწმუნოებაზე ჩემთვის არაფერი უთქვამს, არც ერთი ლოცვა არ უსწავლებია და არც უკითხავს, თუ იცით.

დიდედა და დედა აგრეთვე უდავოდ მორწმუნეები იყვნენ. საუდარში დაიარებოდნენ, თუ დროს იშოვნიდნენ, მარხვას ინახავდნენ ოთხშაბათ-პარასკევისასაც კი, მაგრამ იმავე დროს წინააღმდეგი იყვნენ, რომ ამ მხრივ მეც მათთვის მიმებაძა. ეს იყო ჩვენი მუდმივი დავის საკითხი. მაინც, მათ მასწავლეს პირჯვრის წერა, მირჩევდნენ საღამოს, ძილის წინ, ღმერთი უნდა ახსენოო, თუმცა მტკიცე არც ეს რჩევა იყო.

მამა სარწმუნოების საკითხებზე თუ რასმე იტყოდა, მხოლოდ ხუმრობით: აქაც გარდატეხის დრო იყო.

და აი ასეთ პირობებში მე უაღრესად მწვავე რელიგიური გრძნობა გამივითარდა. ამისი უშუალო მიზეზი სკოლაში სამღვთო წერილის გაცნობა იყო და ხალხური გავლენა. სამღვთო სჯულის სწავლა რომ დავიწყე, ებრაელების ისტორიამ, პატრიარქების და წინასწარმეტყველთა საქმეებმა, ქრისტეს თავგადასავალმა ჩემზე უდიდესი შთაბეჭდილება მოახდინა. გამიტაცა ამ ამბების პოეზიამ ისევე, როგორც მანამდე ზღაპრებმა, მაგრამ იმ დიდი განსხვავებით, რომ ყველაფერი ეს ჩემს ცხოვრებასაც ეხებოდა უშუალოდ და მეც შემეძლო, მევალებოდა კიდეც, აქ მოქმედი პირი ვყოფილიყავ.

ამას მოჰყვა რელიგიური გრძნობის ეგზალტაცია. მთელი გულით შევიყვარე ქრისტე, შევიყვარე მისი მცნება. რიტუალს ხომ ვასრულებდი — ეს თავისთავად იგულისხმებოდა, მაგრამ მთავარი ჩემთვის უშუალო რელიგიური განცდა იყო. საღამოს დაწოლისას დავიჩოქებდი და სრულ ერთ საათს ვლოცულობდი. არასოდეს არ მითქ-

ვამს გაზეპირებული რამ ლოცვა, წიგნებში რომ იყო და სკოლაშიც გვასწავლიდნენ. ვესაუბრებოდი ღმერთს ჩემი სიტყვებით, რომლებიც, ვიცოდი, მისთვის გასაგები იქნებოდა, და ლოყებიდან ცრემლები წვეთავდა. სადღაც ყური მომეკრა, ადამიანს შეუძლია ლოცვის შემდეგ, სანამ ტანთ გაიხდიდეს, კიდევ რამ შესცოდოსო, და ამიტომ, ტანისამოსის გახდის შემდეგ, საცვლებისამარა კიდევ ხუთიოდე წუთი უნდა მელოცა. მერე როგორი მსუბუქი გულით, როგორ თავისუფალი ყოველი ეჭვისგან დავწვებოდი ხოლმე ამის შემდეგ! ამ ჩემ პრაქტიკას ახლობლებიც მორიდებით ეპყრობოდნენ. როგორც შემდეგ გავიგე, ჩარკვიანებისას ყველას სასტიკად ჰქონდა აკრძალული იმ ოთახში გავლა, სადაც მე ვლოცულობდი, ლოცვის დროს!

ყოველ საქმეს აუცილებლად ღვთის ხსენებით ვიწყებდი და ყველაფერი კარგად მიდიოდა. მაინც ყველა ჩემი თხოვნა არ აუსრულებია ღმერთს. მაშინ მოსამზადებელ კლასში ვიყავი, რომ სამძიმო ცნობა მოგვივიდა. ბიძაჩემი პლატონი დაღუპულიყო სვანეთში, უშბაზე. პლატონი ძმებში უმცროსი იყო, კეთილი, ყოველთვის მხიარული, მშვენიერი მომღერალი და ჩემი დიდი მოყვარული. მისმა სიკვდილმა, რომელიც სრულიად დაუჯერებლად მეჩვენებოდა, მთლად შემზარა. განვმარტოვდი ოთახში და თვალცრემლიანი შევთხოვდი ღმერთს, მისმინე ყოვლისშემძლე, გააცოცხლე ბიძაჩემი და მის ნაცვლად მე წამიყვანე-მეთქი! მჯეროდა, რომ ჩემი პატარა თხოვნა შესმენილ იქნებოდა, მაგრამ არა, მალე დავრწმუნდი, რომ არა. მაინც ჩემი მხრივ ამას პროტესტი არ გამოუწვევია. თავს ვეუბნებოდი, სად შემიძლია მე ღვთის გზების გაგება, ღმერთმა უკეთ იცის, რა არის საჭირო და აუცილებელი-მეთქი.

ჩემს რწმენაში პირველი ბზარი სულ სხვა გარემოებამ გაავლო. როგორც სოფლად, ისე ქუთაისში არაერთს ეკლესიის მსახურს ვიცნობდი. მათ შორის იყვნენ უეჭველად ღირსეული ადამიანებიც, მაგრამ უმეტესობა უვიცი, ანგარებით აღსავსე და ზოგჯერ პირდაპირ ამორალური ხალხი იყო. განსაკუთრებით მაღელვებდა ის, რომ რწმენაც არ უჩანდათ მტკიცე, ერთს ამბობდნენ საყდარში და სულ სხვას შინაურობაში. ჩემი რწმენის ძალა მიკარნახებდა, რომ არ შეიძლებოდა ასეთი ხალხი ყოფილიყო შუამავალი ჩვენსა და ღმერთს შუა, არ შეიძლება ისინი განაგებდნენ ჩვენს ყველაზედ უფრო ფაქიზ გრძნობებს.

მაშინ უკვე ვიცოდი, რომ არსებობს ქრისტიანული აზრის სხვა-

დასხვა მიმდინარეობა, ვიცოდი, რომ არიან ე. წ. ევანგელისტები, წაკითხული მქონდა ზოგი რამ ტოლსტოისა და უფრო კი ტოლსტოის შესახებ და გადაჭრით ვაქციე ზურგი სამღვდელოებას და ეკლესიას, რომლის გამომხატველი სამღვდელოება არის.

მაგრამ აქ შეჩერება არ შეიძლებოდა. სანამ ტრადიციული სარწმუნოების მიმდევარი ვიყავ, ყველაფერი ნათელი ჩანდა. ნათელი იყო სარწმუნოების ეთიკური მხარე და ნათელი იყო რელიგიური მეტაფიზიკაც. ჩემთვის სასაცილოდაც არ კმაროდა, როდესაც ამხანაგები დაიწყებდნენ გულუბრყვილო კამათს, არის თუ არა ღმერთი ყოვლისშემძლეო; კერძოდ, შეუძლია თუ არა, ისეთი კლდე გააჩინოს, რომ ვერ ასწიოსო: თუ გააჩინა და ვერ ასწია, ყოვლისშემძლე არ ყოფილა, და თუ ვერ გააჩინა, მაშინაც ხომ არ იქნება ყოვლისშემძლეო!

რა ფასი ექნებოდა ჩემთვის, რომ ქრისტე უმწიკვლო ქალწულისგან კი არ დაბადებულიყო, არამედ დურგალ იოსებისა და მისი პატივსაცემი მეუღლისაგან, როგორც მილიონობით ბავშვები იბადებიან? რა მიმზიდველობა ექნებოდა ჩემთვის ლაზარეს ეპიზოდს, რომ ქრისტეს მისი სიკვდილის ფაქტი დაედასტურებია ოქმით, როგორც დღეს აქიმი მოიქცეოდა? რელიგიური მხილების მთელი ძალა და მიმზიდველობა სწორედ იმაში არის, რომ იგი ბუნებრივს სცილდება, — credo quia absurdum!

მაგრამ ტრადიციული რელიგია ერთია და განუყოფელი. რაკი ერთხელავე მისი რევიზია დავიწყე, რაკი დამოუკიდებელი გზის ძებნას შევუდექ, გონება და ცდა თავის უფლებებში შევიდა. ახლა რელიგიური მეტაფიზიკის მოსინჯვა აუცილებელი შეიქნა და ნათელი გახდა ის შეუსაბამობები, რომელნიც იქ დაგროვილან. აბსურდი მარტივად გამოიყურებოდა, როგორც აბსურდი. დაიწყო ანალიზის ნელი პროცესი, რომელიც რამდენიმე წელიწადს გაგრძელდა და დამთავრდა იმით, რომ ერთ მშვენიერ დღეს აღმოვაჩინე, რომ იმ ძველი რწმენის აღარაფერი დარჩენილიყო. მოხდა ეს უკრიზისოდ, სრულიად უმტკივნეულოდ.

ოჯახი აღზრდის ერთი მთავარ ფაქტორთაგანია, მაგრამ, როგორც ზემოთაც ვთქვი, არა ერთადერთი. აღზრდა ძირითადად საზოგადოებრივი ცხოვრების ფუნქციაა და, მეტად თუ ნაკლებად, ამ როლს ასრულებს ყველა კოლექტივი, რომელშიც ცხოვრება გვიხდება. ცხადია, ჩემთვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ამ მხრივ სკოლასაც — ამხანაგების წრეს, მასწავლებლებსაც რამდენადმე, — მაგრამ რაც შეეხება თვით სწავლას, მიღებულია შეხედულება, რომ განათლება და აღზრდა სხვადასხვა რამეა და სწავლის გავლენა აღზრდაზე მცირეა. ასეთი კატეგორიული ფორმით გამოთქმული ეს დებულება უეჭველად უმართებულოა. უეჭველია, აღზრდის მხრით სწავლებას ისეთი ეფექტი არა აქვს, როგორც გარემოს, მაგრამ მისი მნიშვნელობა მაინც დიდია. ცოდნა თავისთავად მოქმედების სტიმული ვერ იქნება, ვერც ჩვენ არჩევანს განსაზღვრავს, მაგრამ ის იძლევა მოქმედების ჩარჩოებს და ზრდის წარმატების ზომას.

განსაკუთრებით საყურადღებო კი ის არის, რომ, თუ მხედველობაში გვექნება თვითონ აღზრდის პროცესის მექანიზმის ცოდნა, არ შეიძლება არ დავინახოთ, რომ იგი შეგნებული, გეგმიანი აღზრდის საფუძველია. ყველა ზემოთ ჩამოთვლილი ფაქტორის მოქმედებას ავტომატური ხასიათი აქვს, ასეთი ცოდნა კი მიზანდასახული აღზრდის საშუალებას იძლევა. და, რაც მთავარია, იგი შესაძლებელს ხდის არა მარტო აღმზრდელის, არამედ თვით აღსაზრდელის ჩარევასაც ამ საქმეში, ე. ი. საკუთარი თავის აღზრდას.

უკვე უფროს კლასებში ვიყავი და ლევ ტოლსტოის მოთხრობები წაკითხული მქონდა. ამ ავტორმა თვითდაკვირვების ინტერესი და უნარი გამიღვივა. ჩვევად გადამექცა საკუთარი განცდების ჩხრეკა და ანალიზი. თანდათან უფრო ღრმად ვეფლობოდი ამ ჩემთვის ახალ სამყაროში. და ამ დროს მოხდა, რომ როგორღაც ინგლისელი ფსიქოლოგის სმაილსის შრომებს წავაწყდი ქალაქის ბიბლიოთეკაში: ხასიათი და ნებისყოფა, ნებისყოფის აღზრდა, ხასიათის აღზრდა... ჯერ საკითხის ფსიქოლოგიურმა მხარემ გამიტაცა, მერე თვით აღზრდის პრობლემამაც. კერძოდ, შესაძლებელია თუ არა, თავისთავის აღზრდა, შეიძლება თუ არა, ცნობილი ბარონ მიუნჰაუზენის მსგავსად, საკუთარ ქოჩორში ჩავივლო ხელი და საფლობიდან ამოვითრიო

თავი-მეთქი? და ვფიქრობდი, რომ სმაილსი მართალი უნდა ყოფილიყო, რომ ასეთი რამ შესაძლებელი უნდა იყოს.

მაშინ დეტერმინიზმი ჩემთვის უკვე ცნობილი რამ იყო, ვიცოდი, რომ ყველაფერი და, მაშასადამე, ადამიანის ქცევაც სათანადო მიზეზებით განისაზღვრება, რომ ერთნაირ მიზეზებს ყოველთვის იგივე შედეგი მოჰყვება და ამის შეცვლა შეუძლებელია.

თავისუფალი ნება ილუზია არის. ასე გამოთქმული ეს აზრი სწორი ჩანს, მაგრამ დეტერმინიზმი ხომ ჩვენს სურვილსაც იმ მიზეზთა შორის გულისხმობს, რომელნიც შედეგს განსაზღვრავენ? იგი სურვილიც ხომ ჩვენი ქცევის უდავო ფაქტორია, უდავო მიზეზი, თუმცა არა ერთადერთი? და თუ მე მაქვს სურვილი გარკვეული მიმართულებით ვიმოქმედო, თუ მინდა თვით ჩემი ხასიათი შევცვალო მეტად თუ ნაკლებად, რად უნდა იყოს ეს შეუძლებელი, რით ეწინააღმდეგება ასეთი განზრახვა დეტერმინიზმს? უეჭველად ძნელი წამოწყება არის, მაგრამ არა შეუსაბამო ან მიუწვდომელი. უდავოა, ყველას არ გაუჩნდება ასეთი სურვილი, მაგრამ თუ გაჩნდა, რად უნდა დარჩეს იგი უშედეგო?

და რომ უშედეგო არ იქნებოდა, ამის შემოწმება ჩემზედვე შეიძლებოდა მეცადა. გადავწყვიტე: თუ თავის აღზრდა შესაძლებელია, ეს შესაძლებლობა ჩემზედ უნდა მოვსინჯო, გამოვიყენო-მეთქი.

როგორ და რა მხრივ, რა უნდა გარდამექმნა სახელდობრ? არჩევანი დიდი იყო, გამოსწორებას ჩემში ბევრი რამ საჭიროებდა. ჩემი ხასიათის ერთი ასეთი ნაკლთაგანი, რომელსაც კარგად ვიცნობდი, იყო ბნელის ანგარიშმიუცემელი შიში. ბავშვობიდან სხვადასხვა ხალხური ცრუმორწმუნოების საფუძველზე ჩემს ფანტაზიას ბნელეთი ათასი უცხო და მავნე არსებით აევსო. ახლა ვიცოდი, რა თქმა უნდა, რომ ეს მოჭორილი ამბებია, მათზე ლაპარაკი სასაცილოდ მიმაჩნდა, მაგრამ ის გრძნობა ისევ დარჩენილიყო. ღამე სასაფლაოზე მარტო გავლა ხომ ვერც წარმომედგინა.

გადავწყვიტე მომესპო ეს ინსტინქტური შიში. მომესპო მისი დაძლევის პრაქტიკით. შიშის ანგარიშმიუცემელი გრძნობა ნებისყოფის დაძაბვით უნდა დამეძლია და ეს იმდენჯერ გამემეორებია, სანამ უცნობიერ ჩვევად არ გადამექცეოდა.

ქუთაისიდან ნიკორწმინდას მიმავალი დილის მატარებელს გავყვებოდი ხოლმე ტყიბულამდე, იქ ცხენს ვიქირავებდი და საკმაოდ ადრიანად გადავიდოდი შინ. ცხენის პატრონიც თან მომყვებოდა.

ახლა ნაშუადღევის მატარებელს გავყევი და ტყიბულს საღამოს ჩაველ. მივედი ნაცნობ დუქანში, — პატრონი ნიკორწმინდელი იყო. დავნაყრდი და ავდექ წასასვლელად. „რაო, სად მიდიხარო?“ — მკითხა სასომ (მედუქნემ). სად წავალ, ნიკორწმინდას-მეთქი, — ვუპასუხე ერთგვარი სიამაყით. „როგორ, ნიკორწმინდას ფეხით და ისიც ღამეო? ამაღამ მოიცადე, ჩემსა კარგად მოგასვენებენ, — აქვე ვარ ახლო, — და ხვალ დილით გიქირავებ ცხენსა და წადიო“. უარი ვუთხარი. „მაშ თუ მაინცა და მაინც არ მოიშლი, პატარა მაცალე, იქეთ მიმავალი ჯგუფი იქნება, გავიგებ და იმათ გაპყევიო“. ისევ უარი რომ შემატყო: „რას ამბობ, ბოშო, როგორ გაგიშვა? მერე რა ვუთხრა მამაშენს? ნაქერალას მარტო გადავლა ღამეში ვის გაუგონია; ვაჟკაცები არიან, მაგრამ სანამ რამდენიმე არ მოიყრის თავს, როგორ წავა ვინმეო!“ ამ ლაპარაკისთვის ყური აღარ მითხოვებია, მოვიკიდე ზურგზე ჩემი პატარა ბარგი, დავემშვიდობე და გავუდექი გზას.

მაღაროებს რომ გავცდი და ნაქერალას ძირში მიველ, უკვე შემოღამებული იყო. იმ დროს იშვიათი მოსახლეობა შორს დამრჩა, უკან. მთაში ვიყავ. შარაგზიდან გადავუხვიე და ავყევი ბილიკს, რომელიც შარის კავილებს სჭრის და ძლიერ ამოკლებს გზას. ბილიკი ტყეს მარჯვნივ სტოვებდა, შიშველზე მიდიოდა და მთვარიან ღამეში აქ ორიენტაცია ძნელი არ იყო. ზევით რომ აველ, გავიარე დარჩენილი მანძილი შარაგზით და ნაქერალას უნაგირას მივაღწიე. რაჭაში გადაველ, აქ მაშინ უღრანი ტყე იყო. მარჯვნიდან და მარცხნიდან გადმოზრდილ ხეებს ცა თითქმის მთლად დაეფარათ. მოკენჭილი შარა ძნელი დასანახავი შეიქნა და სვლა ტაატით მიხდებოდა. იმავე დროს მთის იდუმალი სიჩუმე და არსად ადამიანი: მაღაროებს აქეთ კაცი არავინ შემხვედრია. სიჩუმეს თუ რამე დაარღვევდა, ეს იყო ღამის ფრინველთა ფრთიალი ან ხისქვეშე ბუჩქნარში მგლის შლიგინი. დროგამოშვებით მოისმოდა კვერნის ან სინდიოფალას მიერ აწიოკებული ჩიტების წივილი.

მივდიოდი წინ — უკან დახევის საშუალება ხომ აღარც მქონდა — და მარჯვენა ხელი ჯიბეში მეჭირა, რევოლვერის ტარს არ ვაშორებდი. ეს იარაღი იყო, რომ სითამამეს მაძლევდა.

ასე გავიარე დარჩენილი ხუთი კილომეტრი და მიველ ხარისთვალაზე, სადაც მაშინ ორი თუ სამი დუქანი იდგა. აქ ათევდნენ ღამეს

ნაქერალასკენ მიმავალი დაგვიანებული მგზავრები. კაცსა და ძაღლს ყველას ეძინა.

შემდეგში გზა უკვე მინდვრიანს მიჰყვებოდა და ჩემი ამოცანა გაადვილდა. შინ რომ მიველ, ნაშუაღამევის პირველი იყო. ჭიშკარი დაკეტილი დამხვდა და ხიმეზე გადავხტი. რომ გაიგეს ჩემი მგზავრობის ამბავი, ერთი შეცხადება იყო: „ეს რა გიქნიაო! სად გაგონილაო? რომ რამე მოგვსვლოდაო!“ და სხვა ასეთი. მხოლოდ ბაბუას არაფერი უთქვამს. თვალებში ვატყობდი, რომ კმაყოფილი იყო.

ამის შემდეგ ღამის შიში თითქო უკვალოდ დაიკარგა. ზაფხულში ყოველთვის ღამით მგზავრობას ვარჩევდი. დღეს ვცდილობ წარმოვიდგინო, როგორი იყო ის შიშის განცდა, მაგრამ ვერც კი მომიხერხებია.

ამ პირველი ცდის წარმატებით წაქეზებული, ბუნებრივია, ახლა თავის აღზრდის სხვა ამოცანებს ვაყენებდი ჩემს წინაშე. წარმატება ყოველთვის ასევე სრული არ იყო, მაგრამ იმდენად საგრძნობი, რომ ვფიქრობ, დღეს უფლება მაქვს ვთქვა, რომ მე არამცირე წილად თავის შექმნილი (selfmade) ადამიანი ვარ. თავის აღზრდის პ რ ა ქ ტ ი კ უ ლ ი პრობლემა თითქო გადავჭერი: თუ სურვილი არის, მას შედეგიც შეიძლება გამოვაღებინოთ და მით უფრო წარმატებული, რაც უკეთ ვიცნობთ და ვიყენებთ ფსიქოლოგიის კანონებს.

მაგრამ, როგორც დავინახეთ, ამ საკითხს ჩვეულებრივ ნების თავისუფლების პრობლემას უკავშირებენ. ნების თავისუფლების მოწინააღმდეგენი აღნიშნავენ, რომ ჩვენი ხასიათი და, მაშასადამე, ყოველი სურვილიც მემკვიდრეობის და გარემოს გავლენის შედეგია. ამავე მიზეზების შედეგი არის თავის აღზრდის ჩვენი სურვილი და ამ სურვილის ძალაც წინასწარ განსაზღვრულია მთლიანად. ამიტომ საქმეში ჩვენი ა ქ ტ ი უ რ ი ჩარევის გრძნობა მხოლოდ მოჩვენებითი არისო. მაინც, ეს „მოჩვენებითი“ რაღაც რომ არ იყოს, ჩვენი მოქმედებაც ხომ სხვა იქნებოდა და ის აღარ მოხდებოდა, რისიც უდავო მოწამე თვითონ ვართ? მოჩვენებითი შეიძლება იყოს ჩემი წარმოდგენა ნების თავისუფლების შესახებ მაგრამ ასეთი წარმოდგენა თუ არ მექნა, გამოიცვლება ხომ ჩემი ქცევაც და სამწუხაროდ არა უკეთესი მიმართულებით!

ქცევა შედეგი არის გარემოისა და პიროვნების ურთიერთმოქმედების. ამჟენად პიროვნების წარმოდგენებიც რეალურ ფაქტორად უნდა ჩაითვალოს. სხვა საკითხია, არის თუ არა ეს წარმოდგენებიც

და ჩვენი მოქმედებაც მთლიანად წინასწარგანსაზღვრული ბუნების უდრეკი კანონების მიერ? ასეთი ეჭვები მოსვენებას არ მაძლევდნენ და პასუხი ვერ მეპოვნა. მხოლოდ ბევრად უფრო გვიან, როდესაც ევოლუციონისტურ მსოფლმხედველობას უკეთ გავეცანი, გამოისახა ერთგვარი პასუხი.

ამგვარად, თავის აღზრდის შესაძლებლობის პრობლემა თითქო გადავწყვიტე, მაგრამ მთავარი სიძნელე ეს როდი იყო. ვიცოდი, რომ თავის აღზრდა გარკვეულ ფარგლებში შესაძლებელია, მაგრამ რა უნდა აღიზარდოს, როგორ უნდა გავარჩიოთ ის, რაც განვითარების და განმტკიცების ღირსია იმისგან, რაც უნდა ამოიფხვრას, — აი დიდი საკითხი, ისევ მორალის დაფუძნების (და არა მორალის, როგორც მეცნიერების) საკითხი.

## საით მივდივართ?

როდესაც სკოლაში მიმცეს, სრულიად გარკვეული მსოფლმხედველობა მქონდა, ყოველი ეჭვისგან თავისუფალი. ვიცოდი, რომ ქვეყანა ღმერთმა გააჩინა და ისეთივე არის დღეს, როგორიც გაჩენის მეექვსე დღეს იყო; ვიცოდი, რომ საზოგადოების წყობილებაც ღვთისაგან მოდის, რომ მეფეები ღვთისგან ან ღვთის სახელით მირონცხებული არიან... ამასვე გვიჩიჩინებდნენ მასწავლებლები, სამღვთო სჯულისა თუ სხვა, და იმავე დროს კი გვასწავლიდნენ ათენის და რომის ისტორიას; გვასწავლიდნენ, თუ როგორ სცვლიდა რესპუბლიკები სამეფოებს და პირიქით; გვაცნობდნენ იმ გმირი ადამიანების თავგადასავალს და დიდ საქმეებს, რომელნიც ჩვეულებრივ არსებული წყობილების შეურიგებელი მტრები იყვნენ და თავი გაეწირათ თავისი ქვეყნისა და სამართლიანობისათვის. აღარ ვიცოდი, სად იყო სიმართლე. ფეხქვეშ ნიადაგი მეცლებოდა და ყველაფერი, რაც ურყევი მეგონა და სამუდამოდ დადგენილი, ცვალებადი და საეჭვო ხდებოდა.

ყოველდღიური ცხოვრება ისე მიმდინარეობდა, თითქო ყველაფერი რიგზე ყოფილიყო. დიდი თუ პატარა გასაჭირი ყველას ჰქონდა, მაგრამ იგი მას მხოლოდ თავისად სთვლიდა. იმავე დროს კი მესმოდა, რომ არიან ადამიანები, რომელთაც ჩვენს ქვეყანაში არსებული წყობილება უსამართლოდ მიაჩნიათ, რომელთაც მტკიცედ აქვთ

ვადაწყვეტილი ამ მახინჯი წყობილების დანგრევა და მისი ახალით, უკეთესით შეცვლა; რომ ამ ადამიანებს ხელისუფლება დაუნდობლად სდევნის, რომ მათ წინააღმდეგ ყოველგვარ საშუალებებს იყენებენ.

მესმოდა ისიც, რომ იმ ახალის შესახებაც, რომლის დამკვიდრებას ეს ადამიანები ფიქრობენ, წარმოდგენა და აზრი სხვადასხვაა, ხშირად ახლის მოციქულები ერთიმეორის მოწინააღმდეგე არიან.

ვინ არის მართალი, როგორია სწორი გზა, რას გვიქადის მომავალი და რაშია ჩემი მოვალეობა, — ასეთი უზარმაზარი საკითხები ისმოდა ჩემს წინაშე, ისევე როგორც ყოველი ახალგაზრდის წინაშე, და პასუხი საძებარი იყო.

სკოლის ამხანაგებში ერია რამდენიმე, რომელთაც ყველა კითხვაზე მზა პასუხი ჰქონდათ, მაგრამ ჩემთვის ნათელი იყო, რომ ეს პასუხები მათ არ ეკუთვნოდათ და მეტ შემთხვევაში არც ესმოდათ რიგიანად. მე კი ჩემი პასუხი მინდოდა. სამწუხაროდ, იმ ვიწრო გარემოცვაში, რომელშიაც ჩემი პატარა ცხოვრება მიმდინარეობდა, ისეთი არავინ ჩანდა, რომ დამხმარებოდა და გზაზე დავეყენებინე.

ზერელე წამბაძველობისა და უმწიფარი აზრებისადმი კრიტიკულმა დამოკიდებულებამ მეორე უკიდურესობაში გადამაგდო. სხვა-მხრივ ყოველთვის და ყველასთან მორიდებული, ასეთ საკითხში არავის ავტორიტეტს არ ვცნობდი და ყველაფერს ეჭვით ვსინჯავდი. საქმე იქამდე მივიდა, რომ, რაკი ზოგი ამხანაგი ავტომატურად იმეორებდა სხვათა აზრებს, მე ფართოდ გავრცელებულ და საზოგადოებრივი მოდის ფავორიტ შეხედულებებს წინასწარი უნდობლობით ვეკიდებოდი. ასეთი განწყობილება სხვა სფეროებშიაც იჩენდა თავს. მაგალითად, თუ მასწავლებელი ამა თუ იმ მწერლისა ან მისი რომელიმე ნაწარმოების შესახებ თხზულების დაწერას დაგვავალებდა, მე განზრახ ვერიდებოდი სათანადო კრიტიკული ლიტერატურის გაცნობას, რათა ჩემი საკუთარი შთაბეჭდილებები და შეხედულებები დაუბრკოლებლივ გამევითარებია, სხვათა გავლენის გარეშე. დამოუკიდებლობა კარგი საქმეა, მაგრამ იმის მთქმელიც არავინ მყავდა, რომ ასევე დამოუკიდებლად შეიძლებოდა გამომეყენებია იმ კრიტიკოსთა წერილებიც და მასალა ბევრად უფრო მდიდარი მექნებოდა.

ყოველ შემთხვევაში ერთი რამ ეჭვგარეშე იყო ჩემთვისაც და ამხანაგებისთვისაც: ძველი წყობილება უნდა დანგრეულიყო და საფუძველი ჩაჰყროდა ახალ ცხოვრებას, რომელიც ხალხის კეთილდღეობისა და უკეთესი ადამიანისთვის იქნებოდა გამიზნული.

მაგრამ ჩვენ საქართველოში ვცხოვრობდით და ქართველები ვიყავით. დღეს უკვე ნათლად ვგრძნობდით ქართველი ხალხის და მისი კულტურის ჩაგვრას, ვხედავდით ქართველთა დაბეჩავებას. ქართველობის დამშვიდებული შეგნება უკვე ქართულ პატრიოტიზმს შეეცვალა. რაც მეტად უგულებელყოფილი იყო სასწავლებელში ქართული მწერლობა და საქართველოს ისტორია, მით მეტი გატაცებით და დაჟინებით ვცდილობდით გავცნობოდით მათ. წარსულს ისე ვკაზმავდით, როგორც სიყვარული გვიკარნახებდა, ხოლო მომავლის მშენებლობა ჩვენ მოვალეობად და ბედნიერებად მიგვაჩნდა. მაგრამ როგორი უნდა ყოფილიყო ეს მომავალი? აი კიდევ ერთი იმ საკითხთაგანი, რომელთა გარკვევას ჩვენ ვცდილობდით უფრო მეტი გატაცებით, ვიდრე წარმატებით.

მე ამ დროს ქართველ კლასიკოსებს ასე თუ ისე ვიცნობდი. ქართულ ჟურნალ-გაზეთებსაც ვადევნებდი რამდენადმე თვალს. რა თქმა უნდა, ვეწაფებოდი სოციალისტურ ლიტერატურასაც, რამდენადაც კი ჩემთვის მისაწვდომი იყო არალეგალურობის პირობებში. უზარმაზარი შთაბეჭდილება მოახდინა ჩემზე ისტორიული მატერიალიზმის მოძღვრებამ, რომელიც იმ დროს ახალგაზრდობისთვის სრულიად ახალი რამ იყო. ჩემთვის იმთავითვე ნათელი გახდა, თუ რამდენად მნიშვნელოვანი ნაბიჯი იქნა გადადგმული უტოპიური სოციალიზმიდან მეცნიერულისკენ, მაგრამ სოციალ-დემოკრატიის პოზიციას უარყოფითად ვუყურებდი ეროვნული საკითხის გამო. დიდი სოციალური საკითხების გადაწყვეტა ვერ წარმომედგინა საქართველოს ბედის მართებულად მოწესრიგების გარეშე.

## ცხრაას ხუთი

ამასობაში დაიწყო რუსეთ-იაპონიის ომი. ჯერ ბევრს ეგონა, „იაპოშკებს“ სწრაფად მოვსრესავთო, მაგრამ დამარცხებას დამარცხება მოსდევდა. მთავრობა და მისი ერთგული ნაწილი ხალხისა ამას მტკივნეულად განიცდიდა, თუმცა მდგომარეობას რამდენადმე ამსუბუქებდა ის გარემოება, რომ ომის ასპარეზი შორს იყო და თვითონ ომი — კოლონიური. სამაგიეროდ, რევოლუციურად განწყობილი ნაწილი ინტელიგენციისა და მოწინავე მუშები თავის კმაყოფილებას არ ჰფარავდნენ: ისინი ფიქრობდნენ, რომ მარცხს განიცდიდა არა რუსი ხალხი, არამედ მეფის რეჟიმი.

საოცარი სისწრაფით ხდებოდა რევოლუციური ძალების აზვირთება. უხვად იბეჭდებოდა რევოლუციური ლიტერატურა, რომელიც, მიუხედავად დევნისა, თანდათან უფრო ადვილი მისაწვდომი ხდებოდა.

პროლეტარიატი საქართველოში ის იყო ისახებოდა მხოლოდ. მცირერიცხოვანი მუშები, რომელთაც ქალაქის რუდიმენტული მრეწველობა იზიდავდა, ჯერ კიდევ სოფელთან იყვნენ დაკავშირებული. მუშაობის შეფერხების შემთხვევაში ისევ მიწას უბრუნდებოდნენ. სწორედ ასე იყო, რომ გაფიცვების შემდეგ ბათუმიდან გურიის სოფლებში დაბრუნებულმა მუშებმა გლეხობაში თვითცნობიერება შეიტანეს. სხვაგანაც პირობები მეტად ან ნაკლებად მსგავსი იყო და ამიტომ, როდესაც გურიის გლეხობის შესანიშნავი მოძრაობა დაიწყო, მან გამოძახილი ჰპოვა სხვა კუთხეებშიაც.

ქუთაისში, სადაც მუშების რიცხვი ძლიერ მცირე იყო. რევოლუციური სულის მატარებელი, განსაკუთრებით კი გამომხატველი, მოსწავლე ახალგაზრდობა შეიქნა. მოძრაობა თანდათან ძლიერდებოდა, მაგრამ ერთმა შემთხვევამ მისი უეცარი გაღვივება გამოიწვია. თუ არ ვცდები, ეს მოხდა 1905 წლის თებერვალში, თოვლი იყო და ახალგაზრდობას ქალაქის ბაღთან თოვლაობა გაემართა. როგორც ზოგჯერ მოხდება ხოლმე, ყოველგვარ ზომას გადასცდნენ და საქმე იქამდე მივიდა, რომ ქუჩაში გავლის საშუალება აღარავის დარჩა. პოლიციამ უკეთესი ვერაფერი მოიფიქრა წესრიგის აღსადგენად, თუ არა კაზაკების რაზმის გამოწვევა. ეს საკმაო აღმოჩნდა იმისთვის, რომ უხეირო თავის შექცევა მანიფესტაციად გადაქცეულიყო. კაზაკებმა თოფს მიმართეს. თვითონ მანიფესტანტებიდან, მგონი, არც დაჭრილა ვინმე, მაგრამ ბაღის მეორე მხარეზე მაღაზიების წინ გამოსულ ცნობისმოყვარეთა შორის სამი ნოქარი იქნა მოკლული.

ამან მთელ ქალაქში უკიდურესი აღშფოთება გამოიწვია, მოკლულთა დაკრძალვა გრანდიოზულ მანიფესტაციად იქცა. სამგლოვიარო პროცესიას, რომელშიაც მოწაფეებიც ვიღებდით მონაწილეობას და სრული წესრიგით მიმდინარეობდა, კაზაკების ცხენოსანი რაზმი დაესხა თავს. მათრახებს დიდი ჯაფა დაადგა და ხმლებიც იშიშვლეს.

ახლა უკვე ყველაფერი ამოძრავდა პატარა ქალაქში. გახშირდა

ფარული კრებები. მახსოვს ერთი ასეთი, უკვე გაზაფხულზე. კრება მოწვეული იყო კვირა დილისათვის წყალწითელის ნაპირას, ქალაქგარეთ, იაზონისად წოდებული გამოქვაბულის წინ. იქ კარგა მოზრდილი მინდორია, რომ მივედი. უკვე საკმაოდ მრავალრიცხოვანი მოწაფეობა შეგროვილიყო და ახალი ჯგუფები მოდიოდნენ, ორ-ორი, სამ-სამი კაცი, მინდორზე იდგა მაგიდა ორატორებისათვის.

უკვე მიტინგი უნდა გახსნილიყო, რომ ამ დროს გაისმა გამაფრთხილებელი სტვენა: პოლიცია და კაზაკების რაზმი მოდიოდა ქალაქიდან. იმ წამს განკარგულება, — დაიშალენითო. ყველამ მიაშურა, ვის საით უფრო საიმედოდ მიაჩნდა, მე, ვითომ სასეირნოდ გამოსული, აღმართს შევუდექ მოწამეთის მხარეზე, რკინიგზის ლიანდაგისკენ. გაქცევა უმიზნოდ და დამამცირებლად მიმაჩნდა და თან ვფიქრობდი, თუ დამიჭერენ. ვეტყვი, იის საკრეფად ვიყავი წამოსული-თქო, და ვნახოთ, რას იზამენ. ჩემთან ერთად ამხანაგიც იყო, გ. კუპრაშვილი.

ლიანდაგს რომ მივუახლოვდით, ვხედავთ, ორი კაზაკი დაქვეითებულა და გვიცდიან. სხვა გზა არ იყო, ჩვენც მათთან მივედით. წაგვიყვანეს. საფიჩხიის ტაძარს რომ მივუახლოვდით, დავინახეთ, უამრავი ხალხი იდგა: პოლიცმეისტერი, ბოქაულები, გოროდოვოები, კაზაკები და მიტინგის დაჭერილი მონაწილეები, რომელნიც აქ შემოეკრიბათ. უკანასკნელნი ორ ჯგუფად იყვნენ გამოყოფილი: ერთში იყვნენ ახლად მოყვანილნი, — მათ ვინაობას ეკითხებოდნენ, საბუთებს ჩამოართმევდნენ, თუ ჰქონდათ, და მეორე ჯგუფში გადაიყვანდნენ. არ ითქმის, რომ ამდენ ხალხში თადარიგი კარგი ყოფილიყო. მე ეს შევნიშნე და მოვახერხე უკვე დაკითხულთა ჯგუფში გავრეულიყავ შეუმჩნევლად. კუპრაშვილი კი ჩასწერეს.

მეორე დღეს შემოვიდა კლასში ჩებიში. აღელვებულმა მოგვმართა, გუშინ ასეთი უმსგავსობა მომხდარაო, და დაუმატა, კუპრაშვილიც იქ ყოფილაო. მიუბრუნდა უკანასკნელს. ესეც ადგა და თავის მართლება დაიწყო, იის საკრეფად ვიყავიო. „როგორ, კიდეც სტყუიო?“ — „მართალს ვამბობ, ოსიპ ოსიპოვიჩ; თუ არ გჯერათ, ჯანელიძეს ჰკითხეთ, ისიც იქ იყოო“, თოფნაკრავივით შემოტრიალდა: «и ты малчик?![1]» მე ავდექი და ხმა არ ამომიღია. არც ელოდებო-

---

[1] ასე ვამოთქვამდა.

და ჩემს პასუხს. ფიქრით შეპყრობილმა იწყო სიარული კლასში, ერთი კედლიდან მეორემდე და უკან. ჩვენ განაბული შევყურებდით. ასე გაგრძელდა, სანამ ზარი არ დაირეკა. სხვა შედეგი ამ ეპიზოდს არ ჰქონია.

ასეთ კრებებს დემონსტრაციები მოჰყვა თვით ქალაქში. შემდეგ დაისვა მოწაფეთა გაფიცვის საკითხი. იდეა უხილავი პარტიებიდან მოდიოდა, რა თქმა უნდა. ლოზუნგი იყო, — გაფიცვა თვითმპყრობელობის დამხობამდე! დაიწყო საკითხის დამუშავება კლასებში.

მე გაფიცვის მომხრე ვიყავი, მაგრამ ლოზუნგი არ მომწონდა, — ჩვენ მოწაფეები ვართ და ჩვენი მოთხოვნებიც ჩვენი პირობებიდან უნდა გამომდინარეობდეს-მეთქი. ჩვენ უნდა მოვითხოვოთ სწავლების რადიკალური რეფორმა (სამღვთო სჯულის სწავლების გაუქმება, ძველი ენების ნაცვლად ზუსტ მეცნიერებათა გაძლერება, ბუნებისმეტყველების შემოღება და სხვა) და სასკოლო რეჟიმის დემოკრატიზაცია. ცხადია, ამ მოთხოვნებს ვერავინ დააკმაყოფილებს, სანამ თვითმპყრობელობა არ დაეცემა, ამ მხრივ მდგომარეობა იგივე დარჩება, მაგრამ ჩვენს გაფიცვას უფრო ბუნებრივი, უფრო სერიოზული ხასიათი ექნება-მეთქი.

ჩემმა კლასმა ეს შეხედულება საესებით გაიზიარა, მაგრამ სხვა კლასებმა დაადგინეს, როგორც ნაკარნახევი იყო: გაფიცვა თვითმპყრობელობის დამხობამდე!

ვავიფიცეთ. გიმნაზიაში (და სხვა სასწავლებლებშიც) სწავლა შეწყდა. ასეთი რამ კანონზომიერი იყო იმ დროს, მაგრამ მე ერთი გარემოება მაწუხებდა. ჩემი თვალსაზრისი გაფიცვის ლოზუნგის შესახებ, ცხადია, სხვა კლასებისთვისაც ცნობილი შეიქნა. საწინააღმდეგო არგუმენტი ვერაფერი მოვისმინე, მაგრამ სწორედ ამიტომ მერვე კლასის ერთმა „ხელმძღვანელმა“ სხვაგვარი საყვედურით მომმართა: შენ შიში გალაპარაკებსო, თუ რაღაც ამგვარი. მას შესაფერი პასუხი გავეცი, ვიცოდი, ვინც კი მიცნობდა, ასეთ რასმე არ დაიჯერებდა, მაგრამ მაინც ეჭვი დამებადა: მართლა ასე ხომ არ არის-მეთქი? რასაკვირველია, კარგად ვიცოდი, რომ ცნობიერად ასეთი რამ არასოდეს მიგრძვნია, მაგრამ თვითდაკვირვებას შეჩვეულს, თავის აღზრდით გატაცებულს კარგად მესმოდა, რამდენად ადვილია ასეთ შემთხვევაში თავის მოტყუება. „ეგებ თავს ვიტყუებ და ჩემი მსჯელობა განსაზღვრულია არა ლოგიკით, არამედ იმ ფარული

ტრძნობით-მეთქი“. და, თუმცა ამის ნიშანს ვერაფერს ვპოულობდი, რათა ჩემი თავი საბოლოოდ დამერწმუნებია, გადავწყვიტე, სულ მიმეტოვებია ჯიმნაზია.

მაშინ მეშვიდე კლასში ვიყავ. არავისთვის არაფერი მითქვამს, არც შინ, არც ამხანაგებში, და წაველ გიმნაზიაში საბუთების გამოსატანად. კანცელარიიდან ჩებიშთან გამაგზავნეს. შეველ მის კაბინეტში, ვუთხარი მისვლის მიზეზი. განცვიფრებულმა შემომხედა: Малчик, да ты же пропадешь без аттестата უმაღლეს სასწავბელში არ მიგიღებენ, სამუდამოდ დარჩები „ნედაუჩკაო“. მე ამაყად ვუპასუხე, თუ ჩემი მომავალი იმ ფარატინა ქაღალდზედ არის დამოკიდებული, წყალსაც წაუღია აგეთი მომავალი-თქო. ის მოთმინებით მიმტკიცებდა, მაგ შენ განზრახვას აზრი არა აქვს, დაუჯერე ჩემს გამოცდილებასო, და თან ფიქრადაც არ მოსვლია ეთქვა, შენ მცირეწლოვანი ხარ და მშობლების დაუკითხავად საბუთების გატანის უფლება არ გაქვსო. დრო იყო ისეთი.

ბოლოს, როდესაც დარწმუნდა, რომ ლაპარაკი ზედმეტი იყო, გადამეხვია, გადამკოცნა და დამლოცა. ცრემლები უხვად მოგორავდნენ მის მოხუც ლოყებზე.

გასცა საჭირო განკარგულება.

წავედი ნიკორწმინდას. იქ შეძლებისდაგვარად გლეხებს ვუმარტავდი იმ ამბების მნიშვნელობას, რაც მთელ იმპერიაში ხდებოდა. გურიის მოძრაობა რაჭასაც გადასდებოდა: მეფის ხელისუფლება ფაქტიურად გაუქმებული იყო. სოფელი თვითონ მართავდა თავის საქმეებს. სხვათაშორის აქაც, როგორც ბევრგან იმ დროს, საკუთარი ძალით გზის კეთება წამოეწყოთ. ჩვენსა შრომისუნარიანი ჩემს გარდა არავინ იყო. ავიღე თოხი და წაველ სამუშაოდ. რომ დამინახეს, მომაყვირეს, შენ აქ რა გინდა, ეს შენი საქმე არ არის. შენ სწავლით უნდა გვასახელო და ამ საქმეს ჩვენ უკეთ მოვუვლითო. მე, ცხადია, ამას ყური არ ვათხოვე და თოხი მოვიმარჯვე. ისინიც კმაყოფილი დარჩნენ და მეც. სადილობამ რომ მოაწია, ბაასისთვისაც გამოჩნდა დრო.

ცოტა ხნის შემდეგ ცაგერში გადაველ მშობლებთან. იქ მთავარი პროპაგანდისტი აღმოვჩნდი. მართალია, მიტინგებზე სოციალ-დემოკრატების მოწინააღმდეგე ვიყავ, მაგრამ თუ ვინმე აგეთი ჩამოვიდოდა, პირადი განწყობილება მასთანაც კარგი მქონდა. თითქო

უთანხმოება თეორიულია მხოლოდო! ასე იყო მაშინ ყველგან.

აქ ხელში ჩამივარდა ნ. მიხაილოვსკის შრომათა სრული კრებული. მოსამართლეს ჰქონდა, ცნობილ მ. მღვდლიშვილს (მღვდლიევს), შემდეგ ოლქის სასამართლოს წევრს და უფრო გვიან საქართველოს სენატორს. გადავიკითხე დიდი ინტერესით. განსაკუთრებით მიზიდავდა ის, რომ ავტორი დიდ ადგილს უთმობდა თავის ნაწერებში ბუნებისმეტყველებას და კერძოდ დარვინიზმს, რომელსაც კრიტიკულადაც განიხილავდა. ამ მოძღვრებას მაშინ უკვე ვიცნობდი რამდენადმე, არაერთი წიგნი გადამეკითხა.

სოციალიზმის საკითხსაც ვუდგებოდი როგორც „კრიტიკულად მოაზროვნე პიროვნება". „სოციალიზმი ყველასათვის საჭიროა და სასარგებლო, მუშისთვის და გლეხისთვის, ფეოდალისა და ბურჟუისათვის. თუ კაცს კარგად განუმარტავენ ყველაფერს, თუ მას ჭკუა უჭრის და ყალბი აზრებით და ვიწრო ინტერესებით არ არის შებოჭილი, ის ყოველთვის გაიგებს სოციალიზმის უპირატესობას და რევოლუციონერთა რიგში ჩადგება". მსგავსი მსჯელობა მით უფრო გასაგები იყო, რომ არც ერთი სოციალისტური პარტია პროგრამამინიმუმის იქით არ მიდიოდა იმ დროს.

ასეთ მდგომარეობაში მარტო მე არ ვიყავი მაშინ. ლეჩხუმის თავადაზნაურობის წინამძღოლის ვაჟი შამშე გელოვანი სოციალდემოკრატი იყო. ქვემო სვანეთში წავიდა სააგიტაციოდ, როგორც პარტიის ოფიციალური წარმომადგენელი. იქაური თავადები, გარდაფხაძეები, მისი ახლო ნათესავები იყვნენ. რომ გაიგეს სოციალისტი მოდის და გლეხებს კრება აქვთო, შეიარაღდნენ ყველა, თითქო თავდასხმას ელიანო, და ერთი მათგანის სახლ-კოშკში მოიყარეს თავი.

კრება შედგა. შამშემ აგიტაცია ჩაატარა, გლეხები „გაიფიცნენ", ე. ი. რევოლუციას ერთგულება შეჰფიცეს, და დაიშალნენ. შამშემ, რომელსაც დრო საკმაო დარჩა, ახლა ნათესავების ნახვა მოისურვა, თითქო არც რამე მომხდარიყოს. შეჯდა ცხენზე და წავიდა. რომ დაინახეს, აღშფოთებულებმა მიაძახეს, „არ მოხვიდე, არ მოხვიდეო!" — როგორ თუ არ მოვიდეო? — გაიკვირვა. მიაბა ცხენი მესერზე და შეაღო ჭიშკარი. შედგა თუ არა ეზოში ფეხი, გავარდა თოფი და შამშე მკვდარი დაეცა.

ანალოგიური რაღაც მეც შემემთხვა. ცაგერში მიტინგი გავმართეთ. თავმჯდომარე მე ვიყავი. ცაგერში იმ დროს მაზრის უფროსი შერჩენილიყო. თუმცა „სტრაჟნიკები" ჩამოსცილდნენ, მაგრამ მას

კაცი არაფერს ავნებდა და არც თვითონ ერეოდა მაზრის საქმეებში. კრებაზე მოსულიყო და სიტყვა ითხოვა: ეგაა და სიტყვის თავისუფლება

ამხანაგიც აღმომიჩნდა. ეს იყო ცაგერის აფთიაქის ახალგაზრდა პატრონი ნ. ახვლედიანი. ახვლედიანს დიდი ხანი არ იყო პროვიზორის თანაშემწის წოდება მიეღო, ცოლი შეერთო და პატარა ვაჟი ჰყავდა, რომელიც ერთი წლისა თუ იქნებოდა და რომელზეც დედას და მამას სული ელეოდათ. ახვლედიანიც ჩემსავით სოციალისტ-ფედერალისტების თანამგრძნობი იყო. და აი ამ ადამიანმა გადაწყვიტა ჩემთან ერთად წამოსულიყო!

მე ვინჩესტერის თორმეტვაზნიანი კარაბინი მქონდა. მამაჩემი, რომელიც სანადიროდ არასოდეს წასულიყო, იარაღის დიდი მოყვარული იყო. ეს კარაბინი მას გამოეწერა ინგლისიდან. რომ მიიღო, გაიტანა აივანზე და ესროლა ეზოში ერთი ხის ტოტს, რომელიც ისერიგად იყო ახირული ზევითკენ. რომ კაცს უსათუოდ თვალში ეცემოდა.

გავარდა თოფი ერთხელ, მეორედ, მესამედ, — ტოტი არც შერხეულა. „მამა, მეც მასროლიე-მეთქი“, — შევთხოვე. ესროლეო, — გადმომცა თოფი. ამოვიღე ნიშანში და გამოვწიე ჩახმახს. მოტეხილი ტოტი ძირს წამოვიდა ტრიალ-ტრიალით.

„საშენო ყოფილა და შენ გქონდესო“, — მითხრა მამამ და ამგვარად თოფის პატრონი შევიქენი. რაც შეეხება ახვლედიანს, მას ორლულიანი სანადირო თოფი ჰქონდა.

რადგან ჩამორჩენილი ვიყავით, მეორე დილით გათენებამდე მოკლე გზით წავედით. ღვირიშის ღელით. ტვიშში გვითხრეს, — დიდი ხანი არ არის, გაიარესო. მექვენაში დაეწევითო. მართლაც, მექვენასთან რომ მივედით, დავინახეთ სვანები, — გაფანტული იარებოდნენ, ვინ საით და ვინ საით. ვიკითხეთ ლევანი, — ქუთაისს წავიდაო. „თქვენ აქ რაღას აკეთებთ-თქო“. გვიპასუხეს, რუსეთში რევოლუცია დამარცხებულა და ჩვენ, განკარგულება არის, სვანეთში უნდა დავბრუნდეთ უკანვეო.

გულს შემოგვეყარა. გადავწყვიტეთ მაინც ქუთაისს ჩავსულიყავით და ნამდვილი ამბავი შეგვეტყო. ტრანსპორტი არ მუშაობდა, მაგრამ ერთი ქუთაისელი ლინეიკა შემორჩენილიყო შემთხვევით, შინ ბრუნდებოდა და მას გავყევით.

ქუთაისს შემდეგ დღეს ჩავედით. რევოლუციური კლუბები ჯერ კიდევ შერჩენილიყვნენ. ერთ-ერთში მივედით. გვითხრეს, მართალია, მოსკოვში რევოლუციონერები დამარცხდნენ და ყველგან რეაქცია

მძვინვარებსო. თბილისიდან უკვე გამოვიდა ჩვენსკენ დამსჯელი რაზმი გენერალ ალიხანოვის მეთაურობით და ალბათ ამაღამ ჩამოვაო. თქვენ, რაც შეიძლება სასწრაფოდ უნდა წახვიდეთ აქედან, იარაღი გადამალოთ და თავს მოუაროთ, როგორც მოახერხებთო. ჩვენც ბევრი აღარ დავაყოვნეთ, სილაზე[1] გავედით, იქ ხონელი მეეტლე ვიპოვეთ და ხონისკენ გავსწიეთ, რადგან უშუალოდ ლეჩხუმს მიმავალი არაფერი ჩანდა.

ხონში საღამოს ჩავედით. სამიკიტნოში ვივახშმეთ და იქვე ჭერზე მოგვცეს დასაძინებლად ტახტები. არც რბილად და არც ტკბილად არ გვიძინია. დილას ღამითვე ავდექით, ცივი წყლით სახე გავიგრილეთ და გავუდექით გზას ბუმბუას ხიდისკენ. დაბას რომ გავცილდით, ჯერ კიდევ ღამე იყო და სიჩუმეს მხოლოდ ტურების განუწყვეტელი კივილი არღვევდა. უცებ რაღაც ვიგრძენით და შემოვტრიალდით. სამხრეთისკენ ცის კიდე ალისფრად შეფერილიყო: სამტრედია იწვოდა; იწვოდა ქუთაისიც ამ დროს, მაგრამ გორაკები გვეფარებოდნენ და არ ჩანდა, — გენერალი ალიხანოვი მუშაობას შესდგომოდა.

ხმაამოუღებლივ მივბრუნდით, ისე რომ ერთმანეთისთვის სიტყვა არ უვითქვამს, და განვაგრძეთ გზა. სოფელ მათხოჯიდან უკვე თოვლზე მოგვიხდა სიარული. საღამოს დაღლილები სოფელ ზუბში ავედით. ღამე იქ გავათიეთ. დილას ცხენები ვიქირავეთ და ბევრი აღარ დაგვყოვნებია, მალე ცაგერში ვიყავით.

## ისევ გიმნაზია

ახლა მოგვდიოდა ამბები დამსჯელი რაზმების თარეშის შესახებ. ერთხანს რაჭა-ლეჩხუმი უყურადღებოდ იყო დატოვებული, მაგრამ მალე მივიღეთ ცნობა, პლასტუნების როტა პოლკოვნიკ გავრილოვის მეთაურობით ცაგერს მოდისო. ჩემი აქ დარჩენა აღარ შეიძლებოდა და არც შარაგზით ქუთაისს წასვლა: გავრილოვს შეევფეთებოდი. ვიქირავე ცხენი და მივაშურე ისევ ხონს, ხონიდან ეტლით ქუთაისისკენ. შავი ჩოხა-ახალოხი მეცვა, წელზე სატევარი და მხარზე ნაბადი. ასე შეველ დილით ქუთაისში და მიველ ერთი მოკეთი-

[1] ქუთაისის თეთრხიდსგაღმა უბანი, რიონის მარჯვნივ.

სას. დიასახლისმა რომ დამინახა, ლოყაზე ხელი იტაცა და „როგორ, ასე მოდიო?!“ თურმე ქუთაისში სამხედრო პატრულები დაიარებოდნენ და, თუ ვისმე ნაბდიანს შეხვდებოდნენ, ნაბადს წაართმევდნენ და სცემდნენ; თუ ხანჯალიც აღმოუჩნდებოდა, მაშინ ცემასაც არ აკმარებდნენ და აპატიმრებდნენ. ყოფილიყო მკვლელობის შემთხვევაც. მე ბედად პატრული არ შემხვედრია და შემდეგ აბა სატევარს როგორღა დავიკიდებდი ან ნაბადს როგორ მოვისხამდი.

ქუთაისში მე არვის ვაინტერესებდი, მაგრამ ცაგერში თურმე სხვაგვარად ყოფილიყო საქმე. მამაჩემის ერთი თანამოსამსახურე და თითქო დიდი მეგობარი მისულიყო გავრილოვთან და ეთქვა: „თქვენ რომ სოციალისტებს სოფელ-სოფელ დაეძებთ, არეულობის თავი აქ იყო, ჯანელიძეო. მისი პოვნა ქუთაისში ძნელი არ იქნება და მამაც ხომ აქ არისო“.

მაშინ ლეჩხუმის მაზრის უფროსის მოვალეობას ა. ბაქრაძე ასრულებდა, ძლიერ კარგი ადამიანი. გავრილოვი ბინად მასთან იყო. საღამოს შინ რომ მისულა, მიუმართავს ბაქრაძისთვის, ასეთი და ასეთი ვინმე ყოფილა, როგორც მითხრეს, და თქვენ რას იტყვითო? ბაქრაძეს გაუღიმია: — რას ბრძანებთ, მე მას კარგად ვიცნობ, ბავშვია, გიმნაზისტი. მისი რევოლუციონერობა რას მიქვიანო. გავრილოვიც ამით დაკმაყოფილებულა.

არავინ მაწუხებდა, მაგრამ საცხოვრებლად სახსრები იყო საჭირო, მართალია, მასპინძელი კი მყავდა, მაგრამ დაუსრულებლად ასე ხომ არ შეიძლებოდა. შინიდან ერთხანს ვერაფერს გამომიგზავნიდნენ. გადავწყვიტე, გაკვეთილები ამეღო. გიმნაზიაში ყოველთვის იყვნენ სუსტი მოწაფეები, რომელთაც რეპეტიტორი ეჭირვებოდათ. შეძლებული ვაჭრები და მოხელეები კარგ გასამრჯელოსაც იძლეოდნენ. მაგრამ როგორ მიმეგნო მათთვის? ნაცნობობა იყო საჭირო. აზრად მომივიდა, ჩებიშს მივმართავ, გაკვეთილებს თუ მიშოვის, სწორედ ის-მეთქი.

წაველ, უეჭველად ესიამოვნა ჩემი დანახვა. ამბავი გამომკითხა. მაგრამ, როდესაც ჩემი მისვლის მიზეზი ვუთხარი, შეწუხდა, ახლა აგეთი არაფერი მეგულებაო. მიზეზი ეგებ ისიც იყო, ჩოხა რომ მეცვა: ასეთი „ბიჩოსთვის“ როგორ უნდა მიეცა იმ დროს რეკომენდაცია დირექტორს! „მაგრამ გაკვეთილები რად გინდაო, — გულღიად დაუმატა, — ვასიას ოთახი ცარიელია, დაიჭირე ის. შენი სმა-ჭამისათვის ჩვენ დამატება არაფრის დაგვჭირდება. იცხოვრე აქ და იმუ-

შავეო“. აღელვებულმა დიდი მადლობა გადავუხადე და წამოველ იმედგაცრუებული.

მაგრამ ბედმა გამიღიმა. ქუთაისში ცხოვრობდა ნ. ნიკოლაძის ორი და. დიდი სახლი და ეზო ჰქონდათ რიონის პირას. მოსწავლე გოგონები ჰყავდათ საპანსიონოდ და თან ასწავლიდნენ. აღარ მახსოვს საიდან, მაგრამ მიცნობდნენ. და აი მათ დამიბარეს, სწორედ იმისთვის, რასაც მე ვეძებდი. გაკვეთილები შემომთავაზეს. ჩემი პასუხი ძნელი გამოსაცნობი არ არის.

ამ დროს ჩემი ამხანაგები ყველა, ერთი-ორის გარდა, რომელნიც სხვა ქალაქში გადასულიყვნენ, გიმნაზიაში დაიარებოდნენ და სწავლას განაგრძობდნენ, უკვე მერვე კლასში. გაფიცვა „თვითმპყრობელობის დამხობამდე“ გათავებული იყო. მოახლოვდა მაისი და ეგზამენებიც, უკანასკნელი, დასამთავრებელი. ვიღაცამ მითხრა: — კაცო, შემთხვევას რატომ ჰკარგავ, ჩააბარე გამოცდები როგორც ექსტერნმა. უშენოდ ბევრი არაფერი გვისწავლია, ადვილად აითვისებ და მასწავლებლებიც ხომ შენ მეტი ყურადღებით მოგეპყრობიან, ვიდრე ვისმეო.

ერთხანს ვყოყმანობდი, მაგრამ ბოლოს გადავწყვიტე. შევიტანე განცხადება საჭირო საბუთებით და დავიწყე მზადება. რა თქმა უნდა, დრო ცოტა იყო, მაგრამ არც ამოცანა იყო ძნელი. თან მასწავლებლები ისეთი ნდობით მეპყრობოდნენ, რომ, მგონი, სულაც რომ არაფერი მეთქვა, მაინც დამიწერდნენ საჭირო ნიშანს. ჩებიშმა, მაგალითად, ცეზარი რომ წავიკითხე და განვმარტე, მკითხა, — ოვიდიუსის ოდები იციო? (ეს იყო ბილეთის მეორე კითხვა და თან ისეთი, რაც უჩემოდ ესწავლათ). კი-მეთქი, ვუპასუხე. მაშ წადიო, — და დამიწერა ხუთი.

მაინც საქმე უინციდენტოდ არ გათავებულა. რუსული წერა რომ გვქონდა, ზოგს შპარგალკები შემოეტანა და იწერდა. ორი თუ სამი დაიჭირეს და, ცხადია, შემდეგ გამოცდებზე აღარ დაუშვეს. უშუალოდ მომყოლი მათემატიკის წერა იყო. მოვედით და, რაკი გავიგეთ, რომ იმ სამ ამხანაგს, რომელთაგან ერთი საშუალოზე ძლიერი იყო, გამოცდებზე აღარ უშვებდნენ კალმისტრები მერხებზე დავაწყვეთ და წერაზე უარი განვაცხადეთ. ჯერ კიდევ 906 იყო!

მასწავლებლები შეშფოთდნენ, მაგრამ რა უნდა ექნათ. მოვიდა ჩებიში და დაგვიწყო რწმუნება: — აბა თქვენ თვითონ განსაჯეთ,

როგორ შეიძლება გამოცდაზე დავუშვათ აბითურიენტები, რომელთაც შპარგალკები ჩამოვართვით და რომელთაც არაფერი დაუწერიათო. პასუხი ერთი იყო: არაფერი ვიცით, თუ იმათ არ დაუშვებთ, არც ჩვენ მოვდივართ გამოცდებზეო! მეორე დღემდე გაგრძელდა მოლაპარაკება. ბოლოს ჩებიშმა გამოგვიცხადა; — ოღონდ ახლა დამიჯერეთ. თქვენთვისვე საზიანო საქმეს ნუ იზამთ, განაგრძეთ გამოცდები და პატიოსან სიტყვას გაძლევთ, მინისტრთან ვიშუამდგომლებ და შემოდგომაზე ყველას დავუშვებ განმეორებითს გამოცდებზეო (კანონით კი დასამთავრებელი გამოცდის გამეორება მხოლოდ ერთი წლის შემდეგ შეიძლებოდა). ყველამ ვიცოდით, რომ ჩებიშის სიტყვა ნამდვილი სიტყვა იყო, და დავეთანხმეთ.

დამთავრდა გამოცდები, ჩვენ ყველანი წავედ-წამოვედით. შემდეგ გავიგე, რომ ჩებიშს სპეციალური ნებართვა გამოეთხოვა, ყველა ჩამორჩენილი დაეშვა სექტემბერში გამოცდაზე და ყველასთვის სიმწიფის მოწმობა მიეცა. ეს იყო მისი უკანასკნელი საქმე ქუთაისში. მიუხედავად უმწიკვლო მუშაობისა, მთავრობა, ჩანს, მისი კმაყოფილი არ იყო. პიატიგორსკში გადაეყვანათ. იქ ცოლი მოჰკვდომოდა და მძიმე სიბერე გაეტარებია. ხშირად ვეკითხები ჩემს თავს, ნუთუ არ შეიძლებოდა ამ კეთილშობილი ადამიანისთვის რითიმე მეც მეამებია?..

## ᲣᲔᲜᲔᲕᲐ

დავამთავრე ამრიგად გიმნაზიის კურსი. მოვიხადე „სწავლის“ ფეტიშის წინაშე თერთმეტწლიანი ბეგარა. რა მივიღე მერე სანაცვლოდ? ავტობიოგრაფიაში, რომლის წარდგენა მომიხდა გიმნაზიაში. როგორც ექსტერნს, ვწერდი: ვსწავლობდი, მაგრამ არაფერი მისწავლია, არც ვიცი რამ ისეთი, რომ პრაქტიკული გამოყენება შეიძლებოდეს; მხოლოდ ნაკუწ-ნაკუწი ცოდნა, რომელიც ყველაფრის ცოდნის ილუზიას ჰბადებს-მეთქი.

ეს ახალგაზრდული მსჯავრი, არსებითად მართებული, მაინც უსამართლოა. გიმნაზიას არც ჰქონდა მიზნად პრაქტიკისათვის მომზადება. ეს იყო არა პროფესიული, არამედ ზოგადი განათლების ს ა შ უ ა ლ ო სკოლა. თანაც ის ახალგაზრდობას ამზადებდა არა რომელიმე გარკვეული ტიპის უმაღლესი სასწავლებლისთვის, არამედ

უმაღლესი სკოლისთვის საზოგადოდ. სწორედ ამიტომ მე, არათუ პრაქტიკაში გამოსადეგი არაფერი ვიცოდი, იმის წარმოდგენაც არ მქონდა, სად და რა დარგზე უნდა გამეგრძელებია სწავლა. შეიძლებოდა გამოვსულიყავ ექიმი ან იურისტი, ინჟინერი ან მასწავლებელი, ფილოლოგი ან მათემატიკოსი... ყველაფრისთვის თანაბრად მომზადებული და თანაბრადვე მოუმზადებელი ვიყავი.

როგორც დავინახეთ, ვსწავლობდი სამღვთო სჯულს და ღმერთი არ მწამდა; ვსწავლობდი მათემატიკას, მაგრამ მხოლოდ ელემენტარულ წესებს და არა მათემატიკურ აზროვნებას; ფიზიკა თითქმის არ მისწავლია, ქიმია და ბუნებისმეტყველება სრულიად არა; გეოგრაფია არსებითად რუკაზე ქვეყნების და ქალაქების პოვნა იყო; ისტორია — ძირითადად არსებული წყობილების კანონიზაცია უნდა ყოფილიყო; ახალ ენებს (ორს ვსწავლობდი, თუმცა სავალდებულო ერთი იყო) გვასწავლიდნენ, მაგრამ სრულიად უხეიროდ; რუსულ ლიტერატურას ვსწავლობდით მიუხედავად სკოლისა და არა სკოლის მეოხებით.

მთავარი ყურადღება ექცეოდა ძველ ენებს. კლასიკური გიმნაზია დასავლეთ ევროპის ქმნილება იყო და თან იმ დროის, როდესაც ლათინური ენა მეცნიერების ენა იყო და მეცნიერება დასაყრდენს ბერძნულ-ლათინურ ფილოსოფიაში ეძებდა. XX საუკუნის სინამდვილესთან ამას არავითარი კავშირი არ ჰქონდა და, რაც უარესია, ჩემ დროს ამ ენებს საათები კი ბლომად ჰქონდა განკუთვნილი, განსაკუთრებით ლათინურს, მაგრამ ყურადღება ძველებური აღარ ექცეოდა. ბერძნული დავიწყეთ — გააუქმეს, ისევ დავიწყეთ — ისევ გააუქმეს. ასეთი განწყობილება რომ არა, ლათინური ენა მაინც ზედმიწევნით უნდა შემესწავლა. ასე კი მთელი დრო თითქმის ფუჭად დაიკარგა. მაინც შრომა მთლიანად უნაყოფო არ დარჩენილა. ჯერ ერთი, მკვდარი ენის სტრუქტურის შესწავლა ლოგიკის საუკეთესო პრაქტიკუმია და მეორე — ასეთი ენის წყობის შესწავლა საერთოდ ენის და კერძოდ ევროპული ენების ათვისებას აადვილებს. ენის ნიჭი ჩემთვის ბუნებას არ მოუცია, მაგრამ სწორედ ლათინურმა მომცა საშუალება დასავლური ენები დამეძლია.

ამგვარად, ჩემი მომავალი სპეციალობის საკითხი აბსოლუტურად გაურკვეველი იყო. მთავარი კი ის არის, რომ 1906-ში ქართველი ახალგაზრდობა იმყოფებოდა არა სკოლის, არამედ რევოლუციის გავ-

ლენის ქვეშ. თანაც მას ამოძრავებდა არა პრაქტიკული ცხოვრების უშუალო ინტერესები, არამედ საკაცობრიო საკითხები, რუსეთის იმპერიის მომავალი, საქართველოს ბედი და სხვა ასეთები.

მეც სპეციალობაზე არც მიფიქრია. გაგონილი მქონდა, რომ რუსული რევოლუციური ემიგრაციის ცენტრი ჟენევაშია, რომ იქ არიან ისეთი ბელადები, როგორიცაა ლენინი, პლეხანოვი, ჩერნოვი და სხვები, რომ იქ სისტემატურად მაღალმნიშვნელოვანი დისკუსიები იმართება, იქ არის მდიდარი რუსული ბიბლიოთეკა, რომელშიაც იპოვი ყველაფერს, რაც რუსეთშია და იმასაც, რაც აქ აკრძალულია... „განვითარებისთვის“ ამაზედ უკეთესი რა უნდა წარმომედგინა, და გულში ამოვიჭერ ჟენევაში წასვლა. თან ენასაც ვისწავლი-მეთქი, ვფიქრობდი. ეს მისწრაფება უცხოეთისაკენ იმ დროს საერთო იყო ჩვენი ახალგაზრდობის დიდი ნაწილისათვის.

მშობლებმა ჩემი სურვილი, როგორც ყოველთვის, უყოყმანოდ გაიზიარეს, მაგრამ საჭირო იყო სახსრები, ბაბუა გრიგოლმა მამაჩემს ნება დართო ამ მიზნისთვის ვენახი გაეყიდა, მისი წილი. მეორე ბაბუამ, ლუკამ, ამავე მიზნისთვის ზესტაფონში გაყიდა სამოსახლო ადგილი, ასე რომ საესებით უზრუნველყოფილი ვიქნებოდი, მამაჩემის ხელში რომ ფულს გაჩერება შეძლებოდა.

ასე თუ ისე ჩემი წასვლა გადაწყდა. ავიღე სასაზღვარგარეთო პასპორტი, რაც სულ უბრალო საქმე აღმოჩნდა: გუბერნატორთან მივედი, დაუბრკოლებლივ მიმიღო და მაშინვე გასცა განკარგულება, რომ პასპორტი გაემზადებიათ. იმ დროს ჟენევიდან ერთი სტუდენტი იყო ჩამოსული, ტყეშელაშვილი, რომელიც უკან უნდა გაბრუნებულიყო, და მეც მასთან ერთად გავემგზავრე.

მივდიოდი დასავლურ ევროპაში და ტფილისი კი არ მენახა, არც სხვა რომელიმე ქალაქი, ქუთაისს გარდა. მაშინ რკინიგზით რუსეთისაკენ მიმავალს ბალაჯარა უნდა მოევლო. გავიარეთ კასპიის ზღვის ნაპირები და გავყევით ჩრდილო კავკასიას. გაკვირვებით და სიამოვნებით ვხედავდი, რომ რკინიგზის მოსამსახურეები ძირითადად ქართველები იყვნენ და სადგურებზეც ბუფეტები ყველგან ქართველებს (რაჭველებს) ეჭირათ.

მოულოდნელად ისიც შევამჩნიე, რომ ქუთათური რუსული იგივე არ იყო, რაც აქაური. ერთ სადგურზე, მგონი, უკვე ტაგანროგში, რისთვისღაც სტეარინის სანთელი დაგვჭირდა. გავირბინე სადგურის პირდაპირ საბაკალეიო მაღაზიაში და მოვითხოვე: Дайте

мне картофельную свечку[1]!“ გამყიდველმა თვალები დააჭყიტა: „Что?!“ ბედად იქვე თაროზე დავინახე და მივუთითე.

უკრაინაში ერთმა შემთხვევამ საშუალება მომცა დავრწმუნებულიყავ, რომ იქ რეაქცია უფრო იგრძნობოდა, ვიდრე ჩვენში. ერთ სადგურზე ტყეშელაშვილი ბაქანზე ჩავიდა. თითქმის იმავე დროს კუპეში შემოვიდა ერთი შუა ხნის „პომეშჩიკი“. მზიდველს ჩემოდანი ზევით შეადებინა და თვითონ ტყეშელაშვილის ადგილზე დაჯდა. გავაფრთხილე, ადგილი დაკავებულია-მეთქი, მაგრამ ერთი შემომიბღვირა და ვითომ არაფერი. შემობრუნდა ტყეშელაშვილი. თავაზიანად უთხრა, ჩემი ადგილი დაგიჭერიათო. „მერე ვითომ რაო? ისღა გვაკლია, რომ არმიაშკებს ადგილი დავუთმოთო!“ ტყეშელაშვილმა რომ თავისი გაიმეორა, მან უპასუხა, „თუ არ გაჩერებულხარ. ფანჯარაში გადაგისვრიო“.

სასაცილო იყო, ტყეშელაშვილს მისთანა მოწინააღმდეგე ორიც არ ეყოფოდა. მაინც თავს იკავებდა, თუმცა ბრაზისგან ტუჩები უთრთოდა. მეც ვეუბნებოდი, დაანებე თავი, თორემ ჟანდარმები თუ მოვიდნენ, ვინ იცის, როგორ წავა ჩვენი მგზავრობის საქმე-მეთქი: პომეშჩიკი უკვე კრამოლნიკებზე ლაპარაკობდა. ტყეშელაშვილმა თავი შეიკავა, მაგრამ გულის მოსაფხანად ფრანგულად ჩაილაპარაკა: Ce gros cochon! პომეშჩიკს ფრანგული სცოდნოდა და, ამის გამგონე, გადაირია. მაგრამ იმდენად ის არ სწყინდა, რომ ღორი უწოდეს, „მსხვილი ღორი“ აშფოთებდა: წვრილი აბა ვის უნახავსო!

მეზობელ კუპეში ნიკო მარი იჯდა. დერეფანში რომ გაველ, შემიწვია და მკითხა, რა ამბავი იყოო? მეც ვუამბე. გაიღიმა: — „მსხვილი ღორი“ იმიტომ გაჰკვირვებია, რომ გურული ღორი არ უნახავსო.

მივედით სასაზღვრო სადგურ პოდვოლოჩიცკში. დაიწყო ბარგის და დოკუმენტების გასინჯვა ჩვენი მოხელეების მიერ. ეს იყო პირველი და უკანასკნელი შემთხვევა, როდესაც ჩემი სასაზღვარგარეთო პასპორტი გამომადგა. უცხოეთში ის აღარავის აინტერესებდა. შემდეგ, პარიზში, ჩემი პასპორტი სხვას გადავეცი: რუსეთში ბრუნდებოდა და თავისი არ ჰქონდა. რაღა თქმა უნდა, მეც სხვისი

---

[1] სტეარინის სანთელს ქუთაისში (და სხვაგანაც) ქართულად რატომღაც კარტოფილის სანთელს უწოდებდნენ.

პასპორტით მომიხდა დაბრუნება (ფოტოსურათი და ასეთი რამეები პასპორტში არ იყო).

გავიარეთ რუმინეთი, ბულგარეთი, სერბია. ვენაში მატარებლის გამოცვლა დაგვჭირდა, სხვა სადგურზე უნდა გადავსულიყავით, რადგან ქალაქს ირგვლივი რკინიგზა არ ჰქონდა. ერთი დღე გავჩერდით და ქალაქს თვალი გადავავლეთ.

შვეიცარიის ბუნების სილამაზემ ამიტაცა, თუმცა მთის რაჭისა და სვანეთის უპირატესობას არ ვთმობდი. მაინც იყო ისეთი რამეებიც, რომელთა ექვივალენტს ჩვენში ვერ ვპოულობდი: ტბები და მატერიალური კულტურა.

ჟენევაში მასპინძელი მყავდა. ეს იყო ჩემი ძველი მეგობარი ბიქტორ ღოღელიანი. ერთი წლით ჩემზე ადრე იყო აქ ჩამოსული. მიველ მასთან. მის დიასახლისს ჩემთვისაც აღმოაჩნდა ოთახი და იქ დავბინავდი.

ბიქტორისვე მეშვეობით ავიყვანე ფრანგულის მასწავლებელი, მაგრამ ეს ენა თითქო არც მჭირდებოდა, იმდენი ხალხი იყო აქ რუსეთელი, რუსი თუ არარუსი. ბლომად იყვნენ ქართველებიც, მათგანი თუ ვინმე უნივერსიტეტში იყო, — ქიმიურზე. მხოლოდ მომავალი სახელგანთქმული ქირურგი იუსტინე ჯანელიძე შესულიყო სამედიცინოზე და სწავლას ამთავრებდა კიდეც წარმატებით. დანარჩენები პოლიტიკურ ემიგრაციას ეკუთვნოდნენ, ნამდვილს ან მოჩვენებითს. მათი საქმიანობა საკმაოდ გაურკვეველი იყო. ეს კი არის, რომ აქაურ ცხოვრებას ეცნობოდნენ მეტად თუ ნაკლებად და, ვის როგორ შეეძლო, ენას სწავლობდნენ. ესეც არ არის ცოტა: რამდენიმე წლის შემდეგ პარიზში ჩამოსული აკაკი წერეთელი მეუბნებოდა — აქ ახალგაზრდა, ქუჩაში რომ იაროს, მეტს ისწავლის, ვიდრე ზოგს უნივერსიტეტშიო.

ერთი რამ დასჩემებოდა აქაურ ქართველობას და. როგორც შემდეგ დავრწმუნდი, უცხოეთში მყოფ ქართველებს საერთოდ: უნდოდათ ყველას სცოდნოდა მათი ქართველობა და არავინ კი არ უჯეროდათ. ყველასთვის ისინი რუსები იყვნენ და საქართველო სად არის და რა არის, კაცმა არ იცოდა. მოხდებოდა, რომ ქართველი ახალგაზრდები რეგისტრაციაზედაც კი უარს აცხადებდნენ, რადგან მათ რუსი ეროვნებისად სწერდნენ, რასაც ისიც უწყობდა ხელს, რომ ფრანგულად სიტყვა nationalite ეროვნულ კუთვნილებასაც ნიშნავს და სახელმწიფოებრივსაც. ასეთ შემთხვევასაც მიამბობდნენ:

ჟენევაში იყო ერთი ყანჩელი, ათლეტური აგებულების ვაჟკაცი, რომელსაც საფუძველი ჰქონდა რუსეთის პოლიციისგან შორს დაეჭირა თავი. და აი აქ მომხდარიყო, რომ ვიღაც მთვრალ ემიგრანტებს საზოგადოებრივ დაწესებულებაში ძვირფასი სარკე გაეტეხათ. პოლიცია რომ მოსულიყო, ის ხალხი უკვე იქ აღარ იყო და ყანჩელი შერჩენოდათ ხელში. ამ უკანასკნელმა ენა არ იცოდა, მაგრამ, როგორც ანარქისტს, ეს კი არასოდეს ავიწყდებოდა, რომ პოლიციას წინააღმდეგობა უნდა გაუწიო. სანამ პოლიციელები ცოტანი იყვნენ, თვითონ სცემა მათ (იარაღის ხმარების უფლება პოლიციელებს არა ჰქონდათ), მაგრამ როდესაც მეტნი მოვიდნენ, წაიაქციეს ისიც და დაუწყეს სამაგიერო დამუშავება, სცემდნენ უწყალოდ, მაგრამ ყანჩელი ამას ყურადღებასაც არ აქცევდა. გულს უკლავდა მხოლოდ ის, რომ მას სცემდნენ როგორც რუსს და არა როგორც ქართველს, და თავის ფრანგულ-იტალიურ-ქართულ ენაზე იმეორებდა დაჟინებით: „ნონ კასე, ნონ რუს. ეგო სონა კარტალინო!"[1]

კიდევ უფრო უცნაური მოწმე მე თვითონ გავხდი. ქალაქს ვათვალიერებდი და მუზეუმში შეველ. ერთმა ოთახმა დამაინტერესა, სადაც გამოფენილი იყო სახარება ყველა ენაზე, რომელსაც კი მწერლობა აქვს. იყო ქართული სახარებაც და ქვეშ ფრანგული წარწერა ახლდა. განმარტებით: „La Georgie, les Etats unis de l' Amerigue du Nord".[2] იმ დალოცვილ კომენტატორს ალბათ ჩრდილო ამერიკის წითელკანიანების ენა თუ ეგონა!

ის, რისთვისაც ჟენევაში ჩამოველ, აქ ვერ ვიპოვე. რევოლუციის ლიდერთაგანი იმ დროს იქ არავინ იყო, გარდა პლეხანოვისა. და ისიც განმარტოებით ცხოვრობდა ქალაქგარეთ, სოფელში. კრებები და დისკუსიები თუ იყო, მეორე რანგის ხალხისა. და მოხდა ისეთიც, რაც დღემდე ვერ გამიგია: თითქო მეტიჩარა არ უნდა ვიყო და ერთი მოხსენება მეც გავაკეთე. გავაკეთე რუსულად და არა მარტო იმიტომ, რომ აუდიტორიის მთავარ ნაწილს ქართული არ ესმოდა, არამედ იმიტომაც. რომ თუმცა საყოფაცხოვრებო ენა ჩემთვის ყოველთვის ქართული იყო, თეორიული მსჯელობა რუსულად უფრო მემარჯვებოდა. სხდომა ერთ-ერთ კაფეში ჩატარდა და ხალხი

---

[1] „არ გამიტეხია. რუსი არა ვარ. მე ვარ ქართველი!"
[2] საქართველო (გეორგია,) ჩრდილო ამერიკის შეერთებული შტატები.

ბლომად დაესწრო. საერთო წესი იყო აქაც, პარიზშიც და სხვაგანაც: როდესაც კრების მოწვევა უნდოდათ, დარბაზის ქირა რომ არ ყოფილიყო გადასახდელი, რომელიმე კაფეს ან ლუდხანას (brasserie) შეუთანხმდებოდნენ, დათქმულ საათებში ერთ-ერთ დარბაზს გაათავისუფლებინებდნენ, ყოველი დამსწრე კონსომაციას მოითხოვდა — სიროპიან წყალს, ლუდს ან ღვინოს — და ყველა კმაყოფილი იყო, კაფეს პატრონიც და კრების მომწვევნიც.

მოხსენების შემდეგ ცხარე კამათი გაიმართა. ილაპარაკა ანარქისტების ლიდერმა კამანდო გოგელიამ. მის წინააღმდეგ გამოვიდა სოციალ-დემოკრატი პავლე საყვარელიძე („დიდი პავლე"). უკანასკნელის გამოსვლას ყურადღება მიაქცია ზემოხსენებულმა ყანჩელმა, რომელიც დარბაზის ბოლოში იჯდა და ლუდს შეექცეოდა. მას მოეჩვენა, კამანდოს აწყენინესო, და არც აცივა, არც აცხელა, — სტყორცნა ლუდის სასმისი საყვარელიძისკენ. დარბაზი დიდი იყო, ჭიქამ ესტრადამდე ვერ მიაღწია და აუდიტორიაში ერთ ებრაელის ქალს მოხვდა თავში. შეკივლება და სისხლი. დარბაზი თითქმის წამსვე დაიცალა. დავრჩით მხოლოდ ქართველები, დაზარალებული დავამშვიდეთ, ჭრილობა შევუხვიეთ და ამასობაში პოლიციაც მოვიდა. ვუთხარით, აქ არაფერი მომხდარა-თქო, და იმათაც დაიჯერეს, თუ მოგვაჩვენეს, ვითომ დაიჯერეს.

## ბიჭტორ ღოღელიანი

ჩემმა მოხსენებამ საბოლოოდ ამაგდებინა ჟენევაზე გული. ვფიქრობდი, სადაც ჩემისთანები მოხსენებებს კითხულობდნენ, იქ აბა რა უნდა ვისწავლო-მეთქი. არ მომწონდა იმ ემიგრაციის ცხოვრებაც, რამდენადაც ჩემთვის მისაწვდომი იყო. იმავე დროს კი იქვე გვერდით იყო საფრანგეთი. როგორღაც ველოსიპედით სიარულის შესწავლა განვიზრახე; ველოსიპედი საქირაოდ იშოვებოდა და არც ძვირი იყო. სწავლას ერთი საღამო დასჭირდა და მეორე საღამოს სასჯირნოდ წაველ. უკან რომ დავბრუნდი, აღმოჩნდა, რომ თურმე საფრანგეთში გადავსულიყავ, იქ ერთი სოფელი გამევლო და უკან დავბრუნებულიყავ. არ შემიმჩნევია და არც მიის, არც მოის ჩემთვის კაცს არაფერი უკითხავს.

მეორე მხრით მესმოდა, რომ პარიზში მთელი რიგი ქართველი

ახალგაზრდები ჩამოსულიყვნენ, მათ შორის რამდენიმე ჩემი ნაცნობი და ამხანაგიც. რაკი ჟენევაში ჩემ დარჩენას აზრი აღარ ჰქონდა, გადავწყვიტე პარიზში გადასვლა. დაახლოებით ორი თვის აქ ყოფნის შემდეგ წაველ კიდეც.

ამრიგად, ისევ დავცილდი ბიქტორ ღოღელიანს. ბიქტორი ქუთაისის შემდეგ ძლიერ გამოცვლილიყო. ჯერ კიდევ ქუთაისშივე მაზედ დიდი შთაბეჭდილება მოახდინა მჭევრმეტყველმა, თუმცა საკმაოდ შემთხვევითმა ანარქისტმა მ. წერეთელმა, ჟენევაში კი მთლიანად კ. გოგელიას გავლენის ქვეშ მოქცეულიყო და გაანარქისტებულიყო. არსად სწავლობდა. მთელ დროს ანარქისტ-კომუნისტურ წრეებში მუშაობას ანდომებდა. გულწრფელ, ენერგიულ და გონებამახვილ ახალგაზრდას შესაფერადაც აფასებდნენ, რასაც ხელს უწყობდა ალბათ მისი შნოიანი გარეგნობაც.

ჩემი ჟენევაში ჩასვლისთანავე დაიწყო ჩვენი დაუსრულებელი კამათი. ჩვენი მეგობრობა ძველებური იყო და სწორედ ამიტომ ბიქტორი ვერ შერიგებოდა აზრს, რომ მე ანარქისტ-კომუნისტი არა ვარ. სოციალიზმი, — ეს მუშათა საქმის ღალატიაო, მეუბნებოდა სახელმწიფო დღესაც და მომავალშიც, სოციალისტურიც ისევე, როგორც კაპიტალისტური, ყოველთვის ხალხის მჩაგვრელი იქნებაო და სოციალისტები მატყუარები ან, უკეთეს შემთხვევაში, მოტყუებულები არიანო. ხალხის ხსნა მხოლოდ ანარქო-კომუნიზმში არისო და მოითხოვდა, რომ მეც ანარქიზმი მეწამებია.

მე კი ანარქიზმზე სერიოზულად ლაპარაკი არ შემეძლო, ბავშვურ ფანტაზიად მეჩვენებოდა, და, მიუხედავად ბიქტორისადმი დიდი სიყვარულისა, ამას ვერ ვფარავდი. ის ღელავდა, ხოლო მე ასეთი მდგომარეობა მაღონებდა.

ჩვენი კამათი ამ საკითხზე არც ჩემი პარიზში გადასვლის შემდეგ შეწყვეტილა, მიწერ-მოწერით განვაგრძობდით. მისი გრძელი წერილები უეჭველად გულწრფელი გრძნობით იყო გამსჭვალული და ხანგრძლივი მოფიქრების ნაყოფი.

როდესაც კ. გოგელიაც პარიზში გადმოვიდა, ბიქტორი ჟენევაში, ასე ვთქვათ, მარტო დარჩა. მეორე მხრით, უცხოეთში მისი ყოფნაც თანდათან ძნელდებოდა. მისი მამა ლეჩხუმში კარგად ცნობილი ექთანი იყო, რომლის გამოცდილებას მოსახლეობა დიდად აფასებდა, მაგრამ უცხოეთში შვილის ცხოვრების უზრუნველყოფა მი-

სთვის მაინც ძნელი იყო. ბიქტორი სამშობლოში დაბრუნდა და მისი კვალი დავკარგე.

მხოლოდ 1909 წელს, დროებით საქართველოში მყოფმა გავიგე, რომ შინ დაბრუნებულ ბიქტორს რევოლუციური საქმიანობა დაეწყო. სტოლიპინის რეჟიმის პირობებში მისი მსგავსი ადამიანი ხიფათს ვერ ასცდებოდა. უკიდურესი რადიკალიზმი და შეუზღუდავი გულწრფელობა კონსპირაციის გარანტიად ვერ გამოდგებოდა, შემთხვევითი და შეუმოწმებელი თანამოაზრეები პარტიის მაგივრობას ვერ გაუწევდნენ. ვიღაცამ თუ რაღაცამ გასცა და დაიჭირეს. მიუსაჯეს გადასახლება. მიჰყავდათ ეტაპური წესით და ასტრახანის საპყრობილეში მოხვდა. იქ სისხლის სამართლის დამნაშავეთა ამბოხება მომხდარიყო. ჯარი გამოეწვიათ და ესროდნენ ტუსაღებს. ბიქტორი ამ ამბავს თავისი საკნის ფანჯრიდან ხედავდა. აღშფოთებული შეჰყვიროდა ჯარისკაცებს და თან ხელითაც ანიშნებდა, რას შვრებით, უბედურნო, ეგ ხომ უიარაღო ხალხია და თქვენივე ძმებიო! რომელიღაც ჯარისკაცმა ყურადღება მიაქცია და ერთი ტყვია მისთვისაც არ დაზოგა.

ასე დასრულდა ამ ადამიანის ცხოვრება რომელიც ჯერ არც კი დაწყებულიყო.

## პარიზი

პარიზი უზარმაზარი ქალაქია. მაგრამ როგორც არაერთხელ თქმულა, ახალჩასულს არ ჩაგრავს, სიმძიმედ არ აწვება მის გრძნობას. ასე მიმიღო მეც. ჩასვლისთანავე თავი ისე ვიგრძენი, თითქო შინ ვყოფილიყავ. ბინა ლათინური კვარტლის ცენტრში დავიჭირე, Toullir-ის პატარა ქუჩაზე. ასევე პატარა სასტუმროში, ქალაქის ამ ძველ უბანში, სადაც სასწავლო და საკვლევო-მეცნიერული დაწესებულებები იყრის თავს, ერთი მხრით, უშუალოდ გვერდზე მქონდა სორბონი, ხოლო მეორე მხარეზე, რაღაც ორმოცდაათიოდე მეტრის მანძილზე, პანთეონი იყო და მის გვერდით (შუაში მხოლოდ ქუჩა არის) სენტ ჟენევიევის ბიბლიოთეკა, რომელშიც რამდენიმე წლის განმავლობაში სისტემატური მუშაობა მომელოდა; პანთეონის პირდაპირ, ხოლო ჩვენი ქუჩიდან მეორე მხარეზე, დაახლოებით იმავე მანძილზე, — ლუქსემბურგის ბაღი და შემდეგ ლუქსემბურგის სასახლე და მუზეუმი; იქვეა ოდეონის თეატრი; ბაღსა და ჩვენს

შუა სტუდენტების „ბულმიში“, ე. ი. პროსპექტი „ბულვარ სენ-მიშელ“, რომელზედაც აღმა ცნობილი პარიზის ობსერვატორიაა, ხოლო დაღმა Palais de Justice და Consierqerie, სადაც პატიმრად იყო ლუი XVI; შემდეგ სენა და პარიზის ნოტრ დამი. ლათინურ კვარტალში არის სულ მცირე მანძილზე გაფანტული (სორბონის გარდა) სამართლის სკოლა (ესეც ფაკულტეტია), სახელგანთქმული პოლიტექნიკური სკოლა, უმაღლესი ნორმალური სკოლა და სხვ. პანთეონს უკან, დაახლოებით ნახევარი კილომეტრის მანძილზე, მდებარეობს ცნობილი Jardin des plantes ბოტანიკური ბაღით, ზოოლოგიური პარკით და მთელი რიგი მუზეუმებით და საკვლევო ლაბორატორიებით (მთელ კომპლექსს ნაციონალური მუზეუმი ეწოდება). სორბონის გვერდით არის კოლეჟ დე ფრანსი და სხვა... ყოველი კულტურული ადამიანისათვის უზარმაზარი მნიშვნელობის მქონე ამ ისტორიულ მონუმენტებსა და დაწესებულებებში პირველი დღეებიდანვე ისე ვგრძნობდი თავს, თითქოს აქ ვყოფილიყავ დაბადებული და გაზრდილი.

ქართველები ამ უბანში იყვნენ გაბნეული ყველა. ძირითადად ეს იყო ბოსწავლე ახალგაზრდობა, რომელიც 905-ის მიერ გამოწვეულ საერთო მისწრაფებას გადმოესროლა უცხოეთში. იყვნენ როგორც დასავლეთ, ისე აღმოსავლეთ საქართველოდან, უკანასკნელ შემთხვევაში უმთავრესად თავადაზნაურთა შვილები. ყველანი ერთიმეორის მეზობლად ცხოვრობდნენ, რადგან ყოველი ახლად ჩამოსული რომელიმე ნაცნობთან მიდიოდა და მისი დახმარებით ეწყობოდა. მოსწავლეების გვერდით იყვნენ აგრეთვე მწერლები, ხელოვნების მუშაკები და უბრალოდ ცნობისმოყვარე ხალხიც. საგრძნობი რაოდენობა იყო პოლიტიკური ემიგრანტებისა. შუშა ვინმე იშვიათად თუ გამოერეოდა. ერთი ასეთი იყო რაჭველი გ. კიკვიძე, რომელიც საზეინკლო საქმეში დასახელოვნებლად ჩამოვიდა. და ერთიც ახალგაზრდა პარიკმახერი ტფილისიდან. ქალების თმის კაზმით დაინტერესებული. ქართველების საერთო რიცხვი 40-სა და 50-ს შუა ქანაობდა.

პარიზის ქართველ ახალგაზრდობაში იმავე განწყობილებას წავაწყდი, როგორიც ჟენევაში იყო: აღშფოთებული იყვნენ, ქართველებს არ გვიცნობენო, და უნდოდათ მთელი მსოფლიოსთვის ემცნოთ საქართველოს არსებობა და ჩვენი ქართველობა.

სხვათაშორის, იმ დროს პარიზში არსებობდა „კავკასიის სათვის-

ტომო". პრაქტიკულად იგულისხმებოდა ამიერკავკასია და წევრები ქართველები, სომხები და აზერბაიჯანელები უნდა ყოფილიყვნენ. სახსრებს ამ სათვისტომოს ცნობილი კაპიტალისტი მანთაშევი აძლევდა. სპეციალური ოთახიც იყო დაქირავებული ლუქსემბურგის ბაღს უკან. ფაქტიურად სათვისტომოში იყვნენ ქართველები (დიდი უმეტესობა), ორი-სამი სომეხი და არც-ერთი აზერბაიჯანელი. ვიკრიბებოდით დროგამოშვებით და სწორედ ასე გავიცანი ცნობილი სომეხი მწერალი შირვან-ზადე, რომელიც ჩვენზე საგრძნობლად უფროსი იყო, მაგრამ სისტემატურად ესწრებოდა ჩვენს სხდომებს.

და აი წამოიჭრა საკითხი: — კავკასიელი რას მიქვია და რა არის, აგრე ვინ გაიგებს ჩვენს ქართველობასო? ქართული სათვისტომო უნდა შევქმნათო. არსებითად ეს ნიშნავდა სათვისტომოს სახელის გამოცვლას მხოლოდ; რადგან შემადგენლობა თითქმის უცვლელი დარჩებოდა. რასაკვირველია, მოისპობოდა მანთაშევის სუბსიდია, მაგრამ ამას ყურადღებას არავინ აქცევდა. ხოლო კავკასიის სათვისტომო თუ იქნებოდა, ეს უნდა ყოფილიყო ეროვნულ სათვისტომოთა გაერთიანება.

ასეც გადაწყდა. დავაარსეთ ქართული სათვისტომო, თუმცა სომხებმა სომხურის დაარსება არ ისურვეს, თუ ვერ მოახერხეს. ამიერიდან ბინა აღარ გვქონდა. ამიტომ სხვადასხვა კაფეში ვიკრიბებოდით. მუშაობა ნაყოფიერი იყო, თუმცა მსოფლიოსათვის, ვშიშობ, მაინც უცნობი დარჩა.

მეორე იყო ენის საკითხი. თითქმის ყველა და განსაკუთრებით ქალები, უფრო ტფილისელები, ერთმანეთშიაც კი რუსულად ლაპარაკობდნენ. ქართული ცუდად იცოდნენ და იშვიათადაც ხმარობდნენ მას. წიგნური ბაასი ვაჟებსაც რუსული უფრო გვემარჯვებოდა. გადავწყვიტეთ, ქართველი ქართველს მხოლოდ ქართულად უნდა დალაპარაკებოდა. ხოლო რადგან საფრანგეთში ვიყავით და ჩვენი საერთო ამოცანა ფრანგული ენის ათვისება იყო, არაქართველებთან ურთიერთობის ენა ფრანგული უნდა ყოფილიყო. მხედველობაში გვქონდა ის გარემოება, რომ ზოგი აქ წლობით ცხოვრობდა ისე, რომ ფრანგული ვერ ესწავლა. ამ დადგენილებას, უკეთ მის პირველ ნაწილს, მტკიცედ ვასრულებდით. სხდომების ენა ხომ, ცხადია, ქართული იყო. ასე მოხდა, რომ არაერთმა ახალგაზრდამ ქართული ლაპარაკის ჩვევა სწორედ პარიზში შეიძინა. ხოლო ყველამ უკეთესი ქართული ვისწავლეთ.

მართალია, პარიზში ჩასვლისას სასტუმროში დავდექ, მაგრამ ასე იყო მხოლოდ პირველი თვეები. თუმცა ამგვარ სასტუმროებში ცხოვრება უფრო ძვირი არ იყო, მაინც ყველა მოწყობილი ოთახის (chambre meublée) დაქირავებას ვარჩევდით: მეტ სიმშვიდეს უზრუნველყოფდა. ოთახს დიასახლისი ალაგებდა ან მის მიერ დაქირავებული ქალი. პურს, რძეს, კვერცხს უახლოეს სავაჭროებს ვუკვეთდით. და მოჰქონდათ ნისიად თვეობით. ამას ჩვენთვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა, რადგან ჩვეულებრივ შინიდან ფული გვიანდებოდა. ყოფილა ხოლმე შემთხვევა, რომ კვირეობით ამ ნისიისამარა დავრჩენილვარ. ჩაის და რძეს თვითონვე ვადუღებდით სპირტქურაზე, თვითონვე ვამზადებდით ერბო-კვერცხს და ზოგჯერ ხორცსაც ვწვავდით, — გამზადებული იყიდებოდა, ასე რომ ცეცხლის მეტი არაფერი სჭირდებოდა.

დავდიოდით იაფფასიან სასადილოში. ხუთი თავი (საუზმე, სუპი, ხორცეული გარნირით, ლობიო კაკლად ან სხვა რამ მისთანა, დესერტი და ნახევარი ბოთლი ღვინო) ღირდა ერთი ფრანკი (37,5 კაპიკი მაშინდელი ფულით) და 10 სანტიმიც (4 კაპიკზე ცოტა ნაკლები) ოფიციანტისთვის უნდა გვეჩუქებია. ამ სასადილოების მუშტრები იყვნენ ნოქრები და ხელმოკლე სტუდენტები. თითქო უფრო დემოკრატიული ბისტროები (ჩვენებური სამიკიტნოს ანალოგი), სადაც ხელოსნები და კვალიფიცირებული მუშები დაიარებოდნენ, ჩვენთვის მიუწვდომელი იყვნენ სიძვირის გამო. სასადილოს დრო იყო პირველიდან ორამდე და ექვსიდან რვამდე.

მოწყობილი ოთახის გარდა შეიძლებოდა მთელი ბინის დაქირავებაც, მაგრამ ცარიელის, ავეჯს სათანადო მაღაზიიდან გამოიტანდით ნისიად, თვიური გადახდით. 1907—1908 წლებში ასე ვცხოვრობდით კამანდო გოგელია, მისი მეუღლე, ოთხი სტუდენტი და მე. ვალაგებდით ოთახებს ჩვენ თვითონ. სადილს ამზადებდა კამანდოს ცოლი, ტომით რუსი და მშვენიერი ადამიანი, — ხოლო თითოეული ჩვენგანი რიგ-რიგად ეხმარებოდა. ვასრულებდით მის სხვადასხვა დავალებას და თან მრავალ სასიამოვნო საათს ვატარებდით.

პანსიონები ლათინურ კვარტალში, რა თქმა უნდა, არაერთი იყო, მაგრამ ჩვენისთანა ხალხისთვის მიუწვდომელი, სიძვირის გამო. ქართველი მხოლოდ ერთი თუ ორი ახერხებდა იქ ცხოვრებას. რეჟიმიც არ იყო მიმზიდველი.

სულ სხვა იყო ზაფხულში. ამ დროს თვით პარიზში ყოფნა სა-

ჭირო აღარ იყო და ქალაქგარეთ გავდიოდით. პარიზის გარშემო მრავლად არის სოფლები, რომლებიც პატარა ქალაქებს უფრო წარმოადგენენ და სადაც ადვილად შეიძლებოდა იაფი პანსიონის (100 ფრანკად თვეში) პოვნა. ქართველებს ამოჩემებული გვქონდა სოფელი ვილმომბლი პარიზის აღმოსავლეთით და იქ მოსიო მარიონის პანსიონი. პანსიონში ცხოვრებას ის უპირატესობაც ჰქონდა, რომ საშუალება გვეძლეოდა ფრანგებთან ფრანგულად გველაპარაკა. სხვათაშორის პანსიონის ფასში ენის გაკვეთილიც შედიოდა, მაგრამ ამით ნაკლებად ვსარგებლობდით. როგორც სოფელს შეჰფერის, გვქონდა ბაღი, სადაც მე დამბაჩის სროლაში ვვარჯიშობდი, და დიდი ეზო, სადაც კროკეტს ვთამაშობდით. ახლო იყო მდინარე მარნა და ხშირად ვსეირნობდით ნავით. ნავს ვქირაობდით და მენიჩბეები თვითონ ვიყავით.

სწორედ ამ პანსიონში ცხოვრებიდან მაგონდება ერთი თავისებური შემთხვევა. აღარ მახსოვს, რომელ წელში, იქ რამდენიმე ქართველი ვიყავით. ჩვენ შორის იყო ვასიკო ლ., ქუთაისში ცნობილი ვაჭრის შვილი. კარგი ამხანაგი, მაგრამ სწავლის ცუდი მეგობარი. ფული სხვებზე მეტი მოსდიოდა, კარგად იცვამდა, გარეგნობაც შესაფერი ჰქონდა და თავი ლოველასად წარმოედგინა. ერთხელ ქუჩაში ქალი შეხვედროდა და ცდილიყო გამოლაპარაკებოდა. ქალმა ყური არ ათხოვა და ფეხს აუჩქარა. ეს მისდევდა და არ ეშვებოდა. ასე მივიდნენ ერთ ჭიშკართან და ქალმა სწრაფად იქ შეუხვია. არ გასულა დიდი დრო, რომ იქიდან ერთი ყმაწვილი გამოვიდა და ჩვენი ვასიკო იფრინა.

უკანასკნელი შეშფოთებული დაბრუნდა შინ და გვიამბობდა, ასე და ასე, გამოვიდა ვიღაც კაცი, ჩაიყო ჯიბეში ხელი და რევოლვერი ამოიღოო. ისიც დაუმატა, სახლში, სადაც ეს მოხდა, პანსიონი არისო. ჩვენ ჯერ იმ ქალის მიმართ ქცევისათვის დაუზოგავად გავლანძღეთ. მაგრამ შემდეგ ამას სხვა მოჰყვა. ვიღამაც შენიშნა, იმ ყმაწვილს შენთვის შეურაცხყოფა მოუყენებია, ეს ყველა ქართველს შეურაცხოფაა და უსათუოდ დუელში უნდა გამოიწვიოო, თორემ რას იფიქრებენ ქართველებზეო! ვასიკო ამას ყველაფერზე ნაკლებ მოელოდა, მაგრამ ხმა ვერ ამოეღო. გადაწყდა დუელი.

უნდა შეგვერჩია სეკუნდანტები. როგორც დამბაჩის კარგი მსროლელი და ფრანგულის უკეთ მცოდნე, ერთ სეკუნტანტად გამომყვეს მე. მეორე იყო დუშეთის ხაზინის გაძარცვის მონაწილე (პარტიის

დავალებით), ჩვენზე საგრძნობლად უფროსი და ვაქკაცური იერის ადამიანი. ფრანგი ქალები მას Les yeux de feu-ს უწოდებდნენ.

მეორე დილით წავედით ხსენებულ პანსიონში. იმ ყმაწვილის ვინაობაც ვიცოდით უკვე. — გერმანელი ყოფილიყო. დიასახლისს ვუთხარით, ვისი ნახვაც გვინდოდა, და ისიც გამოვიდა. განვუმარტეთ ჩვენი მოსვლის მიზეზი. ის განცვიფრებული იყო, — რა შეურაცხყოფა, რისი დუელიო! ჩვენ თავაზიანად, მაგრამ მტკიცედ განვუცხადეთ, ან ბოდიში საჯაროდ ან დუელი აუცილებელი არის-თქო, და, რომ დავინახეთ, რამდენად შეშფოთებული იყო, დავუმატეთ: ბოდიშს ვიხდით, რომ ამ საკითხებზე უშუალოდ გაწუხებთ; ხვალ თორმეტ საათზე მოვალთ და თქვენს სეკუნდანტებს მოველაპარაკებით-თქო. ახლა მხოლოდ იმასღა ვიტყვით, იარაღის არჩევის უფლება ჩვენს მეგობარს აქვს, როგორც შეურაცხყოფილ მხარეს, და მისი არჩევანი დამბაჩა არის. ალბათ მანძილი ათი ნაბიჯი იქნება და სროლა მანამდე, სანამ ერთ-ერთი მოწინააღმდეგე ისეთ მდგომარეობაში არ აღმოჩნდებოდა, რომ დუელი ვეღარ განაგრძოს-თქო

წამოვედით. შინ ვასიკო დაგვხვდა შეძრწუნებული. ვამხნევებდით, — მარტივი საქმეა დამბაჩა, ხომ ბევრჯერ გაგისროლია-თქო. „არასოდესო“, გვიპასუხა. და რომ უფრო ჩავკითხეთ, — „ერთხელ მომცეს ხელში; თვალები დავხუჭე და ხელი მაღლა ავწიე; მგონია, გავარდაო“.

მეორე დღეს დანიშნულ დროზე მივედით პანსიონში. დარეკვაზე დიასახლისი გამოვიდა. მის თვალებში დაუფარავი სიძულვილი ღვიოდა. ვიკითხეთ ჩვენი გერმანელი. „მოსიო წუხელი გერმანიაში წავიდაო“, — გვიპასუხა.

შინ რომ დავბრუნდით, ჭიშკარში პანსიონის დირექტორს შეეყარეთ. ვასიკო ვიკითხეთ. „მოსიო ბაზილ ავად გახდა და წევსო“, გვაცნობა. ასე დათავდა ეს ამბავი. დუელი საფრანგეთში აკრძალულია. ახლა რომ ვფიქრობ, ვერც კი წარმომიდგენია, რა შედეგები მოჰყვებოდა მას, საქმე რომ მართლა ისე წასულიყო, როგორც გადაწყვეტილი გვქონდა.

## პარიზის უნივერსიტეტი

როგორც უკვე ვთქვი, პარიზში რუსეთელი კიდევ მეტი იყო, ვიდრე ჟენევაში, მაგრამ ამ დიდ ქალაქში ისინი უფრო გაფანტულნი

იყვნენ და ერთ კომპაქტურ მასას არ წარმოადგენდნენ. იმხანად კრებები და მოხსენებები არც ისე ხშირი ჰქონდათ და, კიდეც რომ ასეთი ცხოვრებით ძველებურად გატაცებული ვყოფილიყავ, იგი დიდ დროს არ წაიღებდა. აუცილებელი იყო სხვა რამ საქმიანობა.

ჩემთვის პირველ რიგში საჭირო ჩანდა ფრანგული ენის ათვისება. მალე დავრწმუნდი, რომ ტრაფარეტული გზა — მასწავლებელი და კვირაში სამი თუ მეტი გაკვეთილი — ვერაფერს მომცემდა. გრამატიკა, რაც საჭიროა, გიმნაზიიდანვე ვიცოდი და ახლა უფრო სიტყვის მარაგი და პრაქტიკა მჭირდებოდა. რაკი ბაასის პირობები ნაკლებად მქონდა, გადავწყვიტე მთავარი ყურადღება კითხვისათვის მიმექცია. ეს მით უმეტეს, რომ კარგად ვხედავდი სხაპასხუპით ლაპარაკი კიდევ არ ნიშნავს ენის დაძლევას. თვალწინ მედგა მაგალითები, როდესაც ადამიანი თითქო თავისუფლად ლაპარაკობდა, უმნიშვნელო ბაასის გამოთქმათა არსენალს კარგად ფლობდა, მაგრამ ორ სტრიქონს ვერ დაწერდა ხეირიანად.

ვკითხულობდი ენობრივად სანიმუშო და მსუბუქ რამეებს, მაგალითად მოპასანს, მაგრამ მაინც უფრო ფილოსოფიურ თხზულებებს. გამიტაცა სიმპათიურმა ფილოსოფოსმა და პოეტმა გიიომ, რომლის აზროვნების სტილი ძლიერ მომწონდა.

ნახევარი წლის შემდეგ ყოველგვარ ტექსტს თავისუფლად ვძლევდი და ლექციის თუ მოხსენების მოსმენაც შემეძლო. იმ დროს პარიზში ერთი ცნობილი ანარქისტი იყო, სებასტიან ფორი, მშვენიერი ლექტორი, რომელიც ხშირად აკეთებდა ანტირელიგიურ მოხსენებებს. მის წინააღმდეგ გამოდიოდნენ კათოლიკე მღვდლები, რომელთაგან ზოგს საუცხოოდ დახვეწილი და ნათელი ენა ჰქონდა. სიამოვნებით ვისმენდი მათ კამათს. შევდიოდი ხანდახან სორბონშიც საჯარო ლექციის მოსასმენად. ასეთი ლექციები და კურსებიც აქ წესად იყო, ძირითადად ლიტერატურის და ისტორიის დარგში. საკუთრივ ლაპარაკს უფრო ზაფხულობით, პანსიონში ვეჩვეოდი.

მაგრამ ენის სწავლა ხომ თვითმიზანი არ შეიძლებოდა ყოფილიყო. თავდაპირველად ჩემი განზრახვა იყო, ენას დავუფლებოდი და უკან დავბრუნებულიყავ, რათა რუსეთის რომელიმე უნივერსიტეტში უმაღლესი განათლება მიმეღო. ახლა განწყობილება თანდათან იცვლებოდა. არ ჩანდა, რომ პარიზში ვისმე ქართველს უმაღლესი სწავლა დაემთავრებიოს, და ბავშვური თავმოყვარეობა მეუბნებოდა, რატომ ვერ უნდა მივიღო აქ განათლება-მეთქი? მეორე მხრით,

ვხედავდი, რომ პარიზს არაერთი ახალგაზრდა ჩამოსულიყო და შინ დაბრუნებულიყო ისე, რომ არსებითად არაფერი გაეკეთებია, — არ მინდოდა მეც მათი რიცხვი გამედიდებია. დასასრულ, ჩემს გარდა ახლა აქ იყვნენ მთელი რიგი ახალგაზრდები, რომელნიც უნივერსიტეტში აპირებდნენ შესვლას. ვიფიქრე, ეგებ აჯობებდა მეც ამ გზას დავდგომოდი-მეთქი. გადავწყვიტე კიდეც და, როგორც ყოველთვის, მშობლებისგანაც თანხმობა მივიღე.

მაგრამ რომელ სასწავლებელში უნდა შევსულიყავ? პარიზში იყო განთქმული სპეციალური სასწავლებლები, ე. წ. (Les Grandes Ecoles). ასეთია უმაღლესი ნორმალური სასწავლებელი (Ecole Normale Supérieure), რომელიც ლიცეუმების მასწავლებლებს ამზადებს, როგორც უნივერსიტეტიც, მაგრამ ეს არის ინტერნატი და, უცხოელს თუ მიიღებენ, მხოლოდ სათანადო მთავრობის თხოვნით. ასევეა ცნობილი პოლიტექნიკური სკოლა (Ecole Polytechnique), მაგრამ აქ ისიც ემატება, რომ მიღება კონკურსით ხდება და შემსვლელები, საშუალო სკოლას რომ დაამთავრებენ მათემატიკური განხრით, კიდევ ერთ ან ორ წელიწადს ემზადებიან თავგადადებით საამისო სასწავლებელში (Ecole des matématiques spéciales). გამოცდები ძლიერ ძნელია, მაგრამ კიდევ უფრო ძნელი ჩემთვის ნივთიერი პირობები იქნებოდა: ამ გზით მიდიოდა ან შეძლებული ხალხი, ან სახელმწიფოს სტიპენდიანტები. მსგავსი პირობები იყო სხვადასხვა საინჟინრო სასწავლებლებშიც (Ecole des mines, Ecole des arts et métiers და სხვ.) და გარდა ამისა ამათზე არც მიფიქრია, რადგან იმდროინდელი ახალგაზრდობის იმ ჯგუფს ვეკუთვნოდი, რომელიც ფიქრობდა, რომ ამ გზით წასვლა თითქო პირად კეთილმოწყობაზე ზრუნვის და ხალხის სამსახურის დავიწყების მაჩვენებელი იქნებოდა.

დარჩა უნივერსიტეტი, მაგრამ რომელი ფაკულტეტი? იურიდიული (Ecole de droit) გამორიცხული იყო უკვე იმის გამო, რომ ფრანგული კანონმდებლობის შესწავლა რუსეთის იმპერიაში დიდად ვერაფრად გამომადგებოდა. სამედიცინო (Ecole de médecine) თითქო ისევ პირად ინტერესებზე ზრუნვას ნიშნავდა. რჩებოდა სორბონი.

როგორც ცნობილია, ეს სახელი ეწოდა შენობას, რომელიც XVII საუკუნეში მეფის მოძღვარმა სორბონმა შესწირა პარიზის უნივერსიტეტს. დღეს იქ არის მოთავსებული, და ისიც ნაწილობრივ,

ორი ფაკულტეტი: ჰუმანიტარული (Faculté des Lettres) და (ზუსტ) მეცნიერებათა (Faculté des Sciences). ეს უკანასკნელი აერთიანებს მათემატიკურ, ფიზიკურ-ქიმიურ და საბუნებისმეტყველო დარგებს. იმ შეხედულების თანახმად, რომელიც გავრცელებული იყო რუსეთის მოწინავე ინტელიგენციაში და რომელიც ამტკიცებდა, რომ „საერთო განვითარებისთვის“ საბუნებისმეტყველო განათლება იყო საუკეთესო, უკანასკნელი დარგი ავირჩიე.

საფრანგეთში სწავლა პირველ ოქტომბერს იწყება და სრული რვა თვე გრძელდება (გამოცდების გამორიცხვით). 1907 წლის ოქტომბრის პირველი მნიშვნელოვანი თარიღი გამოდგა პარიზის ქართველობისათვის: ამ დღეს ათამდე ქართველმა დაიწყო უნივერსიტეტში სწავლა. რამდენადაც მახსოვს, 4 იყო ბუნებისმეტყველი, 2 ქიმიკოსი, 2 მედიკი და ერთი იურისტი. ამას უნდა მივუმატოთ ისინი, ვინც სპეციალურ ენის კურსებზე სამასწავლებლოდ ემზადებოდნენ — ორი თუ სამი იქნებოდა. ქალები მხოლოდ ესენი იყვნენ. შესვლა უნივერსიტეტში ძლიერ მარტივი საქმე იყო: კმაროდა საშუალო სკოლის ატესტატის (ან მოწმობის) თარგმანი და მცირე სასწავლო გადასახადი.

სწავლების სისტემა უნივერსიტეტში საგნობრივი იყო, ესე იგი არავითარი კურსები და კურსიდან კურსზე გადასვლა. ფაკულტეტის ყოველ დარგზე იკითხებოდა დისციპლინათა გარკვეული რაოდენობა. მაგალითად, საბუნებისმეტყველოზე: ბოტანიკა, ზოოლოგია, ფიზიოლოგია, ბიოლოგია, მინერალოგია, გეოლოგია, ფიზიკური გეოგრაფია, SPCN (ამის შესახებ ქვემოთ). სტუდენტი აქედან სამს აირჩევდა სურვილისამებრ და, როდესაც შესატყვის სამ გამოცდას ჩაბარებდა, მიიღებდა დიპლომს და ლიცენციატის წოდებას. კარგი მუშაობის პირობებში ერთ საგანს ერთი წელიწადი სჭირდებოდა, ხოლო დიპლომის მისაღებად იმავე პირობებში სამი წელიწადი კმაროდა. მე გადავწყვიტე ერთი საგანი წელიწადში ცოტაა-თქო და ვაქაცურად ორ საგანზე ჩავეწერე, ზოოლოგიაზე და ბოტანიკაზე. რეგლამენტი ნებას მაძლევდა, თუნდაც სამზე ან ოთხზე ჩავწერილიყავ.

ზოოლოგიას სახელგანთქმული მეცნიერი აკად. დელაჟი (კათედრის გამგე) და არანაკლებ ცნობილი პროფ. ერუარი (კათედრის პროფესორი ჩვენებურად) კითხულობდნენ. მიველ ერუარის სემინარზე.

აუდიტორია სტუდენტებით იყო სავსე. დაიწყო საათმა რეკვა, გაღო მსხვილჯაჭვგადაკიდებულმა პედელმა კარი და შემოვიდა პროფესორი. აიღო სია და იწყო გვარების ამოკითხვა. ვის გვარსაც წაიკითხავდა, „Present!“ უპასუხებდა, თუ აუდიტორიაში იყო, მაგრამ მაკვირვებდა კი: დამსწრე ბევრი იყო და „Present“ ცოტა ისმოდა. ამოიკითხა ჩემი გვარი და მე კმაყოფილებით ვუპასუხე, ვარ-მეთქი. სია რომ ჩაათავა, ერთი გვარი გამოიძახა იმათგანი, ვინც, ვარო, უპასუხა. სტუდენტი გავიდა დაფასთან და დაიწყო დასმულ საკითხზე ნამდვილი პატარა ლექცია. თან ისეთ რამეებს ხაზავდა ანატომიიდან დაფაზე, რომ განცვიფრებას ვეძლეოდი. ახლა კი მივხვდი, რატომ უპასუხებდნენ ისე ცოტანი „აქ ვარო“, მაგრამ გვიანღა იყო. და გული მელეოდა, „ვაითუ გაწყრეს ღმერთი და შემდეგი გვარი ჩემი ამოიკითხოს-მეთქი“. ბედმა შემიცოდა და გადავრჩი. ამის შემდეგ ამ სემინარზე და არც ზოოლოგიის ლექციებზე ფეხი აღარ დამიდგამს.

ბოტანიკას აკად. ბონიე და პროფ. მოლიარი გვკითხავდნენ. მოვისმინე ბონიეს ლექცია და მიველ პრაქტიკუმზე. დიდ ლაბორატორიაში თითოეულს ცალკე მაგიდა ჰქონდა გამოყოფილი. ჩემს მაგიდაზე ვიპოვე მიკროსკოპი, შუშების მწკრივი სხვადასხვა რეაქტივებით და რაღაც მცენარის ტოტი. იარაღები, როგორიცაა სამართებელი, სკალპელები, სადგისები, მაკრატლები და სხვა, თითოეულ სტუდენტს საკუთარი უნდა მოეტანა. სრული კომპლექტები იყიდებოდა სპეციალურ ტყავის ბუდეში მოთავსებული. მიკროსკოპს პირველად ვხედავდი, რეაქტივების აბსოლუტურად არაფერი გამეგებოდა და ტოტის შესახებ მხოლოდ იმის თქმა შემეძლო, რომ ეს მცენარე იყო.

პრაქტიკუმს ხელმძღვანელობდა ორი ასისტენტი, ორივე მეცნიერებათა დოქტორი. ერთმა მათგანმა გამოგვიცხადა, მცენარის თხელი თლილი უნდა დაამზადოთ, შესაფერი რეაქტივებით დაამუშაოთ, მიკროსკოპით გასინჯოთ, ჩახაზოთ რვეულში და აღწეროთო.

საცოდავ მდგომარეობაში ვიყავი. ასისტენტს ვერ მივმართე. ისევ მეზობლებს ვაკვირდებოდი, რას აკეთებენ-თქო. მათვე ვეკითხებოდი, რისთვის იყო რეაქტივები, როგორ უნდოდა მიკროსკოპს ხმარება და სხვა. სრული სამი საათი გაგრძელდა ეს ამბავი. შემდეგ ჩვენი ნამუშევარი მაგიდებზე დავტოვეთ და წამოვედით.

შემდეგ პრაქტიკუმზე ნაშრომები გასწორებული მოიტანეს. თითოეულისთვის ნიშანი დაეწერათ ოცბალიანი სისტემით (9 და მეტი

დამაკმაყოფილებლად ითვლებოდა). ყველას საჭირო განმარტებებს და მითითებებს აძლევდნენ. მეც დამიბრუნეს ჩემი რვეული. არავითარი ნიშანი. მხოლოდ შენიშვნა: შენ თუ მართლა აპირებ, რომ აქ სწავლა განაგრძო, კარგი მუშაობა კი დაგჭირდებაო!

გამოწვევად მივიღე და არა შეურაცხყოფად. თავმოყვარეობის საკითხი იყო. მდგომარეობა კი ჩემთვის ნათელი გახდა: ფრანგულ საშუალო სკოლაში, რომელსაც ლიცეუმს (licée) უწოდებენ, პირველ ხუთ წელიწადს (მერვედან მეოთხე კლასამდე, ჩათვლით) ყველა ერთი გეგმით სწავლობს. მესამე კლასიდან კი ორ შტოდ იყოფიან: ერთში ენას და ლიტერატურას უჭირავს მთავარი ადგილი, მეორეში — მათემატიკას, ფიზიკა-ქიმიას და ბუნებისმეტყველებას. ეს არის ცნობილი ბიფურკაცია, მაგრამ საქმე ამით არ თავდება. უკანასკნელ ანუ პირველ კლასში თითოეული შტო კიდევ ორად იყოფა: ფილოსოფიის კლასი A და B — პირველი ძველი ენებია მთავარი, მეორეში ახალი; ასევე მათემატიკის კლასი A და Б; ერთში მათემატიკა და ფიზიკა-ქიმია არის საფუძველი, მეორეში — ბუნებისმეტყველება. ამგვარად სპეციალიზაცია უკვე საშუალო სკოლაში იწყება. მეცნიერებათა ფაკულტეტზე შედიან ახალგაზრდები, რომელთაც მათემატიკაში, ფიზიკა-ქიმიაში და ბუნებისმეტყველებაში უკვე ერთგვარი მომზადება აქვთ. ამათგან საბუნებისმეტყველო დარგს ჩვეულებრივ ისინი ირჩევენ, ვისაც მათემატიკის კლასი B დაუმთავრებია, ე. ი. ბუნებისმეტყველებაში დასპეციალებული. უნივერსიტეტის სწავლებაც ამ ვარაუდზეა აგებული.

ძნელი არ იყო მიხვედრა, — მეტისმეტად ჩამორჩენილი ვიყავი. თითქო ნათელი ჩანდა წამალიც: მასწავლებელი ვინმე უნდა მეშოვა. მაგრამ ეს გზა ჩემთვის არ არსებობდა, უსახსრობის გამო. ესეც არ ყოფილიყო. მასწავლებელი, მართალია, დამეხმარებოდა, გამოცდების ჩაბარებას წლის ბოლოს ალბათ შემაძლებინებდა, მაგრამ ცოდნას ნაკუწ-ნაკუწს მომცემდა ხარვეზების შესავსებად.

მე სხვა გზა ავირჩიე. პრაქტიკუმიდან რომ გამოველ, ჩავყევი ბულვარ სან-მიშელს და გაველ სენის სანაპიროზე. აქ ქვის მოაჯირზე ჩამწკრივებული იყო ბუკინისტების ვიტრინა — ყუთები, წიგნებით სავსე. დილას მოდიან ეს ჩვეულებრივ იმ წიგნებივით ძველი ადამიანები და მუშტარს შეჰყურებენ. საღამოს ყუთებს ჰკეტავენ და აქვე სტოვებენ. ეს ის ბუკინისტები არიან, რომელთაც ისე ხში-

რად იხსენიებენ ანატოლ ფრანსი და სხვები. მაგრამ მე აქ უფრო პროზაულმა საქმემ მომიყვანა, ვიდრე ის დიდი მწერალი. მოვნახე ნახმარი სახელმძღვანელოებით მოვაჭრე ერთი ბუკინისტი და გამოვართვი მათემატიკის კლასის სახელმძღვანელოები მათემატიკაში, ფიზიკაში, ბუნებისმეტყველებაში.

და ჩავუჯექი! უნივერსიტეტში დავიარებოდი და არაფერს ვაკლდებოდი, მაგრამ მთავარი ჩემთვის ახლა ეს მეორე საქმე იყო. განსაკუთრებით გამიტაცა მათემატიკამ, არითმეტიკით დაწყებული. ეს სულ სხვა რამე იყო, ვიდრე ის, რასაც ქუთაისში გვასწავლიდნენ. ეს იყო, ასე ვთქვათ, მათემატიკის საფუძვლები და არა ამა თუ იმ მათემატიკური მოქმედების მექანიკური წესები. თანაც კანონად გავიხადე ერთ სტრიქონსაც არ გადავხტომოდი, სანამ ბოლომდე არ გავიგებდი, და თან თითოეული თავის ბოლოში მოთავსებული ამოცანები ყველა უნდა ამომეხსნა უგამონაკლისოდ. უმასწავლებლოდ ეს საქმე გაცილებით უფრო მიმზიდველი აღმოჩნდა. იმავე დროს ქართული ენის ამოცანასაც არ ვივიწყებდი და ვცდილობდი ყოველი ფრანგული ტერმინისათვის ქართული შესატყვისი მეპოვნა: წიგნის არშიაზე მივაწერდი ფანქრით.

მიმდინარეობდა ასე მუშაობა და მიდიოდა დროც. ბოტანიკის ასისტენტები ახლა უკვე ნიშნებს მიწერდნენ და ხშირად 19-იანებს. მოვიდა გამოცდების დროც. ეს გამოცდებიც ჩემთვის უჩვეულო რამე იყო. ერთადერთი გამოცდა, ბოტანიკაში, მაგრამ იგულისხმებოდა მთელი ბოტანიკა: მორფოლოგია, ანატომია, ფიზიოლოგია, სისტემატიკა და სხვა. სისტემატიკა Jardin des plantes-ის ბოტანიკურ ბაღში ავითვისე ისე, რომ პარიზის რაიონის ყველა მცენარის გამოცნობა შემეძლო გვარამდე მაინც, სპორიანების გამოკლებით.

გამოცდა ძლიერ სერიოზული იყო და სამი სახის: წერითი, პრაქტიკული და ზეპირი. იწყებოდა წერით, რაც ხუთ საათს გრძელდებოდა. მოგვცემდნენ სამ თემას საგნის სხვადასხვა დარგიდან და სამივე უნდა დაწერილიყო. თითოეულ თემაზე ნაშრომს ცალკე შეაფასებდნენ ოცბალიანი სისტემით. შემდეგ შეაჯამებდნენ, გაყოფდნენ სამზე და, თუ ცხრაზე მეტი გამოვიდოდა, დაუშვებდნენ სტუდენტს შემდეგ გამოცდაზე. ე. ი. პრაქტიკულზე. პრაქტიკული გამოცდაც 5 საათს გრძელდებოდა. აქაც სამი თემა, სამი ნიშანი და, თუ საშუალო დამაკამაყოფილებელი იქნებოდა, სტუდენტს ზეპირ გამოცდაზე დაუშვებდნენ. უკანასკნელით გამოცდები თავდებოდა.

გამოცდების სიძნელე ისეთი იყო, რომ საგამოცდოდ ეწერებოდა სტუდენტების 80-ოდე პროცენტი მხოლოდ. ზოგ საგანში ცოტა მეტი, ზოგში ნაკლებიც. ამათგან 30-ოდე პროცენტი წერის შემდეგ ამოვარდებოდა სიიდან. 10—15 პროცენტი პრაქტიკულის შემდეგ და ზეპირში ჩვეულებრივ აღარავინ იჭრებოდა. თემები სამწუხაროდ აღარ მახსოვს. მაგონდება მხოლოდ, რომ ორი წლით უფრო გვიან ფიზიოლოგიის პრაქტიკულ გამოცდაზე შემდეგი ამოცანები შემხვდა: 1) ბაყაყის დიდი ტვინი უნდა დამეშალა, ცხოველი გამეკვეთა, მისი გული კარდიოგრაფში მომეთავსებია, მეწარმოებია ელექტრული აგზნება და გამეკეთებია ამგვარად ჩაწერილი კარდიოგრამების ანალიზი. 2) მოცემული მქონდა ცხვრის ღვიძლის მოზრდილი ნაჭერი, — უნდა მომეხდინა გლიკოგენის დოზაჟი. 3) მოცემული იყო ხის მწვანე შტო; უნდა ამეგო სათანადო აპარატი (ნაწილები იქვე იყო), გამეზომა O-ს და $CO^2$-ს ცვლა ერთდროული სუნთქვისა და ასიმილაციის პირობებში და გამომერკვია თითოეული ამ პროცესის წილი.

გამოცდებმა მუშაობის ჩემი მეთოდი სავსებით გაამართლა. იმ ცხრა ქართველიდან, უნივერსიტეტში რომ შევედით, წლის ბოლოს გამოცდები მხოლოდ მე ჩავაბარე. მივიღე სათანადო მოწმობა (Certificat d'euteds supérieures).

გამოცდა კი ჩავაბარე, მაგრამ ჩემი ამოცანა გადაჭრილი არ იყო. მათემატიკის ცოდნა, ასე თუ ისე, წიგნების საშუალებით შევივსე, მაგრამ ფიზიკას და ქიმიას ასე არ მოევლებოდა, წიგნის გვერდით საჭირო იყო ლაბორატორიაც. უნივერსიტეტში ამ საგნებზე რომ ჩავწერილიყავ, ორი წელიწადი დამჭირდებოდა და დიპლომსაც ვერ მივიღებდი, რადგან ისინი საბუნებისმეტყველო საგნების რიცხვში არ შედიოდნენ. ორი საბუნებისმეტყველო საგანი მაინც იქნებოდა კიდეე ჩასაბარებელი ან ერთი ფიზიკურ-ქიმიური.

და აი აქ მივაქციე ყურადღება, რომ სამედიცინო ფაკულტეტზე პირველი წლის განმავლობაში სწავლობენ მხოლოდ ფიზიკას, ქიმიას. ზოოლოგიას და ბოტანიკას. ამას ეწოდებოდა PCN (შემოკლებული „ფიზიკა-ქიმია-ბუნებისმეტყველება"). სპეციალური საგნები მხოლოდ შემდეგ წელიწადს იწყება, — ეს არის უკვე საკუთრივ სამედიცინო პირველი კურსი. იმავე დროს არის წესი, რომ, თუ ამ PCN-ს მცირე რამ გეოლოგიაც დაემატება, ის ჩაითვლება საბუნებისმეტყველო ლიცენციატის ერთ საგნად — SPCN.

გადავწყვიტე, რომ ჩემი საქმე სწორედ ეს იყო და არც მოვტყუებულვარ. ჩავბარე მეორე წლის ბოლოს საჭირო გამოცდები (ფიზიკა, ქიმია, ზოოლოგია, გეოლოგია) და მივიღე მეორე (Certificat d' études supérieures და, რაც მთავარია, მივიღე ზოგადი საბუნებისმეტყველო განათლება.

1909 წლის ზაფხულზე დავბრუნდი ქუთაისს. ჩემი ნივთიერი მდგომარეობა მძიმე იყო და ვარჩიე სწავლა რუსეთში განმეგრძო. გავგზავნე კიდეც განცხადება და საბუთები პეტერბურგის უნივერსიტეტში და ჩამრიცხეს.

ასეთი იყო მდგომარეობა, როდესაც პარიზიდან საზაფხულოდ ჩამოსულმა ერთმა ამხანაგმა, საბახტარაშვილმა, მომმართა წინადადებით, პარიზში რეპეტიტორობა გამიწიე, შენ შრომას ავანაზღაურებ და ამგვარად საშუალება გექნება შენი საქმეც განაგრძო. მეც ძლიერ გულნაკლულად ვიყავი. ვხედავდი, ბევრი ფიქრობდა, რუსეთში იმიტომ გადმოდის, რომ საფრანგეთში ვერაფერი გააკეთაო, უცხოეთში წასული ჩვენი ახალგაზრდობის ბედიც ასეთ შეხედულებას თითქო ამართლებდა და, ბუნებრივია, მინდოდა, დაწყებული საქმე ბოლომდი მიმეყვანა. საბახტარაშვილს კარგად ვიცნობდი; ვიცოდი, რომ მისი განზრახვები განზრახვებადვე დარჩებოდა, რაც გამართლდა კიდეც, მაგრამ ეს წინადადება საბაბად გამოვიყენე თავის დასამშვიდებლად. მცირე ყოყმანის შემდეგ გადავწყვიტე პარიზს დავბრუნებულიყავ.

ამჯერად ზღვით მომიხდა მგზავრობა, ბათუმიდან მარსელამდე, ავსტრიული გემით. თანამგზავრები იყვნენ ძმები გრიგოლ და ზურაბ გველესიანები, რომელნიც პარიზში მიდიოდნენ საცხოვრებლად ოჯახიანად, და ორი ქალიშვილი, ნ. აბაშიძე და თ. ნაკაშიძე. ამათ ენის შესწავლა ჰქონდათ მიზნად და პარიზის გაცნობაც, რა თქმა უნდა. ნ. აბაშიძეს პარიზში ჰყავდა ძმაც.

მგზავრობა ძლიერ საინტერესო გამოდგა. გემი სამგზავრო-სატვირთო იყო და გზაში დიდ პორტებში საკმაო ხანს ჩერდებოდა. ამგვარად დავათვალიერეთ სტამბოლი, სმირნა (იზმირი), ათენი, ნეაპოლი, გენუა. სტამბოლამდე ჩვენი თანამგზავრი აღმოჩნდა სტამბოლის ვეტერინარული ინსტიტუტის პროფესორი, რომელიც ტაბახმელის სავაქცინაციო სადგურის გასაცნობად ჩამოსულიყო და ახლა უკან ბრუნდებოდა. გამოირკვა, რომ ქართველი იყო, მაჰმადიანი, სამხრეთ საქართველოდან. ქართული იცოდა და ეტყობოდა, ამა-

ყობდა თავისი ქართველობით. „ჩემს პატარა ქალიშვილს გურჯი ღუზელი[1] შეარქვესო“, სიამოვნებით მიამბობდა. ვკითხე, ქართული საიდან იცი-მეთქი. „პატარაობისას ქართველი კათოლიკე ბერი გავიცანი ერთი, შემთხვევით, და იმან მასწავლაო“, თვითონ კი, როგორც ვთქვი, მაჰმადიანი იყო. არ მცილდებოდა და მეჯვეწებოდა, ქართულად მელაპარაკეო, მაგრამ, როგორც კი ვინმე მოგვიახლოვდებოდა, წამსვე ფრანგულზე გადადიოდა. გაკვირვებულმა მიზეზი რომ ვკითხე, ამიხსნა, არ მინდა „ახალგაზრდა ოსმალებმა“ (მაშინ ოსმალეთში გაბატონებული პარტია იყო) გაიგონ ჩემი ქართულის ცოდნა, — დევნას დამიწყებენო.

სტამბოლში თავს თავისუფლად ვგრძნობდი, რადგან ცოტაოდენი ფრანგული, ასე ვთქვათ, ყველას ესმოდა, მეეტლეებსაც კი. ვინახულე ქართველ კათოლიკეთა მონასტერი, საკმაოდ დაშორებით. ქალაქიდან. ბერებმა გულმხურვალედ მიგვიღეს. ეტყობოდა, რომ ეს ქართული პატრიოტიზმის ბუდე იყო. სწორედ ერთ ამ ბერთაგანს ესწავლებია ქართული იმ პროფესორისთვის.

ნეაპოლმა იტალიური ცნობისმოყვარეობის ტიპური მაგალითი გვიჩვენა. საღამო იყო, რომ მივედით. გადავწყვიტეთ ქალაქში ჩასვლა. ჩვენს გარდა გემზე იყო კიდევ ერთი გურული ახალგაზრდა, რომელიც ამერიკაში მიემგზავრებოდა: „იქ ჩვენები არიან, ცირკში ჯირითობენ და მეც დამიბარესო“. თეთრი ახალოხი და წითელი ჩოხა შეეკერა, თუ პირიქით, აუცილებელი ლეკური და სატევარიც არ დავიწყებოდა, ყველაფერი ამერიკიდან მოსული ინსტრუქციის მიხედვით. ამ შემთხვევისათვის გამოეწყო საპარადოდ და ისიც ჩვენ გამოგვყვა.

გაეედით თუ არა ქუჩაში, დაიწყო ჩვენს გარშემო ცნობისმოყვარეთა შემოკრება. მალე იმდენი ხალხი დაგროვდა, რომ ტრანსპორტის მოძრაობა შეწყდა, მოვიდნენ პოლიციელები და წინადადება მოგვცეს გემზე დავბრუნებულიყავით. სხვა გზა არ იყო, დავბრუნდით. გულდაწყვეტილი ჩვენი გურული გემზე დავტოვეთ და უმისოდ ჩავედით ქალაქში.

პარიზში დაბრუნებული ახლა ფიზიოლოგიაზე ჩავეწერე (აკად. დასტრი — Dastre — და პროფ. ლაპიკი — Lapique). SPCN-ის გავლის შემდეგ ეს შესაძლებელი შეიქნა. 1910-ში ჩავაბრე გამოცდე-

---

[1] ქართველი მშვენიერი.

ბი და მესამე მოწმობასთან ერთად მივიღე ლიცენციატის (Licencié és sciences) დიპლომიც. სავალდებულო მინიმუმი ამგვარად დამთავრებული მქონდა, საშუალო სკოლის მასწავლებლის უფლება მოპოვებული, მაგრამ არის შემთხვევები, რომ ამის შემდეგ, კიდევ, მეოთხე გამოცდას აბარებენ და მცირე რამ დისერტაციის დაცვის დამატებით აგრეჟეს (Aggrégé) ხარისხს ღებულობენ. ასეთებს ლიცეუმის მასწავლებლობის უპირატესი უფლება აქვთ. განვიზრახე, ეს დამატებითი მეოთხე დისციპლინა მეც გამეკლო.

მაგრამ რომელი დისციპლინა? ბუნებრივი იქნებოდა გეოლოგია, მაგრამ პალეონტოლოგიური სისტემატიკა იმდენად მეჯავრებოდა, რომ გეოლოგიაც ჩემთვის მიუღებელი გამხდარიყო. ამას ფიზიკური გეოგრაფია ვარჩიე. არსებითად ესეც გეოლოგია იყო, მაგრამ დინამიური. საგანს ხელმძღვანელობდნენ გეოლოგი პროფ. ველანი (Vélain) და გეოფიზიკოსი პროფ. ბერჟე (Berget). 1911 წელს ეს გამოცდაც ჩავაბარე და სწავლაც დავამთავრე.

დამთავრდა ჩემი, როგორც სტუდენტის, მუშაობა პარიზის უნივერსიტეტში. ოთხმა წელიწადმა გაიარა (1907—1911). მაგრამ უეჭველად ნაყოფიერმა ოთხმა წელიწადმა. პროფესორები ყველანი გამოჩენილი მეცნიერები იყვნენ, რომელთაც კარგად იცნობდნენ საფრანგეთის გარეთაც: ბონე, ვან ტიგემი, მოლიარი — ბოტანიკაში; დელაჟი, ერუარი — ზოოლოგიაში; დასტრი, ლაპიკი — ფიზიოლოგიაში; ოგი, პერვანკიე — გეოლოგიაში და ა. შ. თითოეული მათი სიტყვა იმდროინდელი მეცნიერების მაჯისცემის გამომხატველი იყო და მსმენელი მათგან სწავლობდა არა ამა თუ იმ დისციპლინის შინაარსს, არამედ მეცნიერულ აზროვნებას, და თან ეცნობოდა ამ აზროვნების გარკვეულ სტილს, ყოველი ნამდვილი მეცნიერის დამახასიათებელს, და მეტად თუ ნაკლებად ამ სტილის გავლენასაც განიცდიდა.

ამ პროცესის ნაყოფიერებას ხელს უწყობდა ის გარემოება, რომ კათედრის გამგე მხოლოდ 30-ს და კათედრის პროფესორი 60 ერთსაათიან ლექციას კითხულობდა წელიწადში. ასეთ პირობებში ლექცია ლექტორისათვის უაღრესად პასუხსაგები და თან რამდენადმე საზეიმო საქმე იყო. მარტო გარეგნული რამ როდი იყო ის გარემოება, რომ ლექციის კითხვას ერთგვარი რიტუალი ახლდა: დიდი აუდიტორია სტუდენტებით სავსეა, ყველას გაუმზადებია რვეული და ავტოკალამი; სიჩუმეს მხოლოდ მორიდებული ჩურჩული არღვევს

ან რომელიმე შეგვიანებული მსმენელის აჩქარებულად შემოსვლა უკანა რიგებში; ამ დროს დიდი კედლის საათი იწყებს რეკვას და, თითქოს საათის მექანიზმთან არის დაკავშირებულიო, ფართოდ იღება აუდიტორიის კარი მსმენელების პირდაპირ და გამოჩნდება იმპოზანტური პედელი დიდი ოქროსფერი ჯაჭვით მკერდზე; ის გზას უხსნის პროფესორს, რომელიც უკვე შემოდის აუდიტორიაში, მიდის კათედრასთან, შლის პორტფელს და იწყებს ლექციას...

ჩემს დროს კიდევ დარჩენილიყო ორიოდე მოხუცი პროფესორი, რომელნიც კათედრაზე აუცილებლად ფრაკში უნდა ყოფილიყვნენ. აუდიტორიიდან პროფესორის წასვლაც იმავე წესით ხდებოდა, ისევ საათის რეკვის დროს. პროფესორის მიერ დაგვიანება ან დროის გადაცილება გათავებისას წარმოუდგენელი იყო და, ცხადია, ლექცია წინასწარ დაწერილი უნდა ყოფილიყო, — პროფესორს სრული საშუალება ჰქონდა მთელი კურსი და თითოეული ლექცია დროულად მოემზადებია შესაფერისად.

ლექციების დანიშნულება არავითარ შემთხვევაში არ იყო პროგრამით გათვალისწინებული მასალის, მით უმეტეს მთელი მასალის გადაცემა სტუდენტებისათვის: ამ საქმეს კაპიტალური სახელმძღვანელოები ემსახურებოდნენ, რომელთა ავტორები ჩვეულებრივ იგივე პროფესორები იყვნენ. ცნობილია ბონიეს, დელაჟის და ერუარის, ოგის კლასიკური მრავალტომიანი ტრაქტატი — სახელმძღვანელოები (traité). გეოლოგებს, მაგალითად, დინამიური გეოლოგია საერთოდ არ ეკითხებოდათ, ხოლო ისტორიული გეოლოგიიდან ოგი წელიწადში ერთ ერას წაიკითხავდა ხოლმე. გამოცდაზე კი სტუდენტს მთელი გეოლოგია მოეთხოვებოდა, პეტროგრაფიითა და პალეონტოლოგიით. ამ ორ უკანასკნელ საგანს კათედრის პროფესორები (ადიუნკტ—პროფესორები) კითხულობდნენ.

განსაკუთრებული ყურადღება ეჭცეოდა პრაქტიკუმს. ლექციებზე დასწრება სავალდებულო არ იყო, თუმცა ყველა ესწრებოდა აუცილებლად, პრაქტიკუმზე დასწრებას კი მკაცრი კონტროლი ეწეოდა, რაც შეეხებოდა პრაქტიკას, იმ დროს უნივერსიტეტში ასეთი რამ არ იყო.

ამის შესატყვისი იყო სტუდენტების მუშაობაც, „გამოცდებისათვის მზადება“ იწყებოდა სასწავლო წლის პირველი დღიდანვე. სტუდენტს ყოველი ლექცია უნდა დაემუშავებია ძირითადი და და-

მხმარე სახელმძღვანელოების მიხედვით და ამგვარად შემდეგი ლექციისთვისაც მომზადებულიყო. ლექციების ხასიათი და დონე ასეთ მომზადებას სრულიად აუცილებელს ხდიდნენ. კიდევ მეტად იყო საჭირო ეს პრაქტიკუმისათვის. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ლექციების ჩაწერაც ასეთსავე მუშაობას გულისხმობს. სტუდენტი ხომ სტენოგრაფისტი არ არის, მას ლექციის მოკლე შინაარსი შეუძლია მხოლოდ ჩასწეროს. ამისათვის კი საჭიროა ლექციის კარგად გაგება, მთავარისა და მეორეხარისხოვანის გარჩევა და ძირითადის ზუსტი ფიქსაცია. ამ მხრივ ლექცია პატარა გამოცდა არის.

ლექტორებიც სტუდენტის ჯეროვან მომზადებას გულისხმობდნენ, როგორც თავისთავად ცხად პირობას, და ამის მიხედვით აგებდნენ თავის ლექციებს, რომელთათვის სკოლური პოპულარიზაცია სრულიად უცხო იყო.

ასეთ პირობებში, თუ წლის ბოლოს გამოცდის ჩაბარება მინდოდა, ინტენსიურად უნდა მემუშავა. თუმცა საკუთრივ ლექციებს და პრაქტიკუმს მხოლოდ ექვსი საათი მიჰქონდა კვირაში. მთელ დანარჩენ დროს სენტ-ჟენევიევის ბიბლიოთეკაში ვატარებდი. ეს ბიბლიოთეკა ღია იყო დილის 9 საათიდან საღამოს ათამდე. ამით არ მინდა ვთქვა, რომ ბევრს ვმუშაობდი. 8 საათის ძილი ჩემთვის ბუნებრივი მოთხოვნილებაა და არ ყოფილა შემთხვევა, ეს ნორმა დამერღვიოს. დილას ლოგინში საოცნებოდაც დრო საკმაო მრჩებოდა. საკმაო დრო იყო გასართობადაც. ამხანაგების არც ერთ შეკრებას არ ვაკლდებოდი და არასოდეს ასეთ რამეზე უარი არ მითქვამს იმ საბაბით, რომ დრო არა მაქვს-თქო.

სწავლების ასეთი სისტემის ღირსება-ნაკლოვანება უფრო ნათელი იქნება, თუ მას იმდროინდელსვე გერმანულს შევადარებთ. გერმანიის უნივერსიტეტებს უფრო გვიან გავეცანი და სამწუხაროდ ძლიერ ზერელედ. მაინც შემიძლია აღვნიშნო, რომ იქ ლექციების რიცხვი ბევრად მეტი იყო და მათი დონე საერთოდ უფრო მისაწვდომი. სამაგიეროდ, სტუდენტს შეეძლო პირველი წლიდანვე ჩაწერილიყო ლექციების რომელიმე კურსზე იმ ჯგუფიდან, რომელთაც მეცნიერული მუშაობის შესავალი ეწოდება. კურსები ფაკულტატიური იყო, ჩაწერილთა რიცხვი მეტნაკლებად მცირე და მუშაობა სტუდენტისა და პროფესორის უშუალო ურთიერთობას გულისხმობდა. პროფესორს შეეძლო მსმენელში საკვლევი მუშაობის ინტერესი გაეღვივებია და ზოგი სათანადო ჩვევაც ჩაენერგა. ეს განსა-

კუთრებით აღსანიშნავია, თუ მოვიგონებთ, რომ საფრანგეთში სტუ-დენტი ისე ამთავრებს სწავლას, რომ პროფესორს მხოლოდ ლექ-ციებზე და გამოცდებზე ხედავს. დასასრულ, გამოცდები გერმანია-ში შეუდარებლად უფრო იოლია და სადოქტორო ხარისხის მიღება ამ გამოცდების ჩაუბარებლადაც კი შეიძლება. სავალდებულოა მხო-ლოდ 8 სემესტრში ლექციებზე ჩაწერა.

ფართოდ გავრცელებული და არც უსაფუძვლო შეხედულების თანახმად ფრანგული უნივერსიტეტი და საერთოდ ფრანგული სკო-ლა უფრო საფუძვლიან განათლებას აძლევდა ახალგაზრდობას, სა-მაგიეროდ გერმანული უნივერსიტეტები ახალგაზრდობის საგრძნობ ნაწილში ავითარებდნენ მეცნიერული კვლევის ინტერესს. ფრანგულ უნივერსიტეტში ახალგაზრდა ბოლომდე მოსწავლე რჩებოდა და მხოლოდ დიპლომის მიღების შემდეგ შეეძლო მეცნიერებაზე ეფიქ-რა. მაგრამ მეცნიერული მუშაობისათვის საჭირო არის არა მარტო ცოდნა, არამედ აგრეთვე და კიდევ მეტად სპეციალური მიდრეკი-ლება. ასეთი მიდრეკილების განვითარებას კი ფრანგული უნივერ-სიტეტი ნაკლებად უწყობდა ხელს.

დასასრულ, გაზვიადებული გამოცდებისა და კონკურსების სის-ტემა ფრანგი ახალგაზრდობის დიდი უბედურებაა. იგი გადამეტებით ჰქანცავს ახალგაზრდას და მას შემოქმედებით უნარს უსუსტებს. ეს კია, რომ კონკურსები „დიდ სკოლებში“ მძვინვარებენ და არა უნი-ვერსიტეტში.

პირადად მე არც უნივერსიტეტში, არც მანამდე და არც მას შემდეგ დიდხანს ფიქრად არ მომსვლია, რომ შეიძლებოდა მეცნიე-რების მუშაკი გავმხდარიყავ. საამისო რამ განწყობილება და ბიძ-გი არ იყო ჩვენი ცხოვრების გარემოში, არ იყო მასწავლებლებში და არ იყო, ბუნებრივია, არც სკოლის ამხანაგებში. არასოდეს ჩვე-ნი ბაასი და კამათი ასეთ თემას არ შეხებია. ამ მხრივ მცირე მნი-შვნელობა არ ჰქონდა იმ გარემოებასაც, რომ ჩვენში უმაღლესი სასწავლებელი არ იყო და მე კი ჩემი თავი საქართველოს გარეთ ვერ წარმომედგინა. და ეს მარტო პატრიოტიზმი როდი იყო. ვხე-დავდი, რამდენად თავგადადებული იყვნენ ჩემთვის მშობლები და ფიქრად არ მომივიდოდა, რომ შესაძლებელი იყო ჩემი მხრივ მათი მიტოვება.

სწავლა და უმაღლესი სასწავლებელი უეჭველად მნიშვნელოვანი ფაქტორია ახალგაზრდობის ყოფაში, მაგრამ მაინც ეს არ არის ყველაფერი. კიდევ მეტი მნიშვნელობა აქვს საზოგადოებრივ გარემოსპარიზში მოსწავლე ქართველი ახალგაზრდობა კი, სამშობლოდან ხომ შორს ვიყავით, და არც საფრანგეთის საზოგადოებრივ ცხოვრებასთან გვქონდა უშუალო რამ კავშირი. ცალკეული ფრანგი, უშუალო და უბრალო, წამსვე დაგიმეგობრდება, მაგრამ ოჯახში ძნელად თუ შეგიყვანს. ეს განსაკუთრებით იგრძნობა დიდ ქალაქში და ისეთი უცნობი და ხელმოკლე ხალხის მიმართ, როგორიც ჩვენ ვიყავით. ამიტომ ფრანგულ ცხოვრებას გაზეთების მეშვეობით თუ ვადევნებდით თვალს. სამაგიეროდ, ვათვალიერებდით ქალაქს, ვეცნობოდით ისტორიულ ადგილებს და პირველ რიგში, რა თქმა უნდა, მუზეუმებს და გამოფენებს. თეატრებში, როგორიცაა Comédie francaise, ოდეონი, დიდი ოპერა და სხვა, დავიარებოდით, მაგრამ არა ხშირად, რადგან ბილეთის ფასი ჩვენთვის ძვირად გამოიყურებოდა. ვესწრებოდით დროგამოშვებით სახალხო დღესასწაულებს ქალაქში თუ სოფლად (ზაფხულობით).

მთავარი გზა მაინც ფრანგული ლიტერატურა იყო, რომელსაც ზოგი ჩვენგანი საკმაოდ ახლო გაეცნო. მაგრამ საფრანგეთში ცხოვრების პირობებში ეს ჩვენთვის მარტო ფრანგული მხატვრული მწერლობის კლასიკური ნიმუშების გაცნობა როდი იყო. მეტად თუ ნაკლებად მკითხველი უნებლიეთ ექცეოდა ფრანგული მსოფლშეგრძნების გავლენის ქვეშ და ითვისებდა ფრანგებისათვის დამახასიათებელ განწყობილებებს და ცხოვრებასთან დამოკიდებულებას. სამწუხაროდ ეს გავლენა ყოველთვის უკეთესთაგანი არ იყო. კერძოდ, მსუბუქი გონებამახვილობა და სკეპტიკური დამოკიდებულება ცხოვრების დიდ საკითხებთან, რომელიც ისე ჰხიბლავს უცხოელ ახალგაზრდას თავისი გარეგნული მოხდენილობით. თანაც სკეპტიკოსს ხომ ჰგონია, რომ რაკი ასეთ საკითხებზე იღიმება, ის მათზე მაღლა დგას.

რუსეთში მოსწავლე სტუდენტობისგან განსხვავებით, ჩვენ მოწყვეტილი ვიყავით კავშირს არა მარტო ქართულ, არამედ რუსულ საზოგადოებრიობასათანაც. ამის მაგივრობას მხოლოდ რუსულ ემიგრაციასთან ურთიერთობა სწევდა. დროგამოშვებით იმართებოდა

კრებები ამა თუ იმ კაფეში და ჩვენც დიდი ინტერესით ვესწრებოდით მათ. სწორედ ასე იყო, რომ ერთხელ საშუალება მომეცა ლენინის მოხსენება მომესმინა. ეს იყო ლათინური კვარტალის ცენტრიდან საკმაოდ დაშორებით, ლუდხანაში — Brasserie des lilas, თუ არ ვცდები. მაშინ სოციალ-დემოკრატიისადმი უარყოფითად ვიყავ განწყობილი, მაგრამ ჩემზე წარუშლელი შთაბეჭდილება დასტოვა ამ უაღრესად მოძრავმა ადამიანმა, რომელიც თითქო განსახიერებულ ენერგიას წარმოადგენდა და გარემოშიც ენერგიას ასხივებდა. მისი სიტყვა მოქმედება იყო, მოხსენება — პიროვნების ნაკვეთი.

პოეტ მერეჟკოვსკის და სხვათა მეთაურობით დაარსდა და ერთხანს მუშაობდა ე. წ. რუსული უნივერსიტეტი, სადაც იკითხებოდა ლექციები ანუ, უკეთ, მოხსენებები ღვთისმაძიებლურ და მსგავს თემებზე. იქ ქართველთაგან ძლიერ იშვიათად თუ ცნობისმოყვარე ვინმე წავიდოდა. ერთი ლექტორიც იყო ქართველი.

ძირითადად კი პარიზელ ქართველთა საზოგადოებრივი ცხოვრება სათვისტომოში მიმდინარეობდა. იქ ვხვდებოდით ერთმანეთს სისტემატურად და ვუზიარებდით ერთიმეორეს ჩვენს შთაბეჭდილებებს, ჩვენს სიხარულს და დარდს. მოურიდებელ და ყოველთვის ცხარე კამათში იბადებოდა საზოგადოებრივი აზრი, ხოლო ამხანაგობის გრძნობა ამ შორეულ ქვეყანაში განსაკუთრებით ძლიერი იყო, ყოველი ახლად ჩამოსული საერთო მზრუნველობის საგანი ხდებოდა. უცხოთა შორის უფრო მწვავედ განვიცდიდით ღვიძლ კავშირს ერთმანეთთან და შორეულ სამშობლოსთან.

მოგვდიოდა ქართული გაზეთები და თვალყურს ვადევნებდით სამშობლოს ცხოვრებას. სათვისტომოს ფინანსიური რესურსები საწევრო გადასახადით ამოიწურებოდა და ძლიერ შეზღუდული იყო, მაგრამ მაინც მოხერხდა ორჯერ-სამჯერ ქართული საღამოს გამართვა, ძირითადად ჩვენი ქალების ენერგიული თაოსნობით. აქ სტუმრები ეცნობოდნენ ქართულ ცეკვას და სიმღერას. მსგავსი საღამოები ჟენევაშიც იმართებოდა.

დრო ისეთი იყო და პოლიტიკას მნიშვნელოვანი ადგილი ეჭირა სათვისტომოს ცხოვრებაში. ახალგაზრდობის დიდი უმეტესობა სოციალ-ფედერალისტებს უთანაგრძნობდა, მაგრამ იყვნენ სოციალ-დემოკრატები და ანარქისტებიც, შეხედულებათა ამგვარი თავისუფალი არჩევა ეგებ მეტადაც გვაახლოებდა ერთმანეთთან.

მახსოვს, ჯერ კიდევ 1907 წელს, მივიღეთ სოციალ-ფედერალისტური პარტიის პროგრამის ორი პროექტი, ერთი უფრო ზომიერი, საკუთრივ სოციალისტური, და მეორე მემარცხენე, თითქმის ანარქისტული. გაიმართა მსჯელობა მათ შესახებ კ. გოგელიას უშუალო მეთაურობით. კამანდო ხომ ანარქისტი იყო, მაგრამ ქართველ ანარქისტებსა და მემარცხენე სოციალ-ფედერალისტებს შორის მჭიდრო ურთიერთობა და თანამშრომლობა არსებობდა. კამანდო და სათვისტომოს დიდი ნაწილი, მთელი, ასე ვთქვათ, აქტივი ანარქისტულ ვარიანტს უჭერდა მხარს, აქტიური მოწინააღმდეგე მარტო მე დავრჩი. მაინც ჩემს პოზიციასაც აღმოუჩნდა მომხრეები და ანარქისტთა წინადადება ვერ გავიდა.

კამათი ძლიერ ცხარე იყო, მაგრამ ამას ჩვენს პირად დამოკიდებულებაზე გავლენა არ მოუხდენია. კიდევ მეტი. როდესაც პარიზში პ. კროპოტკინი ჩამოდიოდა ხოლმე და კამანდო მასთან მიდიოდა, სწორედ მე და მხოლოდ მე მივყავდი თან. სასიამოვნო სანახავი იყო ეს უკვე მოხუცი თეთრწვერა პატრიარქი. მის ხსენებაზე ყოველთვის მაგონდება ერთი ფრანგი კრიტიკოსის სიტყვები: ნამდვილი მორწმუნე სწორედ კროპოტკინი არის, ხოლო ტოლსტოი ბუნებით სკეპტიკოსიაო!

ვცდილობდით სხვა ქალაქებში მყოფ ქართველებთანაც დაგვეჭირა კავშირი. უფრო გვიან განვიზრახეთ ანკეტა ჩაგვეტარებია მათი რიცხვის, ადგილსამყოფელის, უცხოეთში წამოსვლის მიზეზისა და მიზნის, მიღწეული შედეგის და სხვა ასეთების გამოსარკვევად. შევადგინეთ და დავბეჭდეთ საანკეტო ფურცლები. დავაგზავნეთ კიდეც და ზოგი პასუხებიც მივიღეთ. სამწუხაროდ, არ ვიცი შემდეგ ამ მასალას რა ბედი ეწია.

მოგვმართავდნენ ჩვენც ჟენევიდან, ბრიუსელიდან... ერთხელ, მაგალითად, მივიღე ცნობილი ემიგრანტის პ. სურგულაძის წერილი კონსტანტინეპოლიდან. მომმართავდა, როგორც სათვისტომოს გამგეობის თავმჯდომარეს. ამტკიცებდა, საქართველოს ხსნა მხოლოდ სეპარატიზმში შეიძლება იყოსო, და წინადადებას იძლეოდა ამ მიმართულებით დაგვეწყო მუშაობა, ძლიერ თავაზიანად ვუპასუხე, აგეთ შეხედულებას ვერ გავიზიარებთ-თქო.

მოხდებოდა, რომ პარიზში ჩამოვიდოდა მცირე ხნით ვინმე ქართველი მოღვაწე. თითქმის ყველა თავის მოვალეობად თვლიდა, კი-

დეც რომ პარიზელ ქართველებში ახლობელი არავინ ჰყოლოდა, დაგვკავშირებოდა, ჩვენი ამბავი გაეცნო, მაგალითად, ჭიათურელი მრეწველი მოხუცი ნ. ღოღობერიძე, ცნობილი ბესარიონ ღოღობერიძის ძმა, ყოველ შემოდგომაზე ჩამოდიოდა პარიზში და საზამთროდ ნიცას მიემგზავრებოდა. საიდანღაც შეეტყო ჩემი მისამართი და ყოველი ჩამოსვლისას წერილს მწერდა ხოლმე და დიდი ბოდიშებით მთხოვდა მენახა. დიდი ინტერესით გამომკითხავდა სათვისტომოს ცხოვრების მიმდინარეობას და განსაკუთრებით კი მოსწავლე ახალგაზრდობის მუშაობის შესახებ. ღრმა მოხუცი იყო, მარტოხელი, და ეს უეჭველად თავისებურ იერს აძლევდა მის პატრიოტიზმს.

სხვაგვარად მოიქცა აკაკი წერეთელი, როდესაც ის, მისი იუბილეს გადახდის შემდეგ, პარიზს ეწვია. ერთ მშვენიერ საღამოს სათვისტომოს სხდომა გვქონდა რომელიღაც კაფეს პატარა დარბაზში. მოულოდნელად კარი გაიღო და გამოჩნდა ახოვანი მოხუცი და ყველასათვის კარგად ცნობილი მისი თეთრწვერა სახე. ფეხზე წამოვცვივდით, მაგრამ მგოსანმა გვთხოვა დავმსხდარიყავით და სხდომა განგვეგრძო. სხდომას ერთი ჭირვეული წევრი ესწრებოდა. საკმაოდ მოუწესრიგებელი ადამიანი იყო და ალბათ აკაკის შემოსვლამაც გამოიყვანა წონასწორობიდან, როგორც ბავშვებს ემართებათ ხოლმე უცხოს მოსვლისას. დაიწყო რაღაც ჩხირკედელაობა. როგორც თავმჯდომარეს, დიდი სიმტკიცე და ტაქტი დამჭირდა, რომ შესაძლებელი უსიამოვნება თავიდან ამეცილებია და სხდომა ნორმალურად წამემართა. სხდომა რომ დამთავრდა, აკაკი მოვიდა ჩემთან, ხელი ჩამომართვა და მითხრა: — ასეთი ახალგაზრდა და ამდენად დახელოვნებული თავმჯდომარე ჯერ არ მინახავსო. რასაკვირველია, კარგად მესმოდა, რომ ეს უბრალო წახალისება იყო, მაგრამ პოეტის სიტყვა სამუდამოდ გულში ჩამრჩა.

ამის შემდეგ არაერთხელ მომიხდა აკაკის ნახვა. სანამ პარიზში იყო, ის და მისი მოხუცი მეუღლე ნ. ნიკოლაძის პირველი ცოლის ბინაზე ცხოვრობდნენ. ამ ოჯახს მანამდეც ვიცნობდი. ეს იყო დედა და ახალგაზრდა ქალიშვილი, ძლიერ საყვარელი ადამიანი. ყველას, ვინც მას ვიცნობდით, გულს გვიკლავდა გარემოება, რომ ტუბერკულოზით იყო დაავადებული.

აკაკი დაწვრილებით მეკითხებოდა პარიზელი ქართველობის

ცხოვრების, შესახებ, თვით ჩემი მუშაობის შესახებ და შიგადაშიგ მისებურ ნაკვესებსაც არ იშურებდა.

სათვისტომომ მის პატივსაცემად სპეციალური ქართული საღამო გამართა.

## ჭუთაისი

რაკი სწავლა დავამთავრე, დავბრუნდი ისევ ჩემს ქუთაისში. როდესაც ხუთი წლის წინათ, თითქმის ბავშვი, უცხოეთში მივემგზავრებოდი, მსოფლიო მასშტაბის პრობლემებზე ვფიქრობდი, არც მეტი, არც ნაკლები. ახლა კი, თითქო მოულოდნელად, ჩემს წინაშე წამოიჭრა „პატარა" საკითხი: რაიმე სამუშაო და მუშაობა, არსებობის საფუძველი და წყარო. თანაც ნათელი იყო, რომ არავითარი პრაქტიკული მუშაობისათვის მომზადება არ მიმეღო და არც პრაქტიკული ალღო და ინტერესები ამეთვისებია. მხოლოდ „განათლება" და „განვითარება", ინტელიგენტი — ამ სიტყვის ცუდი გაგებით!

მაინც მუშაობა აუცილებელი იყო და, რადგან სახელმწიფო სამსახურს აბსოლუტურად გამორიცხულად ვთვლიდი, ნათელი ჩანდა, რომ ერთადერთი შესაძლებლობა ჩემთვის კერძო სასწავლებელში მასწავლებლობა იყო. ამ დროს ქუთაისში ასეთი იყო სათავადაზნაურო გიმნაზია, შემდეგ ქართული გიმნაზია, რომლის ინსპექტორი (დირექტორი — თანამედროვე გაგებით) იოსებ ოცხელი იყო, ჯერ კიდევ ჩემს უცხოეთში წასვლამდე. თავისი მოსამზადებელი სკოლა მან ადრევე მიატოვა.

მივმართე იოსებს. მაგრამ რა საგანი უნდა მესწავლებია? ბუნებისმეტყველება ხომ გიმნაზიაში არ ისწავლებოდა. მომცა ფიზიკის გაკვეთილები.

იყო ქუთაისში კიდევ მეორე კერძო საშუალო სასწავლებელი — მარიამ ყაუხჩიშვილის ქალთა გიმნაზია. იქაც მიმიწვიეს და ალგებრისა და გეომეტრიის სწავლება მთხოვეს. დავთანხმდი: პარიზში ჩატარებული ექსტრა-მუშაობა გამომადგა.

სექტემბრის პირველიდან შევუდექი საქმეს. პედაგოგიკის და დიდაქტიკის ერთი სიტყვაც არ გამეგონა, მაგრამ მახსოვდა, როგორ გვასწავლიდნენ ჩვენ, რა მოგვწონდა და რა არა ჩვენს მასწავლებლებში, და ვცდილობდი ამის მიხედვით მემოქმედა. მთავარი კი ის იყო, რომ კარგად მცოდნოდა ის, რაც მოწაფეებისათვის უნდა გა-

დამეცა. შემდეგ მიგრძვნია, რომ ვერავითარი პედაგოგიკა ვერ უშველის უვიც მასწავლებელს და, მეორე მხრით, საგნის კარგად მცოდნე მასწავლებელი ბოლოს და ბოლოს ყოველთვის მიაგნებს საჭირო პედაგოგიურ ხერხებსაც.

დისციპლინის შესახებ ზრუნვა როგორღაც არ დამჭირვებია, თუმცა შემხვდა კლასები, რომელნიც წყალწაღებულად ითვლებოდნენ ამ მხრივ. ქალთა გიმნაზიაში ჩემი კლასიდან მასწავლებელი ქალები ხშირად თვალცრემლიანი გამოდიოდნენ. იყო ერთ-ორი ავარა გოგონა, რომელთა დათხოვნას დაჟინებით მოითხოვდა ყველა, მაგრამ მარიამი არ თანხმდებოდა. ჩემს გაკვეთილებზე კი ყოველთვის სრული წესრიგი იყო და ეს მიუხედავდ იმისა, რომ ქალებისათვის ნაკლებად სასურველ მათემატიკას ვასწავლიდი და თვითონაც თითქმის მათივე ხნის ვიყავი, თანაც ძლიერ მომთხოვნი.

ახლა რომ ვაკვირდები, ვფიქრობ, ჩემი წარმატების მიზეზი ის იყო. რომ თვითონ არასოდეს გამოვსულვარ წონასწორობიდან, ყოველ მოწაფეს გულწრფელი პატივისცემით ვეპყრობოდი, თუმცა საჭირო შემთხვევაში დაუზოგავად ვტუქსავდი, და, დასასრულ, ჩემს მოვალეობას გატაცებით ვასრულებდი.

ვაჟთა გიმნაზიაში ჩემი ხნისანი რამდენიმე და ერთი ჩემზე უფროსიც იყო. ამათაც ძლიერ ცუდი სახელი ჰქონდათ დამსახურებული. ჩემი მასწავლებლობის პირველი თვეები იყო, რომ ერთ საღამოს ბინაზე ზარი დაირეკა. კარი რომ გავაღე, ორი მოწაფე აღმოჩნდა. ჩემს გვერდით გოლიათები იყვნენ. ერთი მათგანი ცირკშიც კი გამოსულიყო როგორღაც საჭიდაოდ. ცნობილი იყვნენ, როგორც მოქეიფეები. ახლაც ნაღვინევი ჩანდნენ. იქვე ეტლი უცდიდათ.

დაიწყეს, სუსტი ნიშნები გვაქვს და უნდა გავასწოროთო. როგორღაც შემდეგ დავასკვენი, ზეგავლენა უნდოდათ მოეხდინათ ახალ მასწავლებელზე. მაშინ ამაზე არც მიფიქრია, მხოლოდ მათი საქციელი არ მომეწონა თავისთავად. „ხვალ გიმნაზიაში ვიქნები და აგეთ საკითხებზე იქ უნდა მომმართოთ-თქო". ვუთხარი დამშვიდებით და შინაც არ შევიწვევ. სახტად დარჩნენ. ეს იყო და ეს: შემდეგ ცხვარივით ეჭირათ ჩემთან თავი და უეჭველი სიმპათიით მეპყრობოდნენ.

მასწავლებლობა კი მოგვარდა, მაგრამ ქუთაისის საზოგადოებაში ნაცნობობა და კავშირები თითქმის ისევე მცირე მქონდა, როგორც ამის წინათ პარიზში. მოწაფეობისას ჩემს წრეს სკოლის ამხანაგები

შეადგენდნენ, ახლა კი მათგანი აღარავინ ჩანდა. მაგრამ ასეთი მდგომარეობა დიდხანს არ გაგრძელებულა. პატარა ქალაქში ყოველი ადამიანი შესამჩნევი ხდება.

პირველსავე თვეებში ამირჩიეს ქუთაისის გაზეთის სარედაქციო კოლეგიის წევრად. გაზეთი ერთადერთი იყო და უპარტიო, მაგრამ ქართული. უეცველი სიამაყე ვიგრძენი ასეთი ყურადღების გამო, ხოლო თვის ბოლოს წერილი მივიღე, გაზეთს დეფიციტი აქვს და სარედაქციო კოლეგიის წევრებს შორის რომ გავანაწილეთ, თქვენზე 50 მანეთი არის გადასახდელიო. შევასრულე სარედაქციო კოლეგიის წევრის ეს მოულოდნელი ფუნქცია.

მალე ამირჩიეს ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების ქუთაისის ფილიალის გამგეობის წევრად. უფრო გვიან, „სინათლის“ საზოგადოების (ამ საზოგადოებამ დააარსა ქალთა გიმნაზია, რომლის დირექტორი დ. უზნაძე იყო) და, რაც მთავარია, ქუთაისის სახალხო უნივერსიტეტის გამგეობის წევრად. ეს უნივერსიტეტი კვირაობით საჯარო პოპულარულ ლექციებს მართავდა. ჩემი პირველი ლექცია, რომელიც, თუ არ ვცდები, სიცოცხლის წარმოშობის საკითხს შეეხებოდა, ნამდვილი სენსაციის მიზეზი შეიქნა. „მთელი ქუთაისი“ ალაპარაკდა. მხოლოდ, ლაპარაკის საგანი იყო არა ლექციის შინაარსი, არამედ ის დაუჯერებელი ფაქტი, რომ ჯანელიძემ ასეთ თემაზე ლექცია ქართულად წაიკითხა. მოულოდნელად ქართულის მცოდნის სახელი გამივარდა და ხშირად მეუბნებოდნენ, თქვენთან ქართულს ვერ ვბედავო.

შემდეგში ზოგ ჩემ ლექციას უფრო რეალური წარმატებაც ხვდა წილად. გამამეორებინეს ჭიათურაში, სამტრედიაში, ხონში, ხოლო ჩვენმა სახელოვანმა მწერალმა დავით კლდიაშვილმა, რომელსაც ახლო ვიცნობდი, წინადადება მომცა მოხსენება გამეკეთებია ტფილისში, მის საღამოზე. მას, რა თქმა უნდა, უარს ვერ ვეტყოდი. საღამოს ორგანიზატორი სოსო გრიშაშვილი იყო. საღამო ქართულ თეატრში ჩატარდა, მოხსენებაც გავაკეთე და ეს იყო ტფილისის პირველი ნახვა ჩემს მიერ. მეორედ ასეთივე მოკლე ხნით ტფილისს ჩამოსვლა მომიხდა უფრო გვიან, როგორც აკაკი წერეთლის ტფილისს გადმომსვენებელი კომისიის წევრს.

პოლიტიკური ცხოვრება იმ დროს მოდუნებული იყო. რევოლუცია ახალ ომს ელოდებოდა, მაგრამ პოლიტიკური პარტიები — სოციალ-დემოკრატები, სოციალ-ფედერალისტები — განაგრძობდ-

ნენ მუშაობას. იმავ წლებში, ცოტა უფრო გვიან, ჩამოყალიბდა ნაციონალ-დემოკრატიული პარტიაც. 1912 წელს მე სოციალ-ფედერალისტთა პარტიაში შეველ. მალე ამ პარტიის ქუთაისის კომიტეტის წევრადაც ამირჩიეს. ვმუშაობდი არალეგალურ წრეებში იმ ცოტაოდენ მუშებთან და ნოქრებთან, რომელნიც ამ პარტიაში შედიოდნენ. სწორედ ამ დროს დავუმეგობრდი მუშას „ბესოს", რომელზედაც შემდეგში მექნება ლაპარაკი. გავიცანი პარტიის ქუთაისელი ხელმძღვანელობა: გ. ზდანოვიჩი, კ. აბაშიძე, ი. ბაქრაძე, გ. გველესიანი (ამას ხომ პარიზიდანვე ვიცნობდი) და სხვები. გ. ზდანოვიჩი უეჭველად სახელმწიფო ადამიანად იყო დაბადებული.

ამ დროს იყო, რომ სოციალ-ფედერალისტებისაგან წინადადება მივიღე, რუსეთს წავსულიყავ და იურიდიული ფაკულტეტი დამემთავრებია. უეჭველად საზოგადოებრივი საქმიანობისათვის მომზადება იგულისხმებოდა. გაძლიერებულ სტიპენდიას აღმითქვამდნენ. მიმზიდველი პერსპექტივა იყო, მაგრამ უარი ვთქვი: მამაჩემი უკვე აღარ მსახურობდა, პენსიაზე იყო გადასული, და ოჯახს ჩემი დახმარება სჭირდებოდა. ჩემი ცხოვრების გზა გამორკვეულად მიმაჩნდა: მასწავლებელი ვიყავი და იმედი მქონდა ამ პოსტზე დამემთავრებია ჩემი სიცოცხლე.

მაგრამ მოულოდნელი ამბები დატრიალდა. ი. ოცხელს ბავშვობაში მასწავლებლის იდეალად ვთვლიდი და ახლაც ღრმა პატივს ვცემდი მას, მაგრამ მაინც ბევრი რამ გამოიცვალა. კერძოდ, ახლა ზოგ მის ნაკლსაც მივაქციე ყურადღება და უნაკლო ხომ კაცი არ არის. ერთი ასეთ ნაკლთაგანი იყო მისი ლიბერალიზმი გიმნაზიის მართვაში. თუკი ვინმე იყო სხვა სასწავლებლებიდან გარიცხული მოწაფეები, ჩვენთან იყრიდნენ თავს. ასეთ პირობებში, გასაგებია, წარმატებაც არ იყო ჯეროვანი. სიმწიფის ატესტატის დამოუკიდებლად მიცემის უფლება კი გიმნაზიას, როგორც კერძოს, არ ჰქონდა: გამოსაშვები გამოცდები სასწავლო ოლქის მიერ წარმოგზავნილი დელეგაციის თავმჯდომარეობით უნდა ჩატარებულიყო — და რადგან მთელ რიგ აბითურიენტებს ცოტა შანსი ჰქონდათ გამოცდა წესიერად ჩაებარებინათ, იწყებოდა „დახმარება" ზოგი მასწავლებლისა და ინსპექტორის მხრით. ახალგაზრდა მასწავლებლებმა (ვ. ბერიძე, გ. სვანიძე, ლ. ქუთათელაძე და სხვები) ამას ყურადღება მივაქციეთ და საკითხი პედაგოგიურ საბჭოშიც დავაყენეთ, რამაც იოსების დიდი უკმაყოფილება გამოიწვია.

ასეთი იყო მდგომარეობა, როდესაც 1915 წელს გამოცდებზე დელეგატად ვინმე კორიეკი გამოგზავნეს. დაიწყო გამოცდები. არ შეიძლებოდა დელეგატს ვერ შეენიშნა, რაც გარშემო ხდებოდა. კორიეკიმ ამის შესახებ გაათკეცებულად და დამახინჯებულად ტფილისში აცნობა. როდესაც შემდეგ გამოცდების გასაგრძობად გიმნაზიაში მოვიდა, ინსპექტორმა და მასწავლებლებმა ხელი არ ჩამოართვეს. წარმოიშვა დიდი სკანდალი. სხვა დროს ამ ამბავს შეიძლებოდა ცუდი შედეგი მოჰყოლოდა, მაგრამ ახლა მძიმე ომი მიმდინარეობდა, მთავრობა ყოველ ღონეს ხმარობდა, რათა საზოგადოებრივი აზრი არ აემხედრებია თავის წინააღმდეგ, და თავადაზნაურობის წინამძღოლის საქმეში ჩარევა საკმაო აღმოჩნდა, რომ ყველაფერი მშვიდობით მოგვარებულიყო.

მაინც უმისოდაც არ გაათავა სასწავლო ოლქის მზრუნველმა საქმე. რომ გიმნაზიის ინსპექტორისთვის არ მოეწერა, ესა და ეს უუფლებო მასწავლებლები გყავთ და დაუყოვნებლივ უნდა გაათავისუფლების პროცესში, ბუნებრივია, რომ არაერთი მასწავლებელი, ყოველ წელიწადს ვღებულობდით თითქმის. საქმე ის არის, რომ სათავადაზნაურო გიმნაზია ჯერ კარგა ხანს ოთხგანყოფილებიანი დაწყებითი სასწავლებელი იყო, შემდეგ ოთხკლასიან პროგიმნაზიად გადაკეთდა, ხოლო ბოლო დროს რვაკლასიან გიმნაზიად. ამ ცვლილებების პროცესში, ბუნებრივია, რომ არაერთი მასწავლებელი, რომელიც პირვანდელ სკოლაში ასწავლიდა, გიმნაზიაშიც დარჩა. ჩინებული პედაგოგები იყვნენ, მაგრამ უმაღლესი განათლება არ ჰქონდათ და, მაშასადამე, არც გიმნაზიაში სწავლების უფლება. მათ გათავისუფლებას ოლქი მუდამ მოითხოვდა, მაგრამ არც მაინცდამაინც მტკიცედ, უფრო proforma.

უუფლებო მასწავლებლების სიაში მაქცევდნენ მეც, როგორც რუსული დიპლომის არმქონეს. სხვა მხრივ ჩემი საწინააღმდეგო თითქო არაფერი უნდა ჰქონოდათ: იმავე 1915 წელს, იმავე კორიეკის თავმჯდომარეობით, გამოსაშვები გამოცდები ყაუხჩიშვილის გიმნაზიაშიც ჩატარდა და ჩემს საგანში კლასმა საშუალო ნიშანი წერაში 4,4 მიიღო, ხოლო ზეპირი გამოცდის შემდეგ კორიეკის ეთქვა მარიამისათვის: — რამდენ გამოცდას დავსწრებივარ და ვაჟების გიმნაზიაშიც არსად მინახვს, რომ მოწაფეებს ასეთ კითხვებს აძლევდნენო.

მაინც მთლად უუფლებოც არ ვიყავი. უცხოური დიპლომი უფ-

ლებას მაძლევდა, რომელიმე რუსეთის უნივერსიტეტში პირდაპირ ჩამებარებია გამოცდები, როგორც ექსტერნს. მომბეზრდა ყოველწლიური ლაპარაკი, ოლქი შენს გათავისუფლებას მოითხოვსო, და გადავწყვიტე გამოცდების ჩაბარება. ამისათვის რუსეთს წასვლა იყო საჭირო და გარკვეული დრო. ამ ხნის განმავლობაში გიმნაზიაში მუშაობა უნდა შემეწყვიტა და არც ხელფასი მექნებოდა, მაგრამ ჩვენს გიმნაზიაში წესი იყო, თუ მასწავლებელი მუშაობას თავს დაანებებდა, მას იმდენი თვის ხელფასი უნდა მისცემოდა, რამდენი წელიწადის სტაჟიც ჰქონდა. ეს იყო პენსიის მცირე სანაცვლო. ამის მიხედვით მე 4 თვის ხელფასი მეკუთვნოდა. სასწავლებელმა იკისრა, მთელი იმ ხნის განმავლობაში, რაც მე რუსეთში მომიხდებოდა ყოფნა, თვეში ხუთი თუმანი ეგზავნა ჩემთვის, თუკი პირობას დავდებდი, რომ შემდეგ ისევ იქ დავბრუნებულიყავ სამუშაოდ. მეც თანხმობა განვაცხადე, რა თქმა უნდა.

ახლა საჭირო იყო ქალაქის არჩევა და წასვლა. გავგზავნე განცხადება და საბუთები პეტერბურგის უნივერსიტეტში. პასუხად ძვიღე, გამოცდებზე დაშვებული ხართ, მხოლოდ პეტერბურგში ჩამოსვლის უფლება რომ მოგეცეთ. საჭიროა გამოგზავნოთ ცნობა, რომ აქ ბინა გაქვთო. ასეთი შესაძლებლობა მე არ მქონდა.

მეტი გზა არ იყო, სხვა ქალაქი უნდა შემერჩია, და ახლა ხარკოვზე შევჩერდი, — ფრონტს დაშორებული არის და იქ მაინც შემიშვებენ-მეთქი. მაგრამ სწორედ ამ დროს დაიწყო გენერალ მაკენზენის ცნობილი შემოტევა უკრაინაზე და ხარკოვი გადმოხვეწილებით აივსო. აღარც ეს შესაძლებლობა დარჩა.

მაშინ მოვიფიქრე ყაზანი. ომის გავლენა იქ მაინც უნდა ყოფილიყო ნაკლები, თორემ ტომსკში ხომ არ წავსულიყავ!

## ყაზანი

1915 წლის სექტემბერში გავემგზავრე ყაზანს: ბაქო, ასტრახანი ზღვით და შემდეგ წარმტაცი მოგზაურობა ვოლგაზე. პირველად ვნახე შემოდგომის ტყის ჩრდილოური სილამაზე.

ყაზანში თავიდანვე დავრწმუნდი, რომ ჩემი ვარაუდი სწორი იყო: ომი იქ მცირედ იგრძნობოდა, ფასები ვისაწვდომი იყო და მუშაობა შესაძლებელი.

პირველ რიგში ოთახი უნდა მეშოვა. ვიპოვე კიდეც ჩინებული ოთახი და თან იაფი — 8 მანეთად თვეში. მაგრამ მოულოდნელი დაბრკოლება: ქუჩას ერქვა „Собачий переулок!“ ვისთვის გამეგზავნა ასეთი მისამართი? ჩავიქნიე ხელი და განვაგრძე ძებნა. მალე აღმოჩნდა პატარა ოთახი ერთი ჩეხის ოჯახში. ოჯახის უფროსი ფიზკულტურის მასწავლებელი იყო, ბინა უნივერსიტეტის მახლობლად მდებარეობდა, მთავარი ქუჩის — Грузинская улица-ს გვერდით და ქუჩის სახელიც უფრო მისაღები გამოდგა: Рибнорядская улица! სხვა საკითხებიც ადვილად მოგვარდა.

უნივერსიტეტში გამოირკვა, რომ, თუ პარიზში 4 გამოცდა მქონდა ჩაბარებული, ახლა აქ 22 უნდა ჩამებარებია. თანაც სწავლა ოთხი წლის წინათ მქონდა დამთავრებული და უეჭველად ბევრი რამ ნასწავლი კიდეც უნდა დამვიწყებოდა. მაგრამ ეს როდი მაფიქრებდა. უფრო რთული იყო ის გარემოება, რომ გეოლოგიური საგნები: მინერალოგია, პეტროგრაფია, პალეონტოლოგია და თვით გეოლოგია საერთოდ არ მესწავლა ან თითქმის არა. აქ საჭირო იყო მომზადება. მიველ გეოლოგია-პალეონტოლოგიის კათედრის გამგესთან — მ. ე. ნორინსკისთან და მისგან კათედრის მუზეუმში მუშაობის ნებართვა ავიღე. ასეთივე ნებართვა მივიღე მინერალოგია-პეტროგრაფიის ლაბორატორიაში და მუშაობაც დავიწყე. განსაკუთრებულ ყურადღებას ვაქცევდი აქამდე ჩემ მიერ ათვალისწუნებულ პალეონტოლოგიას.

იმავე დროს გავიგე, რომ ყაზანში არსებობდა ერთწლიანი პედაგოგიური კურსები. კურსები სასწავლო ოლქის მზრუნველს ექვემდებარებოდა, მაგრამ უნივერსიტეტის ბაზაზე მუშაობდა. მსმენელებად ღებულობდნენ უმაღლესი განათლების და 1-2 წლის პედაგოგიური სტაჟის მქონე ხალხს. გადავწყვიტე, მესარგებლა ყაზანში ყოფნით და ამ კურსებზეც შევსულიყავ. კურსებზე არ მიაქციეს ყურადღება იმას, რომ დიპლომი უცხოური მქონდა და მიმიღეს. კიდევ მეტი. სტიპენდიის დანიშვნა შემომთავაზეს. მაგრამ მე უარი ვანვაცხადე, რადგან სტიპენდია მავალებდა ორი წელიწადი მემუშავა იქ, სადაც სასწავლო ოლქი მიმავლენდა.

ამ კურსებზე მუშაობა ბოლომდე შევასრულე. თეორიულ საგნებს ბევრი არაფერი მოუცია ჩემთვის, მაგრამ ძლიერ სასარგებლო იყო პრაქტიკული მუშაობა ფიზიკის ლაბორატორიაში (ეს სპეციალობა ავირჩიე კურსებზე). ვისწავლე სახარატო დაზგაზე მუშაობა,

მინამბერის ხელობა, ლაბორატორიაში გამოსადეგი სხვადასხვა ტექნოლოგიური ხერხები... გავიწაფე იმ ცდების დადგმაში, რომლებიც შეიძლებოდა გიმნაზიაში დამჭირვებოდა, და შემეძლო მარტივი იარაღების მომზადებაც. პრაქტიკუმის ხელმძღვანელი უეჭველად გამოცდილი და საქმის მოყვარული ფიზიკოსი იყო, ფიზიკურ-მათემატიკური ფაკულტეტის დეკანის პროფ. გოლდჰამერის ასისტენტი.

დრო მიდიოდა და გამოცდებსაც ვაბარებდი რიგ-რიგად. ნიშნების მიხედვით პირველი ხარისხის დიპლომი უნდა მიმეღო. მაგრამ ეს გარემოება, ცხადია, ნაკლებად მაინტერესებდა. არსებითი ჩემთვის ფიზიკის პრაქტიკუმი და სამასწავლებლო მზადება იყო.

ასეთი იყო მდგომარეობა, როდესაც ერთ დღეს პროფესორმა ნოინსკიმ შემიხმო თავის კაბინეტში და გამომიცხადა, განზრახვა მაქვს უნივერსიტეტში დასატოვებლად წარგადგინო გეოლოგიაში და იმედი მაქვს შენც თანახმა იქნებიო. ეს ჩემთვის აბსოლუტურად მოულოდნელი იყო. არ შეიძლებოდა, წინადადება თავმოყვარეობისთვის სასიამოვნო არ ყოფილიყო, მაგრამ ამგვარ მუშაობაზე არასოდეს არ მეფიქრა, არასოდეს წარმომედგინა ჩემი თავი მეცნიერ-მუშაკად. მიხეილ ედუარდოვიჩს დიდი მადლობა ვუთხარი და დრო ვთხოვე მოფიქრებისათვის. კიდევ უფრო დიდი იყო ჩემი გაკვირვება, როდესაც მსგავსი წინადადება მომცა ფიზიოლოგიის პროფესორმა სამოილოვმაც. ეს წინადადება მით უფრო მოულოდნელი იყო ჩემთვის, რომ გამოცდაზე სამოილოვთან პატარა უსიამოვნებაც კი მომივიდა.

მიუხედავად იმისა, რომ უნივერსიტეტში მუშაობა უდავოდ უფრო მიმზიდველი უნდა ყოფილიყო, ვიდრე საშუალო სკოლის მასწავლებლობა, რამდენიმე წლის წინათ ასეთ პერსპექტივაზე უეჭველად უარს ვიტყოდი, რადგან საქართველოში უნივერსიტეტი არ იყო და საქართველოდან მოწყვეტას კი არავითარ შემთხვევაში არ დავთანხმდებოდი, მაგრამ ახლა ტფილისში პოლიტექნიკური ინსტიტუტის დაარსება გადაწყვეტილი საქმე იყო, რეალური პირი უჩანდა უნივერსიტეტის დაარსებასაც და ეს მდგომარეობას არსებითად ცვლიდა. მცირე მოფიქრების შემდეგ გადავწყვიტე თანხმობა მიმეცა, ხოლო ორი სპეციალობიდან გეოლოგია ვარჩიე იმ მოსაზრებით, რომ მთა-ველად მომიხდება სიარული და ლაბორატორიაში არ ვიქნები ჩაკეტილი-თქო. სხვა, უფრო საფუძვლიანი საბუთი არაფერი გამაჩნდა.

გადავწყვიტე კი, მაგრამ ეს გადაწყვეტილება მხოლოდ პირობითი იყო. სათავადაზნაურო გიმნაზიისთვის დაპირება მქონდა მიცემული, რომ გამოცდების დამთავრების შემდეგ იქ დავბრუნდებოდი სამუშაოდ. ეს ვალდებულება მხოლოდ ზეპირი იყო, მაგრამ მით უფრო ნაკლებად შეიძლებოდა მისი უგულებელყოფა. მივწერე იოსებ ოცხელს. გავაცანი მდგომარეობა და ვთხოვდი გიმნაზიის პედაგოგიური საბჭოს აზრს: მეტყოდნენ — ქუთაისს დავბრუნდებოდი, მეტყოდნენ და აქ დავრჩებოდი. მალე იოსებისგან ვრცელი პასუხი მივიღე. მწერდა, მეცა და მთელი საბჭოც დიდად მოხარული ვართ შენი წარმატებისაო. რასაკვირველია, მანდ უნდა დარჩე და ეგ შენი მუშაობა ჩვენი გიმნაზიის წინაშეც საუკეთესო სამსახური იქნებაო.

მშობლების პასუხი წინასწარ ცხადი იყო ჩემთვის. ვაცნობე თანხმობა ნოინსკის. უნივერსიტეტში დატოვებული—оставленный при университете для подготовки к профессорскому званию — იგივე იყო, რაც დღეს ასპირანტია, მხოლოდ უფრო იშვიათი და უკეთ უზრუნველყოფილი. დატოვება კათედრის წარდგენით ხდებოდა და არავითარ გამოცდებთან არ იყო დაკავშირებული. საკითხს ფაკულტეტის საბჭო წყვეტდა და უნივერსიტეტი მინისტრს წარუდგენდა დასამტკიცებლად.

ფაკულტეტის საბჭოში ყველაფერი სწრაფად მოგვარდა. დეკანს, პროფ. გოლდჰამერს ისიც კი ეთქვა, მე მეგონა ის ფიზიკაში იმუშავებდაო: ომი იყო, უკაცობა, და, როგორც თქმულა, на безрыбьи и рак рыба! მაინც ნოინსკიმ კი მითხრა, ვაითუ მინისტრმა არ დაგამტკიცოს როგორც ინოროდეციო. თან დაუმატა: არა, მართლმადიდებელი ხარ და დაგამტკიცებენო.

არ გამართლდა ეს პროგნოზი. უნივერსიტეტმა მინისტრისაგან უარი მიიღო. მაგრამ ეს უკვე 1916 წლის შემოდგომა იყო. ჰაერში რევოლუციის სუნი იდგა. უნივერსიტეტი, ასე ვთქვათ, აუჯანყდა სამინისტროს. რადგან უნივერსიტეტში დატოვებულის საშტატო ერთეულის მოცემა მთლიანად მინისტრზე იყო დამოკიდებული, მე შტატგარეშე დატოვებულად ჩამრიცხეს, ხოლო ნივთიერი მხარე რომ მოეგვარებიათ, დამნიშნეს ასისტენტად და გამომიცხადეს, არავითარი მოვალეობა, როგორც ასისტენტს, არ გექნება და იმუშავებ მხოლოდ და მხოლოდ როგორც უნივერსიტეტში დატოვებულიო. ამგვარად, ჩემი მდგომარეობა ნორმალურზე უკეთესიც კი აღმოჩნდა — ასის-

ტენტიის ხელფასი დატოვებულის სტიპენდიაზე მეტი იყო.

ყაზანის უნივერსიტეტი რუსეთში ერთი უძველესთაგანია. ბუნებისმეტყველება იქ მაღალ დონეზე იდგა, ხოლო გეოლოგიაში აქ ემუშავა ცნობილ აკადემიკოს ჩერნიშევს, შემდეგ შტუკენბერგს. ნოინსკი უკანასკნელის მოწაფე იყო. კათედრის მუზეუმში მდიდარი სადემონსტრაციო მასალის გვერდით ინახებოდა საკვლევო მასალაც. უმთავრესად ურალის დასავლური ფერდების დევონური ფაუნა, ძირითადად ჩერნიშევის და აგრეთვე სხვებისაც. ამ მასალას გზადაგზა გამოცდისათვის მზადებისასაც გადავავლე თვალი. ჩერნიშევის კოლექციები დიდწილად უკვე დამუშავებული იყო, მაგრამ აშკარად საჭიროებდა რევიზიას. სხვა მასალები კიდევ დაუმუშავებელი დარჩენილიყო. რადგან საველე მუშაობაზე იმ დროს ფიქრიც მეტი იყო, გადავწყვიტე ამ მასალისთვის მომეკიდა ხელი იმ ვარაუდით, რომ შემდეგ ველზე გასვლაც მოხერხდებოდა. ავიღე თემა „ურალის დასავლური ფერდის დევონური ფაუნა“ და პირველ რიგში ნაწლავღრუიანების შესწავლას შევუდექი. მთლიანდ ჩემს თავს ვიყავ მინდობილი, მაგრამ პარიზში მიღებული ბიოლოგიური მომზადება საქმეს მიადვილებდა.

## თებერვლის რევოლუცია

ასპირანტად და ასისტენტად 1917 წლის იანვრის პირველიდან ვიქმენ არჩეულ-დანიშნული. ამ დროიდანვე შევუდექ თემაზე მუშაობას საკმაოდ ინტენსიურად, მაგრამ მალე გაზეთებმა მოიტანეს ცნობა პეტერბურგში მომხდარი გადატრიალების შესახებ. ყაზანში პოლიტიკურ ცხოვრებას მხოლოდ გაზეთებით ვადევნებდი თვალს და ჩემს საქმეს ვეწეოდი, მაგრამ თებერვლის ამბებს უშუალოდ მოჰყვა წერილი ქუთაისიდან. სოციალ-ფედერალისტთა პარტიის კომიტეტიდან მწერდნენ. ამ პირობებში შენი აქ ყოფნაა საჭირო და უნდა ჩამოხვიდეო. მეც ბევრი არ მიფიქრია, შვებულება ავიღე და ქუთაისისკენ გამოვემართე.

ქუთაისი, ისევე როგორც მთელი იმპერია, აფორიაქებული იყო იმით, რაც მოხდა, და იმით, რასაც მოელოდნენ. პარტიების აქტივობა ძლიერ გაცხოველებული იყო. ჩამოსვლისთანავე მომანდეს პარტიული გაზეთის რედაქტორობა და შევუდექი ამ ჩემთვის სრულიად

ახალ საქმეს. მართალია, გაზეთის სარედაქციო კოლეგიის წევრი, როგორც ზემოთ აღვნიშნე, წინათაც ვიყავი. მაგრამ ფულის გადახდის გარდა გაზეთთან კავშირი არაფერი მქონია. ისიც კი არ მახსოვს, რომ იმ კოლეგიას როდისმე სხდომა ჰქონოდეს. ახლა კი, გაზეთის ნომრის გადასინჯვის გარდა, მიხდებოდა ყოველდღე მეთაურის და პრესის მიმოხილვის დაწერა. თანამშრომლები თითებზე ჩამოსათვლელი იყვნენ, კერძოდ სიმონ ყაუხჩიშვილი, დღეს კარგად ცნობილი მეცნიერი. მაინც, როგორც მესმოდა, ამბობდნენ, გაზეთი ერთთავად გამოკეთდაო.

ოფიციალური რედაქტორი მე არ ვიყავი. წესად იყო. რომ როგორც რედაქტორს, ადმინისტრაციას ვისმე გაზეთისთვის უცხოს წარუდგენდნენ და, თუ რეპრესია იქნებოდა, ციხეში მას ჩასვამდნენ. მხოლოდ ციხეში მისი ყოფნის განმავლობაში „რედაქტორს“ ხელფასი ეძლეოდა. დახურული გაზეთის ნაცვლად მეორე დღესვე ახალი გაზეთი გამოვიდოდა, ახალი სახელით და ახალი ფიქტიური რედაქტორით. ნებართვა წინდაწინვე იყო საამისოდ აღებული.

მაგრამ მუშაობა მარტო გაზეთში არ მიხდებოდა. მიმდინარეობდა სკოლის გაქართულება და ეს მასწავლებლებში დიდ ენთუზიაზმს იწვევდა. დიდი იყო სიძნელეებიც. მასწავლებლები ამ საქმისთვის მზად არ ვიყავით. უზარმაზარი მნიშვნელობა მიეცა ქართული ტერმინოლოგიისა და სახელმძღვანელოების საკითხს. ამუშავდა ყველა, ვისაც კი რამე შესაძლებლობა ჰქონდა.

იყო გაუგებრობებიც. მახსოვს, ერთ სხდომაზე, სადაც ქალაქის მთელ მასწავლებლობას მოეყარა თავი, გამოვიდა ერთი, წარმოთქვა პატრიოტული სიტყვა და დაათავა წინადადებით, ჩვენს სკოლაში რუსული ენა საჭირო არ არისო. ეგაა და რევოლუციონერი ვარო, მეორემაც დაუდასტურა. ჩამოვარდა სიჩუმე. ავიღე სიტყვა და განვაცხადე: — რა თქმა უნდა, სწავლების ენა ქართული უნდა იყოს და იქნება კიდეც, მაგრამ რუსულის სწავლა და ცოდნა ჩვენთვის სრულიად აუცილებელი არის. რუსული არის და დარჩება ჩვენს მეორე მშობლიურ ენად-მეთქი. ამ განცხადებამ საერთო მოწონება ჰპოვა.

მეორე მხრით, სწორედ იმ გაზაფხულზე ჩამოვიდა ქუთაისს ივანე ჯავახიშვილი, მაშინ პეტერბურგის უნივერსიტეტის დოცენტი. მას ტფილისში უნივერსიტეტის დაარსება განეზრახა და, რაც მთავარია, ქართული უნივერსიტეტის. ქუთაისის საზოგადოება ამ გაბედულ,

თითქმის ფანტასტიურ ინიციატივას აღფრთოვანებით შეხვდა. შეიქმნა სათანადო კომიტეტი და მე მდივნობა დამეკისრა. სხვათა შორის მომიხდა მომავალი უნივერსიტეტის შესახებ თათბირის ჩატარება. სხდომას ესწრებოდნენ უნივერსიტეტის მომავალი თანამშრომლები: ი. ყიფშიძე, ა. რაზმაძე, ა. ხარაძე, შ. ნუცუბიძე, გ. ახვლედიანი, დ. უზნაძე, ვ. ბერიძე და სხვები. არაერთი საგულიხსმო მოსაზრება გამოითქვა უნივერსიტეტის სასურველი სტრუქტურის შესახებ.

სკოლა ხომ სკოლაა, მაგრამ ყველა მწვავედ გრძნობდა ქართველთა ეკონომიურ ჩამორჩენილობას. მაშინდელ სიტუაციაში გასაგებია. რომ წარმოიშვა ქართული სამრეწველო ბანკის დაარსების იდეა. შედგა საინიციატივო კომიტეტი, რომლის მდივნობა ისევ მე მხვდა წილად. მახსოვს ერთ სხდომას სპეციალურად ჩამოსული ნ. ნიკოლაძეც დაესწრო, მაგრამ მალე ვითარება ისერიგად შეიცვალა, რომ ასეთ საქმეებზე ვეღარავინ იფიქრებდა.

მთავარი მაინც პარტიული მუშაობა იყო. მიტინგები, წრეები, სხდომები... ქვეყნის წინაშე თვალუწვდენელი ამოცანები იდგა, თითქმის უსაზღვრო პერსპექტივები და, თუ ბოლშევიკებს არ ჩავთვლით, სრული გაურკვევლობა. როგორც თითქმის მთელი ინტელიგენციისთვის, რევოლუციის სტიქია ჩემთვის სრულიად უცნობი იყო. არც ერთი რევოლუციის ისტორიას არ ვიცნობდი და, გარდა ამისა, ისტორიაც არის და ისტორიაც. მე იმ ისტორიას არ ვგულისხმობ, რომლის მიხედვით საფრანგეთის რევოლუცია დანტონმა, რობესპიერმა და მისთანებმა მოახდინეს. ამგვარ თხრობათა მიხედვით მე რევოლუცია წარმომედგინა, როგორც მოწესრიგებული, თავიდანვე გეგმიანი მოძრაობა. მე რა, — ისეთი პარტიებიც, როგორიც იყვნენ სოციალ-დემოკრატები (მენშევიკები) და სოციალისტ-რევოლუციონერები, ხომ ფიქრობდნენ, რომ შესაძლებელი იყო ერთდროულად იმპერიალისტური ომის გაგრძობა და რევოლუციის განვითარება. ამისათვის საჭირო იქნებოდა რევოლუციის, სტიქიური რევოლუციის ალაგმვა და ავიწყდებოდათ, რომ ალაგმულ რევოლუციის რეაქცია დაადგამდა თავის კეხს.

სოციალ-ფედერალისტთა პარტია რევოლუციის ხელმძღვანელად ვერ გამოდგებოდა და დაიწყო პარტიაში ახალი ამბები. გაჩნდა ახალი ძლიერი ფენა — დემაგოგები და ავანტურისტები. ეს იყო პარტიის, ასე ვთქვათ, აქტიური ნაწილი. მეორე მხარეზე დარჩა ძველი

ხელმძღვანელობა, რომელიც გულწრფელად თანაუგრძნობდა რევოლუციის მიზნებს, მაგრამ ბუნებით უცხო იყო რევოლუციური სტიქიისათვის. მე ორივე ამ ფენისგან გარიყული ვრჩებოდი. დემაგოგებთან საერთო არაფერი მქონდა, ხოლო ხელმძღვანელობის პოზიცია თავიდანვე არ მაკმაყოფილებდა. მდგომარეობის არანორმალურობა ჩემთვის ცხადი იყო, ხოლო სწორი გზა კი ვერ მეპოვა.

ჩემი პოზიცია არც ყოველთვის ორთოდოქსული იყო. ცნობილია, რომ ივლისის გამოსვლის შემდეგ ბოლშევიკების თავაშვებული დევნა დაიწყო. მე კი გაზეთში დიდი წერილი (ორი „სარდაფი“) გამოვაქვეყნე, რომელშიაც ვამტკიცებდი, ბოლშევიკები მოღალატეები კი არა, სოციალისტები და რევოლუციონერები არიან, როგორც ჩვენ, მხოლოდ მათი პროგრამა და ტაქტიკა არის მიუღებელი-თქო. ამის შემდეგ ზოგნი მობოლშევიკოდ მთვლიდნენ.

მაგრამ მთავარი მაინც სხვა იყო. ამ კრიტიკულ ხანაში, როდესაც იმპერატიულად იდგა საკითხი, ბურჟუაზიული უნდა ყოფილიყო რევოლუცია თუ სოციალისტური, როდესაც დღე-დღეზე სოციალიზმის მშენებლობა შეიძლებოდა დაწყებულიყო, ჩემს წინაშე ბუნებრივად წამოიჭრა სოციალისტური წყობილების კონკრეტიზაციის საკითხი. კერძოდ, როგორი უნდა ყოფილიკო შრომის ნაყოფის სოციალისტური განაწილება?

სოციალისტები განაწილებას შრომას უდებენ საფუძვლად, მაგრამ შრომა რომ საზომი გახდეს, საჭიროა თვითონ ის იყოს გაზომვადი. მერე როგორ უნდა გავზომოთ ადამიანის შრომა, დროით? რამდენად თანასწორი იქნება მემანქანე ქალის და ინჟინერის რვა-რვა საათის მუშაობა? როგორ უნდა შევაფასოთ ის გარემოება, რომ ღამის დარაჯობას ინჟინერიც შესძლებს და ღამის დარაჯი კი ინჟინრობას ვერა? როგორ უნდა შევაფასოთ ბამომგონებლის ან მომღვრლის შრომა?

მსგავსი კითხვები მრავალი მიტრიალებდა თავალწინ და პასუხი ვერ მეპოვა და დავასკვენი, რომ ასეთ მდგომარეობაში უფლება არ მქონდა თავისათვის სოციალისტი მეწოდებია, უფლება არა მქონდა პოლიტიკური თაოსნობის პასუხისმგებლობა მეკისრა.

გადავწყვიტე, გამოვსულიყავ სოციალ-ფედერალისტთა პარტიიდან. 1917 წლის აგვისტოში შევიტანე სათანადოდ დასაბუთებული განცხადება კომიტეტში. ზევრი მარწმუნეს, აჩქარებული ნაბიჯია, ნუ

იზამ მაგასო, მაგრამ მე ჩემი არ მოვიშალე. გამოველ სოციალ-ფედერალისტთა პარტიიდან და გაზეთის რედაქტორობაზეც ხელი ავიღე.

## ოქტომბრის შემდეგ

შეიძლებოდა ეს კრიზისი სოციოლოგიური საკითხების უკეთ შესწავლის საფუძველი გამხდარიყო, მაგრამ 1917 წელი მოქმედების დრო იყო და არა სწავლის. მეორე მხრით, მე უკვე ნაკისრი მქონდა სხვა ვალდებულება. გეოლოგიაში მუშაობა, და ამასაც ვერ დავივიწყებდი. გადავწყვიტე ყაზანში დავბრუნებულიყავ, ხოლო იმ საკითხებზე აზრის მუშაობა უცნობიერად გრძელდებოდა.

ყაზანს დავბრუნდი სექტემბერში და განვაგრძე დაწყებული საქმე. აქ საზოგადოებრივ და პოლიტიკურ ცხოვრებას მოწყვეტილი ვიყავ, ხელის შემშლელი არაფერი იყო და თავაუღებლივ ვმუშაობდი. ყოველ ნაბიჯზე ჩემთვის ახალს და რთულ საკითხებს ვეჯახებოდი, მაგრამ კონსულტაცია არავისგან იყო შესაძლებელი და ნებაუნებლიეთ ჩემი გზით უნდა მევლო და თან არაერთი კითხვა უპასუხოდ დამეტოვებია.

როგორც მოსალოდნელი იყო, იფეთქა ოქტომბრის რევოლუციამ. დროებითი მთავრობის ორ სკამზე ჯდომის პოლიტიკას ბოლო მოეღო. დაიწყო სამოქალაქო ომი. მე ამ ისტორიულ ამბებს უდიდესი ინტერესით ვადევნებდი თვალს, მაგრამ მხოლოდ როგორც მაყურებელი. ზოგი რისამე მოწმე ყაზანშიაც გავხდი.

ლენინგრადსა და მოსკოვში ბოლშევიკების გამარჯვების შემდეგ ყაზანში ადგილობრივი მთავრობა შეიქმნა, ბოლშევიზმის მოწინააღმდეგე. ერთხანს სიმშვიდე იყო, მაგრამ მალე ქალაქს წითელი ჯარი მოადგა. დაიწყო ბრძოლა. დამცველი მხოლოდ სამხედრო სასწავლებლის მოწაფეები, კადეტები იყვნენ, მაგრამ თავგამოდებით იბრძოდნენ. ატყდა საარტილერიო სროლა. ისროდნენ ძირითადად სამდიუმიან ყუმბარებს. მე ამ დროს შინ ვიყავი და შემთხვევით სრულიად მარტო ბინაში. ყუმბარების სკდომა კი მესმოდა, მაგრამ დანახვით ვერაფერს ვხედავდი. ეს ძნელი ასატანი აღმოჩნდა. ჩავიცვი პალტო, დავიხურე ქუდი და გაველ ქუჩაში. ავუხვიე უნივერსიტეტისკენ. მოსახვევში პოლიციელი იდგა. ავედი უნივერსიტეტის მოე-

დ..ნზე, ახლა სრულიად ცარიელზე. მშვენიერი მზიანი დღე იყო. ვადევნებდი თვალს, როგორ სკდებოდნენ ჰაერში ყუმბარები, და ეს ახლა. რაკი ვხედავდი, ბასართობად მეჩვენებოდა. რომ მომეწყინა, შეველ შენობაში, რომელშიც გეოლოგიური კათედრა იყო მოთავსებული, უნივერსიტეტის მთავარი კორპუსის პირდაპირ. აქაც არავინ იყო. შეველ მუზეუმში, დავჯექ ჩემ მაგიდასთან, რომელიც კედელზე იყო მიდგმული, ორ ფანჯარას შუა, და შევუდექ მუშაობას. ფანჯრები მოედანზე გადიოდნენ.

გავიდა სულ რაღაც ნახევარი საათი და უეცრად იჭექა და ყუმბარა მოხვდა სწორედ იმ კედელს, რომლის წინაც მე ვიჯექი. სქელი კედელი კი ვერ შემოანგრია, მაგრამ, ცხადია, ფანჯრები ერთიანად ჩამოილეწა. მეტი გზა აღარ იყო, წამოველ აქედანაც. შინისკენ რომ გავუხვიე. იქ, სადაც პოლიციელი იდგა, აღარავინ ჩანდა. სისხლის გუბე იყო მხოლოდ. როგორც შემდეგ მითხრეს, პოლიციელისთვის ყუმბარას წაეწყვიტა თავი.

მეორე დღეს ბოლშევიკები ქალაქში შემოვიდნენ და ბოლშევიკური ხელისუფლება დამკვიდრდა. მე კი ამ დროს დასავლური ურალის დევონური ფაუნის შესწავლას განვაგრძობდი ხელშეუშლელად! იანვარში დავამთავრე კიდეც პირველი ნაწილი, ნაწლავღრუიანები, და გადავეცი ერთი ცალი უნივერსიტეტს, როგორც პირველი ხარისხის დიპლომისთვის იყო საჭირო, და მეორე ცალიც, ტექსტი და ტაბულები, ბუნებისმეტყველთა ყაზანის საზოგადოებას დასაბეჭდად.

ეს იქნებოდა იანვრის ბოლო ან თებერვლის დამდეგი. თებერვლის მეორე ნახევარში კი მივიღეთ ქართული გაზეთები: „მამულიშვილნო, სამშობლო განსაცდელშია! მამულიშვილნო, სამშობლო განსაცდელშია!“ და ცხადდებოდა საყოველთაო მობილიზაცია. როგორც ცნობილია, ბრესტის ხელშეკრულებით ამიერკავკასიის სამხრეთ-დასავლური ნაწილი, სამხრეთ საქართველოს ჩათვლით, ოსმალეთს დაეთმო. ამიერკავკასიაში ამ დროს იყო ანტიბოლშევიკური მთავრობა და სეიმი, რომელიც არც ბოლშევიკურ ხელისუფლებას და არც ამ ხელშეკრულებას არ სცნობდა, მაგრამ ოსმალებისთვის ამას რა მნიშვნელობა უნდა ჰქონოდა: მათ ისარგებლეს იმ გარემოებით, რომ ფრონტი უკვე დარღვეული იყო, და წამოვიდნენ წინ. გურიაშიც კი შემოიჭრნენ.

მუსავატისტურ-დაშნაკურ-მენშევიკურ მთავრობას რეგულარული

ჯარი ფაქტიურად არ გააჩნდა და აქედან — საყოველთაო მობილიზაცია. ჩემთვის მთავარი სწორედ ეს უკანასკნელი იყო. მართალია, ფორმალურად მობილიზაცია მე არ მეხებოდა, მაგრამ ვფიქრობდი, ქვეყანას ასეთი უბედურება დაატყდა, ვისაც კი რამ შეუძლია, უეჭველია, თავს არ დაზოგავს მის დასაცავად, მსხვერპლი დიდი იქნება და. მე რომ აქ დავრჩე, რა პირით უნდა დავბრუნდე შემდეგ სამშობლოში-მეთქი. მართალია, ჯარში არ მემსახურა, მაგრამ იარაღის ხმარება მეც შემეძლო.

გადავწყვიტე შინ წამოსვლა. ყაზანში რამდენიმე ქართველი სხვაც იყო, მათ შორის მოსწავლეებიც. მათ უკვე საყოფაცხოვრებო პირობების გამო აღარ შეეძლოთ აქ დარჩენა, უსახსროდ იყვნენ, ჩემი განზრახვა რომ გაიგეს, მათაც წამოსვლა გადაწყვიტეს. მაგრამ როგორ? ყველგან სამოქალაქო ომი ბობოქრობდა, ტრანსპორტი დეზორგანიზებული იყო, მგზავრობა, როგორც შემდეგ დავრწმუნდით, ძლიერ სახიფათო.

დავიწყე იმით, რომ მიველ ქალაქის სამხედრო-რევოლუციურ საბჭოში და გავაცანი მდგომარეობა. მათ ძლიერ გულისხმიერად მიმიღეს. მოგვცეს საშვები და განკარგულება, რომ ჩვენთვის ე. წ. ტეპლუშკა, ესე იგი საბარგო ვაგონი გამოეყოთ, — კლასის ვაგონები მაშინ მაგარიც იშვიათი იყო და ჩვენთვის არც გამოდგებოდა, მთელ ვაგონს ხომ ვერ მოგვცემდნენ.

რკინიგზის სადგურზე ეს განკარგულება უსიტყვოდ შეასრულეს. ჩვენც ვიყიდეთ თუნუქის ღუმელი და დავდგით ვაგონში, შევიტანეთ შიგ შეშის მარაგი და გადმოვებარგეთ თვითონაც. მე იმდენად გულუბრყვილო აღმოვჩნდი, რომ ჩემი ბიბლიოთეკა და ზოგი რამ სხვა ყაზანში დავტოვე, — მეგონა დავბრუნდებოდი. ყველა ასე ოპტიმისტურად არ იყო განწყობილი. ნოინსკიმ უნივერსიტეტიდან ნახევარი წლის შვებულება მოაცემინა ჩემთვის, მაგრამ რომ მეთხოვებოდა, თვალები ცრემლებით ჰქონდა სავსე: ალბათ ვეღარ განახავო.

წამოღოღდა ჩვენი მატარებელი. ვაგონში კარგად მოვეწყვეთ. საწოლებიც გავიკეთეთ, თავისუფლადაც ვიყავით: სულ ათიოდე კაცი ვიქნებოდით, ქართველები, ერთი ბერძენი და ერთი სომეხი. ეს უკანასკნელი ძლიერ სიმპათიური ყმწვილი იყო, ოსმალეთიდან გადმოხვეწილი და დიდი პატრიოტი.

მგზავრობის მეორე თუ მესამე დღე იყო, რომ ერთ სადგურზე

მატარებელი გაჩერდა, ორმა თუ სამმა ჩვენმა თანამგზავრმა გაუფრთხილებლად ვაგონის კარი გააღო და ძირს ჩავიდნენ. სადგური გაჭედილი იყო „მეშოჩნიკებით“. ეს იყვნენ გლეხები, რომელთაც პურის ფქვილი ან სხვა რამ საკვები მოჰქონდათ თან ტომრებით. თუ როგორმე უახლოეს ქალაქამდე მიაღწევდნენ, იქ ამ საქონელს გაუგონარ ფასად ცვლიდნენ სხვადასხვა ნივთებში: ქალაქებში შიმშილი იყო და მცხოვრებლები არაფერს იშურებდნენ, თუკი პურს და საკვებს რასმე იშოვნიდნენ. ოღონდ ეს იყო, რომ ქალაქში ჩასვლა თითქმის შეუძლებელი გამხდარიყო. მთელ დღეებს და ღამეებს „მეშოჩნიკები“ სადგურებში ათევდნენ, იატაკზე, სანამ როგორმე ვაგონში, როგორც წესი — ტეპლუშკაში, შეძვრომას მოახერხებდნენ, თუ კარებიდან არა, ფანჯრიდან (მაგარ ვაგონში) მაინც. ადიოდნენ ვაგონის თავზეც და ზოგი ვაგონქვეშ პოულობდა ადგილს.

მატარებელი ყოველთვის იშვიათი იყო და ხალხით გაჭედილი. და აი ამ „მეშოჩნიკებმა“ დაინახეს თითქმის ცარიელი ჩვენი ვაგონი. იგრიალა ბრბომ და მოაწყდა კარებს. ღია კარებში მ-ძე მდგარიყო. ეს იყო ყოფილი ოფიცერი, რომელიც, როგორც გვითხრა, ფრონტზე რევოლუციური კომიტეტის წევრი ყოფილიყო და ახლა, დემობილიზებული, ჩვენ მოგვყვებოდა. რომ დაინახა ურდო, — არ შეიძლება შემოსვლა, სპეციალური ვაგონიაო, — მაგრამ ვინ დაუჯერებდა? მაშინ იძრო ნაგანი — თურმე თან ჰქონოდა — და გაიშვირა შესაშინებლად. როგორც შემდეგ გამოირკვა, თურმე დალოცვილს ეპოლეტებიც კი მოჰქონდა ჩემოდანში სახსოვრად.

რევოლვერი ამოიღოო, რომ დაინახეს, სტაცეს ხელი და მიათრევენ ძირს. ბედზე ჩვენც მოვუსწარით. ვეზიდებით ამ კაცს, მხრებში ხელჩაკიდებული, შიგნითკენ; „მეშოჩნიკებს“ ფეხებში ჩაუჭიდიათ ხელი და ცდილობენ ქვევით ჩაითრიონ. თითქო ადამიანი განწირული იყო. საბედნიეროდ, „მეშოჩნიკები“ ბევრი იყვნენ და ერთმანეთს ხელს უშლიდნენ, თან ყველას ბარგი ეკიდა ზურგზე ან იღლიაში ჰქონდა ამოჩრილი. ჩვენ ვაჯობეთ, მ-ძე ხელიდან დავსხლიტეთ და ვაგონში შემოვათრიეთ. კარიც იმ წამსვე მივკეტეთ.

შეიქნა ბრახუნი და ყვირილი, კონტრრევოლუციონერებიო და სხვა, მაგრამ ჩვენ სულგანაბული ვიყავით და ხმას არ ვიღებდით. ახლა გაგრძელდა ეთხანს. შემდეგ სიჩუმე ჩამოვარდა და მოისმა კარზე რაკუნი და ბრძანება: „Именем революции! откройте!“ ახლა გავაღეთ. ჩვენ წინ იდგა ხუთი თუ ექვსი ჯარისკაცი თოფებით ხელში

და პატრონტაშებით მკერდზე ჯვარედინად და წელზე. მათი უფროროსი ახალგაზრდა ყმაწვილი იყო. შემოვიდა ვაგონში და „რაშია საქმეო!?“ მე თითქმის ყოველგვარი იმედი უკვე დაკარგული მქონდა. ვფიქრობდი, რომ ყოფილი ოფიცრის მიერ იარაღის ტარებას და მით უმეტეს დამუქრებას არ გვაპატიებდნენ და, რომ გავეჩხრიკეთ, ავტომატური ბელგიური დამბაჩა მეც მქონდა თან. მაინც ვაჩვენე ყაზანში მოცემული საშვები, განკარგულება ვაგონის გამოყოფის შესახებ და ავუხსენი ჩვენი მგზავრობის ხასიათი. დავუმატე, რომ ყველაფრის მიზეზი „მეშოჩნიკები“ არიან-თქო, რადგან ძალით უნდოდათ ვაგონს დაჰპატრონებოდნენ.

როგორც ჩანს, საბუთებმა და ჩემმა სიტყვებმა დაარწმუნა, რომ კონტრრევოლუციონერები არ ვიყავით. განზე გამიყვანა და მითხრა: — ამხანაგო, შენ ციდან ჩამოვარდნილი ხომ არა ხარ? ნუთუ არ გესმის, როგორი დრო არის, როგორ შეიძლება ასეთ შემთხვევაში იარაღით მუქარაო? ხომ ხედავ ამ ზღვა ხალხს, როგორ უნდა დავაშოშმინო იგიო? მაინც ვცდი. თქვენ დაპატიმრებულად გამოგაცხადებთ. ვაგონს მოვახსნევინებ და ჩიხში გადავაყვანინებ, ხოლო შემდეგ, როდესაც ეს ხალხი აღარ იქნება, რომელიმე მატარებელს მიგაბამთ და გაგიშვებთო.

რა ვეთქმოდა!

ვაგონიდან გავიდა და ხმამაღლა განკარგულება გასცა: „ყველანი დაპატიმრებული არიან. ვაგონი დაკეტეთ და ყარაული მიუჩინეთ. წავალ, მოვითხოვ, რომ იგი ჩიხში გადაიყვანონ, ხოლო დანარჩენი რევოლუციური სასამართლოს საქმე იქნებაო“.

„მეშოჩნიკებმა“ რომ გაიგეს, ვაგონი აღარ წავაო, ჩვენამდი ყოველგვარი ინტერესი დაკარგეს და სხვა ვაგონებს მიაშურეს. ჩვენ კი დაპატიმრებული აღმოვჩნდით. არ გასულა დიდი დრო და მოგვესმა ორთქლმავლის მოახლოების ხმა, მსუბუქი დაჯახება და გაგორეს ჩვენი ვაგონი ჩიხისკენ. ამას ვვარაუდობდით, თორემ დანახვა არაფრის შეგვეძლო. დაღამდა კიდეც. ვიჯექ მდუმარედ და ვფიქრობდი: გაამართლებს ის ყმაწვილი თავის სიტყვას თუ არა?

შუაღამე გადასული იქნებოდა, რომ ისევ ორთქლმავლის ქშენა მოისმა, ისევ წაგვაგორა სადღაც და მცირე ტარების შემდეგ ვიგრძენით, რომ მატარებელს მიგვაბეს. გავიდა კიდევ დრო და მატარებელი დაიძრა. გადავრჩით, და ის ახალგაზრდა არც კი ვიცი, ვინ იყო!

აღარ მაგონდება, რამდენი ხნის შემდეგ და რა მარშრუტით, მივედით ცარიცინში (ვოლგოგრადში). ქალაქი მცირე ხნის წინ აეღოთ ბოლშევიკებს და გარეუბნებში სახლების კედლები კარტეჩით იყო დაცხრილული. აქ გემზე გადავსხედით და ჩავყევით ვოლგას ასტრახანისკენ. მეორე დილა იქნებოდა, რომ გემი ერთ პატარა სადგურთან გაჩერდა. გადავედით ნაპირზე. იქვე ახლოს ბორცვზე ხალხი მოჩანდა შეკრებილი. მიველ, გამეგო, რა ხდებოდა. გამოირკვა, რომ ერთ კაცს ასამართლებდნენ. ბრალდებული იქვე იდგა. მგონია, ქურდობას აბრალებდნენ. გამარტივებული პროცედურა ბოლოს უახლოვდებოდა. განაჩენიც გამოიტანეს, უნდა ჩაქოლვილ იქნასო. იგრიალა ქვებმა და, რომ დაიშალნენ, იმ კაცის აღარაფერი ჩანდა, მხოლოდ ქვების გროვაღა იყო.

მომაგონდა უკანასკნელად ყაზანაში ნახული: ფანჯარასთან ვიდექ და რიბნორიადსკაიაზე ვიყურებოდი; უეცრად ხმაური მომესმა, — თოვლიან ქუჩაზე ერთი ახალგაზრდა მორბოდა და უკან ხალხი მოსდევდა; უბედურმა რაღაცას ფეხი წამოჰკრა და დაეცა; დაეწიენ და შესდგნენ ფეხით; ბრბო რომ დაიშალა, იმ ადგილზე მხოლოდ სისხლის ლაქა ჩანდა და რაღაც ბრტყელი სხეული!

ასტრახანში მოულოდნელი ამბავი დაგვხვდა, ბაქოში ბრძოლები მიმდინარეობს და იქითკენ მიმოსვლა არ არისო. უნდა გავჩერებულიყავით და გვეცადა. როგორღაც ერთი ქართველი შეგვხვდა და გვირჩია: აქ განათლების კომისარი ქართველი არის, ვინმე ბაქრაძე, ის ნახეთ და მოგეხმარებათო. ვინახულეთ. დაგვპირდა. როგორც კი მიმოსვლა აღდგება, პირველივე გემით გაგისტუმრებთო. ვიცადეთ სამი დღე. ბოლოს მოვიდა ცნობა, ბაქო აღებულია და მიმოსვლა აღდგენილიო. ჩავსხედით გემში და გამოვუდექით გზას. ჯერ კიდევ მდგომარეობა მთლად გარკვეული არ იყო და გემი პორტ ალექსანდროვსკში გაემართა. იქ დაგვხვდა საბოლოო ცნობა, გზა ბაქოსკენ თავისუფალიაო, და გემმაც სათანადო კურსი აიღო.

ბაქოში გამოირკვა, რომ ბოლშევიკები განჯისკენ (კიროვაბადი) მიიწევდნენ, სადღაც ბაქოს და განჯას შუა ფრონტი იყო და ბრძოლები მიმდინარეობდა. მატარებლები ტფილისისკენ არ დაიარებოდნენ, მიმოსვლა შეწყვეტილი იყო. გულშემოყრილები წავედით მაინც სადგურზე. იქ ბედმა გაგვიღიმა ისევ, გვითხრეს, ამ საღამოს სპეციალური მატარებელი გადის ტფილისისკენ ქართველი რკინიგზელების გასახიზნავადო და ეგებ იმათ წაგიყვანონო. წამსვე მოვძებ-

ნეთ, ვისაც ეს შეეხებოდა და ავუხსენით ჩვენი გაჭირვება. სიამოვნებით მიგვიღეს და დაგვითმეს მთელი ვაგონი. ამჯერად ნამდვილი სამგზავრო ვაგონი და არა ტეპლუშკა. დაუყოვნებლივ მოვთავსდით ვაგონში და იმავე საღამოს ვამოვედით ტფილისისკენ.

ღამე გამომეღვიძა. მატარებელი ტრიალ მინდორში გაჩერებულიყო. გარეთ ლაპარაკი ისმოდა აღელვებული. რომ ჩავედი, გამოირკვა, რომ მემანქანე წასვლას ვერ ბედავდა. ამ ადგილას ორი ლიანდაგი იყო, მაგრამ შემდეგ ერთი და შეიძლებოდა შემხვედრი მატარებელი დაგვჯახებოდა. სადგურებს შუა არავითარი კავშირი არ იყო და ყოველ წუთში შეიძლებოდა რომელიმე მატარებელი გამოჩენილიყო, ისევე გრაფიკს გარეშე, როგორც ჩვენ მივდიოდით, რკინიგზელები თათბირობდნენ, როგორ მოვიქცეთო, და ვერაფერი ნოეგონებიათ. კამათი ჰქონდათ, რომ უეცრად მატარებელი გამოჩნდა. გაჭედილი იყო ჯარისკაცებით, რომელნიც ფრონტიდან (ოსმალეთის ფრონტიდან) მოხსნილნი და თოფ-იარაღით აღჭურვილნი შინისკენ მიექანებოდნენ. მოისმოდა სიმღერა და ყიჟინი. გიჟური სიჩქარით ჩაგვიქროლეს. ეტყობოდა, მემანქანესაც თოფიანი კაცი ედგა თავს.

ამ შემთხვევამ კიდევ უფრო დააფრთხო ხალხი. ვიდექით და ვიცდიდით. ბოლოს, რომ მობეზრდათ, თქვეს, სანამდე უნდა ვიყოთ ასე, უკან ხომ არ დავბრუნდებითო, და უკვე დილა ახლოვდებოდა, რომ გადაწყვიტეს წასვლა: მოხდეს, რაც იქნებაო! საბედნიეროდ არაფერი მომხდარა.

ფრონტი როგორ გავიარეთ და სად, არ გამიგია. მეორე დღეს, შუადღე იქნებოდა, რომ განჯის სადგურზე მივედით. აქ დიდი მოძრაობა იყო. თან ომის განწყობილება. გამიკვირდა, რომ თეთრ ჩოხებში გამოწყობილი ახალგაზრდა ჯარისკაცები დავინახე. ნამდვილი საოპერო ჯარი! გამოირკვა, რომ ქართული პოლკი იყო, დასახმარებლად ჩამოსული. თეთრჩოხიანებში რამდენიმე ჩემი ყოფილი მოწაფე აღმოჩნდა ქუთაისიდან. გახარებული შემომეხვივნენ, თან თავმომწონედ. მეც ძლიერ ნასიამოვნები ვიყავი.

ბოლოს დაიძრა ჩვენი მატარებელი და წამოვედით ტფილისისკენ.

ტფილისში მარტის პირველს ჩამოვედით. აქ შევიტყვე, რომ გერმანელების საქმეში ჩარევის შემდეგ ოსმალთა წინსვლა შეჩერებული იყო და საომარი მოქმედება შეწყვეტილი. ასე გათავდა მობილიზაცია, რომელმაც ყაზანიდან ჩამომიყვანა. მაგრამ არც მთლად,

თუმცა ომი აღარ იყო. ქუთაისს რომ ჩამოველ, გამოირკვა, რომ, ჯერ კიდევ დაზავებამდე, იქ შემდგარიყო მასწავლებელთა და საერთოდ ინტელიგენციის მოხალისე რაზმი, იარაღი მიეღო და დროგამოშვებით ვარჯიშობდა. მეც მათ შევუერთდი, თოფიც მომცეს.

დიდი ხანი არ გასულა ამის შემდეგ და სამწუხარო ამბავი მოგვივიდა. ბაღდადს ზემოთ, ხანის წლის ხეობაში, საგუშაგო იყო მოწყობილი ახალციხის მხარიდან გადმოსული ყაჩაღების თუ მაროდიორების თარეშის აღსაკვეთად. იქ წასულიყო, როგორც მოხალისე, ჩვენი გიმნაზიის ახალგაზრდა მასწავლებელი გ. ჭუბაბრია. და აი გვატყობინებდნენ, რომ ჭუბაბრია მოეკლათ. როგორ, რა პირობებში, არ ჩანდა. ეს რომ გავიგე, გავიქეცი, ჩვენი რაზმის შტაბში და სრულიად დარწმუნებულმა, რომ ყველა ამავე აზრის იქნებოდა, — აბა, მივაშუროთ ხანისწყალს-მეთქი. ცივად მიპასუხეს, ჩვენ ჯერ იარაღის ხმარება არ ვიცით და სად უნდა წავიდეთო. როდესაც ვისწავლით, აგეთ საქმეს მაშინ ვიკისრებთო. ეგებ მართალიც იყვნენ, ყოველ შემთხვევაში ბევრი მხრივ მართალი იყვნენ, მაგრამ მე მაშინ ისეთ გუნებაზე არ ვიყავი, რომ მათი სიმართლე გამეგო. მივუგდე თოფი, — ღმერთმა მოგახმაროთ-თქო, — და შემდეგ აღარ მივკარებივარ.

## კრიზისი

დრო თავისუფალი მქონდა და წაველ კახეთში. მინდოდა დაი და სიძე მენახა. სიძე ტ. ბაკაშვილი წინანდლის მამულის უფროსი მეღვინე იყო. ამგვარად ვინახულე პირველად კახეთი და წინანდალიც. ბუნების მიერ უხვად დაჯილდოებულმა ამ კუთხემ დიდი შთაბეჭდილება მოახდინა ჩემზე, მაგრამ იმხანად ყველაფერი დამავიწყა პატარა დისწულმა ლევიკომ. ლამაზი და ჯანიანი ბავშვი ორი წლის თუ იქნებოდა, მაგრამ შთაბეჭდილებას თუ დაეჯერება, გონებამახვილი ჩანდა. იმ დროს (და დღესაც) ბავშვები განსაკუთრებით მიყვარდა და ისინიც წამსვე მიმეგობრდებოდნენ. რამდენადაც მიჭირდა საერთო ენის პოვნა დიდებთან, იმდენადვე მეადვილებოდა ამათთან. დავმეგობრდით მე და ლევიკოც. მას განსაკუთრებულ სიამოვნებას ჰგვრიდა, თუ წამაქცევდა ტახტზე, შემდგებოდა მისი პაწია ფეხებით და მთელავდა უღმერთოდ. და ვიცინოდით, ვიცინოდით ორივე დაუსრულებლად!

ასე გავატარე ორი თუ სამი დღე და დავბრუნდი ქუთაისს. არ

ვიცი, რამდენი დღე შევჩერდი გზაში, ტფილისში, მაგრამ დაბრუნების მეორე დღესვე, წინანდლიდან დეპეშა მივიღეთ, პატარა ლევიკო გარდაიცვალაო! გულში რაღაც ჩაწყდა. ბევრი რამ არის უაზრო და სასტიკი ცხოვრებაში, მაგრამ ბავშვის სიკვდილი? თანაც ეს იყო პირველი სიკვდილი ოჯახში.

იმ დროს ჩვენში ესპანური გრიპი მძვინვარებდა. იყო ქუთაისში შემთხვევები, რომ ერთი ოჯახიდან ორი კუბო გამოჰქონდათ ერთად. გრიპი შეეყარა ჩემს უმცროს დას ნადიასაც, რომელიც მანამდე ტრავმატული პლევრიტით იყო ავად ცხენიდან გადმოვარდნის გამო. ამიტომ მე ავადმყოფთან დავრჩი და დედა და მამა კახეთს წავიდნენ.

ნადია 7 წლით ჩემზე უმცროსი იყო. ამიტომ მას თავიდანვე ისე ვუმზერდი, როგორც ასაზრდელ ბავშვს. ისიც ჩემში ხედავდა არა მარტო ძმას, არამედ უფროს მეგობარსაც. განსაკუთრებით გვიყვარდა ერთმანეთი. ახლაც ვუვლიდი რამდენადაც შემეძლო. თანდათან მეტად წუხდა და სუსტდებოდა. ერთ საღამოს რომ ვუთხარ, — ჩემო ნადია, დამშვიდდი, ნუ წუხარ-თქო, — „მე ახლა არავისი აღარ ვარო", მიპასუხა და გადაბრუნდა.

არ ვიცი, როგორ ხდება ეს, ან ყოველთვის ხდება თუ არა, მაგრამ ნათლად ვიგრძენი, რომ ამ წუთში მან ცხოვრებასთან კავშირი გაწყვიტა, რომ მას აღარაფერი და აღარავინ უყვარდა, რომ „არავისი აღარ იყო".

მეორე დილით ჩემი ხელით დავუხუჭე თვალები.

თვალიდან ცრემლი ვერ გამომეწურა. სხვების ტირილიც, რომ ვუმზერდი, მეუცხოვებოდა. მაგრამ სადღაც იქ, სიღრმეში, დიდი ცვლილებები მიმდინარეობდა. აქამდე ბუნებით მხიარული ვიყავ. ოცდაათი წლის ადამიანი ვიცინოდი როგორც ბავშვი, იცინოდა გული და არა სახე. ახლა კი სიცილის უნარი დაკარგე, მის ნაცვლად მხოლოდ ნიღაბი დარჩა სიცილისა. ჩემდა უნებლიეთ და უცნობიერად მოხდა ყველა ღირებულებათა გადაფასება და ცხოვრებამ ის ძველი მიმზიდველობა დაჰკარგა. ორ წელიწადს გაგრძელდა ასეთი მდგომარეობა. შემდეგ უცხოეთში წასვლამ, ახალმა გარემომ და მუშაობამ ისევ გამომაცოცხლა, მაგრამ ის ძველი უშუალო ხალისი აღარასოდეს დაბრუნებულა.

უფრო გვიან მომიხდა სიკვდილის შესახებ მეჩნიკოვის შრომის წაკითხვა. ამტკიცებს, სიკვდილი ბუნებრივი მოვლენაა, რომელსაც მოხუცი ადამიანი არათუ ურიგდება, სურვილითაც კი ეგებებაო.

ვფიქრობ, იმისათვის რომ ს ა კ უ თ ა რ სიკვდილს დამშვიდებით უმ-ზერდე, სიბერე არც არის საჭირო. მაგრამ როგორ შეურიგდება ადამიანი სხვის სიკვდილს და განსაკუთრებით ახლობელი, საყვა-რელი ადამიანის სიკვდილს და ისიც კიდევ ახალგაზრდისას?

ქუთაისში აღარ დამედგომებოდა და გადავწყვიტე ტფილისში გადასვლა. მე საკუთარი მოტივები მქონდა ამისათვის, მაგრამ სწრა-ფვა ტფილისისკენ იმ დროს საყოველთაო იყო. საქართველოს და-მოუკიდებელ რესპუბლიკად გამოცხადებამ, სახელმწიფო აპარატის და მთელი ცხოვრების გაქართულებამ ბუნებრივად მიიზიდა ხალხი დედაქალაქისკენ.

ტფილისში ისევე, როგორც მთელ რესპუბლიკაში, დიდი აღფრ-თოვანება იგრძნობოდა. ქართველი ხალხის წინაშე ახალი და რთუ-ლი, ხშირად ჯერ კიდევ გამოუცნობი ამოცანები იდგა, მაგრამ სა-ერთო ენთუზიაზმისათვის სიძნელეები თითქო არც არსებობდნენ. მთავარი ის იყო, რომ ხალხი თავისი ბედის პატრონად გრძნობდა თავს და ყველა ცდილობდა საერთო საქმეში რაიმე წვლილი შე-ეტანა.

ამ ფონზე განსაკუთრებით მტკივნეული შთაბეჭდილება მოახ-დინა ჩემზე მოვლენამ, რომელიც ასეთ შემთხვევაში ეგებ ბუნებრი-ვი და აუცილებელიც კი იყოს, ხოლო ჩემთვის მით უფრო აუტა-ნელი ჩანდა, რაც უფრო მაღლა ვაყენებდი რევოლუციას და მის იდეალებს. ეს იყო გარკვეული ფენის მისწრაფება, რაც შეიძლება მეტად ესარგებლათ შექმნილი მდგომარეობით, რაც შეიძლება უკეთ „მოწყობილიყვნენ“, მეტი ნივთიერი სარგებლობა ეზრუნველე-ყოთ თავისათვის და თავისიანებისათვის. ხშირად ეს გულისამრევ ფო-რმებს ღებულობდა და ხალხის კეთილდღეობისათვის ზრუნვის სა-ხელით კი კეთდებოდა. შეიძლება ეს ჩემი მორალური მდგომარე-ობის შედეგიც იყო. მაგრამ ამ ამბებმა ბევრ რაზედმე და ბევრ ვი-ზედმე გამიტეხა გული. დამეწყო მწვავე მორალური კრიზისი.

უკვე კარგა ხნის ბუნებისმეტყველი ვიყავი, დეტერმინისტულ და რეალისტურ აზროვნებას შეჩვეული; გონებით კარგად ვხედავდი, რომ ხსენებულ ამბებში მოულოდნელი არაფერი იყო, რომ ალბათ, მე-ტად თუ ნაკლებად, ასევე ხდებოდა ყოველთვის და ყველგან. მაგ-რამ გასაგები და მისაღები ხომ ერთი და იგივე არ არის! ბავშვო-ბიდან შეჩვეული ვიყავი აზრს, რომ ადამიანი მატერიალურ კეთილ-დღეობას ეძებს, მაგრამ ამ სრულიად ბუნებრივ მისწრაფებას უფ-

რო მაღალ პრინციპებს უნდა უქვემდებარებდეს: რომ ამ მიზნის მი-საღწევად ყველა საშუალება არ არის ნებადართული და, რაც მთა-ვარია, მოსაწონი; რომ ადამიანი ამაზე მეტად ღირს.

ყველაზე მეტად ის მიწვავდა გულს, რომ ასეთ ადამიანებს შო-რის ზოგი ჩემი მეგობარიც აღმოჩნდა. არც ერთისთვის სიტყვა არ ვითქვამს, მაგრამ ვგრძნობდი, რომ ცხოვრებაში მათთან სვლას ვერ შევძლებდი, რომ ჩემს ჩვევებზე, რომელნიც ახალგაზრ-დობაში ყველასი იყვნენ, ხელს ვერ ავიღებდი. და თანდათან მივდიოდი დასკვნამდე, რომ ჩემთვის სხვა გამოსავალი არ იყო, ისე უნდა შემომეფარგლა ჩემი ცხოვრების საზღვრები, რომ ყოვე-ლთვის შემძლებოდა ჩემი მოქმედების სრული პასუხისმგებლობა მეკისრა. იმ პირობებში კი ეს ნიშნავდა, რომ აქტიური პოლიტიკური მუშაობისგან შორს უნდა დამეჭირა თავი.

უცნაურია რამდენადმე, მაგრამ ყოველ შემთხვევაში ეს არ იყო ცხოვრებისგან, თუნდაც პოლიტიკური ცხოვრებისგან განდგომის სუ-რვილი. როდესაც დღეს ჩემს მოგონებებს ვაჯგუფებ და ვსინჯავ, ვრწმუნდები, რომ ეს მორალური კრიზისი არასოდეს უიმედობის-კენ არ გადახრილა. არავითარი პესიმიზმი. არასოდეს არ შენელებუ-ლა მუშაობის მოთხოვნილება, არ შერყეულა სიცოცხლის ნდობა და არც იმის სიყვარული, რასაც იმთავითვე ვემსახურებოდი.

სრულიად ნათელი იყო, რომ ყაზანში ველარ დავბრუნდებოდი, ამაზე ფიქრიც არ შეიძლებოდა, მაგრამ ის საქმე, რომელსაც იქ მო-ვკიდე ხელი, სხვა გზით უნდა განმეგრძო. ჩემი მიზანი ხომ იქაც ტფილისის უნივერსიტეტში მუშაობისათვის მომზადება იყო და ეს უნივერსიტეტი ახლა უკვე არსებობდა, დიდი ენთუზიაზმით მუშაობდა. არაერთი ასისტენტი თუ უნივერსიტეტში დატო-ვებული პროფესორი გამხდარიყო. არც ერთ წუთში ჩემთვის ასეთი შესაძლებლობა ფიქრად არ მომსვლია. დავუკავშირდი უნივერსი-ტეტს და მივმართე წინადადებით — რაკი რუსეთს დაბრუნება შეუ-ძლებელი იყო და ტფილისში კი გეოლოგიაში ვერსად და ვერავის-თან ვიმუშავებდი — ჩავერიცხე უნივერსიტეტში დატოვებულად და მივევლინებიე უცხოეთში. უნივერსიტეტში დატოვება უნდა გაფორ-მებულიყო მხოლოდ იმ შემთხვევაში და მხოლოდ მაშინ, თუ უცხო-ეთში გამგზავრების შესაძლებლობა გამოირკვეოდა. უნივერსიტეტმა, ე. ი. ივანე ჯავახიშვილმა თანხმობა გამოთქვა. მსოფლიო ომი ისევ მძვინვარებდა. იმჟამად წასვლა თუ ჩანდა შესაძლებელი, მხოლოდ

გერმანიაში, და მეც ამას ვვარაუდობდი. უნდა კი მოგვეცადა შესაფერი დროისათვის.

მაგრამ წასვლამდისაც ხომ სამუშაო იყო საჭირო. ტფილისში ჩამოსვლისას ძველმა პარტიულმა ამხანაგებმა წინადადება მომცეს, განათლების სამინისტროს საქმეთა მმართველად დაგნიშნავთო (მინისტრი გ. ლასხიშვილი იყო) და მაგრძნობინებდნენ — ახლო მომავალში, უკეთესი შესაძლებლობაც გვექნებაო. დიდი მადლობით გადაჭრილი უარი ვთქვი. „მაშ რა გინდაო?" — ისევ საშუალო სკოლა. როგორც მიმუშავია-მეთქი. „გვითხარი, რომელ გიმნაზიას ირჩევ და დირექტორად დაგნიშნავთო". ამაზედაც კატეგორიული უარი. „მაშ გაგვაგებინე, რაღა გინდაო? — მასწავლებლობა, როგორც ვიყავი-მეთქი. დამნიშნეს ფიზიკის მასწავლებლად მე-7 (ყოფილ სათავადაზნაურო) გიმნაზიაში.

რაკი სათავადაზნაურო გიმნაზიის შენობა უნივერსიტეტს დაეთმო, გიმნაზია ყოფილ კადეტთა კორპუსის შენობაში უნდა გადასულიყო. რუსთაველის პროსპექტზე, მაგრამ მალე მას ამის ნაცვლად ყოფილი კეთილშობილ ქალიშვილთა ინსტიტუტის შენობა მიეკუთვნა. ბინა დირექტორებს ეძლეოდათ და მასწავლებლებს კი არა. გამონაკლისის სახით ერთი ოთახი გამომიყვეს და იქ ჩავსახლდი. მუშაობა დავიწყე 1918 წლის სექტემბრიდან.

ვასწავლიდი ისევ ფიზიკას, როგორც ქუთაისში. მოვაწყვე კაბინეტი. მოწაფეები კარგი ხალხი იყო და მასწავლებლებმაც გულითადად მიმიღეს. თუმცა ჩემს მუშაობას ვუყურებდი როგორც დროებითს, შევუდექ ფიზიკის ქართული სახელმძღვანელოს წერას საშუალო სკოლისათვის. სახელმძღვანელო ორ კონცენტრად მქონდა განზრახული. პირველი კონცენტრი „დაწყებითი ფიზიკის" სახელით, დავამთავრე კიდეც. მეორე კონცენტრის მხოლოდ პირველი ნაკვეთი მოვასწარი და იგი ჩემს ტფილისში ყოფნაშივე დაიბეჭდა. მისი გაგრძელება აღარ დაწერილა. „დაწყებითი ფიზიკა" ჩემი უცხოეთში გამგზავრების შემდეგ გამოვიდა. როდესაც უცხოეთიდან დაბრუნებულს უკვე მეორე გამოცემა მაჩვენეს დაბეჭდილი, ძლიერ მიამა, მაგრამ ორი შეცდომა მეცა თვალში: ა, ფართობის საზომი „არი" განმარტებულია, როგორც კვადრატული მეტრი — ეს ალბათ ჩემი უყურადღებობის შედეგია; ბ, იქ, სადაც მე სიტყვა „ბინული" მეხმარა, ასოთამწყობს თუ რედაქტორს შესწორება შეეტანა და „ყინული" დაებეჭდა. ბინული წყაროს ნიშნავს და ასეთი შესწორება

უაზრობას იწვევს. მსგავსი ბედი ჩემს ნაწერებს შემდეგაც არაერთხელ სწვევია.

გარდა ამისა, თუკი განათლების სამინისტროში (მინისტრი ახლა უკვე მენშევიკი იყო) საშუალო სკოლის რაიმე საკითხი ირჩეოდა, მეც მეძახდნენ. მონაწილეობას ვღებულობდი სხვადასხვა პროექტების განხილვაში.

ამასობაში მსოფლიო ომის დაძაბულობამ კრიტიკულ წერტილამდე მიაღწია. მებრძოლთ მეტის ატანა აღარ შეეძლოთ. ჯერ ხომ საფრანგეთი მერყეობდა, მაგრამ კლემანსოს ჩადგომამ მთავრობის სათავეში ამ მხრივ გერმანელებს იმედი დაუკარგათ. გავიდა დრო და ახლა თვით გერმანია გატყდა. მოხდა ის, რასაც გერმანელები Zusammenbruch-ს უწოდებენ.

საერთაშორისო სიტუაცია ერთიანად გამოიცვალა. ამ უზარმაზარი მნიშვნელობის ამბებში პირადად ჩემთვის მთავარი ის იყო, რომ უცხოეთში გამგზავრების საკითხი კარგა ხნით გადაიდო. მეორე -- ამიერკავკასიაში შემოვიდა ინგლისის ჯარი, რომელიც საქართველოსადმი უნდობლად იყო განწყობილი. ამას შედეგად მოჰყვა სხვადასხვა ინტრიგები და კერძოდ, სომეხ-ქართველთა „ომი", რომელიც მენშევიკების უილაჯო პოლიტიკის შედეგი იყო. თანაც დაშნაკისტების მიერ წამოწყებული ეს ავანტიურა რესპუბლიკის ხელისუფალთათვის სრულიად მოულოდნელი აღმოჩნდა. დასაწყისში შემოტევისათვის წინააღმდეგობის გამწევი არავინ ჩანდა. ტფილისის მოსახლეობა დღე-დღეზე მოელოდა დაშნაკისტების შემოსვლას.

გამოცხადდა მობილიზაცია, მაგრამ აშკარად ნაგვიანევად. მდგომარეობა საგანგაშო იყო. ასეთ დროს შევხვდი ბესოს, ქუთაისელ მეგობარს. მოვილაპარაკეთ და გადავწყვიტეთ, რომ ჩვენი მოვალეობა იყო, დაძახილს გამოვხმაურებოდით და ჯარში შევსულიყავით მოხალისეებად. ასეც მოვიქეცით. ამასობაში „ომში" გარდატეხა მოხდა. სასტიკ ბრძოლაში ეკატერინენფელდთან (ბოლნისთან). აგრესორთა ჯგუფმა დამარცხება განიცადა სახალხო გვარდიისაგან. ჩვენი რაზმიც სანაინისკენ მიიწევდა და სადახლო აიღო. სწორედ ამ დროს საქმეში ჩაერიენ ინგლისელები და დაზავება მოხდა.

სადახლოში ვიდექით, რომ რაზმის უფროს N-თან მომიხდა ლაპარაკი. მეკითხებოდა, როგორ შევეგუე სამხედრო რეჟიმს, რა აზრის ვიყავ თანამებრძოლთა შესახებ (ძირითადად დიდმელი ბიჭები იყვნენ) და სხვ. ბოლოს ჩამომიგდო სიტყვა იმის შესახებ, რომ კარ-

გი იქნებოდა რაზმის მოქმედების შესახებ წერილი დაბეჭდილიყო გაზეთშიო და თან გამიცხადა, რომ განზრახული ჰქონდა ჩემი წარდგენა დასაჯილდოებლად. ამან ძლიერ აღმაშფოთა, რადგან კარგად ვიცოდი, რომ დასაჯილდოებელი არაფერი გამეკეთებია. ამის შესახებ ბესოსაც ვუამბე. რადგან ისედაც გული ამღვრეული გვქონდა ბევრი ნახულით და ჯარში დარჩენასაც დაზავების შემდეგ აზრი აღარ ჰქონდა, ავიღეთ დაუყოვნებლივ დასტური, ჩავაბარეთ იარაღი წესისამებრ და გამოვემართეთ ტფილისისკენ.

მაგრამ გავიდა დრო და ატმოსფერო რამდენადმე გაიწმინდა. უცხოეთში გამგზავრება შესაძლებელი შეიქნა და შესაძლებელი შეიქნა უკვე საფრანგეთში წასვლაც. დავაყენე საკითხი უნივერსიტეტის წინაშე და თანხმობა მივიღე. მეორე მხრით, მთავრობასაც გადაეწყვიტა უცხოეთში განათლების მისაღებად სამიოდე ათეული ახალგაზრდა გაეგზავნა გერმანიაში, საფრანგეთში, შვეიცარიაში, იტალიაში. ეს აადვილებდა გამგზავრებას. უნივერსიტეტიდანაც ჩემს გარდა სხვებიც გამოჩნდნენ მისავლინებელი.

ამას მოულოდნელად ახალი გარემოება დაემატა. განათლების სამინისტრომ წინადადება მომცა, უცხოეთში მისი დავალებითაც წავსულიყავ საშუალო სკოლის ორგანიზაციის შესასწავლად. ძირითად ამოცანას ეს ხელს არ შეუშლისო, ჩვენთვის საჭირო საქმეა და შენც უკეთ იქნები უზრუნველყოფილიო.

## ბრენოგლი

ამრიგად. ორმაგად უნდა ვყოფილიყავ უზრუნველყოფილი: უნივერსიტეტმა გამაფორმა დატოვებულად 1919 წლის ივლისის პირველიდან და გამომიწერა 6 თვის სტიპენდია და საგზაო; სამინისტროსგან ადგილზე უნდა მიმეღო სარგო ყოველთვიურად ჩვენს წარმომადგენლობაში. ამას გარდა, თვითონაც მქონდა ფიზიკის სახელმძღვანელოს ჰონორარი, რომელიც უცხოურ ვალუტაზე გადავცვალე და დეკემბრის მიწურულში გავემგზავრე ბათუმს. იქ უკვე თავი მოეყარა ყველა მავლინებულს.

ვალუტის საკითხი იმ დროს ძლიერ მწვავედ იდგა. ქაღალდის ფულის ფასი არნახული სიჩქარით ეცემოდა ჩვენშიც და ომგადახდილ ქვეყნებშიაც. ნეიტრალური ქვეყნების ვალუტის კურსი კი მტკი-

ცე იყო, მაგრამ ჩვენში მისი მოთხოვნილება არ იყო. სანამ გემის გასვლას ვუცდიდით, მითხრეს, რომ ვიღაც შვეიცარიელი ეძებდა შვეიცარიული ფრანკების მყიდველს და მზად იყო. შვეიცარიული ფრანკი ფრანგულის ფასად დაეთმო, ე. ი. ნამდვილ ღირებულებაზე ერთი სამად უფრო იაფად. თუმცა ფინანსისტი არ ვიყავი, მაგრამ ამ ოპერაციის მნიშვნელობა ჩემთვის ნათელი იყო. საჭირო ფულიც მქონდა. მიუხედავად ამისა, მაინც ვერ წაველ, რადგან ძლიერი წვიმა იყო და ჩემს ძველ ფეხსაცმელს ლანჩა ავარდნოდა. მეორე დღეს კი უკვე გემზე გადავედით და დაგვიანებული იყო. ამგვარად, დავკარგე რეალური შესაძლებლობა — უცხოეთში ჩემი ცხოვრება ბევრად უფრო მტკიცედ უზრუნველმეყო. საკვირველია, მაგრამ პირად მატერიალურ საკითხებში ასეთ უილაჯობას ვიჩენდი ყოველთვის.

1920 წლის იანვრის პირველს გავედით ბათუმიდან. ეს გზა ჩემთვის ცნობილი იყო, მაგრამ ახლა მივდიოდით არა მარსელში, არამედ ტორონტოში. გემი ისევ ავსტრიული იყო, როგორც 1909-ში, მხოლოდ იტალიას გადასცემოდა, როგორც ომის ალაფი. ტორონტოდან რომამდე რკინიგზით ვიარეთ. რომში თითქმის ორი კვირა მოგვიხდა გაჩერება. დიდი ინტერესით გავეცანი ამ ისტორიულ ქალაქს. აქედან ისევ რკინიგზით გავემართე პარიზისაკენ, შვეიცარიის გავლით.

პარიზში ჩასვლისთანავე ხარბად დავეწაფე ლიტერატურას და პრესას. ვეცნობოდი იმ დიდ ცვლილებებს. რომელნიც მომხდარიყვნენ ან ხდებოდნენ ევროპის და პირველ რიგში თვით საფრანგეთის ცხოვრებაში საზარელი ომის მანძილზე და მის შემდეგ. ყველა დარგში ძველ ღირებულებათა გადაფასება მიმდინარეობდა, მეტ შემთხვევაში გაუბედავი, ზოგჯერ რადიკალურიც. ამის გვერდით „გამარჯვებულ“ ქვეყნებში აშკარა იყო დამშვიდების და ძველისაკენ დაბრუნების ტენდენციაც. ყოველ შემთხვევაში, თუ ადამიანს ხვალის სახე აინტერესებდა და არა დღეის ვითარება მხოლოდ, მასალა თვალგადაუწვდენელი იყო. მეც ჩვეული ინტერესი გამეღვიძა თანდათანობით. საქართველოდან წასვლამ, მგზავრობამ და ახალმა გარემომ თითქმის მოაშუშეს სამშობლოში განცდილი მორალური ტრავმა. თუმცა მისი კვალი მთლიანად არასოდეს წაშლილა.

სწორედ ამავე პერიოდში ვეცნობოდი, განათლების სამინისტროს დავალების შესაბამისად, საშუალო სკოლის საკითხებს საფრანგეთში. წინასწარი მოხსენებაც გამოვგზავნე.

ასე მოაწია ზაფხულმაც. დრო იყო გეოლოგიაზეც მეფიქრა. დღემდე ერთი გეოლოგიური წიგნი არ ამეღო ხელში, არც რომელიმე გეოლოგიურ დაწესებულებაში შევსულიყავ. ეს კია, რომ მუშაობას პარიზში ვფიქრობდი. ამიტომ გადავწყვიტე მენახა სახელმწიფო საბუნებისმეტყველო მუზეუმის (Musée national d'histoire naturelle, ცნობილი როგორც — Jardin des plantes) დირექტორი, ცნობილი პალეონტოლოგი და გეოლოგი აკად. ბული (M. Bou'e). მუზეუმში იყო საკვლევო ლაბორატორიები და იქვე ინახებოდა მდიდარი მასალა.

ბულმა, რომელიც საქართველოში ნამყოფიც იყო გეოლოგიური კონგრესის 1897 წლის სესიის დროს, ძლიერ კარგად მიმიღო. გავაცანი ჩემი საფრანგეთში ჩამოსვლის მიზანი; ვუთხარი, რომ, რაკი საქართველოში მეზოზოური ძლიერ გავრცელებული არის, მინდა ამ დარგში ვიმუშაო და, კერძოდ, ამონიტების კვლევას დავეუფლომეთქი. მან უყოყმანოდ მიპასუხა: — აქ, როგორც დირექტორი, ყველა საჭირო პირობებს შეგიქმნით, დ'ორბინიის ცნობილ კოლექციებს, რომელნიც ჩვენთან ინახება, თავისუფლად გამოიყენებთ, მაგრამ სხვა რამ დახმარებას პირადად ვერ გაგიწევთ. რადგან მაგ დარგის სპეციალისტი არ ვარო. ჩემის აზრით, საუკეთესო იქნება, გრენობლში წახვიდეთ, პროფესორ კილიანთანო.

ერთი მხრივ გამიკვირდა, — აქვე გვერდით სორბონში ოგი იყო და ეს კი კილიანთან მაგზავნიდა, — მაგრამ გაგონილი მანამდეც მქონდა, რომ კილიანი იშვიათი ხელმძღვანელი იყო. პარიზელ გეოლოგებში ანდაზად გადაქცეულიყო გამოთქმა. — „დისერტაციების დაცვა პარიზში ხდება. ხოლო მათი დაწერა გრენობლშიო". ისეთ დიდ მეცნიერს, როგორიც ემილ ოგი იყო, უშუალო მოწაფეები თითქმის არ ჰყავდა.

ბევრი ფიქრი არ დამჭირვებია. რომ ბულის რჩევა გამეზიარებია. გადავწყვიტე გრენობლს წასვლა, აკადემიური წლის დასაწყისისთვის, ე. ი. ოქტომბრის პირველისთვის უკვე იქ ვიყავი. როგორც კი ბინა ვიშოვე და ქალაქს თვალი მიმოვავლე, — იქ იმ დროს სამი ქართველი სტუდენტი იყო, საქართველოდან ჩემთან ერთად წამოსული, — წაველ აკად. კილიანის სანახავად. გეოლოგიის კათედრა, რომელსაც ის განაგებდა, უნივერსიტეტის მთავარი შენობიდან რამდენადმე დაშორებით იყო მოთავსებული. ცალკე შენობა ეჭირა, წინათ ქალების

მონასტერი. აველ მეორე სართულზე, სადაც კილიანის კაბინეტი იყო. ის იყო უნდა დამერეკა, რომ კარზე მიკრულ ქაღალდს მივაქციე ყურადღება. წავიკითხე: „ბატონი პროფესორი კილიანი ღებულობს ბატონ სტუდენტებს ორშაბათობით 12 საათზე, თუ დრო ექნებაო". სახტად დავრჩი: ჯერ ერთი, — ორშაბათი არ იყო, და მეორე — კიდეც რომ ორშაბათი ყოფილიყო, ვინ გამოიცნობდა, რომელ ორშაბათს ექნებოდა იმ დალოცვილს დრო. მართალია, მე სტუდენტი არ ვიყავი, მაგრამ ჩემისთანები ხომ სულ არ იყო გათვალისწინებული!

მოვტრიალდი და გამობრუნება დავაპირე, რომ მოულოდნელად კარი გაიღო და ერთი ახალგაზრდა კაცი გამოვიდა. რომ დამინახა, რა გნებავთო, მკითხა. მეც ვუპასუხე, ბატონი პროფ. კილიანი მინდოდა მენახა, მაგრამ დღეს მიღება არ ჰქონია-თქო. „რას ბრძანებთ, პროფ. კილიანი აქ არის და ახლავე მოვახსენებო". როგორც შემდეგ გავიგე, ეს კილიანის ერთადერთი ასისტენტი ბლანშე ყოფილიყო. შემიყვანა დერეფანში და თვითონ კილიანთან შევიდა. იმწამსვე გამობრუნდა და მიმიწვია.

აკადემიკოსი ვილფრიდ კილიანი სამოციოდე წლის ტანხმელი კაცი იყო. მხნე და მოძრავი. რატომღაც პირველი შეხვედრისთანავე გავიფიქრე, ამას რომ ჩოხა-ახალოხი ჩააცვა, ნამდვილი იმერელი აზნაური იქნება, დავით კლდიაშვილის რომელიმე მოთხრობიდან გამოქცეული-მეთქი.

ჯულღიად მიმიღო. ფრანგულად. რომ დამსვა, მკითხა, ვინ ბრძანდებით და რის გამო შეწუხებულხართო. ვუთხარი ვინაობა და მისვლის მიზეზიც. ყურადღებით და აშკარა სიამოვნებით მომისმინა. კარგი გაგიზრახავსო, მითხრა და არც აცივა, არც აცხელა, იქვე დაუმატა. ჩემის აზრით, ჩინებული იქნება, თუ იურული გვარის Simoceras-ის შესწავლას მოჰკიდებთ ხელსო. ბევრი რამ ამ თავისებური გვარის შესახებ გაურკვეველია. მასალაც ჩინებული გვაქვს და კარგა ხანია ეს საქმე ვერ მოგვიგვარებიაო. ჩემთვის ყველაფერი ეს ახალი და სრულიად უცნობი იყო და თანხმობის მეტი არაფერი შემეძლო მეთქვა. მანაც საქმე შორს არ გადადო: მუზეუმში მიბრძანდით, მასალას იქ იპოვით. ყარადებში. ხოლო სამუშაო ადგილი ბიბლიოთეკის დარბაზში გექნებათო.

გამოველ ისე, რომ გაკვირვებაც ვერ მოვასწარი. შეველ მუზეუმში. იქ არავინ იყო. ვიტრინებში გამოფენა მოეწყოთ, როგორც

წესია, ხოლო ზევით კედლებს ქორეთი მოჰყვებოდა გასწვრივ. იქ, მთელი დარბაზის ირგვლივ, უმინო კარადები იდგა. მოვისაზრე, რომ დასამუშავებელი მასალა იმ კარადებში უნდა ყოფილიყო. ავედი და დავდექ უმწეოდ: არც ის ვიცოდი, თუ როგორი იყო ეს ტიალი Simoceras და არც ის, თუ სად და როგორ უნდა მეძებნა.

ამ გაჭირვებაში ვიყავ, რომ ვიგრძენი, ვიღაც მომეახლა. მოვიხედე, — კილიანი დამდგომოდა თავს. „ვერ მიაგენითო? — მითხრა და. მიმიყვანა იქვე ერთ კარადასთან, გააღო, გამოსწია ამონიტებით სავსე ხონჩები და „აი, ეს არისო!“ ცოტა არ იყოს უხერხულად მადლობა ვუთხარი. ახლა ისევ ქვევით ჩამოვედით და ბიბლიოთეკაში შემიყვანა. დიდ დარბაზში ვეებერთელა მაგიდა იდგა, რომელზედაც, არათუ მე და ჩემთვის საჭირო წიგნები მოვთავსდებოდით თავისუფლად, მთელი მასალის გაშლა შეიძლებოდა და ადგილი კიდევ ჭარბად დარჩებოდა. „ეს მაგიდა თქვენს განკარგულებაში იქნებაო“, გამომიცხადა, ხოლო ლიტერატურას, რაც დაგჭირდებათ, აქ იპოვიო, — დარბაზის ირგვლივ ჩამწკრივებულ თაროებზე მიმითითა.

იმ დღესვე ჩამოვიტანე მასალა და გავშალე მაგიდაზე. მეორე დღეს დილიდან მუშაობას შევუდექ. ეს სახელგანთქმული ლაბორატორია, რომელიც საყოველთაოდ არის ცნობილი თავისი შრომებით (Travaux du Laboratoire de géologie de l' Universite de Grénoble), პრინციპულად თითქმის არაფრით განსხვავდებოდა ყაზანის ლაბორატორიისგან. აქაც მუზეუმი, სადაც გამოფენილის გვერდით ინახებოდა დიდძალი დამუშავებული ან დასამუშავებელი საკვლევო მასალაც; სპეციალური ბიბლიოთეკა, რომლის მაგივრობას ყაზანში უნივერსიტეტის ცენტრალური ბიბლიოთეკა სწევდა (თვით კათედრას ცოტა რამ თუ ჰქონდა); მასალის დასამუშავებელი ოთახი და ფოტოლაბორატორია. სურათების გადასაღებად სპეციალური ლაბორატორია იყო სხვენზე, მინით გადახურული, და, მაშასადამე, ზევიდან განათებული. იყო სურათების ზევიდან გადასაღები დანადგარიც. ამას ემატებოდა მხოლოდ თანამშრომელთა სამუშაო კაბინეტები. მთელი პერსონალი კი სულ ოთხი კაცისგან შედგებოდა: კათედრის გამგე კილიანი, ერთი პროფესორი (მოხუცი ლორი, ცნობილი P. Lorg-ს შვილი), ერთი დოცენტი (Fallot) და ერთი ასისტენტი, რომელსაც უკვე ვიცნობთ, ამას უნდა დავურთოთ მხოლოდ დამლაგებელი. არც ბიბლიოთეკის გამგე, არც მუზეუმისა. თანაც მთელი

სასწავლო მუშაობა ქვედა სართულში მიმდინარეობდა, ასე რომ ზევით ხსენებულ პირთა გარდა არავინ ამოდიოდა.

ჯერ პ. ლორის (მამას) და განსაკუთრებით კი კილიანს ეს დღევანდელი ჩვენი საზომით პატარა დაწესებულება ფრანგული ალპების და ალპური ზოლის მეზოზოურის კვლევის ცენტრად გაეხადათ. აქ მოდიოდნენ სამუშაოდ მეცნიერი მუშაკები, კერძოდ, დოქტორანტები, როგორც საფრანგეთიდან, ისე უცხოეთიდან, მაგრამ იმ დროის პირობებში ეს იყო თითო-ოროლა კაცი, ხოლო ჩემი ჩასვლისას, მსოფლიო ომის მიმყოლ წლებში, საერთოდ არავინ ჩანდა ჩემს გარდა. და უნდა ითქვას, რომ მეცნიერული მუშაობის მასშტაბი საერთოდ იმ დროში და იმ წყობილებაში სულ სხვა იყო, ვიდრე ის, რასაც დღეს ვართ ჩვეული. ერთადერთი ვიყავ ყაზანში, ერთადერთი გრენობლში და ასევე უფრო გვიან პარიზში ოგთან და ჰალეში ი. ვალტერთან.

ამის შესატყვისი იყო მუშაობის პირობებიც. ბიბლიოთეკაში წიგნს თვითონ ვეძებდი და თვითონვე ვაბრუნებდი ადგილზე; მასალა, ხელსაწყო ჩემს უკონტროლო განკარგულებაში იყო, ხოლო მცირე ხნის შემდეგ ლაბორატორიის გასაღებიც მომცეს, ასე რომ კვირაობითაც მოვდიოდი სამუშაოდ, როდესაც მთელ შენობაში ჩემს გარდა კაცი არ ჰაჰანებდა. აბსოლუტური ნდობა!

მუშაობა დაუბრკოლებლივ მოეწყო. ფრანგული ხომ ვიცოდი და ცოტა რამ გერმანულისაც მესწავლა გიმნაზიაში. ცოტაოდენიც დავუმატე და გერმანულ ლიტერატურას უკვე ყაზანში ვიყენებდი. მართალია, ახლა უფრო ინგლისური დამჭირდა, მაგრამ ტფილისში ყოფნისას ორიოდე თვის განმავლობაში დ. უზნაძესთან ერთად ინგლისურსაც ვსწავლობდი ერთ ინგლისელ მასწავლებელ ქალთან და ეს საკმაო აღმოჩნდა, რომ სიძნელე დამეძლია. საერთო მომზადებაც საკმაო მქონდა და ამ ახალმა სამუშაომაც გამიტაცა. ესეც არის, რომ, თუმცა ამონიტებს პირველად ვკიდებდი ხელს, პალეონტოლოგიური კვლევა ჩემთვის უცხო რამ აღარ იყო.

ბიბლიოთეკის დიდ დარბაზში ჩემს მეტი არავინ იყო. მასალაც აქ მქონდა და ლიტერატურაც. ვმუშაობდი ჩემს ნებაზე. დასაწყისში უნივერსიტეტშიც დავიარებოდი მათემატიკურ ფაკულტეტზე, მაგრამ მალე დავრწმუნდი, რომ ამისათვის დრო არ დამრჩებოდა: დაახლოებით თერთმეტ საათს ვატარებდი ხშირად ლაბორატორიაში,

რაც ჩემთვის დიდი მიღწევა იყო. არასოდეს ასე არ მიმუშავია არც მანამდე და არც შემდეგ.

კილინმა ჩემი არსებობა თითქო დაივიწყა, მაგრამ არა, — დროგამოშვებით შემოვიდოდა, გადაავლებდა თვალს ჩემს მაგიდას და მკითხავდა, თუ გჭირდება რამეო. მე ვუპასუხებდი, — არა, ყველაფერი რიგზეა-მეთქი, და წავიდოდა. წერა რომ დავიწყე, მომიჯდა გვერდით და მკითხა, თუ შეიძლება გადავხედოო. მივაწოდე ხელნაწერი. გადაიკითხა დაკვირვებით ერთი ნაკვეთი, ადგა და წავიდა. სიტყვა არ უთქვამს.

მეორე დღეს მოვიდა და მეუბნება: — ჩემის აზრით, მაგ სამუშაოს თავი უნდა დაანებოო. სხვა მასალა მაქვს უფრო კარგი და უფრო მდიდარი, რომელიც დიდი ხანია დაინტერესებულ მკვლევარს უცდის და არავინ გამოჩნდაო. საკითხი კი უეჭველად მნიშვნელოვანია. კარგი იქნება, რომ თქვენ მოკიდებდეთ ხელსო.

ძლიერ მესიამოვნა. აშკარა იყო, თუმც არა უთქვამს რა, რომ ჩემი მუშაობა და ნამუშევარი მოსწონდა. თანაც, რაკი ვმუშაობდი, რაც უფრო პასუხსაგები იქნებოდა სამუშაო, მით უმჯობესი. უყოყმანოდ დავეთანხმე. ამგვარად, შევწყვიტე დაწყებული საქმე, გადავაბარგე Simoceras ისევ მუზეუმში და გამოიტანე Spiticéras.

ახლა მუშაობა ბევრად უკეთ აეწყო: ერთგვარი გამოცდილება უკვე მქონდა. მასალაც ყოველი მხრით უკეთესი იყო, ამოცანა უფრო მნიშვნელოვანი, საქმე შეუფერხებლივ მიდიოდა წინ. კილიანი ხანდახან მომაკითხავდა — „თუ რამე გჭირდებათო“ — და მეც მხოლოდ მადლობას ვეუბნებოდი ყურადღებისათვის. ლაბორატორიაში თუ იყო რამე ჩემთვის გამოსადეგი, ახლა მეც კარგად ვიცოდი, რა და სად. — თვითონ მივაგნებდი და ნებართვა ხომ საჭირო არ იყო. ერთი წიგნი დამჭირდა, რომელიც გრენობლში არ აღმოჩნდა. ეს კილიანს, შევჩივლე, ასეთი მდგომარეობა არის-მეთქი. რამდენიმე დღის შემდეგ თავისი ხელით შემომიტანა, — პარიზიდან დაებარებია. ასე შემდეგაც ერთხელ-ორხელ.

ერთ დღეს ჩამოჯდა ჩემს მაგიდასთან და მეკითხება, როგორ მიდის მუშაობაო? მეც ვუამბე, რა შედეგები მქონდა, მაგრამ შევატყვე, რომ საკითხავი მას სხვა ჰქონდა. ბოლოს პირდაპირ მომმართა: -უკვე დრო არის ნაშრომის გამოქვეყნებაზე ვიფიქროთ, თუ გაქვს საამისო სახსრებიო?“ გულახდილად ვუპასუხე, არავითარი-მეთქი, და სიმართლე კიდევ ის იყო, რომ ამაზე არც მეფიქრა არასოდეს.

ვმუშაობდი იმისთვის. რომ ამ საქმეში გავწვრთნილიყავ და შეძენილი გამოცდილება შემდეგ ჩვენში გამომეყენებია. სხვა რამ, თუმცა სრულიად ბუნებრივი, ფიქრადაც არ მომსვლია. ადგა და წავიდა.

ათიოდე დღის შემდეგ მოდის და მეუბნება: „იცით, რა? ვიფიქრე. რომ კარგი იქნება, ეგ ნაშრომი „შვეიცარიის პალეონტოლოგიური საზოგადოების მემუარებში“ გამოვაქვეყნოთო. იქ ნაცნობები მყავს და იმედი მაქვს, დაგვიბეჭდავენო“. აბა მადლობის მეტი რა შეთქმოდა. იმასაც მივუხვდი, შვეიცარიაზე იმიტომ ლაპარაკობდა, რომ ომში დაუზარალებელი ნეიტრალური ქვეყანა იყო და შესაძლებლობა მეტი ჰქონდა. თვით ნაომარ საფრანგეთში პოლიგრაფიული საქმე მეტად მძიმე მდგომარეობაში იყო.

კიდევ ერთი ხანი გავიდა და ახლა სხვა რამ მაცნობა. „აქ ერთი გზის ოსტატი იყო, გეოლოგიის დიდი მოყვარული და გატაცებული კოლექციონერი, საგზაო სამუშაოების წარმოებისას მან იშვიათი პალეონტოლოგიური მასალა დააგროვა. მთავარი შიგ ტიტონურ-ბერიასული ამონიტები არის, კერძოდ — Spiticeras. ახლა ეს კოლექცია მისი მემკვიდრეების ხელშია. მზად არიან გაჰყიდონ, მაგრამ მეტად ძვირად აფასებენ. დიდი ხანია მინდა შევიძინო ლაბორატორიისთვის, მაგრამ ვერ მოვახერხე: უნივერსიტეტს ასეთი თანხის გაღება უჭირს. კარგი კი იქნებოდა თქვენი შრომისთვის. მინდა ერთხელ კიდევ ვცადოო“. მალე კი სახეგაბრწყინებულმა მახარა, ლამბერტის კოლექცია შევიძინეო. მოიტანეს კიდეც და გადმომცეს.

თითქო ყველაფერი კარგად მიდიოდა. ამასობაში 1921 წლის ზამთარიც ბოლოს უახლოვდებოდა. რაღაც საქმის გამო პარიზს წასვლა მომიხდა. მოვინახულე იქაური ქართველობაც. ამ დროს იყო, რომ, აღარ მახსოვს სად და ვინ, მოულოდნელი ამბავი მაცნობეს: საქართველო ბოლშევიკებს დაუჭერიათ და ლტოლვილი მთავრობა საფრანგეთის გემს პარიზისკენ მოჰყავსო. გაოგნებული გამოველ ქუჩაში. თავში ათასი ფიქრი მიტრიალებდა და თან გული მტკიოდა, რომ ასეთ დროს სამშობლოში არ ვიყავი... მივაბიჯებდი მთვარეულივით და არ ვიცოდი საით. ნაშუაღამევი იქნებოდა, რომ გამოვერკვიე. რომელიღაც ჩემთვის სრულიად უცნობ გარეუბანში გავსულიყავ. რის ვაივაგლახით დავბრუნდი ბინაზე.

უფრო გარკვეული ვერც მეორე დღეს გავიგე რამე. ერთი იყო მხოლოდ ცხადი, რომ საქართველოს ბედი ძირითადად შეცვლილიყო. ჩემ მიერ მეტხანს პარიზში დაყოვნება არ შეიძლებოდა და დავბ-

რუნდი გრენობლში. ჩამოვუტანე ეს ამბავი იქაურ ქართველებს და დავრჩით ისევ მარტო მე და ჩემი ფიქრები. მძიმე იყო მდგომარეობა, მაგრამ თავი დავსძლიე, მუშაობას მივეძალე.

კილიანი კი თავისას ფიქრობდა. როგორღაც გაზაფხულზე გამომიცხადა, „არა, არ ღირს „შვეიცარიის პალეონტოლოგიური საზოგადოების მემუარებში", „საფრანგეთის გეოლოგიური საზოგადოების მემუარებში" გამოვაქვეყნოთო". ასე მოვიდა მაისიც, რაღაც შემთხვევით გრენობლში ე. ოგი ჩამოსულიყო. შემოვიდა ლაბორატორიაში კილიანთან. კილიანმა გამოიყვანა ჩემთან, გააცნო ჩემი ვინაობა და აჩვენა ჩემი მასალა. ხელნაწერზედაც მიუთითა. ქებაზეც არ ძუნწობდა (რაც პირველი იყო ჩემთვის) და ისიც დაუმატა, „საფრანგეთის გეოლოგიური საზოგადოების მემუარებში" უნდა დავბეჭდოთო. ოგმა წარბები შეჭმუხნა და გაკვირვებულმა გადახედა: „რას ამბობთ, ვინ დაგიბეჭდავთ? განა არ იცით, როგორი მდგომარეობა არის? მე უკვე მესამე წელიწადია ერთი სადოქტორო შრომა წარვადგინე იქ და დღემდე ხელიც არ მოუკიდიათ, რიგს იცავენო!" კილიანმა უეჭველად იგრძნო, როგორ შთაბეჭდილებას მოახდენდა ეს ჩემზე და თვალი ჩამიკრა, მანიშნა, ფიქრი ნუ გაქვსო.

გავიდა კიდევ მცირეოდენი დრო და ახლა გრენობლში გეოლოგიის მეორე „ასი" პ. ტერმიე (P. Termier) ჩამოვიდა, ალპების სახელოვანი ტექტონისტი და „საფრანგეთის გეოლოგიური რუკის სამსახურის" უფროსი. კილიანმა ისიც შემოიყვანა ჩემთან და ჩემი მასალა და ხელნაწერი აჩვენა. ბაასის ბოლოს ჩემთვის სრულიად მოულოდნელად მიმართა: ასეთი შრომის დაბეჭდვა საჭიროა. იმედი მაქვს, რომ დაგვეხმარებით, და გეოლოგიური რუკის მემუარებში (Mémoires pour servir a l'explication de la carte géologique di tailles de la France) გამოაქვეყნებთო. განცვიფრებული ვუმზერდი. ამ სერიაში შრომის გამოქვეყნება გაცილებით უფრო ძნელი იყო და უფრო საპატიო, ვიდრე გეოლოგიური საზოგადოების მემუარებში, მერე ისიც უცხოელის შრომისა: გამოცემა მთავრობისა (Ministére des travaux publiques). აკად. ტერმიემ უპასუხა, — განა არ იცით, რა მძიმე მდგომარეობა გვაქვს ახლაო? — მაგრამ უარიც არ უთქვამს, რამაც კიდევ უფრო გამაკვირვა. კილიანი აშკარად კმაყოფილი იყო.

ამასობაში შრომაც ბოლოს უახლოვდებოდა. საწერი ცოტაღა

დამრჩენოდა და ნახაზებსა და ტაბულებსაც კვალდაკვალ ვამზადებდი. გზადაგზა ორი წერილიც დავწერე. ერთი (Quelques Spiticeras nouveaux...) კილიანმა თავისი ლაბორატორიის შრომებში გადასცა დასაბეჭდად, ხოლო მეორე Dalmasiceras, un sousgenre houveau...) საფრანგეთის გეოლოგიური საზოგადოების მოამბეში (Bull. dé la Soc géol. de France) გავგზავნე. ახლა უკვე ამ საზოგადოების წევრი ვიყავი, კილიანის და მ. ჟინიუს რეკომენდაციით მიღებული, და ამ გამოცემაში ნაშრომის გამოქვეყნების უფლებაც მქონდა.

როდესაც ზაფხულში კილიანი ერთი თვით დასასვენებლად წავიდა, მე უკვე საშუალება მქონდა, მისთვის სასტამბოდ გამზადებული შრომა გადამეცა. წაიღო თან. დაბრუნებულმა შრომა გადმომცა და მხოლოდ ეს მითხრა, უცხოელი რომ ფრანგულად ასე წერდეს, არავინ მახსოვსო. თანაც დაუმატა. ტერმიესგან თანხმობა მივიღე, მასთან დაიბეჭდებაო. დამავალა, რაც შეიძლება მალე გამეგზავნა. ხელნაწერში კი ერთი სიტყვა არ იყო გასწორებული.

მეც, რა თქმა უნდა, აღარ დამიყოვნებია. შრომა გადავგზავნე და თვითონაც პარიზში გადავიბარგე. დავტოვე გრენობლი სამუდამოდ, მაგრამ ასევე სამუდამოდ გამომყვა გულში ვ. კილიანის პატივისცემა და მისადმი მადლობის გრძნობა. თუმცა რისთვის? სად იყო მისი ქებული ხელმძღვანელობა? მთელი მუშაობის პროცესში არც ერთი მისი მითითება, არც ერთ საკითხში ჩარევა! ეგებ ვინმე დაასკვნიდა, აქ არც ხელმძღვანელობა და არც საფუძველი მადლობისათვის არ ჩანსო. რამდენად მცდარი იქნებოდა ასეთი დასკვნა! მან მომცა თემა და უმისოდ მე აქ აბსოლუტურად უძლური ვიქნებოდი. მანვე მომცა მშვენიერი მასალა. ასეთი რამ მე თვითონ რომ მეგროვებია, არაერთი წელიწადი დამჭირდებოდა და დიდი სახსრები და ვერც ჯეროვან შედეგს მივაღწევდი: საჭირო იქნებოდა სხვადასხვა მკვლევრის სხვადასხვა უბანში მუშაობა. მასალასთან ერთად თითქო მთელი ლაბორატორია გადმომცა სრულ ჩემს განკარგულებაში: ბიბლიოთეკა, მუზეუმი, ფოტოლაბორატორია... გასაღები ჯიბეში მედო და დაწესებულებაში ხშირად ჩემს მეტი კაცი არავინ იყო. ასეთი უსაზღვრო ნდობა სხვა პირობებში ეგებ დაუშვებელიც კი იყოს.

ჩემს მუშაობას განუწყვეტლივ ადევნებდა თვალყურს. თუ შედეგებს ვაცნობდი, დიდი ინტერესით მისმენდა. მართალია, მითითებებს არ მაძლევდა, მაგრამ უდავოდ მხოლოდ იმიტომ, რომ მუშაობის მიმართულება (მიმართულება და არა ცალკეული ეპიზოდები და

შედეგები) სწორად მიაჩნდა. თავისი შეხედულებები რომ თავს მოეხვია ჩემთვის, ასეთი რამ ფიქრადაც არ მოსდიოდა, ისევე როგორც მე არ მომდიოდა ფიქრად, რომ ის შეხედულებები კანონად გამეხადა ჩემთვის. იმავე დროს ვიცოდი, რომ, თუ ყალბ გზას დავადგებოდი, ისიც ჩავრეოდა საქმეში. თუ რამ დამჭირდებოდა, ყოველთვის მზად იყო დამხმარებოდა და შრომის დაბეჭდვაზე ხომ ფიქრიც მეტი იქნებოდა. თუ მისი სპონტანური თანხმობა არ ყოფილიყო.

ქების სიტყვა მისგან ერთი არ გამიგონია, მაგრამ რამდენიმე შემთხვევა მქონდა დავრწმუნებულიყავ, რომ, თუ ჩემ შესახებ სხვას ელაპარაკებოდა, ზედმეტ სიტყვას არ იშურებდა. ხოლო როდესაც შრომა დაიბეჭდა, ვრცელი რეცენზია უძღვნა მას სპეციალურ ჟურნალში.

შემდეგი შემთხვევა ეგებ უკეთ ასურათებდეს მის დამოკიდებულებას. შრომა უკვე მზად მქონდა პარიზს გასაგზავნად, როდესაც მექსიკიდან მოვიდა ჟურნალის „Boletin dell Instituto qeologico di Mexico“ მორიგი ნომერი. შიგ იყო კარგად ცნობილი მეცნიერის კ. ბურკჰარდტის შრომა, რომელშიც ავტორი Spiticeras-ებსაც ეხებოდა და გამოჰყოფდა ახალ ქვეგვარს Proniceras. ზუსტად იგივე ჯგუფი მეც მქონდა გამოყოფილი ასევე ქვეგვარად, მხოლოდ, რა თქმა უნდა, სხვა სახელით. გულწრფელად გამიხარდა, რადგან ასეთი დამთხვევა ჩემი შეხედულების სისწორის საბუთად მივიჩნიე. ხელნაწერში კი ქვეგვარის სახელი შევცვალე, პრიორიტეტის წესის თანახმად. კაცს უნდა ენახა კილიანი, როდესაც ეს ვუამბე. „როგორო. — მეუბნებოდა აღშფოთებული, — გამაგებინე, რა გიხარია! ნუთუ ის, რომ მაგ საკითხში პრიორიტეტი დაჰკარგეო?“

არ მოვტყუვდი, როდესაც აკად. ბულის რჩევას გავყევი!

## ისევ პარიზი

დავუბრუნდი ისევ პარიზს და მის, ახლა უკვე საკმაოდ მრავალრიცხოვანს, ქართულ სათვისტომოს. აქვე იყო ახალგადმოხიზნული მთავრობაც. ყველას პირადად ვიცნობდი, გარდა ნოე ჟორდანიასი, მაგრამ იშვიათად თუ ვისმე ვხვდებოდი. მენშევიკების ანტაგონისტი ხომ ყოველთვის ვიყავი და ახლა უკანასკნელი მარცხი ვერ მეპატიებია მათთვის, ვერც ემიგრანტი-მთავრობის წარმოდგენას შევგუებოდი.

ჩემსობას ორი თუ სამი კრება ჩატარდა, რომელსაც სათვისტომოს ყოველი წევრი შეიძლებოდა დასწრებოდა სურვილისამებრ. მთავრობის წევრები მდგომარეობას გვაცნობდნენ. მაშინ, როდესაც ეს ხალხი საქართველოში იყო, მეც მათ ვუმზერდი, როგორც მიავრობას, მაგრამ პარიზიდან საქართველოს საქმეებში ჩარევის მათი სურვილი სრულიად უნიადაგოდ მიმაჩნდა. უარესი კი ის იყო, რომ, როდესაც ისინი მხარდაჭერისთვის დასავლურ მთავრობებს მიმართავდნენ, უკანასკნელნი, ჩემის წარმოდგენით, მათ შენიშნავდნენ: — გვიჩვენეთ, რომ ხალხი თქვენსკენ არისო. ამას, შეიძლებოდა სამწუხარო ავანტიურები მოჰყოლოდა.

ერთ-ერთ კრებაზე, რომელსაც მთავრობის წევრები ესწრებოდნენ, ვეღარ მოვითმინე და ზოგი რამ ვთქვი. დამსწრეთ ჩემი სიტყვები, ეტყობოდა, გულში მოხვდათ. მაგრამ სხდომის შემდეგ ერთმაორმა მეგობარმა საჭიროდ დაინახა ჩემი გაფრთხილება. ყალბი მდგომარეობა იყო.

პარიზში ჩამოსვლისთანავე მიველ ოგთან და სორბონში გეოლოგიურ ლაბორატორიაში სამუშაო ადგილი მივიღე. გრენობლში დაწყებული შრომა ხომ დამთავრებული იყო, მაგრამ მუშაობა, ცხადია, გასაგრძელებელი დარჩა. განათლების სამინისტროს დავალებაზე, საშუალო სკოლის ორგანიზაცია რომ უნდა შემესწავლა, ახლა აღარ ვფიქრობდი, უნივერსიტეტის დავალება კი ძალაში რჩებოდა. მაგრამ რისთვის უნდა მომეკიდა ხელი? საკუთრივ გეოლოგიური მუშაობა, ვგულისხმობ საველე მუშაობას, გამორიცხული იყო. გრენობლშიაც კი მხოლოდ ორჯერ გავყევ კილიანს ეკსკურსიაში: ერთი იყო დასავლეთ ალპებში და მეორეც ცენტრული პლატოს სამხრეთ-აღმოსავლურ კიდეზე, ბერიასულის სანახავად. ისე კი თვით გრენობლის უშუალო მიდამოებს თუ ვეცნობოდი, დეტალური გეოლოგიური რუკით ხელში, მაგრამ ამის დროც არ მქონდა. პარიზში ხომ ასეთი რისამე საშუალებაც არ იყო.

შევრჩი ისევ პალეონტოლოგიას. თემაც გამოინახა, — დიდი გვარი Hoplites, ვიფიქრე, დამემუშავებია მონოგრაფიულად, და დავიწყე მუშაობა. ძლიერ მდიდარი მასალა და ლიტერატურაც იქვე სახელდახელოდ ძლიერ მიადვილებდა ამოცანას. ვფიქრობ, კარგი შრომა გამოვიდოდა, ყოველ შემთხვევაში ბევრად უფრო მნიშვნელოვანი, ვიდრე ის, რაც უკვე გამეკეთებია, მაგრამ 1922 წლის ზაფხულზე იძულებული შევიქენ დამეტოვებია პარიზიც და ეს წამოწყებაც.

სორბონის საკვლევო ლაბორატორიაშიც ერთადერთი უცხოელი ვიყავი. არც ფრანგი იყო ვინმე, გარდა კათედრის თანამშრომლებისა. ხანდახან შემოდიოდა აკადემიკოსი ანდრუსოვი, მაგრამ არა სამუშაოდ. უცხოეთში გადახვეწილი მოხუცი მეცნიერი, ეტყობოდა ძლიერ მძიმედ განიცდიდა თავის მდგომარეობას. მომიჯდებოდა ჩემს მაგიდასთან და მელაპარაკებოდა შორეული სამშობლოს შესახებ.

ამავე პერიოდში მეორედ შევხვდი ნიკო მარს. ბასკეთს მიმავალი პარიზში ჩამოვიდა მეუღლიანად. ჩვენს მხატვარ დ. კაკაბაძესთან ერთად რამდენიმეჯერ ვიყავი მასთან. ძლიერ გულთბილად გვხვდებოდა — კაკაბაძეს ადრევე იცნობდა ლენინგრადიდან — და, რომ გაიგო ჩემი პალეონტოლოგობა. გატაცებით მიამბობდა ენის პალეონტოლოგიის შესახებ. ვგრძნობდი დიდ მეცნიერს. არაჩვეულებრივ ენთუზიასტს და იმავე დროს სრულიად უბრალო ადამიანს. თანაც ახალგაზრდობის მოყვარულს.

ყოველი მოლოდინის წინააღმდეგ ჩემი შრომა სწრაფად გადაეცა სტამბას. დროდადრო მომდიოდა კორექტურა ჩასასწორებლად. რედაქციას ერთი მძიმეც კი არ შეეცვალა, კმაყოფილი ვიყავ. მაგრამ იმავე დროს ჩემი ნივთიერი მდგომარეობა თანდათან უფრო მძიმე ხდებოდა. ტფილისიდან წამოსვლის შემდეგ უნივერსიტეტიდან არაფერი ისმოდა. მხოლოდ ერთხელ. 1920 წელს. მივიღე 5 გირვანქა სტერლინგი. უნივერსიტეტისავე მოვლინებული ზ. ნანეიშვილი მიგზავნიდა გერმანიიდან და მწერდა: უნივერსიტეტს გადმოუგზავნია 15 გირვანქა და მატყობინებენ, რადგან ვერ დავახურდავეთ (!), ახლა ჯანელიძესი იყოს 5 გირვანქა და შემდეგ მას ათს გამოვუგზავნით და შენ ხუთსო. ეს იყო და ეს! მაგრამ მე ხომ ორი სტიპენდია უნდა მქონოდა. მეორე — განათლების სამინისტროსგან. და ამ მეორეს რეგულარულად ვიღებდი. გასაბჭოების შემდეგ. ბუნებრივია, ესეც მომესპო და სრულიად უსახსროდ დავრჩი. ბედად როგორც ზემოთაც აღვნიშნე, უცხოეთში გამგზავრებისას ჩემი ფული მქონდა, სახელმძღვანელოს ჰონორარი. ეს ფული, ვალუტაზე გადაცვლილი, თან წამოვიღე და თვალისჩინივით ვუფრთხილდებოდი, ყოველი შემთხვევისათვის ვინახავდი და ეს შემთხვევაც მეწვია!

მაგრამ ეს ჩემი კაპიტალი გროშებით იზომებოდა და დიდი მოშჭირნეობა მჭირდებოდა. სიმშილობის საზღვარზე ვიყავ. მაინც შრომის დაბეჭდვას ვუცდიდი. შინ დაბრუნება მანამდე არ იქნებოდა.

იმავე დროს უცხოეთში რამე საცხოვრებელი წყაროს გამოძებნა და საამისო მუშაობა ფიქრად არ მომსვლია. არც შინ დაბრუნება-არდაბრუნებაზე მეფიქრა როდისმე. ჩემი ცხოვრება და მუშაობა საქართველოს გარეთ ვერასოდეს წარმომედგინა. არც ჰქონდა ჩემთვის ასეთ სიცოცხლეს რაიმე ფასი. თანაც ვიცოდი, რომ იქ იყვნენ ჩემი მშობლები, რომელთათვის უნდა მიმეხედა, და საკითხი თავისთავად გადაწყვეტილი იყო. ვერც კი დავიჩემებ, ასე გადავწყვიტე-მეთქი: ცნობიერად ასეთი ალტერნატივი არც განმიცდია; მაშინაც და შემდეგაც მუდამ სოფლის, მუდამ კარმიდამოს შვილი ვიყავ.

ცხოვრების ნივთიერი პირობების ცოდნა არასოდეს შემწევდა და არც სათანადო ალღო მქონდა, მაგრამ ზოგი რამ არ შეიძლებოდა არ შემემჩნია. მძიმე ომის შემდეგ გამარჯვებული საფრანგეთი დიდ ეკონომიურ სიძნელეებს განიცდიდა. ცხოვრება ძლიერ გაძვირდა. ბინისა და აუცილებელი სამოხმარებო საგნების ფასები იმდენად მაღალი იყო, რომ ჩემი იქ ცხოვრება შეუძლებელი გამხდარიყო.

მეორე მხრით დამარცხებული გერმანია იმჟამად შეუდარებლად უფრო ცუდ მდგომარეობაში იყო: ქვეყანა გაძარცვულ-გაღატაკებული. ხალხი უკიდურეს გაჭირვებაში. გერმანული მარკა თითქმის ფუჩეჩად ქცეულიყო და მისი ფასი ისე სწრაფად ეცემოდა, რომ დღეს თუ მით რისამე ყიდვა შეიძლებოდა, ხვალ ეს უკვე შეუძლებელი ხდებოდა. მოსამსახურეებს და საერთოდ ჯამაგირის ხალხს თითქმის ყოველ თვეში უმატებდნენ ნომინალურ ხელფასს, მაგრამ ისედაც უკმარი რეალური ხელფასი განუწყვეტლივ ეცემოდა. უმეტესობას საცხოვრებლად აუცილებელი მინიმალური შემოსავალი აღარ ჰქონდა და ჰყიდდნენ, თუ რამე გააჩნდათ. ფასები უცნაურად მაღალი იყო და დღითიდღე უფრო დიდი, ცხოვრება აუტანელად ძვირი.

შაგრამ ეს მხოლოდ თვით გერმანელებისათვის. მართლაც, დამარცხების ხარჯებმა და საგარეო ვაჭრობის პირობებმა გამოიწვია მარკის ღირებულების ბევრად მეტი დაცემა საერთაშორისო ბაზარზე, ვიდრე საშინაოზე. ამის გამო უცხოური ვალუტით მარკის შეძენა თითქმის მუქთად შეიძლებოდა, მარკის საერთაშორისო ღირებულების შესაბამისად, და ამ მარკების ძალა თვით გერმანიაში რამდენიმეჯერ მეტი იყო. ამით აიხსნებოდა, რომ უცხოელები, განსაკუთრებით ომის შედეგად კიდევ მეტად გამდიდრებული ამერიკელები, ყიდულობდნენ გერმანიაში, რაც კი მოეწონებოდათ, და გაჰქონდათ იქიდან.

გასაგებია, რომ ასეთ პირობებში გერმანიაში ცხოვრება უფრო სრულფასოვანი ვალუტის პატრონისათვის არაჩვეულებრივ იაფი უნდა ყოფილიყო. ამაში მე უშუალოდ დავრწმუნდი 1920 წლის ზაფხულზე, როდესაც ერთი თვე რაინის მარცხენა ნაპირზე, ქალაქ ფრაიბურგში (Freiburg in Breisgau) გავატარე. და ახლა ბუნებრივად დავასკვენი, რომ გერმანიაში გადასვლა ერთადერთი ხსნა იყო ჩემთვის.

მაგრამ ამას უარყოფითი მხარეც ჰქონდა. მართალია, ჩემი შრომის ბეჭდვის თვალყურის დევნება იქედანაც შემეძლო — გამომცემლობა იქ მომაწვდიდა კორექტურებს — მაგრამ ხელი უნდა ამეღო ერთ განზრახვაზე, რომელიც ბოლო ხანებში გამიჩნდა. საქმე ის არის, რომ როდესაც ჩემი შრომა დამთავრდა და მისი გამოქვეყნება ისე მოულოდნელად და საპატიოდ მოეწყო, სურვილი დამებადა, იგი სორბონში წარმედგინა, როგორც სადისერტაციო. მანამდე ასეთი რამ ფიქრადაც არ მომსვლია, მაგრამ ახლა შესაძლებლობა რეალური იყო და ბუნებრივი ჩანდა მისი გამოყენება. და გერმანიაში გადასვლა ამ შესაძლებლობაზე ხელის აღებას ნიშნავდა, მაგრამ სხვა რა გზა იყო? 1922 წლის ზაფხულის დამდეგს გადავებარგე გერმანიაში.

## ჰალე

არ მახსოვს როგორ და რა მოსაზრებით, გერმანიაში საცხოვრებლად ჰალე (Halle an de saale) ავირჩიე. ამ პატარა ქალაქში უნივერსიტეტი კი არის, მაგრამ ეს არ არის ჰაიდელბერგის, გოიტინგენის და მისთანების მსგავსი საუნივერსიტეტო ქალაქი. სამრეწველო ქალაქი უფროა (თუ იყო). ეს კია, რომ იქ მუშაობდა და ასწავლიდა ცნობილი ი. ვალტერი.

ჰალეში ქართველი ახალგაზრდობაც იყო. მათ შორის ლ. მუსხელიშვილი, შემდეგში ი. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის ინსტიტუტის თანამშრომელი, რომლის ცხოვრება ისე ნაადრევად შეწყდა; შ. იოსელიანი, რომელსაც მალე სწავლა უნდა დაემთავრებია, როგორც აგრონომ-მეცხოველეს; ჩემი მოწაფე ქუთაისის სათავადაზნაურო გიმნაზიიდან — ბუაძე, რომელიც ცნობილ პროფ. აბდერჰალდენთან ფიზიოლოგიას სწავლობდა დღეს და ღამეს აერთებდა, და სხვები, ბუაძე გიმნაზიაშიც გამოირჩეოდა და აქაც მიიქცია აბდერ-

ჰალდენის ყურადღება. სწავლის დამთავრების შემდეგ ჰალეშივე დაიწყო მუშაობა, როგორც პრივატ-დოცენტმა, მაგრამ ის კიდევ უფრო ადრე იმსხვერპლა სიკვდილმა. რაც შეეხება ჯ. იოსელიანს, რომელიც პირველად ჰალეში გავიცანი, მალე ჩემს შემდეგ ტფილისში დაბრუნდა და ნაყოფიერი მუშაობა იწყო უნივერსიტეტის აგრონომიულ ფაკულტეტზე და საქართველოს მუზეუმში, მაგრამ 1928 წელს მოულოდნელად გარდაიცვალა. ამ სამ ადამიანს მჭიდროდ დავუმეგობრდი.

ჩემი ვარაუდი გერმანიაში ცხოვრების პირობების შესახებ სავსებით გამართლდა. სინამდვილემ გადააჭარბა კიდეც ყოველგვარ მოლოდინს. ქალაქის ცენტრში, პანსიონში, ორი ოთახი დავიქირე, საწოლი და კაბინეტი, 35 კვადრატული მეტრი იქნებოდა. ბინაში და მომსახურებაში (გასუფთავება-დალაგება, ცხელი წყალი, განათება) უამრავ მარკას ვიხდიდი, მაგრამ ვალუტით სულ ექვსი შაური გამოდიოდა! ასე იყო ყველაფერი სხვაც. ერთთავად სრულიად უზრუნველყოფილი აღმოვჩნდი ყველაფრით.

თუ რა მდგომარეობაში იყო მოსახლეობა, შემდეგიდანაც ჩანს. გერმანული უკვე იმდენად ვიცოდი, რომ სრულიად თავისუფლად ვიყენებდი ლიტერატურას, მაგრამ ლაპარაკი მაინც მიჭირდა, პრაქტიკისათვის მასწავლებელი ქალი ავიყვანე. ჩემთან უნდა ევლო დღეში თითო საათი. ხელფასი არ მახსოვს, მაგრამ რაღაც ექვსი შაურის მსგავსი იყო. მალე გამოირკვა, რომ ეს ახალგაზრდა ფილოსოფიური ფაკულტეტის სტუდენტი ყოფილა, უნივერსიტეტის ერთი პროფესორის და. ჩვენ უკვე კარგად შევეჩვიეთ ქალის შრომას, მაგრამ კაპიტალისტურ ქვეყანაში და ასეთ წრეში მსგავსი მოვლენა უეჭველი ეკონომიური კრიზისის მაჩვენებელი იყო. არაერთი გერმანელი ახალგაზრდისგან, მათ შორის მეცნიერების მუშაკებისგანაც, ვიცოდი, რომ რუსულ ენას სწავლობდნენ, და როდესაც ვეკითხებოდი მიზანს, მიპასუხებდნენ, აქ ცხოვრება შეუძლებელი შეიქნა, სამუშაო არ არის, რუსეთში უნდა წავიდეთო. ვალტერსაც არაერთხელ უთქვამს მწარე გულისტკივილით, გაჭირვება სამშობლოს ატოვებინებს ბევრსაო და შეერთებულ შტატებში გადასულ თავის მეგობარს გრაბაუს (Grabau) იგონებდა.

საკაჭროებში ფასები მიუწვდომელი იყო გერმანელებისთვის და თითქმის მუქთი — ვალუტის მქონე უცხოელისთვის. ქვეყანა იძარცვებოდა. ამის შედეგი იყო დაუფარავი სიძულვილი უცხოელები-

სადმი. გამონაკლისი მხოლოდ რუსეთელებისთვის შეექმნათ, რადგან იცოდნენ, რომ იქ მდგომარეობა კიდევ უფრო მძიმე იყო. როგორღაც წიგნის მაღაზიაში შეველ. თაროზე ძლიერ იშვიათი და ჩემთვის მეტად საჭირო წიგნი დავინახე. ფასი შეუსაბამოდ მცირე იყო. მოვთხოვე გამყიდველს, მაგრამ ეტყობა, კილოზე უცხოელობა შემატყო, წიგნი ისევ გამომართვა ცივად და გამომიცხადა, უკვე გაყიდულიაო. მეორე დღეს ეს ამბავი ვალტერის ინსტიტუტში ვუამბე თანამშრომლებს, როგორც ანეკდოტი. შემდეგ რომ მიველ, დოცენტმა ფონ ფრაიბერგმა ის წიგნი გადმომცა — ჩემთვის ეყიდა.

ი. ვალტერთან ჰალეში ჩასვლისთანავე მიველ. მისი ლაბორატორია, რომელიც უნივერსიტეტის კათედრას წარმოადგენდა, ფართოდ იყო გაშლილი. კარგი მუზეუმი ჰქონდა, თუმცა მხოლოდ დინამიური გეოლოგიის. საგულისხმო იყო განსაკუთრებით უდაბნოების ექსპონატები: ვალტერი ხომ უდაბნოს დიდი მკვლევარი იყო! ამ ლაბორატორიას ინსტიტუტს უწოდებდნენ და ასეთი რამ გერმანიაში საერთოდაც მიღებული იყო: ინსტიტუტი მათთვის ძლიერ კათედრას ნიშნავდა. თვით ვალტერის გარდა, დაწესებულებაში მხოლოდ ორი დოცენტი იყო: ვაიგელტი და ზემოთხსენებული ფრაიბერგი. იყო ასისტენტიც, რა თქმა უნდა.

ჩემი გაცნობა ვალტერთან გაუგებრობით დაიწყო. ჩემი მდგომარეობა: „პროფესორის წოდებისთვის მოსამზადებლად უნივერსიტეტში დატოვებული“ სიტყვასიტყვით ვუთარგმნე. ამის შემდეგ ჰერ პროფესორს მიწოდებდა. განვუმარტე, რომ არავითარი პროფესორი არ ვიყავი, მაგრამ თავისი აღარ მოიშალა, მაინც პროფესორი ხარო, in spe. თანამშრომლებმაც მას მიბაძეს და დიდ უხერხულობას ვგრძნობდი. მათი საქციელი თავაზიანობის გულწრფელი სურვილით იყო გამოწვეული, მაგრამ მალე იმაშიაც დავრწმუნდი, რომ ტფილისელი პროფესორის შესახებ არც მაინცდამაინც დიდი წარმოდგენა ჰქონდათ. როდესაც შემდეგ სხვადასხვა საკითხზე მსჯელობისას ვალტერმა დაინახა, რომ მეცნიერებაში არც ისე მიამიტი ვიყავ, აშკარად გაკვირვებული დარჩა, ხოლო როდესაც უფრო გვიან პარიზიდან ჩემი შრომის საავტორო ეგზემპლარები მივიღე და ერთი ცალი მას მივუძღვენ, მისი გაოცება კიდევ უფრო უშუალო იყო.

ყოველ შემთხვევაში ეს დიდი მეცნიერი ძლიერ უბრალო და გულთბილი ადამიანი იყო. საქართველო მასაც ნახული ჰქონდა სა-

ერთაშორისო გეოლოგიური კონგრესის 1897 წლის სესიის დროს და ქართველებს დიდი ყურადღებით ეპყრობოდა, თითქო თავისიანებს. წამოსვლის შემდეგაც ხშირად კითხულობდა ჩემს ამბავს და მოკითხვებს მითვლიდა. მე კი მიწერ-მოწერას ვერიდებოდი: გერმანიაში ფაშიზმი ძლიერდებოდა თანდათან.

„ინსტიტუტში" არცთუ ხშირად დავიარებოდი. საკვლევო სამუშაო იქ ჩემთვის არაფერი იყო, ხოლო საჭირო წიგნების შეძენა ახლა თავისუფლად შემეძლო. შინ ვმუშაობდი. ძირითადად თეორიული გეოლოგიის საკითხებს ვეცნობოდი.

ვეცნობოდი უმაღლეს სკოლასაც. სხვადასხვა ლექციების (კერძოდ თვით ვალტერისაც) მოსმენამ უმალვე დამარწმუნა, რომ ლექციების დონე უფრო დაბალი იყო. ვიდრე საფრანგეთში, ხასიათი უფრო პოპულარული. სალექციო საათების რიცხვიც უფრო დიდი. რაც რამდენადმე ეგებ იმითაც აიხსნებოდეს, რომ პროფესორ-მასწავლებელთა ჰონორარის ნაწილი მსმენელთა გადასახადისგან შეივსებოდა. ამის გამო ამა თუ იმ ლექციებზე ჩაწერას მეტი ყურადღება ექცეოდა. ვიდრე დასწრებას, რომელიც სავალდებულო არც იყო.

უფრო საგულისხმო იყო მეორე თავისებურება. როგორც ზემოთაც აღვნიშნე, სტუდენტს პირველი წლიდანვე შეეძლო ჩაწერილიყო რომელიმე სპეციალურ კურსზე. ასეთ კურსებს ამა თუ იმ დისციპლინაში საკვლევო მუშაობის შესავალი ეწოდებოდა. ეს უფრო სემინარი იყო. ვიდრე საკუთრივ კურსი. სტუდენტი ეცნობოდა საკვლევო საკითხებს, კვლევის მეთოდებს, ლიტერატურული წყაროების მიკვლევისა და გამოყენების ხერხებს. დაინტერესებულ ახალგაზრდას შეეძლო თავიდანვე ზიარებოდა მეცნიერებას.

თავისებური იყო დოქტორის მეცნიერული ხარისხის მოპოვების პირობებიც. ახალგაზრდას, რომელიც რვა სემესტრის განმავლობაში ლექციებზე ეწერებოდა და არც ერთი გამოცდა არ ჩაებარებია, უფლება ჰქონდა სადისერტაციო შრომა წარედგინა და დაეცვა, არსებითად თავის ხელმძღვანელთანვე. დოქტორი გახდებოდა ისე, რომ სწავლადამთავრებულის დიპლომიც არ ექნებოდა. დისერტაციის დაწერა იმავე სასწავლო ოთხი წლის განმავლობაში ხდებოდა და აქედან ცხადია. როგორი უნდა ყოფილიყო მოთხოვნა.

გერმანელები მაინც აბარებდნენ გამოცდებს და იღებდნენ დიპლომს, რადგან ეს აუცილებელი იყო სახელმწიფო სამსახურში შესვლის უფლების მოსაპოვებლად. ხოლო უცხოელები უფრო იოლ

დოქტორობას არჩევდნენ ჩვეულებრივ. მიუხედავად ასეთი ვითარებისა, ტიტულს „ჰერ დოქტორ“ ისევე, როგორც ტიტულებს საზოგადოდ, დიდი პატივისცემა ჰქონდა გერმანიაში, თუმცა უმაღლეს სკოლაში სწავლების უფლებას ის თავისთავად არ იძლეოდა. ამისათვის საჭირო იყო, ადამიანს მნიშვნელოვანი შრომები გამოექვეყნებია და მეცნიერული ავტორიტეტი დაემსახურებია. უმაღლეს სკოლაში სწავლების უფლების მოსაპოვებლად წერდნენ სპეციალურ შრომებსაც — pro venia decendi.

საფრანგეთში ყოფნისას იშვიათად თუ სადმე წავსულვარ: ხარჯების საკითხი იყო. ახლა კი, გერმანიაში, ხშირად დავიარებოდი ლაიპციგში, ბერლინში. ვინახულე დრეზდენიც. ბერლინში ვტყობილობდი იქ ან სხვა გერმანულ ქალაქებში სასწავლოდ ჩამოსული ქართველი ახალგაზრდობის ამბავს. ზოგი უეჭველი წარმატებით მუშაობდა, მაგრამ იმ დროს დიდ უსახსრობას განიცდიდა მეტი წილი. რადგან სტიპენდიას აღარ ღებულობდნენ.

ბუნებრივია, რომ მე განსაკუთრებით მაინტერესებდა ჩემსავით უნივერსიტეტის მიერ მივლინებულთა ყოფა. ბერლინში ასეთი ორი იყო. რ. ხუციშვილი და მ. შანიძე. ხუციშვილს ტფილისიდანვე ვიცნობდი, როგორც ფიზიკის მასწავლებელს და კარსნის მაგნიტური სადგურის გამგეს. დიდი სიამოვნებით შევხვდით ერთმანეთს. მისი სპეციალობა თეორიული ფიზიკა იყო. ბერლინის უნივერსიტეტთან კავშირი მცირე ჰქონდა; თავის ოთახში იჯდა და მუშაობდა თავაუღებლივ. თან ასევე გულმოდგინედ აბოლებდა პაპიროსს. ოთახში სუნთქვა ჭირდა.

სწორედ რაჟდენმა (ხუციშვილმა) გამაგებინა შანიძის ბერლინში ყოფნა. რომ ეკითხე. სად ცხოვრობს-მეთქი. „უსათუოდ გიჩვენებო“. და თან იღიმებოდა. წავედით. მე აქეთ-იქეთ ვიმზირებოდი. რომელ სახლში იქნება-თქო. მან კი თამბაქოს პატარა მაღაზიასთან მიმიყვანა და ჩემს უხმო შეკითხვაზე გამომიცხადა. რომ სწორედ ამ მაღაზიის პატრონი იყო ის. ვისაც ჩვენ ვეძებდით. რომ შევედით. შანიძე მხიარულად მოგვეგება. რაჟდენის დიდი მეგობარი ყოფილიყო. მაღაზია ერთი ოთახისგან შედგებოდა. კედლები თაროებით იყო დაფარული, ხოლო თაროები პაპიროსისა და სიგარეების დიდი კოლოფებით სავსე. პატრონიც და ნოქარიც მ. შანიძე იყო ერთპიროვნულად. სხვა აქ არავინ ჩანდა. ჩვენს იქ ყოფნაში 2-3 მუშტარი შემოვიდა თითო ღერი სიგარა იყიდეს და წავიდნენ.

პირველმა გაკვირვებამ რომ გაიარა, შეეკითხე მოსეს: „ყველაფერი კარგი, მაგრამ ფული როგორ იშოვე-მეთქი“. რა ფული? ბინის ქირა მარკებით, მართალია, ძლიერ დიდი ჩანს, მაგრამ ვალუტით საოაპარაკოდ არ ღირსო! მომაგონდა ჩემი ბინა ჰალეში. მაინც ვერ შოვითმინე: კეთილი, მაგრამ ამდენი პაპიროსი და სიგარა რაღაა, ამას ხომ უფულოდ არ მოგცემდნენ-მეთქი“. ადგილიდან წამოიჭრა ერთი კოლოფი ჩამოიღო თაროდან, მოიტანა და გახსნა, — ცარიელი იყო. ყველა ასეაო, დასძინა, მხოლოდ ორი არ არის ცარიელი. ერთში პაპიროსია და მეორეში სიგარები. მუშტარიც მხოლოდ ცალობით მოითხოვსო.

არც მარტო ბაასი გვაკმარა. მაღაზიის უკან პატარა ოთახი ყოფილიყო. გავიდა, სასწრაფოდ ელექტრულ ღუმელზე ხორცი მოსწვა და გულიანად გაგვიმასპინძლდა. საუბარში ისიც გამოირკვა, რომ ბერლინის გარეუბანში მიწა შეეძინა 7 თუ 8 დოლარად. ფასის აწევას და დიდ მოგებას მოელოდა.

გავიდა დრო და უნივერსიტეტმა მოიგონა უცხოეთში მივლინებულები. არ ვიცი როგორ, ჩვენი მისამართები გაეგოთ და 1923 წლის გაზაფხულიდან იწყეს ფულის გზავნა, 2 გირვანქა სტერლინგი თვეში, რაც გერმანიაში იმ დროს ყოველმხრივ კმაროდა. კიდევ ცოტა დრო და მომართვაც მივიღე უნივერსიტეტისგან: საჭირო ხარ აქ და კარგი იქნება დაბრუნდებოდეო.

მალე ამას განათლების სახალხო კომისარიატის ანალოგიური წინადადებაც მოჰყვა. უყოყმანოდ თანხმობა ვაცნობე უნივერსიტეტს, მხოლოდ ვატყობინებდი, რომ შრომის ბეჭდვის დამთავრებას ვუცდიდი. ამასობაში საფრანგეთიდან მივიღე სამივე ნაშრომის საავტორო ეგზემპლარები, 50—50 ცალი. ტფილისიდან საგზაო ფულმაც არ დაიგვიანა.

ვიზისათვის საჭირო იყო ბოლშევიკურ წარმომადგენლობაში მისვლა. წაველ ბერლინს და პირველად შევხვდი მათ პირისპირ. ვიზა სწრაფად მომცეს. 1923 წლის ივნისის დამდეგს რ. ხუციშვილთან ერთად სამშობლოსკენ გამოვემგზავრე.

არ ვიცოდი, სად მივდიოდი და რა მომელოდა. იმ დროის პოლიტიკური ვითარების შესაბამისად, მარშრუტიც უჩვეულო იყო: ჯერ რიგაში მივედით ზღვით და იქიდან მოსკოვისკენ გამოვემგზავრეთ. რუსეთში რომ შემოვედით, მძიმე შთაბეჭდილება მოახდინა ჩვენზე ხალხის ჩაცმულობამ, ხოლო როდესაც ერთ-ერთ სადგურზე

მატარებელი გაჩერდა და ვაგონის ქვეშიდან ფეხშიშველი უპატრონო ბავშვები გამოცვივდნენ და მიწაზე ნამცეცების აკრება და ხარბი ჭამა იწყეს, ტანში ჟრუანტელმა დამიარა. მართალია, უკვე ახალი ეკონომიური პოლიტიკის (ნეპ-ის) დრო იყო, მაგრამ ხანგრძლივი მსოფლიო ომის და განსაკუთრებით სამოქალაქო ომის შემაძრწუნებელი მემკვიდრეობა ყველგან თვალსაჩინო გამხდარიყო.

მოსკოვი პირველად ვნახე. ეს ჯერ კიდევ ძველი მოსკოვი იყო, თავადების და დიდ-ვაჭრების ძველივე უსადბებით. სამიოდე დღე დავრჩით: საჭირო იყო პასპორტების შემოწმება და სხვა ასეთი, დავათვალიერეთ ტრეტიაკოვის გალერეა, ზოგი რამ სხვა შესანიშნავი და გამოვემართეთ ტფილისისაკენ.

## მეორე ნაწილი

# დოქტორობა

მოსკოვიდან თბილისს მომავალს იმ დროს აფშერონი უნდა მოეევლო, რადგან შავიზღვისპირა რკინიგზა ჯერ კიდევ არ იყო დამთავრებული. ისე მოხდა, რომ მატარებელმა ბაქოშიც შეიარა. ბაქანზე რომ გამოველ, ფარდული დავინახე. გამყიდველი რუსი იყო. ხიზილალა ვსთხოვე, გირვანქა (фунт), თუ რაღაც ასეთი. ეს სიტყვა რომ გაიგონა, შემომიტრიალდა ანთებული: „როგორ, ნიკოლოზის დროში ხომ არ გგონია თავი, ვეღარ გაიგე, რომ ჩვენ კილოგრამები გვაქვს და არა გირვანქებიო?!“ — და გაბა ასეთები. ცხადი იყო, რომ ჩაცმულობის მიხედვით მტრად მიმიჩნია.

ჩამოვედი თბილისს. არ გავჩერებულვარ და პირველივე მატარებლით ქუთაისს მივაშურე. იქ დავრწმუნდი, რომ ჩემი ძმა კოლია ცოცხალი აღარ იყო. მშობლებს სახლი გაეყიდათ და ხან ერთ სიძესთან იყვნენ თავშეფარებული და ხან მეორესთან. სწორედ დრო იყო მივშველებოდი.

ქუთაისლები, როგორც ახალ ჩამოსულს, ყველა ბოლშევიკების შემოსვლას და მენშევიკური მთავრობის გაქცევას მიამბობდა. სხვადასხვა დეტალებს ბოლო არ უჩანდა. ბოლშევიზმისადმი ზოგიერთები თითქოს სკეპტიკურად იყვნენ განწყობილი, მაგრამ მენშევიკების მიმართ სიმპათია არსად ჩანდა, არც გაბოროტება, — ერთგვარი ირონიით კმაყოფილდებოდნენ.

საჭირო იყო ჩემი საქმეებისათვის მიმეხედა და გამოვბრუნდი თბილისისაკენ. აქ გავჩერდი პატარა სასტუმროში, რომელიც „Заря Востока“,-ს“ ახლანდელი შენობის ადგილას იყო. დილით რომ გამოვიარე ვერეს დაღმართისაკენ, მათხოვრების სიმრავლე მეცა თვალში. საფულე ამოვიღე და ერთ-ერთ მათგანს 15000-იანი გავუწოდე თავმომწონედ. აიღო, გადააბრუნა, გადმოაბრუნა, დაცინვით შემომხედა და ნარვალში მოისროლა, — ამ ფულით ერთი კვერცხ-

ის ყიდვაც არ შეიძლებოდა თურმე. ბონების გვერდით უკვე ბრუნვაში იყო „ჩერვონცებიც“, რომლებიც ოქროდ ფასობდნენ და ახალი ეკონომიური პოლიტიკის (НЭП-ის) გამოვლინებას წარმოადგენდნენ. მიველ უნივერსიტეტში და ვინახულე რექტორი ბ-ნი ივანე ჯავახიშვილი. ვუამბე უცხოეთში ჩემი მუშაობის შესახებ და გადავეცი ჩემი სამი შრომა: „Notice sur quelques „Spiticeras nouveaux du Sud-Est de la France“; „Dalmanites“ და „Les Spiticeräs du Sud-Est de la France“. ჯეროვანი ყურადღებით მომისმინა.

ნაცნობ-მეგობრებისაგან მალე შევიტყვე, თუ როგორ ყალბ მდგომარეობაში აღმოვჩნდი. საფრანგეთსა და შემდეგ გერმანიაში, ერთხანს, ნივთიერად მძიმე გაჭირვებაში, გატაცებით ვმუშაობდი, დარწმუნებული, რომ სამშობლოში დაბრუნებულს მომიხდებოდა, შეძენილი ცოდნა ჩვენში გეოლოგიის განვითარებისათვის მომეხმარებინა. და ახლა ირკვეოდა, რომ უნივერსიტეტში არასასურველი სტუმარი ვიყავ. ჩემი უცხოეთში მივლინების შემდეგ უნივერსიტეტში შეთავსებით პოფესორად მოეწვიათ საქართველოს მუზეუმის დირექტორი ნოე ყიფიანი და გეოლოგია მისთვის ჩაებარებინათ. ამის შესახებ გერმანიაშიც მეუბნებოდა ზოგი ნაცნობი, რომელთაც საქართველოსთან მიმოწერა ჰქონდათ. მაგრამ ყურადღება არ მიმიქცევია.

ნ. ყიფიანს სტუდენტობიდანვე ვიცნობდი. გამეგონა, რომ ჩემს შემდეგ საფრანგეთში ლიცენციატი გამხდარიყო მინერალოგიის სპეციალობით. მაგრამ ლიცენციატი ხომ მეც ვიყავი და თან მეოთხე ატესტატით, ასპირანტურის ერთი წლის სტაჟიც მქონდა იმ დროს, მეცნიერული ნაშრომებიც და როდესაც 1919 წლის შემოდგომაზე ა. რაზმაძემ წინადადება მომცა. ლექციები მეკითხა, უარი განვაცხადე: სამაგისოდ მომზადებულად თავი არ მიმაჩნია-მეთქი. ამიტომ ვფიქრობდი, შემდეგ უცხოეთში იმიტომ მიმავლინეს, რომ, თუ დავალებას პირნათლად შევასრულებ, გეოლოგიას ძირითადად მე უნდა გავუძღვე-მეთქი. ახლა კი გამოდიოდა, რომ სხვისი ადგილის პრეტენდენტი ვიყავ! ასეთი ულამაზო მდგომარეობა ჩემს ცხოვრებაში სხვა არ მახსოვს.

მეორე მხრივ, იმათგან, ვინც გეოლოგიასთან ახლო იდგა, მესმოდა, რომ უნივერსიტეტში გეოლოგიის საქმე სრულიად მოუგვარებელია და იმედი შენზედ არისო. როგორც ჩანს, ალბათ, მუზე-

უმში დატვირთულობის გამო, ნოეს უნივერსიტეტისათვის საკმაო დრო არ რჩებოდა.

როდესაც ი. ჯავახიშვილს ჩემი შრომები გადავეცი, ისიც ვუამბე, თუ რატომ ვერ მოვახერხე პარიზში დოქტორის ხარისხის მოპოვება. მან განმიცხადა, რომ უნივერსიტეტში მეცნიერული წოდების მისაღებად დოქტორის ხარისხი აუცილებელიაო და წინადადება მომცა, ჩემი მთავარი ნაშრომი წარმედგინა სადისერტაციოდ. მე უყოყმანოდ დავეთანხმე და წინადადება ბუნებრივადაც მივიჩნიე, თუმცა ვერ წარმომედგინა, როგორ უნდა მომხდარიყო იმ დროს თბილისის უნივერსიტეტში დისერტაციის დაცვა გეოლოგიაში.

აკადემიური წელიწადი მიწურული იყო და ეს საქმე შემოდგომისათვის უნდა გადადებულიყო. ამიტომ მე ქუთაისში დავბრუნდი და ზაფხული ნიკორწმინდაში გავატარე.

სექტემბერში ახალი გარემოება გამოირკვა: შემატყობინეს, რომ საუნივერსიტეტო წოდების მისაღებად ხომ დოქტორობაა საჭირო, მაგრამ პროფესორობისთვის ესეც არ კმარა, აუცილებელია დოცენტობის სტაჟი არანაკლებ ორი წლისაო. მაშასადამე, დოქტორობის შემთხვევაშიც ჩემი პროფესორად არჩევა იმხანად გამორიცხული იყო.

მას აქეთ საკმაო დრო გავიდა. ახლა, ვფიქრობ, უფლება მაქვს თამამად განვაცხადო, რომ ეს ამბავი მე მივიღე როგორც აბსოლუტურად კანონზომიერი და არსებითად სასიამოვნოც. რასაკვირველია, მე ვიცოდი, რომ უნივერსიტეტის პროფესორთა შორის თითებზე ჩამოსათვლელი იყვნენ ისეთები, ვისაც მეცნიერული ხარისხი ჰქონდა, სამაგისტრო გამოცდებიც კი მხოლოდ ორიოდეს ჰქონდა ჩაბარებული. ზოგი გერმანიული დოქტორი იყო, ხოლო პროფესორების მეტი წილი რუსეთიდან გადმოსული ასისტენტები ან ასპირანტები იყვნენ, მაგრამ მათი გაპროფესორება უნივერსიტეტის არსებობის პირველ ხანებში მოხდა. მაშინ ეს სრულიად ბუნებრივი აუცილებლობა იყო, სხვაგვარად ეს დიდი კულტურული დაწესებულება ვერც წარმოიშობოდა, მაგრამ დაუსრულებლად ასე ხომ ვერ გაგრძელდებოდა. ახალი წესი მოწმობდა, რომ უნივერსიტეტი უკვე საკმაოდ გაზრდილიყო იმისათვის, რომ მისი ცხოვრების ნორმული რეგლამენტაცია მომხდარიყო.

ეს ყველაფერი გასაგები ჩანდა, მაგრამ ამას კიდევ ერთი რამ ემატებოდა: როგორც გადმომცეს, ვარაუდობდნენ, ჩემთვის რომელიმე

დამხმარე კურსის კითხვა დაევალებინათ, და ეს უკვე არსებითი საკითხი იყო.

ახლა უცნაური ჩანს, მაგრამ იმ დროს თბილისის უნივერსიტეტში კათედრის გამგის თანამდებობა არ არსებობდა. ცხადია, ფაქტიურად ფიზიკურ-ქიმიურ და საბუნებისმეტყველო დარგებში მაინც უკათედრისგამგეოდ მუშაობა ვერ მოხერხდებოდა. ფაქტიურად კათედრის გამგე კი ის იქნებოდა, ვისაც ძირითადი კურსი თუ კურსები ექნებოდა დავალებული.

და აი, რაკი საქმის ვითარებას უკვე საკმაოდ გავეცანი, ჩემთვის სრულიად ნათელი გახდა, რომ როგორც დამხმარე კურსის წამკითხველი, ე. ი. აწინდელი გაგებით კათედრის დოცენტი თუ პროფესორი, ვერაფერს იმას ვერ გავაკეთებდი, რაც უნივერსიტეტში გეოლოგიის განვითარებისათვის საჭიროდ მიმაჩნდა და რისთვისაც ისე დაბეჯითებით ვემზადებოდი. რაკი დოცენტობა თუ პროფესორობა თავისთავად აბსოლუტურად არ მაინტერესებდა, ჩემი გზაც სრულიად გარკვეული ჩანდა. ამიტომ ვინახულე პრორექტორი პროფესორი კ. კეკელიძე და გავაფრთხილე, მე მხოლოდ იმ შემთხვევაში შემიძლია უნივერსიტეტში ვიმუშაო, როგორც გეოლოგმა, თუ ძირითადი კურსის კითხვა დამევალება-მეთქი.

ამასობაში ჩემს მიერ სადოქტორო დისერტაციის დაცვის სამზადისიც მიმდინარეობდა. მოვიდა დაცვის დროც, თუ არ ვცდები, ოქტომბერში.

ასეთი შემთხვევები მაშინ ძლიერ იშვიათი იყო თბილისში. ჩემამდე მხოლოდ ორი დაცვა მომხდარიყო, ერთი ა. შანიძისა და მეორე მ. წინამძღვრიშვილის. გასაგებია ამიტომ, რომ დისერტაციის დაცვა „მთელი ქალაქის" ყურადღებას იპყრობდა, ისეთსავე სენსაციას წარმოადგენდა, როგორც დღეს, მაგალითად, ფეხბურთის რომელიმე პასუხსაგები მატჩი მოყვარულთათვის.

დაცვის დღეს უნივერსიტეტი ხალხით აივსო. სხდომის საჯარო ნაწილი დანიშნული იყო დიდ დარბაზში, სადაც ახლა ცენტრული ბიბლიოთეკის სამკითხველო არის მოთავსებული. რექტორის კაბინეტიდან (საბჭოს სხდომის ადგილი) ამ დარბაზამდე (საჯარო სხდომის ადგილი) დერეფნები და ვესტიბიული ხალხით იყო გაჭედილი. პრორექტორმა შ. ნუცუბიძემ რის ვაივაგლახით მოახერხა საბჭოს წევრების დარბაზამდე მიყვანა. რიხიან შეძახილებთან ერთად იდაყვების გამოყენებაც დასჭირდა.

საბჭოს წევრები მოთავსდნენ, ვინც როგორ მოახერხა, ხალხით სავსე დარბაზში. ცნობისმოყვარენი, ვისაც მოესწრო, ხომ ისხდნენ, და დანარჩენები ფეხზედ იდგნენ. შესასვლელი კარების ორივე საგდული ღია იყო და იქაც ხალხი. ხალხი მათ უკანაც — დერეფანში.

ის იყო, სხდომა უნდა დაწყებულიყო, რომ განათლების კომისრის მოადგილე მარიამ ორახელაშვილი მოვიდა. კარებამდე კი მოიყვანეს, მაგრამ დარბაზში ვეღარ შემოვიდა. იქ მიუტანეს სკამი, ზედ შედგა და ასე დარჩა მთელი პროცედურის განმავლობაში.

ივანე ჯავახიშვილმა სხდომა გახსნა. მე კათედრაზე ვიდექ, სიტყვა მომცა და ვილაპარაკე დაახლოებით ორმოციოდე წუთი რეგლამენტისამებრ.

ოფიციალური ოპონენტი ორი იყო გამოყოფილი — ნ. ყიფიანი და ა. თვალჭრელიძე. მეცნიერული ხარისხი არცერთს არ ჰქონდა და ჩემი სადისერტაციო შრომაც არცერთს არ წაეკითხა.

სიტყვა მიეცა პირველ ოპონენტს. ადგა ნოე, საკმაოდ სქელი წიგნი ხელში აიღო. აუდიტორიას დაანახა და თქვა: „ამ დისერტაციას მხოლოდ ერთი ნაკლი აქვს, სახელდობრ, რომ იგი უნაკლო არისო". თქვა და დაჯდა.

სიტყვა მიეცა მეორე ოპონენტს. ა. თვალჭრელიძე ადგა და მომმართა: «Александр Илларионович, каково значение работ подобных вашей?» — და დაჯდა.

და აი, ბედად „ბრწყინვალე" აზრი მომივიდა. ორიოდე სიტყვით აღვნიშნე პალეონტოლოგიის როლი გეოლოგიური წარსულის აღდგენაში და, კერძოდ, გეოსინკლინების შესწავლაში, შემდეგ ასევე ორი სიტყვით შევეხე გეოსინკლინების და მთათა სისტემების მნიშვნელობას კონტინენტების განვითარებაში და საილუსტრაციოდ მივმართე ვეგენერის თეორიას. ეს იმ დროს ახალი და თან უაღრესად თავისებური თეორია ჯერ კიდევ სრულიად უცნობი იყო ჩვენში. გასაგებია, როგორი ინტერესი და გაკვირვება უნდა გამოეწვია მის გადმოცემას მსმენელებში. ბედად იქვე იყო მიწის გეოგრაფიული რუკაც, მგონი მოვახერხე თეორიის ყველასათვის მისაწვდომად გადაცემა, ყოველ შემთხვევაში, მთელი დარბაზი სულგანაბული მისმენდა.

ეს ლექცია-მოხსენება ერთ საათზე მეტს გაგრძელდა. გათავდა იგი და ამით გათავდა საჯარო პაექრობაც. საბჭო დასკვნის გამოსატანად ისევ რექტორის კაბინეტში წავიდა. ხალხი დაიშალა... დავრჩი

მარტო და ვ.ვარებოდი დასკვნის მოლოდინში უნივერსიტეტის დერეფანსა და ვესტიბიულში.

სხდომა კარგა ხანს გაგრძელდა. შემდეგ იწყეს საბჭოს წევრებმა გამოსვლა. ზოგი თვალს მარიდებდა, სხვები მილოცავდნენ და წამსვე მცილდებოდნენ. გავიგე, რომ დოქტორობა კი ერთხმად მოენიჭებინათ, მაგრამ ამავე დროს დაედგინათ ჩემი არჩევა პალეონტოლოგიის, ე. ი. დამხმარე კურსის საკითხავად.

## უმუშევარი

უნივერსიტეტიდან პირდაპირ შინ დავბრუნდი და განცხადება დავწერე უშუალოდ რექტორის სახელზე. უნივერსიტეტს დიდ მადლობას მოვახსენებდი ნდობისა და ყურადღებისათვის, რაც ჩემს უცხოეთში მივლინებაში გამოიხატა. აღვნიშნავდი, რომ ჩემი მხრივ, შეუეცადე დავალება პირნათლად შემესრულებინა, მაგრამ დღეს ვრწმუნდები, რომ უნივერსიტეტს ჩემი მუშაობის გამოყენება არ ეხერხება და ამიტომ ვთხოვ საბჭოს დანაკისრი მოვალეობისგან გამათავისუფლოს. „დოცენტის თანამდებობა უეჭველად დიდად საპატიო რამ არის და არ შემიძლია არ დავაფასო საბჭოს ყურადღება, მაგრამ კათედრის გამგეობის გარეშე ვერ წარმომიდგენია უნივერსიტეტში გეოლოგიის გაძღოლა, ვერ წარმომიდგენია იმ საქმის გაკეთება, რომლისთვისაც ვემზადებოდი და ამიტომ იძულებული ვარ დაკისრებულ თანამდებობაზე უარი განვაცხადო. უეჭველია, არჩევნს შემდეგ ასეთი განცხადება უხერხული არის, მაგრამ ამის ბრალი, ვფიქრობ, მე არ მედება, რადგან პროფესორი კ. კეკელიძე წინასწარ გავაფრთხილე. მორიდებით ვითხოვ უნივერსიტეტის წინაშე მოვალეობისგან გამათავისუფლოთ-მეთქი“.

ადვილი გასაგებია, როგორ შთაბეჭდილებას მოახდენდა ასეთი განცხადება, განსაკუთრებით იმ დოქტორობის შემდეგ!

ვავიდა რამდენიმე დღე და რექტორმა, ბატონმა ივანემ, დამიბარა. ჩანს, განზრახული ჰქონდა დავერწმუნებინე, განცხადება უკან წამეღო. დიდი მორიდებით და ჩვეული პატივისცემით მოვახსენე, რომ ჩემი გადაწყვეტილება საბოლოო იყო და რომ მე ვხელმძღვანელობდი არა პირადი გრძნობით, არამედ საქმის ინტერესით, რამდე-

ნადაც ეს მესმოდა. როგორც შემდეგ მითხრეს, ბატონ ივანეს ეთქვა, „გულცივი ადამიანი ყოფილა, ბატონო“.

საერთოდ მთელი ეს ისტორია ძლიერ საჩოთირო იყო ჩემთვის, რადგან, ასე თუ ისე, საქმე ნ. ყიფიანსაც შეეხებოდა, მაგრამ კათედრის გამგე ხომ არც ის იყო. თანაც საქართველოს მუზეუმის დირექტორი, — ეს იყო მისი ძირითადი სამუშაო. დღეს თამამად შემიძლია ვთქვა. არავისადმი არავითარი პირადი უკმაყოფილება არ მიგრძვნია. კერძოდ, სავსებით გასაგები იყო ჩემთვის ი. ჯავახიშვილის პოზიცია: ის დიდად აფასებდა ნ. ყიფიანის საქმიანობას, საქართველოს მუზეუმის (ყოფ. კავკასიის მუზეუმი) გაქართულებისკენ მიმართულს, ხოლო მე მისთვის არსებითად სრულიად უცნობი ადამიანი ვიყავ.

უნივერსიტეტის საბჭო ორად გაიყო. ერთნი ჩემს საქციელს მართებულად თვლიდნენ და ადრინდელი დადგენილების გადასინჯვას მოითხოვდნენ. მეორენი დადგენილების მართებულობას ამტკიცებდნენ. მალე ჩემთვისაც კი ნათელი გახდა, რომ საბჭოს ასეთი გათიშვა ჩემ საკითხს არ გამოუწვევია. საბჭოში არსებობდა რექტორატის უკმაყოფილოთა ჯგუფი თუ დაჯგუფება და ამათ ხელი ჩასჭიდეს ჩემს მიმართ ჩადენილ შეცდომას და „იტვირთეს ჩემი ინტერესების დაცვა“. იმავე დროს ნ. ყიფიანსაც საბჭოში თუ საბჭოს გარეთ ბევრი უკმაყოფილო ჰყავდა. ისინიც ჩემს მომხრეობას იჩემებდნენ, ეს ჩემთვის ბევრად უფრო გვიან გახდა ნათელი.

ინციდენტი ფართოდ გახმაურდა და, ალბათ, მმართველ წრეებამდეც მიაღწია. ამათი დამოკიდებულება კი უნივერსიტეტთან და, კერძოდ, მის რექტორთან არც თუ დიდი ნდობით ხასიათდებოდა. ჩემი სიმპათიაც მთლიანად უნივერსიტეტისკენ იყო და უნივერსიტეტის რექტორის გარეშე აბსოლუტურად არავისთვის მიმიმართავს არა თუ უნივერსიტეტს გარეთ, თვით უნივერსიტეტშიც. და აი, პროფესორ №-ს უნივერსიტეტში მიეტანა ამბავი, ჯანელიძე მოავრობაში დაიარება და ჩივისო. ეს გაუგებრობა გამოწვეული იყო ნაწილობრივ მაინც იმით, რომ მე ყოველი დღის ბოლოს მივდიოდი განათების კომისარიატში, სადაც ჩემი ძველი მეგობარი ვუკ. ბერიძე საქმეთა მმართველად მუშაობდა, და აქედან მივყვებოდი შინ სასადილოდ.

ატყდა მითქმა-მოთქმა. ამ ამბავმა რომ ჩემამდე მოაღწია, არც მიცვევია, არც მიცხელებია. მიმიწერია №-ისათვის წერილი და გა-

მომიწვევია დუელში. ამასწინათ ძველ ქაღალდებს ვათვალიერებდი და №-ის პასუხს წავაწყდი, — წერილობით ბოდიშს იხდის შეცდომისათვის. ამან მომაგონა ყველაფერი. წარმომიდგენია, რა ამბავი დატრიალდებოდა, №-იც რომ ჩემი ჭკუის გამომდგარიყო. ასეთი ბავშვი ვიყავი 35 წლის ადამიანი და ზოგი მხრივ ასეთივე დავრჩი შემდეგაც.

უნივერსიტეტის საბჭოში დავა გრძელდებოდა და დრო კი გადიოდა. მე ასპირანტის მდგომარეობაში ვრჩებოდი და ასპირანტის სტიპენდიის ამარა ვიყავი. ამბობდნენ, ჯანელიძე რუსეთში აპირებს გადასვლასო, მაგრამ ეს ხმები ყოველგვარ საფუძველს მოკლებული იყო. ასეთი რამ ფიქრადაც არ მომსვლია და, საზოგადოდ, საქართველოს გარეთ თავი აროდეს წარმომედგინა, თორემ ეგებ უცხოეთშიც დავრჩენილიყავ. რაკი უნივერსიტეტში მუშაობა არ ხერხდებოდა, მტკიცედ მქონდა გადაწყვეტილი საშუალო სკოლას დავბრუნებოდი. მართალია, ცოტა უფრო გვიან ყაზანიდან მივიღე წინადადება იქ გადავსულიყავ: მანდ დოცენტი ხარ, აქ პროფესორად გაგატარებთო, მაგრამ მადლობა და უარი შევთვალე. შემდეგ კიდევ ლენინგრადის გეოლოგიური კომიტეტის სახელით ბ. მეფერტმა მომცა წინადადება ტყვარჩელის საბადოს კვლევაში მიმეღო მონაწილეობა. ეს უფრო მოხერხებული იყო, რადგან თბილისის დატოვებას არ მოითხოვდა, მაგრამ მასაც უარით ვუპასუხე: ტყვარჩელის საკითხი საქართველოს სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს მიერ იყო წამოწყებული, მუშაობის ჩატარებაც მასვე უნდოდა და გეოლოგიურმა კომიტეტმა კი ჩამოართვა ეს საქმე. ვიცოდი, რამდენად ვულნატკენი იყვნენ სმუს-ში და უხერხულად მიმაჩნდა გეოლოგიური კომიტეტის პარტიაში ჩემი მუშაობა.

უნივერსიტეტში გაურკვეველი მდგომარეობა სასწავლო წლის მეორე სემესტრამდე გაგრძელდა. მხოლოდ 1924 წლის თებერვლიდან გადაწყდა, რომ საბუნებისმეტყველო და პოლიტექნიკურ ფაკულტეტებზე გეოლოგიური საგნების გაძღოლა მთლიანად (ახლა უკვე მთლიანად) მე დამვალებოდა, ხოლო ნ. ყიფიანი აგრონომიულ ფაკულტეტზე იქნა გადაყვანილი. არ ვიცი, როგორ მოხდა ეს და რა მოსაზრებით, მით უმეტეს, რომ მთელი ამ ხნის განმავლობაში, სამწუხაროდ, ნოეს ჩემთან არც ერთხელ ლაპარაკი არ ჰქონია.

კიდევ უფრო უცნაური შემდეგ მოხდა: არ გასულა დიდი დრო და ნ. ყიფიანი საქართველოს მუზეუმის დირექტორის თანამდებო-

ბიდან მოეხსნათ და მის ადგილას მე დავენიშნეთ ისე, რომ წინასწარ ჩემთვის კაცს სიტყვა არ უთქვამს. პირდაპირ ბრძანება მომიტანდა!

უარი განვაცხადე, კუთვნილ ბინაში არ გადავედი მიუხედავად იმისა, რომ უბინაოდ ვიყავ, მაგრამ სხვა კანდიდატის გამოძებნამდე მაინც მოიხსნა დირექტორობა დაახლოებით ერთ წელიწადს, როგორც მაგონდება.

## ახალგვეულნი

ქართული გეოლოგია ხომ ჩვენი ამოცანა იყო, მაგრამ პირველ რიგში ქართველი გეოლოგები იყვნენ საჭირო. ოქტომბრის რევოლუციამდე მხოლოდ ორი ქართველი გეოლოგი შეიძლება დავასახელოთ: სიმონოვიჩი და წულუკიძე. ოქტომბრის შემდეგ გეოლოგიური მეცნიერება სწრაფად განვითარდა და მომრავლდნენ ქართველი გეოლოგებიც, თუმცა დასაწყისში ეს ჯერ კიდევ ერთეულები იყო. 1925 წელს საველე მუშაობიდან რომ დავბრუნდი, ამბავი დამახვედრეს, რომ ციმბრიდან ჩამოსულიყო ახალგაზრდა ინჟინერ-გეოლოგი კალისტრატე გაბუნია. უმაღლესი განათლება მას ტომსკში მიეღო. პროფესორის, შემდეგ აკადემიკოსის უსოვის მოწაფე იყო. ქართული მეცნიერების არაჩვეულებრივი ენთუზიასტი და თან უპრეტენზიო ადამიანი. ზაფხულზე ჩამოსული, საქართველოს მუზეუმში მისულიყო და მუშაობა დაეწყო როგორც ლაბორანტს. შემოდგომაზე მივაწვევინე პოლიტექნიკურ ფაკულტეტზე. მისი ღვაწლი კარგად არის ცნობილი ყოველი ქართველი ინჟინერ-გეოლოგისთვის. ის იყო ქართული გეოლოგიური საზოგადოების პირველი თავმჯდომარე.

მეორე მსგავსი შემთხვევა იყო პალეონტოლოგ ი. რუხაძის „აღმოჩენა". რაჭაში წასვლისას ქუთაისში უნდა გამევლო ხოლმე და იქ მიხდებოდა მოსმენა, ასეთი უცნაური კაცი გვყავს ერთი მასწავლებელი: წავა მწვანეყვავილით წყალწითელასკენ, ჩაუჯდება გზის პირას გაშიშვლებულ კირქვებს და უკაკუნებს ჩაქუჩს დილიდან საღამომდის, ღმერთმა იცის, რას ეძებსო.

ეჭვი დამებადა, რომ ვინმე პალეონტოლოგი უნდა ყოფილიყო. გავიგე მისამართი და ვინახულე. პირველად ვხედავდი, თუმცა ჩემი თაობის კაცი იყო. როგორც მიამბო, უნივერსიტეტი ჟენევაში დაე-

მთავრებინა (საბუნებისმეტყველო ფაკულტეტი) და პატარა შრომაც გამოექვეყნებინა. იქაური წესის მიხედვით დოქტორის ხარისხიც ჰქონდა.

სამშობლოში დაბრუნებულს 1924 წელს დიდი უბედურება განეცადა და სავსებით გულგატეხილი იყო. მეცნიერებაზე არც ფიქრობდა. საშუალო სკოლაში იყო მასწავლებლად.

მაინც წამსვე ეტყობოდა პალეონტოლოგიისადმი ინტერესი, რაკი ეს შევნიშნე, ვურჩიე, მუშაობა დაეწყო. უიმედოდ მიპასუხა, მაგის თავი არა მაქვს და აქ ხომ არც ლიტერატურა იშოვებაო. მე ვამხნევებდი. იქვე ერთი აზრი მომივიდა და უყოყმანოდ გავანდე: ამონიტების ერთი ახალი გვარი ავსწერე, Colchidites, ძლიერ საინტერესო. გადმოგცემთ მასალას, თქვენ ახალი დააგროვეთ, ასწერეთ და კარგი შრომა გამოვა. რაკი ახალი გვარია,—ლიტერატურა ისიც იკმარებს, რაც თბილისში გვაქვს-მეთქი. დავპირდი თბილისში გადაყვანასაც.

დამეთანხმა. გადმოვიყვანე საქართველოს მუზეუმში. დაიწყო მუშაობა და მალე კაცი სრულიად გამოიცვალა. რამდენიმე ჩინებული შრომა გამოაქვეყნა ქვედა ცარცის ამონიტების შესახებ. სამწუხაროდ, ნაადრევი სიკვდილის მსხვერპლი შეიქნა.

მაგრამ ი. რუხაძე ბედნიერი შემთხვევა იყო მხოლოდ. ცხადია, ასეთი შემთხვევების მოიმედე ვერ დავრჩებოდით, საჭირო იყო ხალხის მომზადება, მაშინ მასწავლებლის დატვირთვა ისეთი დიდი არ იყო, როგორც დღეს არის, და ლექციებს ჯეროვანი ყურადღებით ვამზადებდი. თუმცა ყველა საგნის წაკითხვა მე მიხდებოდა, ეს, რა თქმა უნდა, არ კმაროდა, განწყობილების შესაქმნელად მეტი მნიშვნელობა ჰქონდა მოხსენებებს გეოლოგიურ ინსტიტუტში. უფროსი კურსების სტუდენტებიდან მათ ყველა ესწრებოდა. საბუნებისმეტყველო ფაკულტეტზე გეოლოგიური სპეციალობა არ იყო და ჩვენს მთავარ კონტინგენტს პოლიტექნიკური ფაკულტეტის სამთო დარგის მსმენელები შეადგენდნენ. დიდი როლი ითამაშა მეფერტ ის ისტორიამაც. ასე ვსთქვათ, სპორტული ინტერესი გაჩნდა. მაინც განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს, რომ გეოლოგია არც ჩემთვის, არც ჩემი მსმენელების დიდი ნაწილისათვის თავისთავადი რამე არ ( ყო. უსიტყვო შეთანხმებით ჩვენ ქართული მეცნიერების მშენებლ ობას ვემსახურებოდით და ეს იყო თითოეული ჩვენი ნაბიჯის საზ ომი. ესევე გვაახლოებდა ერთმანეთთან.

1924 წელს ი. კაჭარავა დატოვეს ასპირანტად. მაშინ ამისთვის გამოცდები არ იყო საჭირო, კათედრის გამგის წარდგინება კმარ-და. დამყავდა თან თუკი სადმე ველზე სამუშაოდ წავიდოდ ი. ამ დროს მოხდა, რომ ტფილისის მიდამოში ორიოდე ნუმულიტი ' იპოვე. და-მაინტერესა ამან და, რაკი ნუმულიტების ფასი ვიცოდი, გადავწყვი-ტე, ამ ჯგუფის შესწავლისათვის მომეკიდა ხელი. გამოვიწერე აუ-ცილებელი ლიტერატურა, მასალასაც ვაგროვებდი. კაჭ .რავა კი ნე-ოგენის ორსაგდულიანებზე მუშაობდა. და აი, ვიფიქრე, რომ მის-თვის ნუმულიტები უფრო მომგები სპეციალობა იქნებოდა. ასეც ეურჩიე. გადავეცი ჩემი ლიტერატურა და რაჭა-ლეჩხუმში და-გროვებული მასალა. დღეს აკადემიკოსი კაჭარავა ნუმულიტების და პალეოგენის ცნობილი სპეციალისტია საბჭოთა კავშირში.[1]

ინჟენერ-გეოლოგი ი. კახაძე ჩემი სისტემატური თანამგზავრი იყო ველზე ჯერ როგორც სტუდენტი, შემდეგ როგორც ლაბორანტი. აქვე ვიტყვი: მხოლოდ 49 წელი იცოცხლა ამ შესანიშნავმა პიროვ-ნებამ და მკვლევარმა. 1955 წელს ისიც სიკვდილმა გამოგვსტაცა. ამ დროს „პატარა ვანო" (ასე უწოდებდნენ კოლეგები) საქართვე-ლოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი და გეოლო-გიური ინსტიტუტის დირექტორის მოადგილე იყო.

ოკრიბაში მდიდარი ბაიოსური ფაუნა დავაგროვე. ლენინგრად-ში დავამუშავე, ყველა განვსაზღვრე, ახალი ფორმები (მათ შორის ამონიტების ერთი გვარი) გამოვყავი და აღწერა-ღა იყო საჭირო. გადავეცი ეს მასალა და თემა ვანოს. ჩინებული საკანდიდატო დისე-რტაცია დაწერა (ამ დროს უკვე ორხარისხიანი სისტემა იყო ჩვე-ნში).

უფრო გვიან საჭირო გახდა ა. ცაგარელისათვის საკვალიფიკაციო თემის მიცემა. შევარჩიე ზედაცარცული ინოცერამები. ამ ჯგუფს გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს ცარცის ამ ქვესისტემისათვის სა-ერთოდ და ჩვენში განსაკუთრებით. მასალა დიდი დაგროვდა და სპე-ციალისტი არა გვყავდა. მაგრამ თემა როგორ მიმეცა, თუკი საკითხს თვითონ არ ვიცნობდი. წავიღე მთელი მასალა ლენინგრადს და და-ვამუშავე. დაწერა-ღა იყო საჭირო. დავბრუნდი, მთელი მასალა და ზოგი რამ ლიტერატურა, რაც ინსტიტუტის ბიბლიოთეკაში არ იყო, ცაგარელს გადავეცი. მანაც ჩინებული საკანდიდატო დისერტა-ცია დაწერა. დღეს ჩვენი მეცნიერებათა აკადემიის წევრია.

---

[1] ი. კ ა ჭ ა რ ა ვ ა გარდაიცვალა 1975 წელს (რედ.).

ლიასის დიდი ფაუნა დაგროვდა კ. გაბუნიას, პ. გამყრელიძის, ს. ჩიხელიძისა და ჩემი მოტანილი. განსაზღვრე, სტრატიგრაფიულად შეკვაფასე და პატარა წერილებიც გამოვაქვეყნე, ხოლო თვით მასალა ქ. ნუცუბიძეს გადავეცი და ა. შ. პ. გამყრელიძე თავიდანვე გამოირჩეოდა როგორც ტექტონისტი და რეგიონალისტი. დღეს ის ქართული გეოლოგიის ავტორიტეტული მესვეური არის[1].

დადგა ისეთი დროც, როდესაც უკვე სადოქტორო დისერტაციებზე უნდა გვეფიქრა. საქართველოს გეოლოგიის მთლიანი შესწავლა დავგეგმე. ცალკე თემებად დავყავი და თანამშრომლებს დავურიგე, — ასე დაიწერა 9 სადოქტორო დისერტაცია და იმავე დროს საქართველოს გეოლოგიაც, თუმცა ცალკე მონოგრაფიების სახით. დღეს, 1962 წლის აგვისტოს, თბილისში 23 მინერალოგიურ და გეოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორია. სიკვდილი რომ არა, ეს რიცხვი 30-ზე მეტი იქნებოდა.

ამით იმის თქმა არ მინდა, რომ ყველა ჩემი მოწაფე იყო. გეოლოგ-პალეონტოლოგი ლ. დავითაშვილი, მაგალითად, ჩემი თაობის ადამიანია. მოსკოვში მუშაობდა აკადემიკოს არხანგელსკისთან და უკვე კარგად ცნობილი მეცნიერი იყო. თუმცა ზოგ რაშიმე ჩემი შეხედულებები მისას არ ეთანხმებოდა, ვარწმუნებდი, თბილისში გადმოსულიყო. თითქო დამეთანხმა კიდეც. ვითხოვე და მივიღე მისთვის ბინაც, მაგრამ აღარ ისურვა. ომმა რომ იფეთქა, თბილისში მოემწყვდა. გადავეცი პოლიტექნიკური ინსტიტუტის გეოლოგიური კათედრა და გეოლოგიურ ინსტიტუტშიც მოვიწვიე. მაგრამ ომის დასრულების შემდეგ ისევ წავიდა. ბოლოს დაბრუნდა მაინც და დღეს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი და პალეობიოლოგიური ინსტიტუტის დირექტორია[2].

ი. კაჭარავას შემდეგ ასპირანტი 12 წლის მანძილზე არც ერთი აღარ მყოლია. კათედრას შტატს არ აძლევდნენ (არც მე ვითხოვდი) და თავის შერჩეულ კანდიდატს კი არ მიგზავნიდნენ. იცოდნენ, არ მივიღებდი. სამწუხაროდ, იმ დროს ხშირი იყო, რომ საასპირანტო ახალგაზრდას კათედრებს ფაკულტეტის კომკავშირი ან პარტორგანიზაცია უგზავნიდა და კათედრებიც უსიტყვოდ ღებულობდნენ. გეოლოგიაში ასეთი რამ არ მომხდარა. ერთხელ იყო მხოლოდ, რომ სამთო ფაკულტეტის კომკავშირის დელეგაცია მოვიდა, მაგრამ რო-

---

1 გარდაიცვალა 1979 წელს (რედ.).
2 გარდაიცვალა 1977 წელს (რედ.).

გორც კი ლაპარაკი დაიწყეს, „ეგ თქვენი საქმე არ არის“-თქო, ვუთხარი და გავისტუმრე. რამდენადაც ვიცი, ხელმძღვანელი ამხანაგები ჩემს ასეთ ქცევას ცუდად არ უმზერდნენ.

სამაგიეროდ ასეთი პოზიცია დიდ პასუხისმგებლობას მავალებდა. მაქსიმალური მიუდგომლობა უნდა გამომეჩინა და, ვფიქრობ, შეგნებულად არც ოდეს მიღალატნია ამ გზისთვის. როდესაც 1936 წელს რამდენიმე საასპირანტო ადგილი მომცეს, სხვებთან ერთად შესაფერი კანდიდატები აღმოჩნდნენ პროფესორების დ. უზნაძის და შ. ნუცუბიძის ქალიშვილები. დიდ ხანს ვყოყმანობდი, შეიძლება მათმა ჩარიცხვამ ახალგაზრდობაზე ცუდი შთაბეჭდილება მოახდინოს მეთქი. მაგრამ მეორე მხრივ, ასეთი მოტივით მართებული საქმის არ გაკეთებაც ხომ აშკარად შეუწყნარებელი იქნებოდა. დავტოვე ასპირანტად ერთიც და მეორეც, ქ. ნუცუბიძე უსტიპენდიო ასპირანტად, რადგან ვფიქრობდი, მას უამისოდაც შეუძლია იოლად წასვლა-მეთქი. მოვიდა მამამისი და მითხრა, ხომ არ გეწყინება, რომ განათლების კომისარს (თუ მინისტრს, აღარ მახსოვს) სტიპენდია დავანიშვნინოო. მეც ვუპასუხე, მე ჩემი საქმე გავაკეთე და ახლა შენი ნებაა-თქო. დაუნიშნეს სტიპენდია ამასაც.

მ. უზნაძემ რომ ასპირანტურა დაამთავრა და კანდიდატის ხარისხი მოიპოვა პალეობოტანიკის დარგში, გეოლოგიურ ინსტიტუტში არ ჩამრიცხავს. მუშაობა ბოტანიკურ ინსტიტუტში დაიწყო. მხოლოდ მაშინ, როდესაც ამ ინსტიტუტმა მომმართა წინადადებით, რომ ჩემთან გადმომეყვანა და საშტატო ერთეულიც გადმომცა, ჩავრიცხე. ინსტიტუტისთვის უდავოდ საჭირო იყო.

ეგებ არანაკლებ საგულისხმო იყო მეორე შემთხვევა.

მოწაფეებზე კი ვხრუნავდი, რაც ჩემგან შესაძლებელი იყო, მაგრამ მიმდევარზე არასოდეს მიფიქრია. არც საამისო ატმოსფერო იყო. არ ყოფილა შემთხვევა, რომ მოწაფეს ჩემთვის რამე ქათინაური ვაებედოს ან თავისი კმაყოფილება ეთქვას. როგორღაც შეთანხმებული ვიყავით, რომ ერთ საქმეს ვემსახურებოდით და დანარჩენი თავისთავად ნათელი უნდა ყოფილიყო. კრიტიკა კანონი იყო და ყველამ იცოდა, რომ ეს ისევე შემეხება მე, როგორც მათ. კრიტიკა მოურიდებელი, მაგრამ ყოველთვის ამხანაგური. გეოლოგიური ინსტიტუტის კოლექტივი ამ მხრივ სანიმუშოდ ითვლებოდა. შემოგვნატროდნენ.

ახალგაზდების შერჩევისას ხშირად მაფრთხილებდნენ, ურჩია,

ამაყია, კოლექტივის წევრად არ გამოდგებაო. მე ასეთები განსაკუთრებით მაინტერესებდა. ვიცოდი, რომ სიამაყე (და არა ამპარტავნობა ან ყოყოჩობა) ნამდვილი დისციპლინის საფუძველია. ასეთი იყო, მაგალითად, მ. ჩხოტუა. მის შესახებ ბევრი მაფრთხილებდა, მაგრამ ყურადღება არ მიმიქცევია და არც მოვტყუვდი, არ მახსოვს მისგან რამე საწყენი. ძალდატანება არც იყო საჭირო. კმაროდა როგორმე ჩემი სურვილი ეგრძნო და თავს არ დაზოგავდა, რომ შეესრულებინა. სამწუხაროდ, ეს პერსპექტივიანი ახალგაზრდა მეცნიერი ომში დაიღუპა.

არაერთი შემთხვევა იყო, რომ ახალგაზრდამ ქართული არ იცოდა რიგიანად. არც ამას ვაქცევდი ყურადღებას. გაივლიდა ორიოდე წელიწადი და ამ ნაკლის კვალიც აღარ ჩანდა. არც შეიძლებოდა სხვაგვარად მომხდარიყო, რადგან ქართული ინსტიტუტის სამუშაო ენა იყო და არა სამკაული რამ ან პატრიოტიზმის ხარკი.

## მეცნიერული მუშაობა

ახლა ვიგონებ, რომ ყაზანში და განსაკუთრებით შემდეგ საფრანგეთში ერთგვარი პალეონტოლოგიურ-ლაბორატორიული მუშაობა კი ჩავატარე, მაგრამ ნამდვილი გეოლოგიური მუშაობა, საველე მუშაობა, ჩემთვის სრულიად უცნობი იყო. იმ პალეონტოლოგიურ მასალაში, რომელიც დავამუშავე და ავსწერე, ერთი ნიმუშიც კი ჩემი ნაპოვნი არ იყო. არცერთ საკვლევო ექსკურსიაში ხომ მონაწილეობა არ მიმეღო და სასწავლო პრაქტიკა წარმოდგენილიც არ მქონდა. მე გეოლოგია ხომ საერთოდ თითქმის არ მესწავლა და, ვინც სწავლობდა, საველე პრაქტიკა არც იმათ ჰქონდათ, არც რუსეთში და არც უცხოეთში. ერთხელ გავყევი მხოლოდ გრენობლში ყოფნისას სტუდენტების ექსკურსიას, რომელსაც კილიანი ხელმძღვანელობდა და ერთხელაც ვალტერთან ერთად კალიუმის მარილების საბადო დავათვალიერე საქსეთში. საქართველოს გეოლოგიაზე ხომ არავითარი წარმოდგენა არ მქონდა, არც უშუალო დაკვირვების და არც ლიტერატურული წყაროების მიხედვით. ერთი სიტყვა არ წამეკითხა.

მდგომარეობა თითქო უიმედო იყო, მაგრამ დრო იყო იმედიანი და მეც არავითარი ეჭვი არ მქონდა, რომ საკვლევო მუშაობის-

თვის მომზადებული ვიყავი. თანაც სწავლება და საკვლევო მუშაობა განუყოფელად მიმაჩნდა.

1923 წელშივე, როგორც კი გამოირკვა, რომ თბილისში შემოდგომამდე საქმე არაფერი მექნებოდა, დასასვენებლად ნიკორწმინდას წავედი. მოვიგონე ახალგაზრდობა. საღამოობით ავივლიდი ჩვენი ეზოს მომყოლ ყანებს, გადავივლიდი ლემანეურის წვერს, გადავადგებოდი რიონის ხეობას და ვტკბებოდი საირმის მთას უკან მზის ჩასვლის წარმტაცი სურათით. და აი ერთ საღამოს, ყანები რომ ავიარე და საურმე გზაზე გადავხტი, იქ ურმის თვლებით დაღარულ აპტურ მერგელებში ამონიტების ნამტვრევები შევამჩნიე. ეს იყო ჩემ მიერ ველზე ნაპოვნი პირველი ნამარხები. მეორე დღეს გეოლოგიური ჩაქუჩი და ზურგის ჩანთა, ორივე გერმანიაში შეძენილი, თან წამოვიღე და აქ ჩინებული პატარა კოლექცია დავაგროვე. იქვე დავინახე, რომ შიგ იყო ერთი ახალი და მეტად თავისებური ამონიტის გვარი, რომელიც თბილისს დაბრუნებულმა ფრანგულად ავსწერე უნივერსიტეტის მოამბეში. ამგვარად დაიბადა გვარი Colchidites, რომელიც დღეს ცნობილია არამარტო კავკასიაში, არამედ დასავლურ ევროპასა და ამერიკაშიც.

დავბრუნდი თბილისში. ეს ქალაქი ჩემთვის, როგორც გეოლოგისთვის, სრულიად უცნობი იყო; კერძოდ, ქალაქის გარეუბნები და ახლო მიდამოც კი. გადავწყვიტე დამევლო, არა როგორც გეოლოგს, არამედ როგორც მის მცხოვრებს. დავიარებოდი ფეხით, ზურგზე ჩანთით და ხელში ჩაქუჩით. ვარაზის ხევს რომ გავსცდებოდი, მერე სულ ტრიალი მინდვრები იყო: მხოლოდ უნივერსიტეტის შენობა და ყოფილი სემინარია. ამათ გარეშე მარტო აგურის ქარხნები და სამიოდე ერთბინიანი სახლი. მივდიოდი საითაც მომესურვებოდა. საბურთალოშიც მარტო შარაგზის გასწვრივ იყო ქოხმახები. დელისი — ქალაქს დაშორებული პაწია სოფელი იყო. ავყევი ვერეს ხეობას აწინდელ სასაფლაომდე.

ავედი კუს ტბაზე, შემდეგ ლისის ტბაზე, მოვიარე ლეღვთახევის ხეობა (სეიდ აბადი) და თელეთის ქედის გამოღმა, ავლაბარი და მლაშე ტბები (დღეს თბილისის ზღვა) მტკვარ-გაღმა... ამას მოჰყვა მტკვრის ხეობის განვითარებისა და ტერასების აწერა უნივერსიტეტის მოამბეში, იქვე ხეობის წატაცების მოვლენები. უფრო გვიან კუს ტბის და ვერეს ხეობის მეწყრული დაგუბების და ტბიური ნალექების წარმოშობის აღწერა საქართველოს მუზეუმის მოამბეში.

ყველა ამ საკითხებზე მოხსენებებს ვაკეთებდი გეოლოგიურ ინსტიტუტში.

და დღეს მინდა აღვნიშნო, რომ არავითარი კვლევა არ მიწარმოებია, დავსეირნობდი მხოლოდ. თანაც წყნეთშიაც კი არ ავსულვარ და იმავე დროს ისეთი რამეები შევამჩნიე, რაც გეოლოგებს სისტემატური მუშაობის პროცესში ვერ დაენახათ. ამის მიზეზი იყო ის, რომ, თუმცა არსებითად სპეციალისტი გეოლოგი არ ვიყავი, მაგრამ საფუძვლიანად გავეცანი პარიზში სტუდენტობის დროს დინამიურ გეოლოგიას ფიზიკური გეოგრაფიის სახით. დამუშავებული მქონდა ოგის, კაიზერის და დე-მარტონის კლასიკური სახელმძღვანელოები (სამწუხაროდ უმაღლესი სკოლის გეგმებში დღეს დინამიური გეოლოგია არსებითად უყურადღებოდაა დატოვებული, რასაც დიდი ზიანი მოაქვს). მეორე მხრივ. ამას ხელს უწყობდა ისიც, რომ მე ვიყავი არა რომელიმე დარგის სპეციალისტი, არამედ ნაკლულად, მაგრამ ფართოდ განათლებული გეოლოგი, რაც იმითაც აიხსნება რომ სხვადასხვა საგნის სწავლება მიხდებოდა. ეს მინდა ხაზგასმით აღვნიშნო იმათ საყურადღებოდ, ვისაც საკვლევო და პედაგოგიური მუშაობის შეთავსება არასასურველ მოვლენად მიაჩნია.

დიდი ინტერესით წაველ თელეთის ქედზე. იქ მინერალოგები და პეტროგრაფები რამდენიმე ათეულ (50-მდე) ვულკანს აღნიშნავდნენ, „სოღანლუღის ვულკანით“ დაწყებული. ზავარიცკისაც გაეზიარებინა მათი აზრი. მისვლისთანავე დავინახე, რომ არაფერი ვულკანის მსგავსი იქ არ იყო. კერძოდ, „სოღანლუღის ვულკანი“, სადაც დაუღალავ ა. თვალჭრელიძეს სისტემატურად დაჰყავდა სტუდენტები და საგულისხმო მინერალოგიური მასალაც დააგროვა, ვულკანური ზეწრის ნაფლეთს წარმოადგენს, ქვიშაქვაში გახვეულს. სხვაგან შეიძლება ნეკებიც იყოს.

ასევე გაუგებრობა აღმოჩნდა დიუბა-დე-მონპერეს მიერ აწერილი ქუთაისის ვულკანები.

ეს, ასე ვთქვათ, გართობა იყო. იმავე დროს ჩავები პრაქტიკულ მუშაობაშიც. მშენებლობის პათოსის ხანაში სხვაგვარად არც შეიძლებოდა მომხდარიყო. მიმიწვიეს როგორც კონსულტანტი რიცეულჰესის მშენებლობაზე, რომელსაც ინჟენერი ფირალიშვილი ხელმძღვანელობდა. საინჟინრო გეოლოგიასთან არავითარი კავშირი არ მქონდა, მაგრამ „ქოთნებს ღმერთთები არ აკეთებენ“. არხის ტრასაზე რომ გავიარე, ერთ ადგილს მივაქციე ყურადღება და ვთქვი, ეს

ადგილი სახიფათოა, დაიმეწყრება-მეთქი. ირონიულად გაიღიმეს — კლდე იყო. ორი თუ სამი დღით წესში წავედი. უკან რომ დავბრუნდი, მომავალი არხის ის ნაკვეთი მართლაც მოწყვეტილიყო. უნდა გენახათ, ახლა როგორ მიმზერდნენ, თითქო ჯადოქარი ვყოფილიყავი.

სტრატიგრაფიაში ხომ არასოდეს მემუშავა და აი, აქ მივაქციე ყურადღება. რომ ფორმაცია, რომელსაც არხი მიჰყვებოდა და რომელსაც გეოლოგები ასწერდნენ როგორც ვულკანურ ინტრუზივს, ნამდვილად ვულკანურ დანალექ წყებას წარმოადგენს. გამოვყავი კიდეც და, თუმცა ნამარხები არ მეპოვნა, ბაიოსურად დავათარიღე. აქედან მომდინარეობს ბაიოსური პორფირიტული წყება, რომელიც დღეს ასეთ დიდ როლს თამაშობს საქართველოს და ამიერკავკასიის გეოლოგიაში.

ისევ საინჟინერო გეოლოგიის საკითხებთან დაკავშირებით მიმიწვიეს სამგორის მშენებლობაზე. ამ საქმის დიდი პატრიოტი და მისი სულის ჩამდგმელი იყო ინჟინერი პ. მამრაძე, უაღრესად სიმპათიური ადამიანი და დაუღალავი ენთუზიასტი. აქ გავიცანი პირველად სამგორის ველი და იორის ხეობის მცირე ნაწილი. ამ დროს იყო, რომ რიონჰესის მშენებლობაზე, რომელთანაც მე კავშირი არ მქონდა, ცნობილი ავარია მოხდა. მოიწვიეს სპეციალისტების კომისია რუსეთიდან სავარენსკის მეთაურობით და კომისიაში შემიყვანეს მეც.

როგორც ცნობილია, მშენებლობის დროს არხის ერთი ნაკვეთი ჩამოიქცა, როგორც კი მივედით, დავინახე, რომ მიზეზი ძველი ცოცვითი მეწყერი იყო, მშვენივრად გამოხატული. გეოლოგ კონიუშევსკის ეს მეწყერი ძველ ნასხლეტად მიეღო და ამიტომ უყურადღებოდ დაეტოვებია. კონიუშევსკი და კომისიის ყველა წევრი ყალყზე შედგა: ამტკიცებდნენ, აქ არავითარი მეწყერი არ არისო. მხოლოდ მშენებლებისთვის გამოჯგა ჩემი არგუმენტაცია დამარწმუნებელი. გავიდა რამდენიმე წელიწადი და სავარენსკიმ ეს მეწყერი თავის საინჟინრო გეოლოგიის კურსში შეიტანა, როგორც ტიპიური. ასეთმა დაკვირვებებმა საშუალება მომცეს უფრო გვიან მეწყერების ბუნებისა (ცოცვითი, დენითი) და კლასიფიკაციის შესახებ სპეციალური ნაშრომი გამომექვეყნებინა.

უფრო მეტი მნიშვნელობა იქონია ჩემთვის ტყიბულის ქვანახშირის საკითხმა. ნახშირის საბადოების (ტყიბულში, გელათში, ქუ-

თაისთან) გეოლოგიის გაცნობას საერთოდ ოკრიბის გეოლოგიის შესწავლა დავუკავშირე და. თუმცა დროის მხრივ ძლიერ შეზღუ-დული ვიყავ, მაინც მოხერხდა ამ მრავალგზის შესწავლილი მხარის ერთხელ კიდევ აწერა. სტატიგრაფიული და ტექტონიკური საკითხე-ბის გარკვევის გვერდით საშუალება მომეცა ოროგენეტური ფაზი-სების თეორია ამეგო ახალ საფუძველზე.

ძმუისის ოზოკერიტის საბადოს გამოკვლევას მოჰყვა ბაჯის ას-ფალტის საბადოს გაცნობა. სწორედ ბაჯში ყოფნით ვისარგებლე და წაველ ასკის ხეობის სანახავად. იქ არასოდეს ვყოფილვარ და ბ. მე-ფერტი ბრალსა მდებდა, იქაური გეოლოგია ვერ გაიგოო. თვითონ კი აღწერდა ვრცელ შემოცოცებას სამხრეთისაკენ. საკმაოდ შორს იყო. მხოლოდ მისვლა-მოსვლა მოვასწარი, მაგრამ ეს საკმაო აღმოჩნდა, რათა კიდური დანაოჭების იდეას ჩაჰყროდა საფუძველი.

სულ სხვაგვარი ხასიათი მიიღო ჩემმა მუშაობამ ნატახტარში. ნატახტარის წყაროების საკითხი რევოლუციის ადრინდელი იყო. ქა-ლაქის გამგეობას დაეწყო მათი გამოკვლევა და ამ კვლევაში მონა-წილეობას ღებულობდა, როგორც ქიმიკოსი, ვინმე ფარმაცევტი ალი-ბეგოვი. როგორც დაკვირვებულ ადამიანს, მას ყურადღება მიექცია ჰიდროგეოლოგიური პირობებისათვისაც და მისულიყო სრულიად მართებულ დასკვნამდე, რომ ეს წყაროები არაგვის ინფილტრატს წარმოადგენენ. სპეციალისტებს ეს აზრი სასაცილოდ არ ყოფნიდათ და ქალაქის მამები ხომ აღშფოთებული იყვნენ. რადგან ისინი ქა-ლაქისთვის „ნამდვილ“ წყაროებს ეძებდნენ და ალიბეგოვის მოსაზ-რებები, მათი გაგებით, პროექტის ჩაშლას უდრიდა. ვერ წარმოედ-გინათ, რომ შორეული ინფილტრატი იგივე წყარო არის.

ომის გამო შეწყვეტილი ეს მუშაობა ახლა ქალაქის საბჭოს გა-ნეახლებინა. საკვლევო მუშაობას სათავეში ედგა ინჟენერი, პოლი-ტექნიკური ფაკულტეტის პროფესორი დ-ძე. მის შესახებ, არ მაგო-ნდება, რასთან დაკავშირებით, — ერთხელ ივანე ჯავახიშვილმა მი-თხრა: „ბატონო, მე მას კარგად ვიცნობ, სკოლაში ერთად ვსწავლო-ბდით, ვერ წარმომიდგენია მისი პროფესორობაო“.

ეს პროფესორი და მისი ჯგუფი სთვლიდნენ, რომ მათ დაამტკი-ცეს ალიბეგოვის შეხედულების სრული უსაფუძვლობა და ახლა მოესურვებიათ, როგორც ამ დამსახურების კიდევ ერთი დადასტუ-რება, გეოლოგის სათანადო დასკვნა. დ-ძე მოვიდა ჩემთან და წინა-დადება მომცა სათანადო მუშაობა ჩამეტარებინა. ისე ლაპარაკობ-

და, თითქო მისი მამოძრავებელი ერთადერთი სტიმული ჩემი, როგორც ქართველი გეოლოგის, წამოწევა ყოფილიყო. თანაც სიტყვას არ იტყოდა, რომ სამშობლო არ დაერთო.

საკითხი მიმზიდველი იყო. თანაც ჰიდროგეოლოგიაში არასოდეს მემუშავა, ამიტომ დავთანხმდი. მასალის გაცნობა და წყაროების ერთი დათვალიერება საკმაო აღმოჩნდა დავრწმუნებულიყავ, რომ ალიბეგოვი მართალი იყო. მოვიარე მოტოციკლით რაიონი და დავწერე მოხსენება გეოლოგიური რუკით და სხვა აქსესუარით. როდესაც დ-ძე ჩემთან მოვიდა და დასკვნა გავაცანი, არაფრად ეამა, მაგრამ მითხრა, მომეცი ხელნაწერი, გადავაბეჭდვინებ და სათანადო კომიტეტს მოვახსენებო. მივეცი.

ეს იყო და ეს. გავიდა ნახევარ წელიწადზე მეტი და არც დ-ძე, არც მოხსენება აღარ ჩანდნენ. ამასობაში მრავალრიცხოვანმა შურფებმა ჩემი მოსაზრებები თვალნათლივ დაადასტურა. დ-ძეს ჩემი მოსაზრებები, საცა საჭირო იყო, თავისად მოეხსენებია და მოსკოვიდან მოწვეული ექსპერტებისათვისაც ეთქვა, ჯანელიძე ვერაფერს გვეხმარებაო. მე ეს შემთხვევით გავიგე, მაგრამ ვერაფერი მეთქვა: ჩემი მასალა მთლიანად მის ხელში იყო და საბუთი ამისა არავითარი. მხოლოდ შემდეგ დამიბრუნა მოხსენება. აღარც მიმიქცევია ყურადღება. ვფიქრობდი, მისთვის ყოფნა-არყოფნის საკითხია და ჩემთვის რა მნიშვნელობა აქვს-თქო. მხოლოდ საჯარო მოხსენებები გავაკეთე გეოლოგიურ ინსტიტუტში. მოხსენებაც არ გამომიქვეყნებია: მაშინ საშუალება არ იყო და შემდეგ აქტუალობა დაკარგა. მხოლოდ ერთი საკანდიდატო დისერტაცია დაიწერა მის საფუძველზე. რაც შეეხება დ-ძეს, თუ სადმე სხდომაზე გამოვჩნდებოდი, ის უეჭველად მიიმალებოდა.

მაინც ამ შემთხვევამ ჰიდროგეოლოგიას დამაახლოვა. მას მოჰყვა თბილისის მინერალური წყლები, წყალტუბო, ბორჯომი და სხვა. წყალტუბომ მიმიყვანა ნიადაგის წყლის დონეს ქვევით კარსტის განვითარების იდეამდე. ბორჯომის შესახებ წერილები ახლაც გამოუქვეყნებელი მიწყვია. ამ სამუშაოებში ვმონაწილეობდი როგორც კურორტოლოგიის ინსტიტუტის კონსულტანტი.

ვმუშაობდი საზაფხულო შვებულების პერიოდში, — ეს იყო ჩემთვის საუკეთესო დასვენება. სამწუხაროდ, ასეთი დასვენება ყოველწლიურად არ ხერხდებოდა, ხან ლენინგრადში ვიყავი ხან სხვა საქმეები მაკავებდა. როდესაც მოხერხდებოდა ხოლმე, მაშინაც მეტ

შემთხვევაში მხოლოდ ერთი თვით. სამაგიეროდ ერთი დღე არ ცდებოდა. მე და ჩემი ახალგაზრდა თანამშრომლები ერთმანეთს ვეცილებოდით. დღე ხომ ველზე ვიყავით და საღამოს შინ დაბრუნებულნი, სხვა საქმეს რომ მოვრჩებოდით, შემოვუსხდებოდით მაგიდას და იწყებოდა ბაასი დღის განმავლობაში ნახულის შესახებ. ნამდვილი სემინარი იყო და ყველა ნამდვილი მონაწილე. აი აქ ვეცნობოდი ხალხს.

თითქო შევალამაზე ჩემი წარსული, მაგრამ ახლა რომ გასულ წლებს თვალს ვავლებ, ნათლად ვხედავ, რომ ეს არ არის ნამდვილი მეცნიერის წარსული. ჯერ ხომ გეოლოგისთვის საველე მუშაობა მეტია საჭირო და თვით მუშაობაც სხვაგვარი უნდა ყოფილიყო. სადაც კი მივსულვარ, ყველგან რამე მეტად თუ ნაკლებად ორიგინალური და ახალი შემიმჩნევია, მაგრამ ეს იყო მხოლოდ დანახვა (მოვიგონოთ თუნდაც კიდური ნაოჭის შემთხვევა), რომელსაც ხანგრძლივი მუშაობა უნდა მოჰყოლოდა, და ეს კი არსად ჩანს. ისეთი იდეები, როგორც მტკვრის ტერასები და მტკვრის ხეობის განვითრება, ვერის ხეობის მარჯვენა ნაპირის გრანდიოზული ცოცვითი მეწყერი და ვერის ძველი ტბის წარმოშობა, ნიადაგის წყალ-ქვეშე კარსტი, კიდური დანაოჭება, ოროგენეტური ფაზისების თეორია, მთათაშუა ბელტები, კავკასიონის გარდი-გარდმო აზევება და სხვა, თითოეული მნიშვნელოვანი კვლევის და დიდი მონოგრაფიის საგანი უნდა გამხდარიყო. იგივე ითქმის Colchidites-ზე, ბაიოსურზე, ფერად წყებაზე და მის ტრანსგრესიულ განლაგებაზე (რეგრესიული წყების ტრანსგრესიული განლაგება) და სხვა ასეთებზე.

და კაცმა რომ მიზეზის ძებნა დაიწყოს, პირველი მონაფიქრი იქნება სიზარმაცე. სამწუხაროდ მოსაზრება სამართლიანია, მაგრამ გარკვეული გაგებით მხოლოდ. რომ ვსთქვა, შრომა მეზარებოდა ან არ მეხერხებოდა-მეთქი, ეს აშკარა ცილისწამება იქნებოდა. მე ყოველთვის სიამოვნებით ვმუშაობდი, მაგრამ საქმეც ის არის, რომ მუშაობა სასიამოვნო უნდა ყოფილიყო. ჩემი ცხოვრება ისე მოეწყო რომ ბავშვობიდანვე არასოდეს ძალდატანებით არ მიმუშავია, არასოდეს ჩემთვის არამიმზიდველი საქმე არ მიკეთებია და არც ძალღონის დაძაბვა დამჭირვებია. არ მახსოვს არც ერთი შემთხვევა, რომ ძილი გამეტეხოს და რვასაათიანი ნორმისთვის დღეღამეში რამე დამეკლოს, არ მახსოვს, რომ დღეღამეში თერთმეტ საათზე მეტი მემუშაოს თუნდ ერთხელ, არ მახსოვს, რომ სავალდებულო მუშა-

ობის გამო გართობაზე ხელი ამეღოს. და მუშაობაც ჩემთვის გართობა იყო, ძლიერ სასიამოვნო გართობა.

არც ის ითქმის, რომ ზოგ მოშაირესავით „გრძელი“ მუშაობა არ მეხერხებოდეს. 11 საათი დღეღამეში თვეები მიმუშავია სისტემატურად (ყაზანში, გრენობლში, ლენინგრადში), თუმცა თბილისში ასეთი რამ შეუძლებელი იყო ჩემთვის. რაც შეეხება 18 საათის მუშაობას დღე-ღამეში, როგორც ზოგის შესახებ ამბობენ და წერენ, ასეთი პრეტენზია არასოდეს მქონია. არც ის იქნება სწორი, რომ ვთქვა, დეტალების პუნქტუალური ჩხრეკა არ შემიძლია-მეთქი: ჩემი პალეონტოლოგიური შრომები ამის საკმაო საბუთს იძლევიან, მაგრამ ამ პუნქტუალობის წყარო იყო არა გატაცება, არამედ კეთილსინდისიერება. უბედურება ის არის, რომ ასეთ რამეებს ჩემდა უნებურად მსუბუქად ვუმზერ, ერთგვარი ფრანგული სკეპსისით.

მეხსიერება მეცნიერული მუშაობის ერთ-ერთი მთავარი დასაყრდენია. ზოგადი მეხსიერება ცუდი არა მაქვს, მაგრამ კერძოობითი მეხსიერება ყოველთვის მეტად სუსტი მქონდა, განსაკუთრებით საკუთარი სახელების. მოხდებოდა, რომ წიგნს ვკითხულობდი და ავტორის გვარი რომ გეკითხათ, ვერ გეტყოდით. მაგონდება ამ მხრივ ე. ოგი, მისი მეხსიერება მოჭადრაკე ალიოხინისას არ ჩამოუვარდებოდა. როგორღაც იურული თუ ცარცული ამონიტების რომელიღაც სახეობაზე ველაპარაკებოდი. „მოიცა, მოიცაო“, მითხრა, „ეგ ფორმა ამადაამ ავტორს უნდა ჰქონდეს აწერილიო. წამოდი, გაჩვენებო“. უზარმაზარ მუზეუმში მივიდა პირდაპირ საჭირო კარადასთან, გამოსწია საჭირო უჯრა და მიჩვენა ნიმუში.

სუსტი მეხსიერება დიდი უბედურებაა, მაგრამ მასაც მოევლება, — ქაღალდი ხომ თითქმის არაფერს დაიკიწყებს, საჭიროა მხოლოდ შესაფერი და კარგად ცნობილი ხერხების გამოყენება. ჩემთვის ეს არავის უსწავლებია და როდესაც საკუთარი გამოცდილებით მიველ ამ დასკვნამდე, უკვე გვიან იყო, შესაფერი ჩვეები არ მქონდა. შევადგინე კარტოთეკა, ერთხანს კარგადაც ვაწარმოებდი მას, მაგრამ მალე მივატოვე, როგორც ჩვეულებრივ მემართება ხოლმე. შემდეგ მხოლოდ მოწაფეებს ვაძლევდი ჩემთვის უფრო საჭირო ამ რჩევას.

მთავარი მაინც ისაა, რომ ნამდვილი მეცნიერული მუშაობა გულისხმობს სიყვარულს და გატაცებას და მე მეცნიერება თავისთავად აროდეს მყვარებია. არ მქონია მეცნიერული სახელის მოხვეჭის

სურვილი, მეცნიერული კარიერისაკენ მისწრაფება. მეცნიერული კარიერა — ეს სიტყვები შინაგან სმენას უეჭველად ეხამუშება, მაგრამ გარკვეულ ფარგლებში მეცნიერული ეგოიზმი პრაქტიკულად გამართლებულია და ეგებ აუცილებელიც.

ან როგორ უნდა მყვარებოდა მეცნიერული მუშაობა, როდესაც უკვე 30 წლისა ვიყავი, ასეთი რამ რომ შემომთავაზეს. დიდი მნიშვნელობა ჰქონდა იმასაც რომ სწავლის დროსაც და მერმეც თბილისში მოკლებული ვიყავ მეცნიერულ გარემოს, მეცნიერული ინტერესებისა და ძიებათა ატმოსფეროს გავლენას.

არც გეოლოგიის არჩევანი იყო ჩემზე მორგებული. ინტელექტუალური ტიპის მიხედვით უნდა ვყოფილიყავ უფრო მათემატიკოსი ან ფიზიკოსი. აღწერითი მეცნიერება ჩემი საქმე არ იყო.

ასეა თუ ისე, დღეს არაფერს ვნანობ, თუ მეცნიერება არა, სხვა რამ მიყვარდა და იმ სიყვარულში მეცნიერებისთვისაც საკმაო ადგილი იყო.

## გეოლოგიური ინსტიტუტი

ორი ფაკულტეტის გეოლოგიისა და პალეონტოლოგიის კათედრა ორი კაცისაგან შემდგარი — ეს უკვე ხუმრობას ჰგავდა. მაგრამ იმ საკვირველ დროში ასეთი აზრი ფიქრად არავის მოუვიდოდა და ფიქრად არ მომსვლია არც მე. გეოლოგიურ მუშაობას ვიწყებდი მხოლოდ, ვიწყებდი ხელმძღვანელისა და დაკანონებული ტრადიციების გარეშე და ბუნებრივად მორიდება და შიში უნდა მეგრძნო. მით უმეტეს, რომ ყოველთვის თავდაჭერილი და ფრთხილი ვიყავი. მაგრამ ასეთი არაფერი მაგონდება, პირიქით, თავიდანვე თავისთავად ცხადად მიმაჩნდა, რომ უნივერსიტეტის კათედრა არ შეიძლება სასწაელო დაწესებულება იყოს მხოლოდ. იგი საკვლევო დაწესებულებადაც უნდა იქცეს აუცილებლად და ეს საჭიროა იმისთვისაც, რომ სწავლება უმაღლესი სასწავლებლის შესატყვისი იყოს. თვალწინ მედგა გრენობლის და ჰალეს მაგალითი — გეოლოგიურ ინსტიტუტზე ვფიქრობდი.

მაგრამ გრენობლში ხომ ლორი იყო და შემდეგ კილიანი, ჰალეში — ვალტერი. არც ეს მავიწყდებოდა, მაგრამ ამის გამო დაეჭვება ფიქრად არ გამივლია. იმიტომ კი არა. რომ თავის მოიმე-

დე ვიყავ, — მეც, როგორც ყველას გარშემო, გულით მჯეროდა, რომ ქართველი ხალხის კულტურულ პოტენციალს ყველაფერი შეეძლო. მაინც რა შესაძლებლობის გამოყენებაზე შეიძლებოდა ლაპარაკი იმ დროს თბილისში? მინერალოგი ა. თვალჭრელიძე, პეტროგრაფი გ. სმირნოვი, გეოლოგი ნ. ყიფიანი — ეს იყო ყველაფერი. მით უფრო აღსანიშნავია, რომ 1924 წელს შემოგვემატა კიდევ ერთი, ინჟინერ-გეოლოგი კ. გაბუნია.

კ. გაბუნიას და ი. რუხაძის გამოჩენამ გეოლოგიის ქართული ფრონტი გააძლიერა (თვალჭრელიძემ და სმირნოვმა ქართული არ იცოდნენ, ან ძალზე სუსტად). მაგრამ მთავარი მაინც, რასაკვირველია, სხვა იყო.

კულტურული მშენებლობის ენთუზიაზმი მხოლოდ კერძო გამოხატულება იყო ახალი საზოგადოების მშენებლობის იმ არნახული პათოსისა, რომელიც რევოლუციას მოჰყვა. განსაკუთრებული აქტივობა იყო გამეფებული სახალხო მეურნეობის დარგში. პირველი მსოფლიო ომინა და მისი მომყოლი სამოქალაქო ომის მანძილზე მეტად თუ ნაკლებად მოდუნებული და ზოგ შემთხვევაში მთლიანად მოშლილი მრეწველობის აღდგენა და ახალი დარგების განვითარება — ასეთი იყო გრანდიოზული ამოცანა. განსაკუთრებული ყურადღება ექცეოდა ელექტრიფიკაციას.

ის ხანა ნეპ-ის (ახალი ეკონომიური პოლიტიკის) ხანა იყო. ჯერ კიდევ შესაძლებელი ჩანდა უცხო კაპიტალის მონაწილეობა ამ საქმეში (ჭიათურაში ჰარიმანის ჯგუფი საქმიანობდა). მაგრამ ისიც ცხადი იყო, რომ საწარმოო ძალების ნაციონალიზაციის პირობებში გადამწყვეტი როლი სახელმწიფოს უნდა ეკისრა. ამით განისაზღვრებოდა სმუს-ის (სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს) მუშაობის ხასიათი და მნიშვნელობა.

სმუს-იც დიდ თაოსნობას იჩენდა. ჭიათურა, ტყიბული, ტყვარჩელი და სხვა, ასეთი იყო მისი რჩეული ობიექტები სამთო მრეწველობის სფეროში. მეორე მხრივ, ზაჰესის მშენებლობა დასასრულს უახლოვდებოდა, რიონჰესის პროექტზე უკვე მუშაობდნენ, დაწყებული იყო ნატახტარის წყაროების კვლევა. ყველაფერი ეს საკუთარი ძალებით უნდა გაკეთებულიყო და ყველა გეოლოგის მონაწილეობას მოითხოვდა. დღის წესრიგში იყო სამგორის პრობლემაც.

თბილისში ჩამოსვლისთანვე მიმიწვიეს რიცეულჰესის მშენებლობაზე, მერე ნატახტარში, ტყიბულში, სამგორზე და ა. შ. მაგ-

რამ ჩემი შრომა არ კმაროდა. სმუს-ს გეოლოგიური დაწესებულება ეჭირვებოდა და ასეთი რამ თბილისში იმ დროს არაფერი იყო. კავკასიის სამთო სამმართველო, რომელიც სხვადასხვა სახელით XIX საუკუნის მიწურულიდან მუშაობდა ჩვენში, უკვე დაშლილი იყო. იქიდან მხოლოდ ერთი კაცი, გეოლოგი ლ. კონიუშევსკი დარჩენილიყო და ისიც ახლა ლენინგრადის გეოლოგიური კომიტეტის წარმომადგენლად ითვლებოდა ამიერკავკასიაში.

კავკასიის გეოლოგიის ნაყოფიერი კვლევა, რომელსაც თითქმის ნახევარი საუკუნის მანძილზე კავკასიის სამთო სამმართველოს გეოლოგიური განყოფილება აწარმოებდა, მთლიანად შეწყვეტილი იყო. სამაგიეროდ ლენინგრადის კომიტეტს, რომლის მუშაობის სფეროში რევოლუციამდე კავკასია არ შედიოდა, ახლა სპეციალური კავკასიის სექცია გამოეყო და 1923 წლიდან ამ ტერიტორიის სისტემატურ აგეგმვას შეუდგა 1:50000-იანი გეოლოგიური რუკის (უფრო ზუსტად 1:42000) საფუძველზე. სმუს-იც ამ დაწესებულებაზედ უნდა ყოფილიყო დამოკიდებული, თუ სხვა დასაყრდენი არ ექნებოდა.

როგორც უკვე აღვნიშნე, სმუს-ის თავმჯდომარე კ. მოდებაძე იყო და მასთანვე მუშაობდნენ სამთო ინჟინრები გ. წულუკიძე (შემდეგ საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი) და ი. ყიფშიძე. აი ამ წრეში იპოვა ნიადაგი საქართველოში საკვლევო გეოლოგიური დაწესებულების შექმნის აზრმა.

სმუს-ის განზრახვა ჩემსას მთლიანად არ ემთხვეოდა, მაგრამ ძლიერ ახლოს კი იყო მასთან. როდესაც მოსალაპარაკებლად მიმიწვიეს, ვუთხარი, რომ საკვლევო გეოლოგიური დაწესებულების შექმნა. ჩემის აზრით, დროული იყო და აუცილებელი. ეს დაწესებულება ქართული უნდა ყოფილიყო. ამიტომ საჭირო იყო მისი უნივერსიტეტთან დაკავშირება. ამიერკავკასიის ფედერაციის პირობებში ეს უზრუნველყოფდა მის ქართულობას, რაც შეეხება მიზანს. ეს იქნებოდა არამარტო გეოლოგიური კვლევა, არამედ მაღალხარისხოვანი გეოლოგიური კადრების მომზადებაც. სმუს-ისათვის სპეციალური გეოლოგიური სამსახურის შექმნა შემდეგი ამოცანა იქნებოდა.

უყოყმანოდ დამეთანხმნენ. გაიზიარეს ის აზრიც, რომ მომავალი დაწესებულება განათლების კომისარიატს უნდა დაქვემდებარებოდა და არა სმუს-ს. ეს საჭიროდ მიმაჩნდა იმისათვის, რომ უმაღლეს

სკოლასთან და ქართულ მეცნიერებასთან უფრო მჭიდრო კავშირი გვქონოდა. დაწესებულებას ინსტიტუტი ერქმეოდა და, როგორც ბაზა. გეოლოგია-პალეონტოლოგიისა და მინერალოგია-პეტროლოგიის კათედრები იქნებოდა გამოყენებული.

1925 წლის გაზაფხულზე მოწვეულ იქნა თათბირი საკითხის ოფიციალურად დასასმელად. ესწრებოდნენ სმუს-იდან: კ. მოდებაძე, გ. წულუკიძე და ი. ყიფშიძე; განათლების კომისარიატიდან: კომისარი დ. კანდელაკი, უნივერსიტეტიდან რექტორი ი. ჯავახიშვილი, პრორექტორი კ. კეკელიძე და გეოლოგები ა. თვალჭრელიძე, ნ. ყიფიანი, კ. გაბუნია და მე. მოხსენება გ. წულუკიძეს ჰქონდა დავალებული. შემდეგ ვილაპარაკე მეც. გეოლოგების აზრი ყველასი ერთი იყო და თითქო საქმე კარგად მიდიოდა, მაგრამ სიტყვა მოითხოვა დ. კანდელაკმა. მან აღნიშნა, რომ ინსტიტუტი თავისთავად კარგი საქმეა, მაგრამ ამჟამად ეს ნაადრევია და ვერც ამისთვის საჭირო თანხებს მიიღებს კომისარიატი. ჩამოვარდა უხერხული სიჩუმე, რომელიც თავმჯდომარემ კ. მოდებაძემ დაარღვია. მან მკვახედ უპასუხა კანდელაკს და თქვა: ინსტიტუტი, რაკი საჭიროა, კიდეც უნდა დაარსდეს, ხოლო რაც შეეხება თანხებს, ამის გადამწყვეტი თქვენ არა ხართ. გარდა ამისა, მომავალ დაწესებულებას სმუს-იც დაეხმარებაო. კანდელაკს ხმა აღარ ამოუღია და გადაწყდა საკითხის დასმა მთავრობის წინაშე. მთელი ამ სხდომის განმავლობაში რექტორს და პრორექტორს ერთი სიტყვა არ უთქვამს: ახალი და უცნობი საქმე იყო.

შედგენილ იქნა ინსტიტუტის სტრუქტურის პროექტი და განათლების კომისარიატმა იგი სათანადო ხარჯთაღრიცხვასთან ერთად შეიტანა ამიერკავკასიის მთავრობაში დასამტკიცებლად. გავიდა ერთი ხანი და სასწავლო წლის ბოლო იქნებოდა, რომ ერთ დღეს რუსთაველის პროსპექტზე მიმავალს დ. კანდელაკის მანქანა გამისწორდა. მანქანა გაჩერდა და კანდელაკი ჩემსკენ წამოვიდა. მეც შევჩერდი. მოვიდა, მითხრა: „ესაა ამიერკავკასიის ფინანსთა სამინისტროდან მოვდივარ. გეოლოგიური ინსტიტუტი გეგმიდან ამოიღესო“.

ყველაფერი ნათელი იყო. ნათელი იყო ისიც, რომ საკითხი საბოლოოდ გადაწყვეტილად უნდა ჩამეთვალა, რადგან ამიერკავკასიის მთავრობაში მისვლა და ვისიმე შეწუხება ფიქრადაც არ მომდიოდა, წაველ რაჭაში დასასვენებლად და ველზე სამუშაოდ. და რომ

დავბრუნდი სექტემბრისათვის, მოულოდნელი ამბავი დამხვდა. ზაფხულზე რაღაც საკითხის გამო ა. თვალჭრელიძე საქართველოს და ამიერკავკასიის ბოლშევიკების მეთაურთან ს. ორჯონიკიძესთან მისულიყო. საუბარში, როგორც არგუმენტი, ესეც მოეხსენებია: „აი, გეოლოგი ჯანელიძე დაბრუნდა უცხოეთიდან. გეოლოგიური ინსტიტუტის შექმნა უნდოდა და უარი უთხრესო“. სერგოს მაშინ არაფერი უპასუხია, მაგრამ უშუალოდ შემდეგ მითითება მიუცია, გეოლოგიური ინსტიტუტის საკითხს სათანადო მსვლელობა მიეცითო. ინსტიტუტის დაარსება გადაწყვეტილი საქმე იყო. როგორ მოხდა ეს, არ ვიცოდი და არც დღეს ვიცი დანამდვილებით. სერგო ორჯონიკიძისათვის ჩემი არსებობა თითქო სრულიად უცნობი უნდა ყოფილიყო. მას მხოლოდ ერთხელ შევხვდი ბევრად უფრო გვიან, 1936 წელს, კრემლში, როგორც საქართველოს დელეგაციის წევრი. ამიტომ შეიძლება სწორი იყოს მოსაზრება, რომელიც როგორღაც დ. უზნაძემ გამიზიარა: „როდესაც 1923 წლის ზაფხულში გერმანიაში ჩაველ, იქ შემთხვევით გავიგე, რომ ინჟინერი მ. ყ., იმ თათბირის მონაწილე, რომელიც ქართველი ემიგრანტების ერთმა ჯგუფმა ჩაატარა ბერლინში და სიტყვით შენც გამოხველ, დაკავშირებული ყოფილა საბჭოთა კავშირის ბერლინის წარმომადგენლობასთან. მას იქ მიეტანა თათბირისა და შენი გამოსვლის ამბავი. ხმაც გავრცელებულიყო, ჯანელიძე ბოლშევიკიაო. იმავე ხანებში ბერლინს ჩამოსული ს. ორჯონიკიძე, სხვათაშორის, დიდი ინტერესით კრებდა ცნობებს უცხოეთში მყოფი ქართველების შესახებ. ცხადია, რომ წარმომადგენლობაში შენს შესახებაც გადასცემდნენ იმ პირის ნაამბობსო“.

ყოველშემთხვევაში, საქმე სწრაფად წავიდა წინ და იმავე წლის დეკემბერში ინსტიტუტი დაარსდა „საქართველოს გეოლოგიური ინსტიტუტის“ სახელით. ესეც დამახასიათებელი იყო: იმ დროს ყველაფერი ასეთი მასშტაბით იგულისხმებოდა. დირექტორად მე დამნიშნეს.

დაარსდა ინსტიტუტი, მაგრამ ახირებული დაწესებულება კი იყო, არც დირექტორს, არც თანამშრომლებს ხელფასი არ ჰქონდათ. ხელფასიანი მხოლოდ მდივანი, ბიბლიოთეკარი და ერთი დარაჯი გვყავდა. ყოველწლიურად კომისარიატის ბუხჰალტერთან დავა მქონდა: „რა ხარჯთაღრიცხვა, რის ხარჯთაღრიცხვა? ეს რა დაწესებულებაა, რომ დირექტორსაც კი ხელფასი არა აქვსო“. ასეთი წინადადება

კი ჩვენგანვე იყო. მთელი წლიური ბიუჯეტი ოთხიოდე ათას მანეთს არ აღემატებოდა. მართალია, ეს იყო სრულფასიანი მანეთები. იმ სამი პირის ხელფასის გარდა გვრჩებოდა ცოტა რამ წიგნების შესაძენად. ამ მხრივ განსაკუთრებული სამსახური გაგვიწია სმუს-ის ერთდროულმა დახმარებამ 20 000 მანეთის სახით. თითქმის მთელი ეს თანხა უცხოეთიდან ლიტერატურის გამოსაწერად გამოვიყენე.

საველე მუშაობისათვის არცერთი კაპიკი. იმ ოცი ათასიდან ძნელად მცირე თანხა მივეცი თემაზე მუშაობისთვის ნ. ყიფიანს, რომელიც საქართველოს მუზეუმის დირექტორი აღარ იყო. დანარჩენებს საველე მუშაობა გვიხდებოდა მხოლოდ სამეურნეო ორგანიზაციების უშუალო დაკვეთით. მე წინადადება გამოვთქვი. რომ ამგვარად მიღებული ჩვენი ხელფასის 15% ინსტიტუტის სალაროში შეგვეტანა, და ერთხანს ვასრულებდი კიდეც ამას. ერთდროული დახმარება ერთხელ კიდევ მივიღეთ 12000 მანეთის რაოდენობით. ახლა უკვე ინდუსტრიული ინსტიტუტიდან, და ამ თანხით მუზეუმის ავეჯი გავაკეთებინე. არც სმუს-ათვის, არც ინდუსტრიულ ინსტიტუტისთვის მე ერთი სიტყვითაც არაფერი მითხოვია. ხედავდნენ, ჩვენს მუშაობას და დაგვეხმარნენ. ცხადია, რამდენად მეტი გაკეთდებოდა, მე რომ სათანადო ენერგია გამომეჩინა. მუზეუმშიც მასალა ჩვენი პირადი მუშაობის შედეგად შემოდიოდა.

ამგვარად. ინსტიტუტი უფრო ნებაყოფლობით საზოგადოებას წარმოადგენდა. საბჭოში, გარდა ჩამოთვლილი გეოლოგებისა, შედიოდნენ გ. წულუკიძე, თ. ყიფშიძე და პროფესორი ა. ბენაშვილი (უნივერსიტეტის წარმომადგენელი). მუშაობა ძირითადად სისტემატურ საჯარო მოხსენებებში გამოიხატებოდა. მომხსენებელი მეტწილად მე ვიყავი, ხოლო მსმენელები მცირერიცხოვანი გეოლოგები და ახალგაზრდობა, არსებითად პოლიტექნიკური ფაკულტეტის (შემდეგ ინსტიტუტის) მსმენელები.

კაცს უნდა ენახა საერთო ენთუზიაზმი. დამლაგებლებიც კი არა გვყავდა, მაგრამ ხალათს რომ გადავიცვამდი და ცოცხს ავიღებდი ხელში, შემომესეოდა ახალგაზრდობა და ორ წუთში საქმე გაკეთებული იყო.

ვამომცემლობა ინსტიტუტს არ ჰქონდა. წერილებს უნივერსიტეტის ან საქართველოს მუზეუმის მოამბეში ვბეჭდავდი. გეოლოგიური ინსტიტუტის შრომების პირველი ტომი მხოლოდ 1932 წელს გამოვიდა.

უნივერსიტეტის ხელმძღვანელობისთვის გეოლოგიური ინსტიტუტის არსებობა, ასე ვთქვათ, უცნობი იყო. კიდევ მეტი, თვით გეოლოგიისა და პალეონტოლოგიის კათედრას, თუ თანამშრომლების ხელფასს არ მივიღებთ მხედველობაში, ინსტიტუტი ინახავდა. ი. ჯავახიშვილის შემდეგ რექტორები (და დეკანებიც) თითქმის ყოველწლივ იცვლებოდნენ, მაგრამ არცერთ მათგანს არც კი შევხვედრივარ უნივერსიტეტის საბჭოს სხდომის გარეშე. სამაგიეროდ, როდესაც ერთხელ ამიერკავკასიის საგეგმო კომისიაში მომიხდა შესვლა, არ მახსოვს რისთვის, თავმჯდომარემ მოულოდნელად წინადადებით მომმართა, შენც და შენი ინსტიტუტიც ჩვენთან, ე. ი. ამიერკავკასიის სტრუქტურაში, გადმოდით, ბინასაც კარგს გიშოვით და თანხებითაც უზრუნველყოფილი იქნებითო. გადაჭრილი უარი ვუთხარი, — ქართულ უმაღლეს სკოლასთან კავშირი აუცილებლად მიმაჩნდა.

ასე გაგრძელდა რიგი წლების მანძილზე. როგორც ცნობილია, ჯერ კიდევ 1928 წ. უნივერსიტეტს ჩამოსცილდა პოლიტექნიკური ფაკულტეტი. მას ამიერკავკასიის პოლიტექნიკური ინსტიტუტი შეუერთდა და შეიქმნა საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტი. 1930 წელს, ცნობილ კონდრატიევშჩინასთან დაკავშირებით, უნივერსიტეტი დაშლილ იქნა. მას ჩამოსცილდა აგრონომიული ფაკულტეტი, სამედიცინო ფაკულტეტი, იურიდიული ფაკულტეტი, რომელნიც დამოუკიდებელ ინსტიტუტებად გადაკეთდნენ; დანარჩენი ნაწილი (ძველებური „სიბრძნის ფაკულტეტი") მთავარ შენობაში დარჩა და მას პედაგოგიური ინსტიტუტი ეწოდა. ძირითადად შეიცვალა, რა თქმა უნდა, უნივერსიტეტის დებულებაც. 1934 წლის შემოდგომაზე უნივერსიტეტი ისევ აღდგენილ იქნა, მაგრამ მხოლოდ ამ „პედაგოგიური" ინსტიტუტის მოცულობით და მის საფუძველზე. ჩვენთვის აქ საინტერესო ის არის რომ ამ რეორგანიზაციასთან დაკავშირებით გეოლოგიური ინსტიტუტი უნივერსიტეტს გადაეცა. ამით, ერთი მხრივ, დადგინდა, რომ უნივერსიტეტს საკვლევო დაწესებულებებიც შეიძლებოდა ჰქონოდა, ხოლო მეორე მხრივ არსებითად გამოიცვალა ინსტიტუტის მდგომარეობაც. მეცნიერ თანამშრომლებს ხელფასი დაენიშნა და განისაზღვრა სათანადო შტატი (დირექტორს უკვე ერთი წლით ადრე მიეკუთვნა მცირე ხელფასი განათლების კომისარიატის მიერ). ხუთიოდე წლის შემდეგ უმაღლეს სკოლაში ახალი საშტატო-სახელფასო დებულება იქნა შემო-

ღებული. გ. კიკნაძემ, რომელიც მაშინ, თუ არ ვცდები, განათლების კომისარი იყო, მოსკოვიდან ამბავი ჩამოიტანა, უნივერსიტეტების საკვლევო ინსტიტუტები უნდა დაიხუროსო. ბევრი ვუმტკიცე, — გაუგებრობაა, კანონში აგეთი არაფერია მეთქი, — მაგრამ ამაოდ: „თავად მოსკოვიდან მოვდივარ, მე უკეთ ვიცი“. დაიხურა უნივერსიტეტის ინსტიტუტები, რომელთა რიცხვი მაშინ უკვე სამი იყო, მგონი, და მათ შორის გეოლოგიური ინსტიტუტიც, ე. ი. დირექტორს და მეცნიერ თანამშრომლებს ხელფასი აღეკვეთათ. მალე გამოირკვა, რომ ასეთი ახირებული ღონისძიება მარტო საქართველოს ჩაეტარებინა.

ინსტიტუტის ახალი მდგომარეობა უნახავი რამ არ იყო ჩვენთვის. ყურადღებაც არ მიგვიქცევია და განვაგრძობდით მუშაობას ძველებურად. 1941 წელს გეოლოგიური ინსტიტუტი ახლად დაარსებული საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის სისტემაში შეიდა და მისი სტატუსი მოწესრიგდა.

## არსებობისთვის ბრძოლა

თუმცა სმუს-მა საქართველოს გეოლოგიური ინსტიტუტის დაარსებაში გადამწყვეტი როლი ითამაშა, ეს დაწესებულება მის მოთხოვნილებას ვერ დააკმაყოფილებდა. მას ესაჭიროებოდა საკუთარი ორგანო, ისეთი, რომ სხვადასხვა წამოწყების გეოლოგიურ დასაბუთებასა და დაცვაში გამოსდგომოდა. უნდა ითქვას, რომ ასეთი დაწესებულებები საერთოდაც არ არსებობდა მაშინ საბჭოთა კავშირში. საქმე ახალი იყო.

ლენინგრადის გეოლოგიური კომიტეტი, რომელსაც მუშაობის 40 წლის გამოცდილება ჰქონდა, უეჭველად ავტორიტეტიანი დაწესებულება იყო, ფართოდ ცნობილი როგორც რუსეთში, ისე უცხოეთში, მაგრამ მისი მუშაობა რევოლუციამდე სხვა ხასიათისა იყო. იქ ძირითადად გეოლოგიური აგეგმვა წარმოებდა და ამის შესატყვისი მეცნიერული მუშაობა. კერძო კაპიტალის პირობებში, პრაქტიკული გეოლოგიის საკითხებთან დაკავშირებით თუ მიმართავდნენ ცალკეულ გეოლოგებს პირადად და არა დაწესებულებას.

რამდენადმე უკვე პირველი მსოფლიო ომის დროს, მაგრამ განსაკუთრებით რევოლუციის შემდეგ მდგომარეობა რადიკალურად

გამოიცვალა. ახლა საწარმოო ძალები, კერძოდ, ბუნებრივი საწარმოო ძალები და მრეწველობა ძირითადად უკვე სახელმწიფოს ხელში იყო. იწყებოდა ბუნებრივი საწარმოო ძალების გეგმიანი გამოყენება და თან მათი ძებნა-ძიება, რასაც ახალი წყობილებისათვის გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა. გეოლოგიურ კომიტეტს აგეგმვის გვერდით ახლა უკვე ისეთი ამოცანები ევალებოდა, როგორც ქვანახშირის ძებნა-ძიება, ნავთობის პრობლემა. სხვადასხვა მადნეულის საბადოები, საინჟინრო გეოლოგია და სხვა. დაწესებულების სახე მთლიანად იცვლებოდა. თანაც იგი იზრდებოდა არნახული სიჩქაროით. — შტატები, ბიუჯეტი.

მუშაობა ხომ გართულდა და ამას ემატებოდა ისიც. რომ ამ დაწესებულებას კავშირის მთელი ტერიტორიისათვის უნდა მოევლო და, თვითონ კი პერიფერიაზე მოთავსებულს, ლენინგრადიდან უნდა ეგზავნა გეოლოგიური პარტიები შორეულ აღმოსავლეთში. მაშინდელ პირობებში მგზავრობისათვის მეტი დრო სჭირდებოდათ, ვიდრე სამუშაოდ შეიძლებოდა დარჩენილიყო.

ბუნებრივია, რომ ასეთ პირობებში მთავრობის წრეებში და თვით გეოლოგიურ კომიტეტში დაიბადა მუშაობის დეცენტრალიზაციის იდეა. იგულისხმებოდა როგორც დარგობრივი, ისე ტერიტორიული დეცენტრალიზაცია. კომიტეტის ძველი გეოლოგების უმეტესობა ასეთ შესაძლებლობას ძლიერ მტკივნეულად განიცდიდა, განსაკუთრებით ტერიტორიული დეცენტრალიზაცია იყო მათთვის მიუღებელი: გეოლოგიური კომიტეტის გავლენა ხომ შემცირდებოდა და მეორე მხრით, გეოლოგია პერიფერიებზე — ეს იქნებოდა მეცნიერების პროფანაცია: ვინ იყვნენ იქ გეოლოგები? სად ჰქონდათ ტრადიციები? ხოლო იმის გაგონებაც არ შეეძლოთ. რომ რესპუბლიკებში სამუშაო ენა ეროვნული ყოფილიყო. და აი, ასეთ პირობებში თბილისს ჩამოვიდა გეოლოგიური კომიტეტის დირექტორი, ცნობილი გეოლოგი მუშკეტოვი. გაეცნო სმუს-ის მუშაობას და განზრახვებს. ჩემთანაც ჰქონდა საუბარი. გადაწყვეტილი ჰქონდა თბილისში გეოლოგიური კომიტეტის ფილიალი. თუ რაღაც ამის მსგავსი გაეხსნა. მგონია, როგორც უფროსისა, ჩემს კანდიდატურაზეც ჰქონოდა ლაპარაკი. მართალია, მე ძლიერ დატვირთული ვიყავი, მაგრამ იმ დროს ასეთ რამეებს ყურადღებას არ აქცევდნენ.

ეს ამბავი გეოლოგიური კომიტეტის ხალხისთვისაც ეცნობებინათ, კავკასიის სექციის წევრებისთვის. — ალბათ, ლ. კონიუშევსკი მიი-

წერებოდა. დაბრუნებისას, ცხადია, მუშკეტოვიც იტყოდა რასმე. მთავარი კი ის არის, რომ საქმე ისე დაესურათებინათ, თითქო ყველაფრის თავი და მიზეზი მე ვიყავი. თანაც პირწავარდნილი ნაციონალისტი. მთელი სექცია აღშფოთებული იყო თურმე ჩემს წინააღმდეგ.

მე ამისა აბსოლუტურად არაფერი ვიცოდი, არც მქონდა ლენინგრადთან რაიმე კონტაქტი, ხოლო კომიტეტის ფილიალის საკითხი არც მახსოვდა." და აი, ერთ დღეს სმუს-ის სამთო განყოფილებაში მიმიწვიეს. იქ დამხვდა ლ. კონიუშევსკი, ა. თვალჭრელიძე და ბ. მეფერტი. უკანასკნელი, როგორც გეოლოგიური კომიტეტის კავკასიის სექციის წევრი, სისტემატურ გეოლოგიურ აგეგმვას აწარმოებდა დასავლეთ საქართველოში. მუშაობდა უეჭველად ნაყოფიერად. ისევე იყო, როგორც ზემოთაც ვთქვი, ტყვარჩელის გეოლოგიური კვლევის ხელმძღვანელი.

სამეული სამსჯავროს როლს კისრულობდა. მეფერტი ბრალმდებელი იყო. თემა — ჩემი დაუშვებელი შეცდომები ერთ გეოლოგიურ ნაშრომში რაჭის შესახებ. წერილი ქართული იყო და მეფერტს, ცხადია, წაკითხული არ ჰქონდა. ალბათ, უთარგმნა ვინმემ. რისი თქმა უნდოდა, კარგად ვერც კი გავიგე. გამაკვირვა იმან, რომ როდესაც როგორღაც ვთქვი, ეგ ჩემი რუკა ლ. კონიუშევსკიმაც გამოიყენა-მეთქი, უკანასკნელმა ცივად მიპასუხა, თვალით არ მინახავსო. საქმე კი ასე იყო. ჰიდროელექტრულ მშენებლობასთან დაკავშირებით გერმახიიდან მოწვეულმა გეოლოგმა ვილზერმა კონიუშევსკის ბარათი შაორის წყალსაცავის გეოლოგიური პირობების შესახებ სასაცილოდ აიღო. მე, კონიუშევსკის თხოვნით, მას ვილზერის გასაწბილებელი მასალა მივეცი და ჩემი რუკაც ვათხოვე. ორი კვირა ჰქონდა. უხერხულ მდგომარეობას გადარჩა საექსპერტო კომისიაში. და ახლა ცივი უარი!

კონიუშევსკი ძველი რეჟიმის კაცი იყო, მაგრამ უეჭველად რიგიანი ადამიანი. პირადი დამოკიდებულებაც მასთან კარგი მქონდა მანამდეც და შემდეგშიც. როგორღაც სხვა სერიოზული საფრთხისგანაც ვიხსენი. რაღაც უჩვეულო გარემოება იყო საჭირო, რომ ასეთი ულამაზო რამ ჩაედინა. ეტყობა, გადაწყვეტილი იყო ჩემი დიფამაცია. ეს შემდეგ დავასკვენი.

მაშინ ჩემთვის გაუგებარი იყო ა. თვალჭრელიძის როლიც ამ საქმეში.

ამას ახლა ვამბობ, თორემ მაშინ ამ გარემოებისთვის რამე ყურადღება არ მიმიქცევია. მაგრამ გავიდა მცირე ხანი და შევამჩნიე, გეოლოგები რაღაც წიგნს ატარებდნენ, ერთმანეთს გადასცემ-გადმოსცემდნენ და ჩურჩულებდნენ. გამოირკვა, რომ ეს იყო მეფერტის მორიგი შრომის უკანასკნელი კორექტურა, რომელიც რატომღაც გამოქვეყნებამდე თბილისში მოსულიყო და ხელიდან ხელში გადადიოდა. ბოლოს ვიღაცამ მაჩვენა მეც. შიგ საპატიო ადგილი ჰქონდა დათმობილი ჩემს დაუნდობელ კრიტიკას, უკეთ ვთქვათ, ლანძღვას.

გავიდა კიდევ მცირე დრო და თვით შრომაც მივიღეთ. ამასობაში ლენინგრადიდან ჩამოვიდა კ. გაბუნია და შეწუხებულმა მიამბო: დასწრებოდა გეოლოგიური კომიტეტის კავკასიის სექციის საჯარო სხდომას, სადაც მეფერტის საანგარიშო მოხსენება მოესმინათ. მოხსენების მთავარი თემა ჩემი კრიტიკა და თავშეუკავებელი ლანძღვა ყოფილიყო. რაც მეფერტს საკმაოდ ეხერხებოდა და რასაც სექციის წევრები კმაყოფილებით შეხვედროდნენ, ხოლო კულუარებში კალისტრატესათვის წინადადება მიეცათ, თუ თბილისში განყოფილება დავაარსეთ, უფროსი შენ იყავიო, რაზედაც მას მკვახე უარით ეპასუხა.

რაკი მეფერტის შრომა უკვე გამოქვეყნებული იყო, ჩემი გაჩუმებაც არ შეიძლებოდა. მეფერტს გეოლოგიური კომიტეტის კავკასიის სექციაში განსაკუთრებული ავტორიტეტი ჰქონდა. „Наш царек“-ს უწოდებდნენ. ცნობილი იყო თავისი უკმეხობითაც. „ჯანელიძე, როგორც მეცნიერი, მე მოვკალიო“, — ეთქვა. საჭირო იყო პასუხი, მაგრამ როგორი? თავის მართლება რომ დამეწყო. ძნელი არ იყო, მაგრამ თავიდანვე არახელსაყრელ მდგომარეობაში აღმოვჩნდებოდი. ათასჯერ სწორი რომ ყოფილიყო ჩემი შეხედულებები (და იყო კიდეც, რაც კი მე მეკუთვნოდა), მაინც არასასიქადულო პოზაში დავრჩებოდი, კაცისა, რომელიც თავს იმართლებს. ბედად, წავიკითხე თუ არა მეფერტის შრომა, დავინახე, რომ შიგ ტლანქი შეცდომებია, ხოლო ჩემს მიმართ, აშკარა სიყალბეს სჩადის. პასუხი ამაზე ავაგე და შეტევაზე გადავედი.

ჯერ მოხსენება თბილისში, გეოლოგიურ ინსტიტუტში გავაკეთე. დარბაზში ტევა არ იყო. საკითხიდან საკითხზე რომ გადავდიოდი, ვხედავდი, როგორ უბრწყინდებოდა ყველას თვალები. საერთო სიმპათია და, ბარემ ვიტყვი, პატარა აღტაცებაც უდავო იყო. ჩანს, მე-

ფერტმა კარგი სამსახური გამიწია. წინა რიგებში ისხდნენ ა. თვალ-ჭრელიძე და ლ. კონიუშევსკი. უკანასკნელს რაღაც შევეკითხე, პასუხი ისეთი ჩაილუღლუღა, რომ მთელი დარბაზის გულიანი ხარხარი გამოიწვია. მოხსენება რუსულად იყო, რადგან მეფერტსაც შევატყობინე. არ მოვიდა.

შემდეგ წერილიც გამოვაქვეყნე საქართველოს მუზეუმის მოამბეში, მეფერტისავე კილოზე. წერილმა გეოლკომის კავკასიის სექციის თავმჯდომარის ა. გერასიმოვის აღშფოთებული პასუხი გამოიწვია. მასაც დაუზოგავი და თან გამომწვევი პასუხი გავეცი, მაგრამ სიჩუმე ამჯობინა, — მეტისმეტად სუსტი პოზიციები ჰქონდათ.

დღეს ჩემი ხნის ადამიანს თითქო უფლება მაქვს ვთქვა, რომ არც უხეში ვარ, არც შფოთის მოყვარე, არც შურის მაძიებელი, ხოლო მეცნიერული კამათი მხოლოდ დამშვიდებული წარმომიდგენია, მოპირდაპირის პატივისცემით. მაგრამ ეს შემთხვევა სხვა იყო. ჩემი სახით ისინი ქართული მეცნიერების იდეას ებრძოდნენ. ებრძოდნენ მეცნიერების მონოპოლიის და, უეჭველია, დიდმპყრობელური პოზიციებიდანაც. აქ ცერემონიები უადგილო იქნებოდა. კამათი იყო არა მეცნიერული, არამედ პოლიტიკური და კილოც ამის შესაფერი.

უცნაური სიტუაცია წარმოიშვა. ბ. მეფერტი, თუმცა საქართველოში მუშაობდა, მე სათოფეზე აღარ მეკარებოდა და, რომ შეძლებოდა, მზად იყო მოვესპე. მას არ ჩამორჩებოდნენ კავკასიის სექციის ზოგი სხვა გეოლოგებიც. ურთიერთობას კიდევ უფრო ამწვავებდა ის გარემოება, რომ გეოლოგიური კომიტეტის დეცენტრალიზაცია, როგორც დარგობრივი, ისე ტერიტორიული, უკვე დაიწყო. თბილისში ჯერ გეოლოგიური ბაზა დაარსდა, შემდეგ ამიერკავკასიის გეოლოგიურ-საძიებო სამმართველო. უკანასკნელის უფროსის მოადგილე ერთხანს მე ვიყავი (უფროსი პარტიული კაცი იყო, არასპეციალისტი), მაგრამ დაწესებულების პროფილი სულ სხვა იყო, ვიდრე ჩვენ მოველოდით, და მეც მალე იქ მუშაობას თავი დავანებე. ყოველ შემთხვევაში ეს კია, რომ ძველი გეოლოგიური კომიტეტი დაიშალა.

ძლიერ ამწვავებდა მდგომარეობას ის გარემოება, რომ ყოველი გეოლოგიური მუშაობა ისეთ რაიონში, სადაც კომიტეტის რომელიმე გეოლოგს ემუშავა უკვე ან გეგმით უნდა ემუშავა, მავნე პარალელიზმად იქნა გამოცხადებული. ამიტომ დასავლეთ საქართველოში

ჩემი მუშაობა დაუშვებლად იქნა მიჩნეული, — ეს მეფერტის კუთვნილება იყო. თუ სადმე რომელიმე ჩვენი დაწესებულება მიმავლენდა, ძირითადად ჰიდროელექტრულ მშენებლობასთან დაკავშირებით, ბანკს მოსკოვიდან განკარგულება მოსდიოდა, დაფინანსება შეუწყვიტეთო.

კიდევ მეტი. ჩვენი კათედრის ახალგაზრდა ასისტენტი დ. მიქელაძე საკვალიფიკაციო შრომას ამზადებდა ჩოკრაკული სართულის შესახებ. მასალას აგროვებდა. გავგზავნე აფხაზეთშიც. რაკი ვიცოდი, რომ იქ გეოლოგ ილინს უნდა ემუშავა. დავავალე, როგორც კი ჩამოვიდეს, ილინთან მიდი, შენი ამოცანა გააცანი და რჩევა-დახმარება სთხოვე. კარგი იქნება, თუ რამდენჯერმე მარშრუტზეც გაჰყვები-მეთქი.

ასეც მოქცეულიყო, მაგრამ თქვენს მტერს, რომ მას ილინი დახვედროდა. და მეც მივიღე უკანასკნელის აღშფოთებული წერილი: „ეს რასა ჰგავს? აფხაზეთშიც კი თბილისელი გეოლოგი ჩამოდის, — კამჩატკაზე ხომ არ უნდა წავიდეო?“ უაღრესად თავაზიანი, მაგრამ მტკიცე პასუხი გავუგზავნე და ინციდენტი ამით გათავდა. პირადად მას არ ვიცნობდი. მაგრამ ბევრისგან გამიგონია, კარგი კაცი იყოო.

ჩვენს ხელმძღვანელ წრეებში, რამდენადაც კი შეიძლება ვივარაუდო. ჩემი საქციელი არავის ეუცხოებოდა. ეს კია, რომ, როგორც მიამბეს, როდესაც ერთ-ერთ კომისართან ამაზედ ჩამოვარდნილიყო ლაპარაკი, მას ეთქვა. „თუ მეფერტს და ჯანელიძეს დავა აქვთ, ცხადია, მართალი მეფერტი იქნებაო“. მეც, დიდი ხანი იყო, მოვიოხოვდი საკითხის ადგილზე გასაცნობად კომისია გამოყოფილიყო და კომისიაში უსათუოდ კონიუშევსკიც შეეყვანათ. მოხერხდა ესეც. დავიარეთ ოკრობა. ვნახეთ საკვანძი ადგილები. და, როდესაც შედეგებს ვაჯამებდით, კონიუშევსკიმ თავისთვის ჩაიბურტყუნა: „Да, непонятные ошибки“! (მეფერტის მხრით).

1934 წელს ლენინგრადშიაც მომიხდა ყოფნა. იქ გერასიმოვთან მიველ და ვუთხარი, როგორც თავის დროზეც გწერდით (გამოქვეყნებულ წერილში). მე მზადა ვარ სადავო საკითხებზე თქვენთან (ე. ი. გეოლოგიურ-საძიებო სამმართველოში) მოხსენება გავაკეთო-მეთქი. არაფრად იამა, მაგრამ, როგორც ჩანს, მოელაპარაკა გეოლოგიურ-საძიებო სამმართველოს (ეს იყო ახლა გეოლოგიური კომიტეტის ნაცვალი) უფროსს ბლოხინს და მოიწვიეს სხდომა. თავჯ-

დომარეობდა ბლოხინი. ესწრებოდნენ ყოფილი კავკასიური სექციის ყველა ლენინგრადში მყოფი უფროსი გეოლოგი (გერასიმოვი, რიაბინინი, რენგარტენი, კუზნეცოვი, პაფენგოლცი, ვასოევიჩი და სხვ.) და ახალგაზრდები, რომელთა შორის ძლიერი იყო პარტიული ფენა. იქვე იყვნენ სპეციალური ნებართვით იმ დროს ლენინგრადში მყოფი ქართველი გეოლოგები, ხუთიოდე კაცი.

ეტყობოდა, რომ სხდომა გულდასმით იყო მომზადებული. ჩახდა ისიც, რომ დრო გამოცვლილი იყო: ძველი გეოლოგების ქცევას ძლიერ ზღუდავდა კრიტიკულად განწყობილი ახალგაზრდობის დასწრება. ამათგანს ხმა არავის ამოუღია, მაგრამ მათი სიჩუმეც კარგად იგრძნობოდა. გერასიმოვს ხაზგასმით განზედ ეჭირა თავი: მე არაფერ შუაში ვარო.

სიტყვა მისცეს მეფერტს, რუკები გამოეფინა, მოხსენება მოემზადებინა, ძლიერ ღელავდა. ჩანდა, განზრახული ჰქონდათ, ჩემზე ელაპარაკათ და ქართველი და რუსი გეოლოგები დაეპირისპირებინათ. ჩემი რიგი რომ მოვიდა, მსჯელობა სულ სხვაგვარად ავაგე. დავიწყე ამით, რომ გეოლოგიურ კვლევას ქვეყნის სახალხო მეურნეობისთვის უდიდესი მნიშვნელობა აქვს. საჭიროა მისი მაღალი ხარისხის უზრუნველყოფა. როდესაც რომელიღაცამ წამოიძახა, რუსი და ქართველი გეოლოგებიო, — წამსვე სიტყვა მოვუჭერი, — აქ მხოლოდ საბჭოური გეოლოგები ვართ-მეთქი. როდესაც ლაპარაკი გვაქვს მავნე პარალელიზმზე და ამ მოტივით ადგილობრივ გეოლოგებს მუშაობას ვუკრძალავთ, დარწმუნებული მაინც უნდა ვიყოთ, რომ უკვე შესრულებული მუშაობა დამაკმაყოფილებელია. მოვსინჯოთ მაგალითისთვის უფროსი გეოლოგის მეფერტის შედეგები-მეთქი და გადაველ უკანასკნელის ნამუშევარის განხილვაზე რაჭასა და ოკრიბაში. საკმაოდ ვრცელი მოხსენება გამოვიდა. ჩამოვთვალე მთელი რიგი მიუტევებელი შეცდომები. თანაც, რაკი ვიცოდი, რომ დამსწრენი მეფერტის პოზიციისა და აზრების თანამოზიარე იყვნენ, ხაზგასმით აღვნიშნე, ან ჩემი საბუთები უნდა გავაბათილოთ, ან ვთქვათ, რომ ჩამოთვლილი შეცდომები, თუმცა უდავო, ნაკლებად მნიშვნელოვანი არიან-მეთქი.

ჩემი ტაქტიკა სავსებით სწორი გამოდგა. კამათი სწორედ ასე წარიმართა. რაკი გამოსავალი იპოვეს, ხანგრძლივ კამათში ყველა ჩემი შენიშვნა გაიზიარეს, მხოლოდ აღნიშნავდნენ, შეცდომა ვის არ მოსვლია და სხვაგან უარესიც ხდებაო. გერასიმოვს კამათში მო-

ნაწილობა არ მიუღია, მაგრამ გადმომძახა, თუ არის მეფერტის შუშაობა სასარგებლოო. უეჭველია-მეთქი, ვუპასუხე უყოყმანოდ. ამით წათამამებული ცოტა ხანს შემდეგ შემეკითხა, თუ არის მეფერტის საქმიანობაში მავნებლობაო (ეტყობა, საიდანღაც ასეთი ბრალდებაც ყოფილიყო). ისევ უყოყმანოდ ვუპასუხე, — მე მხოლოდ მეფერტის მუშაობას ვიცნობ და არა მის განზრახვებს. მაგგვარი აზრი ფიქრადაც არასოდეს მომსვლია-მეთქი.

აშკარად ჩემს წინააღმდეგ განწყობილმა თავმჯდომარემაც განაცხადა, — შეცდომები კია, მაგრამ რა არის ეს იმ შეცდომებთან შედარებით, რაც კუზნეცკის აუზში ჩავიდინეთო. ან მეფერტის რაიონი რა არის კუზნეცკის აუზთან შედარებითო?

დამთავრდა სხდომა. შედეგმა ჩემს მოლოდინს გადააჭარბა, თუმცა დამსწრე ქართველი ახალგაზრდები უკმაყოფილონი იყვნენ. მათ ეგონათ, რომ ყველაფერი უნდა თქმულიყო.

ამის შემდეგ ლენინგრადელი გეოლოგების დამოკიდებულება ჩვენთან რადიკალურად შეიცვალა. გერასიმოვი უეჭველი პატივისცემით მეპყრობოდა. ამაყმა ი. კუზნეცოვმა თბილისის უნივერსიტეტში დაიცვა სადოქტორო დისერტაცია. რიაბინინთან და პაფენგოლცთან (დღეს სომხეთის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი) ხომ ყოველთვის მეგობრული ურთიერთობა გვქონდა.

რაც შეეხება მეფერტს, ერთი ხნის შემდეგ თბილისში შევიტყვე, რომ ის ურალის ფილიალში გადაეყვანათ. იქ სმა დაიწყო და 1937 წელს გარდაიცვალა. გულწრფელად შევწუხდი, როდესაც ეს იმავე წელიწადს მოსკოვში მითხრეს. უეჭველად ენერგიული და დაუღალავი მკვლევარი იყო. მკაფიო აზროვნება და უჩვეულო ნათელი სტილი ჰქონდა. ბევრი რამ შესძინა სტრატიგრაფიას, მაგრამ ტექტონიკა მისი საქმე არ იყო. ძველი რეჟიმის ადამიანი, ქედმაღალი და უხეში, ის იმავე დროს პირდაპირიც იყო. ამიტომ საჭირო დროს ადვილად გამოიყენეს, ხოლო გასაჭირში ყველამ მიატოვა.

## ჩემი გაჭირვება

ბავშვობიდან ქართულად ვლაპარაკობდი, რომელიმე ენას კი არ ვთარგმნიდი, უშუალოდ ქართულად გამოვხატავდი ჩემს გრძნობას და აზრს, ქართული ჩემი მეობის უშუალო ნაწილი იყო. მაგრამ სკოლაში

რომ მიმაბარეს, ჩემი სასწავლო ენა რუსული შეიქნა და ახალ ცნებებთან ერთად ახალ სიტყვებსა და გამოთქმებს ვითვისებდი. ამიტომ, როდესაც გიმნაზიაში სწავლის დამთავრების შემდეგ ჟენევაში მოვხვდი, იქ ქართულ სათვისტომოში საჯარო მოხსენება რუსულად გავაკეთე არა მარტო იმიტომ, რომ დამსწრეთა უდიდესი ნაწილი არაქართველები იყვნენ, არამედ იმიტომ, რომ მსგავსი მოხსენების გაკეთება ქართულად თავისუფლად არ შემეძლო. მწიგნობრული ქართული მხოლოდ შემდეგ, პარიზის უნივერსიტეტში ავითვისე.

მერე როგორ მოხდა ეს? ამაზე აღარ შეეჩერდები. აღვნიშნავ მხოლოდ, რომ პარიზის ქართველებმა, რომელნიც იმ დროს 40-მდე ვიქნებოდით, სავალდებულო წესად გავიხადეთ, ქართველი ქართველს მხოლოდ ქართულად დალაპარაკებოდა. სიტყვათა საჭირო მარაგი ხომ მეტად თუ ნაკლებად ყველას გვქონდა და საჭირო შემთხვევაში არც ნეოლოგიზმების შექმნას ვერიდებოდით. ასე მოხდა მაგალითად, რომ ჩვენში იმ დროს საყოველთაოდ მიღებული „სპიჩკის“ ნაცვლად მე ამხანაგებს ფრანგულიდან გადმოღებული „ასანთი“ (älumette) მივაწოდე და მათაც სწრაფად აითვისეს. როგორი იყო ჩემი გაკვირვება და სიამოვნება, როდესაც ორიოდე ათეული წლის შემდეგ შემთხვევით მივაქციე ყურადღება, რომ ეს ტერმინი მთელ საქართველოში დამკვიდრებულიყო.

თვითონ მეც დღეს სხვა ენაზე გააზრებულს კი არ ვთარგმნი, ქართულად ვაზროვნებ, როგორც ბავშვობაში.

მაგრამ როგორია ეს ქართული? მართებულია, თუ არა ენობრივად ჩემი გამოთქმები და მათი დაკავშირება? ლაპარაკის დროს ასეთი კითხვა არ მებადება, მაგრამ სხვა არის წერა: მივაქცევ ანაზდად ყურადღებას რომელიმე სიტყვას ან ფრაზას, ვხედავ, რომ მას ზოგი ასე გამოთქვამს და ზოგი ისე, და გათავდა, აზრი წყდება, წინადადება ვეღარ დამიმთავრებია! სანამ ყურადღება არ მიმექცია, ყველაფერი თითქო რიგზე იყო, — ვწერდი ისე, როგორც შეჩვეული ვარ, მაგრამ, თუ დავუკვირდი, ვხედავ, რომ ზოგი ამბობს „თითქო“, ზოგი „თითქოს“. მე როგორღა დავწერო? არ ვიცი და ხშირად არც სპეციალისტებმა იციან.

ეს არის ჩემი გაჭირვება და სამწუხაროდ არც მარტო ჩემი. ამასწინათ ერთმა მეგობარმა წინადადება მომცა დამეწერა ამის შესახებ, და მეც დავთანხმდი. მართალია, ჯეროვნად დასაბუთებულს ვე-

რაფერს ვიტყვი, მაგრამ აქიმის დასკვნისათვის ავადმყოფის ინფორმაციაც ხომ აუცილებელია! მეც მივაქცევ მკითხველის და სპეციალისტების ყურადღებას ზოგ რასმე ჩემთვის თვალსაჩინოს.

1. „ჩემს მიერ შესრულებული იყო ესა და ეს სამუშაოო“, გვიამბობს საკვლევო მივლინებიდან დაბრუნებული მეცნიერი №. ძლიერ კარგი, მაგრამ, თუ „მუშაობა შესრულებული იყო“, ის რისთვისღა მიავლინეს? ცხადია, მომხსენებელს უნდოდა ეთქვა, „ჩემს მიერ შესრულებულ იქნაო“, რაც ქართულად სულ სხვას ნიშნავს ისევე, როგორც ფრანგულად ან გერმანულად. რუსულად ორივე შემთხვევაში ითქმის была выполнена და საჭიროა დამატებითი მითითება, რათა ხსენებული განსხვავება გავარჩიოთ. მაგალითად: была ранее выполнена, ან была выполнена мной პირველ შემთხვევაში იქნება „შესრულებული იყო“ და მეორეში: „შესრულებულ იქნა“.

2. იგივე მომხსენებელი გვეუბნება: „ვ ს წ ა ვ ლ ო ბ თბილისის მიდამოების გეოლოგიასო“ ან „ვ ს წ ა ვ ლ ო ბ საქართველოს ისტორიის ამა და ამ საკითხსო“... მას უნდოდა ეთქვა „ვიკვლევო“ და ასე კი გვითარგმნა რუსული изучаю! Изучение და учение გათაანაბრა!

3. გამოთქმა „შორის“ არაერთ გაუგებრობას იწვევს. სავსებით მართებული გამოთქმაა „ჩვენ შორის ერთი გეოლოგიაო“. რუსულად ეს იქნება среди нас. მაგრამ დაუშვებელი არის „ჩვენ შორის მაგიდა დგას“, ან კიდევ „ქუთაისსა და თბილისს შორის ამდენი და ამდენი კილომეტრიაო“. ეს უკვე რუსული между, ან от....до იქნება და ქართულად უნდა ითქვას „შუა“ და არა „შორის“.

4. ეს მაგალითები ზემოთ ნაგულისხმებ კატეგორიას არ ეკუთვნიან. ისინი მხოლოდ ამტკიცებენ, რომ ქართული ცუდად ვიცით, და საქმეს ადვილად მოევლება: უნდა ვისწავლოთ.

უფრო რთულია საკითხები: მერმე თუ მერე, თითქო თუ თითქოს, სრიალებს თუ სრიალობს და სხვა მრავალი. ეს უკვე ნორმების დადგენის საკითხებია.

5. ჯერ კიდევ გიმნაზისტი ვიყავ, როდესაც ქართულ პრესაში გაიმართა ცხარე კამათი ობიექტის მაჩვენებელ ჰაესა და სანის შესახებ ზმნებში: როგორ უნდა ვთქვათ,

„ჰკარ, მოჰკალ, შეჰკარ“ თუ
„კარ, მოკალ, შეკარ?“

ასევე ხელი სტაცე თუ ხელი ტაცე? აღარ მაგონდება, ვინ, მაგრამ წერდა კი: კარ, მოკალ ე ქ ს პ რ ე ს ი უ ლ ი არ არის და ამიტომ ჰკარ, მოჰკალ უნდა ვთქვათო. ასეთი არგუმენტი ჩემთვისაც კი მოულოდნელი იყო. მაგრამ ამ ჰაესა და სანის გრამატიკული ფუნქციაც საკმაოდ ნათელი არის და გარკვეული, თუმცა ამ ნაწილაკების მოხსნაც გაუგებრობას არ გამოიწვევდა. ეგეგ ენის განვითარებაც აქეთ მიდიოდეს სწორედ, გამარტივებისაკენ. ალბათ, ხელოვნურად არ უნდა შევანელოთ ეს პროცესი.

6. ქართულად ითქმის „წელს ზევით", „ფეხს ქვევით" და არა წელის ზევით, ფეხის ქვევით. თითქოს გეოლოგიაში სწორი იქნება მიწას ქვეშ, წყალს ზევით და არა მიწის ქვეშ, წყლის ზევით.

7. მრავალ უხერხულობას იწვევს ჰორიზონტის მხარეების დასახელება. იმის ნაცვლად, რომ ვთქვათ „დასავლური საქართველო", ვამბობთ „დასავლეთი საქართველო". იგივე იქნებოდა, რომ გვეთქვა Запад Грузия ან Восток Европа. ხომ ყველა ამბობს „აღმოსავლური ენები" და არა „აღმოსავლეთი ენებიო".

8. ასევე მნიშვნელოვანია დასახელებული მხარეების სახელდება. ამისთვის ქართული ენა იყენებს თავსართს სა — ან დაბოლოებას — ეთი: სამეგრელო, საინგილო, კახეთი, იმერეთი... მაგრამ დიდი ხანია მტკიცედ დამკვიდრებულა საბერძნეთი, საფრანგეთი, სათათრეთი — ბერძნეთის ან საბერძნეთის ნაცვლად და ამას აღარაფერი მოუხერხდება.

ეს ხომ ძველი ამბავია და ახლა ამას სხვა ემატება. არის მხარეები შოტლანდი, ფინლანდი და სხვ. სიტყვა შოტლანდი ზუსტად ნიშნავს: — შოტების ქვეყანა. ჩვენ ამას არ ვჯერდებით და ვუმატებთ დაბოლოებას — ია, შოტლანდია. ფინლანდია ისევე, როგორც Кахетия, Имеретия და სხვა, თითქო შოტლანდი ხალხი იყოს. ამას თითქო განმარტება აღარ სჭირდება: უნდა გვეთქვა შოტლანდი და შოტლანდელი.

9. იტალების ქვეყანა იტალია იქნება, ხოლო როსების (რუსების) — როსია. ასევე გერმანების ქვეყანა იქნება გერმანია, იაპონების — (იაპანების) — იაპონია. დღეს კი გერმანიის ნაცვლად ვამბობთ გერმანიელიო (ან უწესოდ — გერმანელიო) და იაპანის (იაპონიის) ნაცვლად — იაპონელიო.

10. ვამბობთ და ვწერთ „პოზირება, რეალიზება, ადმინისტრი-

რება". ამ თავისებურ ფორმას საინტერესო ისტორია აქვს. გერმანიელებმა ლათინურ-ფრანგული ზმნის ფორმა გადმოიღეს და გერმანიული დაბოლოება დაურთეს, მაგრამ არა ძირს, როგორც წესია, არამედ სრულ სიტყვას, და შექმნეს „პოზირენ", „რეალიზირენ" და სხვ. იგივეა, ქართულად რომ რუსული говорить გადმოვიღოთ როგორც „გავარითება". ეს ახირებული გერმანიული ფორმა რუსულში გადმოვიდა და რუსულიდან ქართულში გადმოდის ქართული დაბოლოებით. ჯერ კიდევ გვიან არ არის პროცესი შევაჩეროთ და ადმინისტრირების ნაცვლად ვთქვათ ადმინისტრება — ფორმა კანონიერი იქნება და თან სიტყვა მთელი ერთი მარცვლით შემოკლდება, რასაც თავისთავადი მნიშვნელობა აქვს.

11. თბილისში უნივერსიტეტის დაარსებამ და ქართული მეცნიერების განვითარებამ მწვავედ დააყენა საკითხი ქართული მეცნიერული ტერმინოლოგიის შესახებ. ენთუზიასტების ჯგუფმა ბევრი რამ გააკეთა ამ მხრივ, მაგრამ, რა თქმა უნდა, საქმე დამთავრებული არ არის.

მაგალითისათვის ავიღოთ ტერმინი ა ი რ ი. იგულისხმება, რომ ეს იგივეა, რაც გაზი. სიტყვა აშკარად ლათინური ა ე რ-იდან არის ნაწარმოები ისევე, როგორც ქართული ჰაერი, და საკმაოდ უხერხულიც. მაგრამ მთავარი ეს როდია: საქმე ის არის, რომ სიტყვა გაზი არცერთ რომელიმე ენას არ ეკუთვნის. ეს არის ხელოვნური ტერმინი, როგორც ფიქრობენ, ჰუმელის მიერ შექმნილი და მისი შეცვლა ქართული ნეოლოგიზმით არც საჭირო არის და არც დასაშვები.

12. მეორე მაგალითი იქნება გეოლოგებისთვის კარგად ცნობილი მ ა გ მ ა. ეს სიტყვა ბერძნულია და ყველა ენაზე იხმარება. არ ვიცი როდის და ვის აქიდან უწარმოებია ზედსართავი მ ა გ მ უ რ ი. იგულისხმება არა მაგმის მსგავსი, არამედ მაგმისგან წარმოშობილი, მაგ. მაგმური ქანები. მე ამას ყურადღება მივაქციე და შემოვიღე ზედსართავი მ ა გ მ ე უ ლ ი („ბაზალტი მაგმეული ქანია"). მაგრამ ესეც უმართებულოა: მაგმა ბერძნული სიტყვაა და მისი ძირი იქნება არა მაგმ, არამედ მაგმატ, — ამის მიხედვით უნდა ვთქვათ მ ა გ მ ა ტ უ რ ი (მაგმატური ქანები, მაგმატური პროცესები). ასეა ყველა ენაზე რუსულის ჩათვლით. ასევე უნდა იყოს ქართულშიც.

13. არანაკლებ ხშირად იხმარება ტერმინი მ ა გ ნ ი ტ ი. იგიც ბე-

რძნულია (მაგნეტის ლითოს მცირე აზიის ქალაქ მაგნეზიის სახელიდან). რამდენადაც ვიცი, ყველა ენაზე ამბობენ „მაგნეტი“. რუსულადაც ყოველთვის მაგნეტიზმი ითქმის და არა მაგნიტიზმი. თითქო ნათელია, რომ რუსულ-ქართული მაგნიტი მაგნეტით უნდა შეიცვალოს.

14. დასასრულ ორიოდე „ტექნიკური“, მაგრამ პრაქტიკულად მნიშვნელოვანი წვრილმანი.

ქართულში დიფთონგები არა გვაქვს და ზოგჯერ ეს მძიმე მდგომაროებაში გვაყენებს. მაგალითად, არის გეოლოგიაში ფართოდ ხმარებული ტერმინი Loess. შემთხვევა ისეთივეა, როგორც კარგად ცნობილი Goethe, ეს არ იქნება არც ლოსი, არც ლესი, არც ლოესი. გამოვთქვამთ წესიერად, მაგრამ როგორ უნდა დავწეროთ?

ჩვენში შემოიღეს სიტყვა „სხვა“-ს ტიპოგრაფიული შემოკლება. უეჭველად კარგი საქმეა, მაგრამ ეს სიტყვა ხომ თავისთავადაც მოკლეა. კურიოზი გამოდის: „სხვა“-ს ნაცვლად იბეჭდება „სხვ.“, ესეიგი ერთ ტიპოგრაფიულ ნიშანს ვცვლით მეორით. არავითარი ეკონომია! ეს შემოკლება უნდა დაწესდეს „სხ“., როგორც კერძო შემთხვევა. პაწია ეკონომიაც იქნება და არც ორთოგრაფიის საერთო წესის (შემოკლება ხმოვანის წინ) დარღვევად ჩაითვლება, როგორც პირობითი გამონაკლისი.

სხვა არის კიდევ ტირეები, რომელთაც გამომცემლობათა რედაქტორები დღეს უჩვეულოდ ამრავლებენ. მათი უშუალო დანიშნულება მეტ შემთხვევაში გაუგებარია და ბეჭდვას კი უეჭველად აძვირებს.

საერთოდ საკითხის ეკონომიურ მხარეს მეტი ყურადღება უნდა ექცეოდეს. უნდა გვახსოვდეს, რომ ეროვნული კულტურა მით უფრო ძვირად უჯდება ხალხს, რაც უფრო მცირერიცხოვანი არის ერი, და ეს სამწუხარო გარემოება კიდევ მეტად არ უნდა გავზარდოთ.

ამით გავათავებ. უამრავი საკითხებიდან მხოლოდ რამდენიმეს შევეხე, მაგრამ ესეც კმარა მდგომარეობის სერიოზულობის ნათელსაყოფად. მთავარი ის არის, რომ მშობლიური ენა ცუდად ვიცით. მე პირადად ქართული გრამატიკა არასოდეს ხელში არ მჭერია.

მეორე მხრივ, კლასიკური განათლების გარდუვალმა უკუგდებამ საერთო ენობრივი კულტურა ძლიერ შეასუსტა. ეს განსაკუთრებით საგრძნობია, თუ დიდი ენებიდან მარტო რუსულს ვიცნობთ: კერძოობითი და საზოგადო ვეღარ გაგვირჩევია.

კიდევ უფრო დამაფიქრებელია მდგომარეობა, როდესაც რუსულად ვფიქრობთ და ქართულად შემდეგ ვთარგმნით. ასეთი რამ მხოლოდ გამონაკლის შემთხვევაში არის დასაშვები. სხვაგვარად მშობლიური ენის შენარჩუნებასაც გამართლებულად ვერ ჩავთვლით.

მდგომარეობა მძიმეა, მაგრამ სავსებით გარკვეული — საჭიროა ნორმები, საჭიროა დაუყოვნებლივ! და კიდევ: საჭიროა დ ე დ ა ე ნ ი ს სიყვარული და პატივისცემა.

თხრობას ამით გავათავებ. პირადი ცხოვრების ამბებით არც შესაძლებელი მკითხველი მინდა შევაწუხო და ვერც ჩემს თავს ვაიძულებ. არის საგნები და საკითხები, რომლებზეც ფიქრისას ადამიანს სურს და უფლებაც აქვს, მარტო იყოს თავის თავთან. ვიტყვი მხოლოდ, ჩემი ცხოვრება ისე მოეწყო, რომ ოჯახში სიყვარულისა და სრული ურთიერთნდობის ატმოსფეროში ვიზრდებოდი, სკოლასა და უნივერსიტეტში ყოფნისას ამხანაგებისაგან მხოლოდ ძმური სიყვარული მახსოვს და ცხოვრებაშიც ნდობით აღსავსე შეველ. თეორიულად ვიცოდი, რომ არიან კარგი და ცუდი ადამიანები, მაგრამ გული მარტო პირველთ სცნობდა. ყოველი ახალი ადამიანი ჩემთვის კარგი ადამიანი იყო, სანამ საწინააღმდეგოში არ დავრწმუნდებოდი. სპეციალური თეორიაც კი მქონდა: ყოველ უცნობ ადამიანს უნდა ენდო; უეჭველად მოხდება, რომ ზოგჯერ მოტყუვდები, მაგრამ ეს გაცილებით ნაკლებად საზარალო იქნება, ვიდრე ის, ყველას რომ ეჭვით უყურებდე და ყველგან თავს იზღუდავდე-მეთქი. დიდხანს ეს თეორია სავსებით მართლდებოდა, მაგრამ ხშირად უსიამოვნებაც მოუგვრია.

ზემოთ აღვნიშნე ის მწვავე კრიზისი, რომელიც განვიცადე საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაში თითქმის დასაწყისშივე. შემდეგ ამას მოჰყვა არაერთი იმედგაცრუება კერძო ცხოვრებაშიც. ათასგვარ სიმდაბლეს ვხვდებოდი, ზოგჯერ უცერემონიოდ ცდილობდნენ ჩემს მოტყუებას და აშკარა ინტრიგებსაც არ თაკილობდნენ. მაგრამ ამას ჩემში პესიმიზმი და გაბოროტება არ გამოუწვევია. ყველაფერს კარგად ვხედავდი და ვსდუმდი, — ხელის გასვრა მეზიზღებოდა. ცუდის ჩამდენი ფიქრობდა, რომ მომატყუა, თვითონ კი სტყუვდებოდა ამ მხრივ, თუმცა, ისიც კარგად მესმის, ჩემი ეს სიტყვები რომ გააგონათ, ის ადამიანები სიცილით დაიხოცებოდნენ...

არის ციმბირში პატარა ნადირი სამური, კვერნათა გვარიდან. მას

დაუღალავად სდევნიან ძვირფასი ქურქისათვის. და აი, ამბობენ, მოხდება ხოლმე, რომ ცხენოსანი მონადირეები მისდევენ სამურს მინდვრად. საცაა უნდა დაეწიონ, მაგრამ ტყეც იქვეა: კიდევ ცოტა და ნადირი გადარჩა! მაგრამ აქ მას გადაეღობა მღვრიე ნაკადული. გაღმა სიცოცხლეა, მაგრამ ნაკადის გავლა ქურქის გასვრას ნიშნავს და სამურს ამის ატანა არ შეუძლია, უმალ სიკვდილი და საცოდავი ცხოველი დგას ადგილზე მოჯადოებულივით, სანამ მონადირეების დავლა არ გახდება. ამბობენ კიდევ, რომ ძველად ერთ დიდებულს ფარზედ ჰქონდა. გამოსახული სპეტაკი სამური და დევიზი: „უმალ სიკვდილი, ვიდრე უმცირესი ლაქა!“.

ბრიყვი ცხოველის ზნე არის ეს, თუ ადამიანური მორალის თეზისი?

„მოგონებების“ მეორე ნაწილი უფრო ვრცელი მქონდა განზრახული, მაგრამ სასტამბოდ გამზადებული ხელნაწერი საცხოვრებელი შენობის ავარიამ იმსხვერპლა...

# შინაარსი


| | |
|---|---|
| რედაქტორისაგან | 3 |
| **პირველი ნაწილი** | 9 |
| **მამა-პაპა** | 11 |
| **აკვანი** | 17 |
| სანდომისა | 27 |
| დაბადება | 28 |
| „მე პატარა ქართველი ვარ“ | 29 |
| სამყარო, რომელიც ინგრევა | 33 |
| საჩხერის სკოლა | 36 |
| ოცხელის სკოლა | 38 |
| გიმნაზია | 42 |
| მასწავლებლები | 47 |
| **ალზრდა და ოჯახი** | 51 |
| ღმერთი და ეკლესია | 53 |
| თვითალზრდა | 57 |
| საით მივდივართ | 61 |
| ცხრაას ხუთი | 63 |
| ისევ გიმნაზია | 71 |
| ევნევა | 74 |
| ბიქტორ ღოღელიანი | 80 |
| პარიზი | 82 |
| პარიზის უნივერსიტეტი | 87 |
| ქართული სათვისტომო | 101 |
| ქუთაისი | 105 |
| ყაზანი | 110 |
| თებერვლის რევოლუცია | 114 |
| ოქტომბრის შემდეგ | 118 |
| კრიზისი | 125 |
| გრენობლი | 131 |
| ისევ პარიზი | 141 |
| ჰალე | 145 |
| **მეორე ნაწილი** | 152 |
| დოქტორობია | 152 |
| უმუშევარი | 157 |
| ახალწვეულნი | 160 |
| მეცნიერული მუშაობა | 165 |
| გეოლოგიური ინსტიტუტი | 173 |
| არსებობისათვის ბრძოლა | 180 |
| ჩემი გაჭირვება | 187 |

გამომცემლობის რედაქტორი ი. მეღლიძე
მხატვარი ო. ვარვარიძე
სამხატვრო რედაქტორი ი. ჩიქვინიძე
ტექნიკური რედაქტორი ფ. ბუდაღაშვილი
კორექტორი ე. ხურცია

სბ № 1549

გადაეცა წარმოებას 28.04.88. ხელმოწერილია დასაბეჭდად 24.08.88.
ქაღალდის ზომა 60×84 1/16. საბეჭდი ქაღალდი № 1. ნაბეჭდი თაბახი 12,25.
სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 9.94. უე 08506. ტირაჟი 30 000,
შეკვეთის № 720 ფასი 65 კაპ.

თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა,
თბილისი, 380028, ი. ჭავჭავაძის პროსპექტი, 14.
Издательство Тбилисского университета,
Тбилиси, 380028, пр. И. Чавчавадзе, 14.

საქართველოს სსრ გამსახკომის სამხრეთ ოსეთის საოლქო
პოლიგრაფიული საწარმოო გაერთიანება, ცხინვალი, მოსკოვის, 5.
Юго-Осетинское областное полиграфическое производственное объединение Госкомиздата ГССР, Цхинвали, Московская, 5.